K 169383
3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დ. მუსხელიშვილი

საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები

ფასი 1 მანეთი 1977

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის
ინსტიტუტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დ. მუსხელიშვილი

საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები

I

K 169383
3

სპეც. 2000
შემოწმებულია

„მეცნიერება"
თბილისი, 1977

ეროვნული
ბიბლიოთეკა

902.9 (C41)
911 (47.922)
მ 936

მონოგრაფია ნაწილია ფართო ისტორიულ-გეოგრაფიული შტუდიისა, რომლის მიზანია გამოავლინოს, თუ როგორ მიმდინარეობდა და რა შინაგანი მიზეზებით იყო გაპირობებული ქართულ და არაქართულ „ქვეყანათა“ კონსოლიდაციის მრავალსაუკუნოვანი პროცესი, რისი შედეგიც იყო ფეოდალური სახელმწიფო „საქართველოს“ წარმოქმნა. წინამდებარე გამოკვლევაში განხილულია ეს პროცესი უძველესი ხანიდან დაწყებული ჩვ. წ. V საუკუნის ჩათვლით, როდესაც ვახტანგ გორგასალმა ერთ სამეფოდ გააერთიანა დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველო.

მ $\frac{10604}{М\ 607(03)}$ 140—77 © გამომცემლობა „მეცნიერება“; 1977

258 ბ 3 ; 5 ბ 1 221 ბ 2—

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წინასიტყვა

გამოკვლევა, რომელიც ამჟამად იბეჭდება, ფართო მონოგრაფიის ერთი ნაწილია. მთლიანად მონოგრაფიაში გაშუქებულია საქართველოს ფეოდალური სახელმწიფოს ჩამოყალიბების რთული და მრავალმხრივი პროცესი ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისით ანუ — ფეოდალური საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიის წარმოქმნის პროცესი. საკითხისადმი ასეთი მიდგომა განსაზღვრა იმან, რომ, ჩვენი აზრით, დროთა ვითარებაში ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიული გეოგრაფიის ცვლილებები გაპირობებულია მოცემული საზოგადოების შინაგანი მეურნეობრივი, სოციალური, ეთნიკური და, რა თქმა უნდა, პოლიტიკური განვითარებით. ეს უკანასკნელი, ისტორიული გეოგრაფიის ასპექტით, ვლინდება ტერიტორიული ცვლილებებით არა მხოლოდ ქვეყნის პოლიტიკური საზღვრების თვალსაზრისით, არამედ, პირველ რიგში, სწორედ შინაგანი სტრუქტურის თვალსაზრისით. ყოველ საზოგადოებას თავისი განვითარების შესაბამისი ტერიტორიული სტრუქტურა ახასიათებს, რომელიც იცვლება საზოგადოების ევოლუციასთან ერთად და ეს ცვლილებები იმდენად ნიშანდობლივია და სპეციფიური, რომ ჩვენ, გარკვეული აზრით, შეგვიძლია ვილაპარაკოთ დამოუკიდებელ, ისტორიულ-გეოგრაფიული განვითარების პროცესზე. ირკვევა, რომ ქვეყნის ისტორიულ-გეოგრაფიული ევოლუცია ადექვატურია საზოგადოების სოციალურ-ეკონომიური და ეთნიკურ-პოლიტიკური განვითარებისა. მეორე მხრივ, ეგების, არსად ისე რელიეფურად არ ვლინდება ამა თუ იმ ქვეყნის სხვადასხვა კუთხის სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურის სპეციფიურობა, როგორც ისტორიულ-გეოგრაფიული განვითარების თავისებურებებში.

მონოგრაფიის მიზანია საქართველოს ფეოდალური სახელმწიფოს ჩამოყალიბების ისტორიულ-გეოგრაფიული საფუძვლების წარმოჩენა სწორედ ზემოხსენებული ასპექტით. დეტალური კვლევის ძირითადი ქრონოლოგიური ჩარჩოები IV—X საუკუნე-

ებით არის შემოსაზღვრული. და ეს იმიტომ, რომ ზემოაღნიშნული პერიოდი „საქართველოს“ მშენებლობის თვალსაზრისით გადამწყვეტი და, არსებითად, დამაგვირგვინებელი პერიოდია.

მაგრამ ცხადია, რომ ამას წინ უსწრებდა ხანგრძლივი, მრავალსაუკუნოვანი პერიოდი, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელი იყო, თუნდაც იმიტომ, რომ არაერთი სოციალური პროცესი, გამოვლენილი IV—X სს-ის ისტორიულ-გეოგრაფიული განვითარების სპეციფიურობით, თავის დასაბამს უძველეს ხანაში იღებს.

ყველა ეს საკითხი განხილულია მონოგრაფიის შესავალში. ამდენად, ის არ არის ჩვეულებრივი შესავალი, როგორიც წინ ერთვის ხოლმე გამოკვლევას და საკითხის ისტორიას, წყაროთმცოდნეობით ან ისტორიოგრაფიულ მიმოხილვას შეადგენს, არამედ თვით წარმოადგენს გამოკვლევას, რომლის გათვალისწინებაც, ჩვენი აზრით, უფრო გასაგებს ხდის იმ სპეციფიურ მოვლენებს, რომელთა შესახებაც ძირითად ნაწილშია მსჯელობა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ნაშრომში ე. წ. ანტიკური ხანის ქართული სახელმწიფოების მხოლოდ პოლიტიკური საზღვრების საკითხი გვაქვს განხილული, რადგან ამ პერიოდის საქართველოს ისტორიული გეოგრაფია უკანასკნელ წლებში გამოვლენილი არქეოლოგიური მასალების შუქზე (როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთში) საგანგებო მონოგრაფიული კვლევის საგანი უნდა გახდეს.

ამგვარად, ძირითადი ნაწილი მთლიანი გამოკვლევისა მოიცავს IV—X საუკუნეებს. ჩვენი ისტორიის დღეს მიღებული პერიოდიზაციის მიხედვით, ეს არის ე. წ. ადრეფეოდალური ხანა ჩვენი ქვეყნის განვითარებაში. უნდა აღვნიშნოთ: მონოგრაფიაზე მუშაობის პროცესში შეგვიმუშავდა აზრი, რომ საქართველოს ისტორიის მიღებული პერიოდიზაცია გადასასინჯია, მაგრამ რამდენადაც ეს საკითხიც აუცილებელი სპეციალური კვლევის საგანია, ამიტომ ჩვენ აქ მას არ ვეხებით და მიღებული პერიოდიზაციის ფარგლებში ვრჩებით.

მონოგრაფიის წერა დასრულდა 1972 წ. იგი ხანგრძლივი კვლევის, კერძოდ, საველე-პრაქტიკული კვლევის შედეგია. მისი ძირითადი ქარგა ჯერ კიდევ ამ ათი წლის წინ, 1967 წ. მარტში მოხსენდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიას (იხ. ზემოხსენებული ინსტიტუტის „XVI სამეცნიერო სესია. სესიის მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები“, თბ. 1967, გვ. 4—6).

კავკასიაში ჯვრის ლანჯარის და ბიზანტიის ოქროსა და ვერცხლის მონეტების აღმოჩენათა

რუკა I

ᲠᲣᲙᲐ II. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ VII ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲨᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინამდებარე გამოკვლევა, როგორც აღვნიშნეთ, ზემოხსენებული მონოგრაფიის პირველი ნაწილია, რომელშიც კვლევა მოტანილია VI ს-მდე. ტექსტი, ორიოდე სქოლიოს დამატებით „შესავალში“, იბეჭდება უცვლელად, ცხადია, ამიტომ აქ ასახვა ვერ ჰპოვეს გამოკვლევებმა, რომლებიც 1972 წ-ის შემდეგ გამოქვეყნდა. ეს განსაკუთრებით ეხება აკად. ნ. ბერძენიშვილის თხზულებათა VIII წიგნს, რომელშიც გამოქვეყნებულია მასალები მისი არქივიდან. ეს მასალები შეეხება საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირეულ საკითხებს და ჩვენთვის ფრიად სასიამოვნოა, რომ, გარდა ცალკეულ მოსაზრებათა დამთხვევებისა, ნ. ბერძენიშვილის კონცეფცია საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული განვითარების მაგისტრალური ხაზის შესახებ არსებითად იდენტურია ჩვენ მიერ 1967 წ. გამოთქმული თვალსაზრისისა (იხ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. VIII, 1975, გვ. 74—76).

ამასთან დაკავშირებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ თუკი ჩვენი გამოკვლევა მეცნიერულად ღირებულია და რამდენადმე მაინც ამდიდრებს წარმოდგენას ჩვენი ქვეყნის წარსულზე, თუკი მას, როგორც ისტორიულ-გეოგრაფიულ მონოგრაფიას, ძალუძს გვიჩვენოს, რომ ამ ახალ ისტორიულ დისციპლინას შესწევს უნარი დასვას და გააშუქოს არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი ჩვენი ქვეყნის წარსულისა, ამაში დიდი დამსახურება მიუძღვის ჩემს მასწავლებელს, აკად. ნ. ბერძენიშვილს, რომლის დაუცადებელი ზრუნვა ამ დარგის განვითარებისთვის და ურყევი რწმენა მისი განვითარების დიდი მნიშვნელობისა ძალას გვმატებდა ამ გამოკვლევაზე მუშაობისას. ამდენად, ჩვენი მონოგრაფია მხოლოდ ნაწილობრივი ვალის მოხდაა დავალებული მოწაფისა მასწავლებლის ნათელი ხსოვნის წინაშე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შესავალი

ფეოდალური ხანის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები

1. ამიერკავკასია, საერთოდ, და საქართველო, კერძოდ, მთაგორიანი მხარეა. ოროგრაფიის თვალსაზრისით, საქართველოს ზედაპირი სამ, ერთმანეთისაგან მკვეთრად გამიჯნულ, არედ იყოფა: 1. კავკასიონის მთიანეთი ანუ დიდი კავკასიონი, რომელიც საქართველოს ჩრდილო ნახევარს მოიცავს და უმაღლესი ცენტრალური ქედის საშუალებით გამოჰყოფს მას იმიერკავკასიისაგან; 2. ანტიკავკასიონის მთიანეთი, რომელსაც საქართველოს სამხრეთი ნაწილი უკავია და შედგება მცირე კავკასიონის მთიანეთისგან (აჭარა-თრიალეთისა და ხრამ-სომხითის მთიანი სისტემა) და სამხრეთ საქართველოს ზეგანისაგან (ერუშეთის მაღლობი, ჯავახეთის ზეგანი, წალკის ქვაბული, გომარეთის ანუ ზურტაკეტის, დმანისის, ბედენისა და ქვემო ქართლის ზეგნები, ზღვის დონიდან საშუალოდ 1200—2100 სიმაღლეზე) და რომელიც სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით ებჯინება სომხეთის და აღმოსავლეთი ანატოლიის მთიანეთს, 3. საქართველოს მთიანეთშორისი მხარე, რიონ-მტკვრის დეპრესია ანუ საქართველოს ბარი, რომელიც დასავლეთით წარმოადგენს კოლხეთის დაბლობს, ხოლო აღმოსავლეთით — მტკვრის ვაკეს ანუ ივერიის ბარს. ეს ორი სისტემა, თავის მხრივ გამოყოფილია ერთმანეთისაგან ჯერ ქართლ-იმერეთის ანუ ლიხის ანუ სურამის ქედით, ხოლო შემდეგ, სამხრეთ-დასავლეთიდან მესხეთის ანუ აჭარა-იმერეთის ქედით.

ეს უკანასკნელი (დასავლეთ ნახევარში) კოლხეთის დაბლობს გამოჰყოფდა აგრეთვე ჭოროხის აუზისაგან, რომელიც ისტორიულად მთლიანად აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაში შემოდიოდა.

ქართლ-იმერეთისა და მესხეთის ქედებით საქართველო გაყოფილია აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილად. აღმოსავლეთი საქართველო მოიცავს მტკვრის აუზს, ხოლო დასავლეთი — რიონის

ეროვნული ბიბლიოთეკა

აუზს. ამას გარდა, აქ დამოუკიდებელ აუზებს ქმნიან ენგური და ფო-ბი, რომლებიც რწყავენ სამეგრელოს და სვანეთს; სუფსა — გურიაში, კოდორი და ბზიფი — აფხაზეთში და სხვა.

დიდი და მცირე კავკასიონის მთების მასივებს მერიდიონალური მიმართულებით, შესაბამისად, სამხრეთისკენ და ჩრდილოეთისკენ ანუ რიონ-მტკვრის დეპრესიის მიმართულებით გამოეყოფა საკმაო რაოდენობით დიდი და მცირე ურთიერთპარალელური ქედები. ისინი ქმნიან დასაწყისში ღრმა და ვიწრო, ხოლო რიონ-მტკვრის ვაკეზე გამოსასვლელთან შედარებით ფართო ხეობებს, რომლებშიც საქართველოს მთავარი არტერიების შემდინარეები მოედინებიან. ასეთებია ალაზანი და იორი კახეთში; დებედა, ხრამი და ალგეთი ქვემო ქართლში; არაგვი, ქსანი, ლიახვი და სხვ. შიდა ქართლში; თეძამი, ტანა და ძამა შიდა ქართლის გაღმა მხარეში; ყვირილა, ჩხერიმელა, ძირულა და სხვ. იმერეთში; ცხენისწყალი და ტეხური ლეჩხუმსა და სამეგრელოში და სხვ.

ამას გარდა, საკუთრივ დიდ კავკასიონზე ისევე, როგორც სამხრეთისკენ მომდინარე ზემოხსენებული მდინარეები, ჩრდილოეთის მდინარეებიც სათავეებში ქმნიან მაღალმთიან ფართო ტაფობებს, როგორც, მაგალითად, თუშეთის და პირიქითა ალაზნის ანუ ანდიის-ყოისუს სათავეები (თუშეთი), არღუნის და ასას სათავეები (პირიქითა ხევსურეთი, არხოტი), თერგის სათავეები (თრუსო, ხევი), არდონის და ფიაგდონის სათავეები (დვალეთი), ხოლო ანტიკავკასიონზე კი მრავლადაა მაღალი პლატოები, რომელთაგან ნაწილი უკვე მოვიხსენიეთ; ლორე-ტაშირი — დებედას სათავეები (დღ. სომხეთის სსრ), ზურტაკეტი — მაშავრისა და ყარასუს სათავეები; ჯავახეთის ზეგანი — ჯავახეთის მტკვრის სათავეები; არტაანის და კოლას ქვაბურები — არტაანის მტკვრის სათავეები (დღ. თურქეთის ტერიტორია) და სხვ. და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ზედაპირი, გადასერილი ყოველი მიმართულებით მაღალი ქედებით, ხეობებით და ვაკე-ველებით, მოიცავს ყველა სიმაღლეს, დაწყებულს ზღვის დონიდან, ვიდრე მუდმივ-თოვლიან მწვერვალამდე.

რელიეფის ასეთი თავისებურება, თავის მხრივ, იწვევს ჰავის ნაირგვარობას. ბევრი ქედი და ამაღლება ამავე დროს კლიმატური რაიონების საზღვრებია. ძირითადად, საქართველოს ტერიტორია, ამ თვალსაზრისით, სამ მთავარ ზონად შეიძლება დაიყოს: 1. დიდი კავკასიონის მაღალმთიანეთი (2000 მ-ზე ზემოთ ზღვის დონიდან) — ზომიერი ჰავა; 2. კოლხეთის დაბლობი მისი შემომსაზღვრელი მთე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით — სუბტროპიკული ნესტიანი ჰავა; 3. აღმოსავლეთი საქართველო — მშრალი კონტინენტური ჰავა.

საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მიკრო და პალეოკლიმატური მონაცემები, რაც, ჯერჯერობით, სუსტადაა დამუშავებული.

ზემოაღნიშნული ჰავისმიერი ზონადობა ძირითადად თანხვდება საქართველოს ტერიტორიის უკვე აღნიშნულ ოროგრაფიულ და გეომორფოლოგიურ დანაწევრებას.

ცნობილია, რომ რელიეფი და კლიმატური პირობების დიფერენციაცია არსებით გავლენას ახდენს დანარჩენ გეოგრაფიულ კომპონენტებზე (ნიადაგი, ფლორა, ფაუნა). ამ უკანასკნელთა შესწავლა დაახლოებით იგივე კანონზომიერებას ავლენს და არსებითად ემთხვევა საქართველოს რელიეფის ოროგრაფიულ და გეომორფოლოგიურ დარაიონებას.

ამგვარად, შესაძლებელია ითქვას, რომ გამოყოფილი ძირითადი ოროგრაფიული და გეომორფოლოგიური მხარეები — დიდი კავკასიონი, კოლხეთის დაბლობი, ივერიის ვაკე და ანტიკავკასიონი — ერთმანეთისაგან გეოგრაფიული კომპონენტების ყველა კომპლექსით (ჰავა, ნიადაგი, ფლორა, ფაუნა, ჰიდროლოგიური თავისებურებანი) განსხვავდებიან და, ამდენად, მათი განსაზღვრა, როგორც საქართველოს ძირითადი ფიზიკურ-გეოგრაფიული რეგიონებისა, მართებული უნდა იყოს[1].

2. ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, რომ საქართველოს ფიზიკური გეოგრაფიის ამ თავისებურებებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მისი ისტორიული გეოგრაფიისათვის. ამჟამად კი აღვნიშნავთ, რომ ეკონომისტი გეოგრაფოსების თანხმობლივი აღიარებით ფიზიკური გეოგრაფიის თავისებურებათა და, პირველ რიგში, რელიეფის რაგვარობისაგან დიდად არის დამოკიდებული მოსახლეობის სამეურნეო ყოფა და ეკონომიური ცხოვრება. მისი განსახლება, აგრეთვე მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის გეოგრაფია დღესაც გაპირობებულია სწორედ ამ ფაქტორით[2].

---

[1] ამ მოკლე მიმოხილვისას ვსარგებლობდი შემდეგი ლიტერატურით: Н. А. Гвоздецкий, Физическая география Кавказа, 1954; Г. И. Гехтман, Экономическая география Грузии, 1924; М. М. Дубенский, Очерки по экономической географии Закавказья, 1924; ლ. მარუაშვილი, საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, I, 1969; II, 1970.

[2] Н. А. Гвоздецкий, იქვე, 3; М. М. Дубенский, იქვე, 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მით უფრო ასე უნდა ყოფილიყო ისტორიულ ხანაში: საქართველოს კლიმატური პირობებისა და ნიადაგისეული საფარის სხვადასხვაგვარობა აპირობებდა სოფლის მეურნეობის მხრივ მისი ტერიტორიის სხვადასხვაგვარ ათვისებას.

ამას აშკარად მოწმობენ ქართული ისტორიული წყაროები და, პირველ რიგში, შუა საუკუნეების ქართული ისტორიული გეოგრაფიის ბრწყინვალე წარმომადგენელი ვახუშტი ბაგრატიონი, რომელსაც სრულიად გარკვეული მოძღვრება ჰქონდა შემუშავებული საქართველოში გეობოტანიკური არეების გავრცელების შესახებ[3].

ვახუშტის ამ გეობოტანიკური კონცეფციის ძირითადი თვალსაზრისი იმით არის გამოხატული, რომ საქართველოს ტერიტორიის დანაწევრება მთად და ბარად „გეოგრაფიულ თვისებებთან ერთად, იმავე დროს ორ ბოტანიკურ და სასოფლო-სამეურნეო ზოლად გაყოფასაც გულისხმობდა. მთის ზოლის თვისებას, ამ მხრივ, უვენახობა, უხილობა და მარცვლეულობის მოსავლის სიმცირე წარმოადგენდა, ბარის ზოლისას კი სწორედ ვენახიანობა, ხილიანობა და „მოსავლიანობა“. საფიქრებელია, რომ ძველ ძეგლებშიც მთა და ბარი მარტო გეოგრაფიულად კი არა, არამედ ამნაირადვე მთისა და ბარის ზოლებად და მეურნეობად უნდა ყოფილიყო ნაგულისხმევი“[4].

ვახუშტის ნაშრომისა და სათანადო ძველი ისტორიული წყაროების დეტალური კვლევის საფუძველზე ამჟამად ჩვენ მოგვეპოვება ისტორიული საქართველოს აგრობოტანიკური რუკა, რომლის ავტორისათვისაც სრულიად ცხადი იყო, რომ ამგვარი ძიება „მკვლევარს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკის შესაძლებლობასაც ზედმიწევნით გაუთვალისწინებს და ჩვენი ქვეყნის წარსულის, როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკური ისტორიის არაერთ მნიშვნელოვან საკითხსაც სისწორით გაარკვევინებს“[5].

ქვემოთ ვნახავთ, რომ ეს სრული ჭეშმარიტებაა და ამის ცოდნას, პირველყოვლისა, სწორედ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა.

---

[3] ვახუშტი ბატონიშვილის ამ ღვაწლის წარმოჩენა და მისი შეფასება ივ. ჯავახიშვილის გასაოცარი სკრუპულოზური კვლევის შედეგია, იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, 1930, 290—315.

[4] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., 294.

[5] იქვე, 311.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ მხრივ ფრიად საინტერესოა საქართველოს ფიზიკური გეოგრაფიის კიდევ ერთი დამახასიათებელი, ხოლო მისი ისტორიული გეოგრაფიისათვის კიდევ ერთი განმსაზღვრელი თავისებურება, რომელიც შემჩნეული აქვს ვახუშტის: „სახელოვანი ქართველი გეოგრაფის გულისყურსა და დაკვირვებას არც ის გარემოება გამოჰპარვია, რომ ჩვენ ქვეყანაში მთა და ბარი ისევე როგორც სხვა ზოლების მეურნეობა ერთმანეთზე ასე დაახლოებულია“[6].

მთისა და ბარის სიახლოვე, არის საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ერთ-ერთი სპეციფიური ასპექტი და მის მნიშვნელობას ქვემოთ საგანგებოდ შევეხებით. აქ კი აღვნიშნავთ: აგრობოტანიკის თვალსაზრისით, ზემოთქმულის შემდეგ ცხადი ხდება, რომ საქართველოს „ტერიტორია ორ მთავარ დიდს, ვენახ-ხილიანსა და უვენახ-ხილო არეს უკავია. ამასთანავე დამახასიათებელია, რომ ვენახ-ხილიანი არეს ზოლი შუაშია მოქცეული, აქეთ-იქით კი, ჩრდილოეთითა და სამხრეთით, ვენახ-ხილიან ზოლს ჯერ უვენახო, მერმე უვენახ-ხილო და შემდეგ ალპური საძოვრების არე აკრავს. ოდენობით ეს უკანასკნელი, უვენახ-ხილო და ალპური ზოლი, ვენახ-ხილიან არეს საგრძნობლად სჭარბობს“[7]. ხოლო „ტფილისითგან ბარდავამდე და ივრის სანაპიროებზე ზამთრის საძოვრების არე იყო ისევე, როგორც გარეჯის მთებსა და უდაბნოს მიდამოებში. ასეთი დანიშნულება ჰქონდა სარწყავი რუს გამოყვანამდე, სამგორის ველსა და ჩადივარსაც, რათგან უწყლობის გამო უმთავრესად თავისი ბალახოვნობის მხრით შეიძლება ყოფილიყო გამოყენებული“[8]. საზამთრო საძოვრებად გამოიყენებოდა, უეჭველია, ქიზიყ-შირაქიც და გაღმამხარიც[9].

ამგვარად, როგორც ვხედავთ, ფიზიკური გეოგრაფიისა და, არსებითად, ამით გაპირობებული გეობოტანიკის თვალსაზრისით, საქართველოს ტერიტორია საკმაოდ მრავალფეროვანია. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სასოფლო-სამეურნეო არეებს ამავე დროს მკვეთრი ზონალურობა ახასიათებს. ყველაფერ ამას არსე-

---

[6] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., 297.

[7] იქვე, 315.

[8] იქვე.

[9] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, 103, 105.

ბითი მნიშვნელობა ჰქონდა აქ მიმდინარე ისტორიულ-გეოგრაფიულ-ლი პროცესებისათვის.

3. უძველესი ხანა, რა დროიდანაც ჩვენ შეგვიძლია გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისით საქართველოს ტერიტორიაზე, არის ე. წ. ენეოლითისა და ადრე-ბრინჯაოს ეპოქა. და ეს იმიტომ, რომ ამ დროის ნამოსახლარები საკმაო რაოდენობითაა გამოვლენილი, ხოლო ზოგიერთი მათგანი კარგადაც არის შესწავლილი.

1965—1967 წწ-ში მარნეულის, ბოლნისის და ახალციხის რაიონებში მიაკვლიეს უძველესი, ენეოლითური ხანის ნამოსახლარების მთელ სერიას. ესენია ან ნამოსახლარი გორები არუხლოს, შულავერის და იმირის ტიპისა მდ. ხრამის დაბლობზე, ან ნამოსახლარები ტერასებზე (გეი-თეფე სადახლოსთან), ხევების შესართავ კონცხზე (წოფის ნამოსახლარი) და მთის კალთებზე (ამირანის გორა ახალციხესთან)[10].

გამოვლენილი და აღნუსხული არქეოლოგიური ძეგლების ტოპოგრაფია მოწმობს, რომ ენეოლითის პერიოდში (ძვ. წ. V—IV ათასწლეულები) მოსახლეობას ათვისებული ჰქონია მდინარეთა დაბლობებიც, ზეგნებიც და მთაც. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ნამოსახლართა გავრცელება ზემოხსენებულ გეოკლიმატურ ზონებში არათანაბარია და თუ დაბლობში, მდინარეთა ველებზე, ისინი ჯგუფ-ჯგუფად, ერთმანეთთან მიჯრით არიან განლაგებულნი, ზღვის დონიდან 800—900 მ-ის სიმაღლეზე მათი კვალი უფრო იშვიათია[11].

ასე მაგალითად, ქვემო ქართლის ველზე, შულავრის წყლის ქვემო დინებაზე 6 კვ. კილომეტრის ფართობზე ოთხი ენეოლითური ნამოსახლარია დამოწმებული ერთმანეთისაგან 1,5 კმ-ის დაშორებით, ხოლო იმირის გორის სამხრეთ-აღმოსავლეთით 2—3 კმ-ზე

---

[10] К. Х. Кушнарева, Т. Н. Чубинишвили, Древние культуры Южного Кавказа, Л. 1970, 21 (ქვემოთ: Древние культуры).

[11] Т. Чубинишвили, К древней истории Южного Кавказа, 1971, 76, 82—83, 158. სულ უკანასკნელ ხანს მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის წევრებმა გამოთქვეს კატეგორიული მოსაზრება მესხეთში და ჯავახეთში არამცთუ ენეოლითურის, არამედ მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული ეტაპის შესაბამისი ძეგლების თუ თიხის ჭურჭლის ცალკეული ფრაგმენტის არარსებობის შესახებ, იხ. ᲡᲡᲛᲐᲔ III, 1974, 41.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ სამი ასეთი ძეგლია აღნუსხული[12]. ვარაუდობენ, რომ ეს ვითარება შედეგია დროთა ვითარებაში ძირინამოსახლარის მეტის მეტი ზრდისა და მისგან მოსახლეობის ნაწილის გამოყოფისა[13].

შულავრის ნამოსახლარის კულტურული ფენის სიმძლავრე 7 მ აღემატებოდა. ამჟამად გადარჩენილია 5 მ დანაშრევი, რომელიც შეიცავს სულ ცოტა 5 სამშენებლო დონეს. საცხოვრებელი ნაგებობები ალიზის წრიული ან ოვალური შენობებია გუმბათოვანი ვადახურვით. ყოველი ახალი სამშენებლო დონის სახლების მეტი წილი უშუალოდ ფარავს ადრეულ შენობას, რაც, თუ გავითვალისწინებთ ყველა დონეზე გამოვლენილი არქეოლოგიური კულტურის ერთიანობასაც, მოსახლეობის უწყვეტლობის და ტრადიციულობის მაჩვენებელია[14]. იგივე ვითარება მძლავრ კულტურულ ფენებთან ერთად იმაზე მიუთითებს, რომ ეს ნამოსახლარი ისევე, როგორც ბევრი სხვა მსგავსი ძეგლი, საუკუნეთა მანძილზე ცხოვრების შედეგად წარმოიქმნა[15]. ამ მხრივ საინტერესოა შულავრის გორის ორი სხვადასხვა სამშენებლო დონიდან აღებული ნახშირის რადიოკარბონული მეთოდით დათარიღება, რამაც უჩვენა, რომ ამ ნამოსახლარის კულტურული ფენის 2 მ-ის სიმძლავრის დანაშრევი დაახლოებით 7 საუკუნის განმავლობაში წარმოიქმნა[16].

ამ დროის ნამოსახლარები საერთოდ ამიერკავკასიაში და, კერძოდ, საქართველოს ტერიტორიაზეც უმთავრესად გაუმაგრებელი სამოსახლოებია, განლაგებული მოხერხებულ ადგილებში: კონცხებზე, მდინარეთა ტერასებზე, ბუნებრივ ბორცვებზე[17]. თვით მათი ასეთი ტოპოგრაფია, ვფიქრობთ, სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ თავდაცვას უთუოდ დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ენეოლითური ეპოქის გარკვეული პერიოდიდან მაინც. ძეგლთა მკვეთრი

---

[12] О. М. Джапаридзе, А. И. Джавахишвили, Результаты работ Квемо-Картлийской археологической экспедиции, АЭГМГ, 1, 1969, 19. (ქვემოთ: АЭГМГ, I).

[13] იქვე, 26.

[14] ო. ჯაფარიძე, ა. ჯავახიშვილი, ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1965—1966 წ.), „მაცნე", № 3, 1967, 293.

[15] Древние культуры, 48

[16] ო. ჯაფარიძე, ა. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., 297—298; Древние культуры, 49—50.

[17] Древние культуры, 53.

ქრონოლოგიური ურთიერთმიმართება, რაც მომავალი ძიების შედეგად უნდა მოხერხდეს, ალბათ, ნათელჰყოფს ამ ფრიად მნიშვნელოვან საკითხს. მაინცდამაინც იმირის გორაზე, რომელიც რამდენადმე ახალგაზრდაა შულავრისაზე[18] და თითქოს გვაროვნული საზოგადოების განვითარების უფრო მაღალი ეტაპის შესატყვისია[19] და აგრეთვე არუხლოს გორაზე, რომლის არსებობის ზედა ქრონოლოგიური ზღვარი ძვ. წ. IV ათასწლეულის მიწურულზე მოდის[20], აღმოჩენილია სათავდაცვო თხრილები. ისინი გარშემოუყვება ნამოსახლარს[21]. ამგვარად, თითქოს გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ენეოლითური ხანის გარკვეული ეტაპიდან ნამოსახლარებს სათავდაცვო ნაგებობები უჩნდება.

მეურნეობის თვალსაზრისით განათხარი არქეოლოგიური მასალა (ხორბალი, ყურძნის წიპწა, ობსიდიანის ჩასართები, ქვის ნავისებური ხელსაფქვავები) უცილობლად მოწმობს, რომ ენეოლითური ნამოსახლარები ეკუთვნოდა დამჯდარ, ბინადარ მოსახლეობას, რომლის ძირითად მეურნეობას მიწათმოქმედება შეადგენდა. განვითარებული იყო მესაქონლეობაც (განსაკუთრებით მსხვილფეხა რქოსანი საქონელი). ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა მონადირეობას და მეთევზეობას[22].

1965 წ. ჩვენ გამოვთქვით ვარაუდი, რომ უძველესი მიწათმოქმედი მოსახლეობის მეურნეობა საქართველოს ტერიტორიაზე, ფაქტიურად, მორწყვით მიწათმოქმედებაზე უნდა ყოფილიყო დამყარებული[23]. მართალია, ამ ვარაუდის გამოთქმის დროს ჩვენში ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი ზემოხსენებული ენეოლითური ნამოსახლარები, მაგრამ იგი გაპირობებული იყო, ჯერ ერთი, იმ დროისთვის ცნობილი უძველესი ნამოსახლარების ტოპოგრაფიით (მაშინ მათ მიაკუთვნებდნენ ენეოლითს). ასე მაგალითად, ჯერ კიდევ 1955 წ. ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიციის დაკვირვებით,

---

[18] АЭГМГ, I, 26.

[19]. О. М. Джапаридзе, А. И. Джавахишвили, Результаты работ Квемо-Картлийской археологической экспедиции (1968—1969 гг.), АЭГМГ, II, 1971, 28 (ქვემოთ: АЭГМГ, II).

[20] Древние культуры, 49.

[21] АЭГМГ, II, 25; Древние культуры, 22.

[22] ო. ჯაფარიძე, ბ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ. 296; АЭГМГ, I. 25; Древние культуры, 53; Т. Чубинишвили, დასახ. ნაშრომი, 159;

[23] დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხები ნ. ბერძენიშვილის შრომებში, „მაცნე“, № 2, 1965, 106.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნამოსახლარი გორები მდებარეობენ სამიწათმოქმედო ზოლში, ისევ, როგორც წესი, მდინარის, ხევის ან წყაროს მახლობლად[24]. მეორე მხრივ, ამასვე გვავარაუდებინებდა იმ დროისთვის შესწავლილი ნამოსახლარი გორების (მაგ. ხიზანაანთ გორა და ქვაცხელები ურბნისთან) კულტურული ფენის სიმძლავრე და სამშენებლო დონეთა სიმრავლე, რაც უეჭველად მიუთითებს აქ ხანგრძლივი (განუწყვეტელი?) ცხოვრების არსებობაზე. ხოლო ეს ირიგაციის გარეშე ყოვლად წარმოუდგენელი იქნებოდა. დაბოლოს, ამასვე გვავარაუდებინებდა წინა და შუა აზიის უძველესი მიწათმოქმედი მოსახლეობის ნამოსახლართა („თელ"-ები, „თეფე"-ები) ანალოგიები.

1966 წ. არუხლოს ენეოლითური გორის ერთ-ერთ კიდეზე დადასტურებული იქნა ე. წ. „სველი" თხრილი[25], რომლის ნიადაგის ანალიზმა უჩვენა, რომ ჰუმუსური ფენა ამ თხრილში შესაძლებელია დალექილიყო გამდინარე წყლის მოქმედების შედეგად. გამდინარე წყლის არსებობა დასტურდება იქვე, ენეოლითური ხანის უძველესი ნიადაგის, ენეოლითური მინდვრის დონეზეც. ყველაფერი ეს იმ მნიშვნელოვან ფაქტთან ერთად, რომ ქვემო ქართლის დაბლობის მატერიკული ნიადაგიდან აღებულმა ანალიზმა დაამოწმა ენეოლითის ეპოქაში აქ დაახლოებით ისეთივე ჰავის არსებობა, როგორც დღეს, უცილობლად მიუთითებს, რომ ისევე, როგორც დღეს, ძველადაც აქ მხოლოდ მორწყვითი მიწათმოქმედება შეიძლება ყოფილიყო[26].

იმავე დასკვნამდე მივიდნენ შულავრის და იმირის გორების შემსწავლელები[27].

საინტერესოა, რომ ენეოლითის პერიოდში ჩანს გარკვეული ურთიერთობა მთასა და ბარს შორის. კერძოდ, ის ფაქტი, რომ ქვემო ქართლის ნამოსახლარი გორების სამეურნეო იარაღის დიდი

---

[24] დ. მუსხელიშვილი, გ. ცქიტიშვილი, შიდა ქართლის 1955 წ. დაზვერვითი ექსპედიციის შედეგები. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, I, 1960, 194.

[25] ტ. ჩუბინიშვილი, ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპ. 1966 წ. საველე მუშაობის ძირითადი შედეგები, XVI სამეც. სესია მიძღ. 1966 წ. საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი. მოკ. ანგარიშები, 1967, 25.

[26] Т. Чубинишвили, К древней истории..., 31—32; Древние культуры, 53—54; იხ. აგრეთვე, სსმაე, III, 1974, 32, 34.

[27] ო. ჯაფარიძე, ა. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ. 297, იხ. აგრეთვე, АЭГМГ., II, , 26. არუხლოს გორის მსგავსი თხრილი 1971 წ. გაითხარა იმირის გორაზე, იხ. სსმაე, III, 31 და 34.

უმეტესობა დამზადებულია თრიალეთური ობსიდიანიდან[28], ეჭვი
ეროვნული
ბიბლიოთეკა
თქმა უნდა, ამ ურთიერთობის მოწმობაა. მაგრამ, კიდევ მეტი: ურთიერთობა ჩანს არა მხოლოდ საქართველოს მთასა და ბარს შორის ან აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის[29], არამედ მოსახლეობის მიგრაცია უფრო ფართო ტერიტორიაზე მოწმდება. კერძოდ ის, რომ კავკასიური ენეოლითური კულტურის არაქსის აუზისათვის დამახასიათებელი სპეციფიური ნიშნები, მაგალითად, ბზენარევი კერამიკა თავს იჩენს მტკვრის აუზის ტერიტორიულ წრეშიც (არუხლო, წოფი და სხვ.), ხოლო მოხატული კერამიკა დაღესტნის მთიანეთშიც, რა თქმა უნდა, მათ შორის კონტაქტებით უნდა აიხსნას. ამისავე მოწმობაა ჩრდილოური უხეში კერამიკის აღმოჩენა არაქსის აუზის ნამოსახლარებზე[30].

კიდევ უფრო შორეული ურთიერთობის მაჩვენებელია ე. წ. პლანოკონვექსური ალიზისა და დაბეჭდილი თიხის ბულის აღმოჩენა ქვემო ქართლის ნამოსახლარებზე[31] და აგრეთვე თითო-ოროლა ლითონის ნივთის არსებობაც (საგვარჯილე, ნაცარგორა)[32].

4. მომდევნო არქეოლოგიური პერიოდი, რომელიც ძვ. წ. III ათასწლეულს მოიცავს, ეს არის ე. წ. „მტკვარ-არაქსის" კულტურა. დღეს მიღებული არქეოლოგიური პერიოდიზაციის თანახმად, იგი განეკუთვნება ადრებრინჯაოს პერიოდს.

ჯერ კიდევ არ არის მთლად ნათელი ენეოლითური და ადრებრინჯაოს ხანის კულტურების ურთიერთმიმართება. ზოგნი ფიქრობენ, რომ ენეოლითურ ნამოსახლარებზე ცხოვრება ერთდროულად წყდება და ამის სავარაუდო მიზეზად კლიმატურ ცვლილებებს ან ახალი მოსახლეობის გამოჩენას ასახელებენ[33]. სხვებისათვის, პირუკუ, მეორე პირველიდან გამომდინარე და მისი განვითარების შემდგომი ეტაპია[34], თუმცა არც ამ შემთხვევაში გამოირიცხება ახალი ეთნიკური ელემენტის გამოჩენა. ერთი რამ ცხადია: ნამოსახ-

---

[28] იხ. АЭГМГ, 1, 25.

[29] ო. ჯაფარიძე, ა. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ. 296.

[30] Древние культуры, 52—53, 58.

[31] ო. ჯაფარიძე, ა. ჯავახიშვილი. დასახ. ნაშრ., 294; Древние культуры, 49.

[32] Древние культуры, 55.

[33] იხ. АЭГМГ, I, 26; ო. ჯაფარიძე, ა. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., 298.

[34] Т. Чубинишвили, К древней истории..., 157—158, 161—164.

ლართა სტრატიგრაფია მოწმობს ამ ორი კულტურის უშუალო მეზობლობის მიმდევრობას და ზოგან, ერთხანს, თანაარსებობასაც[35].

მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი მოსახლეობა, ენეოლითურთან შედარებით, აშკარად უფრო დაწინაურებული ჩანს. შეცვლილია მისი არსებობის სამეურნეო ბაზა, რომელიც ემყარება უფრო განვითარებულ მიწათმოქმედებას, მომთაბარულ საიალაღო მესაქონლეობას და შეცნობილ მეტალურგიას[36].

უკანასკნელ ხანებში იმის ცდებსაც აქვს ადგილი, რომ არქეოლოგიურ მასალაში გამოავლინონ ენეოლითიდან ადრებრინჯაოზე გარდამავალი პროცესის მიმდინარეობა. უნდა აღინიშნოს აქვე, რომ სათანადო არქეოლოგიური ძეგლების გამოვლენისა და მათი ინტენსიური გათხრით შესწავლილობის დონე დღეს არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ საბოლოო დასკვნები გამოვიტანოთ. მაგრამ ზოგიერთი საგულისხმო ფაქტი და დაკვირვება მაინც მოგვეპოვება.

გამოთქმულია სრულიად სამართლიანი მოსაზრება, რომ მეურნეობის შემდგომ განვითარებას უნდა გამოეწვია ადრევე ჩასახული მთისა და ბარის ურთიერთობის ინტენსიფიკაცია. კერძოდ, ამით ხსნიან მაღალმთიან რაიონებში (ჯავახეთი) ქვით ნაგები მრგვალი შენობების ენეოლითშივე (ბოლო ეტაპზე?) გამოჩენას, ან იმას, რომ მთისწინეთში უკვე მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული ეტაპის საგვარეულო სამაროვნებზე (თამარისი, კიკეთი, ამირანის გორა) შენდება ქვის აკლდამები, რომლებიც გეგმით უძველესი წრიული სახლების იმიტაციას წარმოადგენენ[37].

ადრებრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპზევე ჩნდება ე. წ. დროებითი (სეზონური?) სადგომები, რომლებიც განლაგებულნი არიან მთისპირა ზოლში (ზღუდრისგვერდა, ქულბაქები, გრემი), ბარში (დიდუბე, ხიზანაანთ გორა, ზემო ბოდბე) და ზეგანზეც (ამირანის გორა)[38]. შესაძლებელია ამგვარი ვითარება, მართლაც, მოსახლეობის ამოძრავების პროცესზე მიგვითითებდეს[39]. ხდება ენეოლითის პე-

---

[35] Древние культуры, 32 и 181; АЭГМГ, I, 26.

[36] Т. Чубинишвили, К древней истории..., 157; Древние культуры, 173.

[37] Т. Чубинишвили, К древней истории..., 83.

[38] ო. ჯაფარიძე, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, 1961, 101; Ш. Ш. Дедабришвили, Памятники эпохи ранней и средней бронзы, ТКАЭ, I, 1961, 67—75; Т. Чубинишвили, К древней истории..., 158.

[39] Т. Чубинишвили, К древней истории..., 160.

ეროვნული ბიბლიოთეკა

К 169.383

რიოდში ნაკლებად ათვისებული მთიანი რაიონების უფრო ინტენსიური ათვისება (თრიალეთი, ჯავახეთი)[40]. მეორე მხრივ, მთისა და ბარის გაცხოველებულმა ურთიერთობამ დროებით თითქოს მთისწინეთის ზოლი დააწინაურა: მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეულ ეტაპზე ამ ზონაში ჩანს მსხვილი სამოსახლოები (ამირანის გორა, თეთრი წყაროო, სამშვილდე, კიკეთი)[41]. აქვე აღმოჩნდა დიდი საგვარეულო სამაროვნები (კიკეთი, სამშვილდე, გომარეთი), რაც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ამ დროს ინტენსიური ცხოვრება აქ მიმდინარეობს. აქვე ჩანს ყველაზე უკეთ ენეოლით-ადრებრინჯაოს კულტურათა თანამომდევნოობაც[42].

უკვე III ათასწლეულის დასაწყისში ნაწილი ენეოლითური ნამოსახლარებისა ბარში იცლება (მაგალითად, არუხლოს გორა). როგორც ფიქრობენ, ეს გამოწვეული უნდა ყოფილიყო, ერთი მხრივ, სათესი ფართობების გამოფიტვით, ხოლო, მეორე მხრივ, მესაქონლეობის განვითარებით და, როგორც უკვე იყო აღნიშნული, თანდათანობით, საიალაღო მეცხვარეობაზე გადასვლით[43]. მაგრამ, რა თქმა უნდა, ამ დროს არ მომხდარა ბარის სამოსახლეობის მთლიანი დაცლა. პირუკუ, მიწათმოქმედების ინტენსიფიკაციის შედეგად მოსახლეობა ბარში იზრდება და კიდევ უფრო მჭიდრო ხდება.

ასე მაგალითად, დაზვერვების შედეგად გაირკვა, რომ შიდა და ქვემო ქართლის ტერიტორიაზე ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარები ხშირად ჯაჭვისებურად არიან განლაგებულნი ერთმანეთისაგან 2—3 კმ-ის დაშორებით[44].

ამდროინდელი ტიპიური რიგითი ნამოსახლარები არქეოლოგიურად შესწავლილია შიდა ქართლში. ეს არის ე. წ. ქვაცხელები და ხიზანაანთ გორა ურბნისთან[45]

ორივე ნამოსახლარი მდებარეობს მტკვრის მარცხენა მაღალი ტერასის კიდეზე, რომლის სიბრტყიდან ისინი გამოყოფლინი

---

[40] Древние культуры 97, 109—110.

[41] Т. Чубинишвили, К древней истории... 158—159.

[42] იქვე. 83.

[43] Древние культуры. 105.

[44] დ. მუსხელიშვილი, გ. ცქიტიშვილი, დასახ. ნაშრ. 195; გ. გრიგოლია, თ. ტატიშვილი, ქვემო ქართლის უძველესი ძეგლები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, 1, 77.

[45] ალ. ჯავახიშვილი, ლ. ღლონტი, ურბნისი I, ნაკვეთი I. ქვაცხელების (ტვლეპია-ქოხის) ნამოსახლარზე 1954—1961 წწ. ჩატარებული გათხრები, 1962; ი. კიკვიძე, ურბნისის ადრეული ხანის ძეგლები, „ძეგლის მეგობარი“ № 6, 1966, 21—25.

არიან ხევებით. ასე, რომ, სამი მხრიდან ნამოსახლარები დაცულია. რაც შეეხება მეოთხე, ჩრდილოეთ მხარეს, სადაც მოსალოდნელი იყო ტერასიდან გამომყოფი და გვერდითი ხევების შემაერთებელი გარდიგარდმო თხრილი, ასეთ რამეს აქ ვერ მიაგნეს, რადგან ეს ნაწილი დარღვეულია უფრო გვიანი ხანის ნამოსახლარების თხრილებით[46].

თუმცა ხიზანაანთ გორაზე, როგორც ვიცით, ცხოვრება უკვე გვიანენეოლითის თუ ადრებრინჯაოს ადრეულ ეტაპზევე დაიწყო, მაგრამ მისი B და C დონეები შეესატყვისება ქვაცხელების უძველეს B და C დონეებს და ორივე ძეგლი ადრეული ბრინჯაოს განვითარებულ და გვიან ეტაპზეც არსებობს[47].

მოსახლეობის ძირითადი სამეურნეო საქმიანობა კვლავ მიწათმოქმედებაა, რომელიც მნიშვნელოვნად უფრო განვითარებულია ენეოლითთან შედარებით: მარცვლეულის ასორტიმენტი გაზრდილია, ენეოლითური ქვის და ძვლის თოხების ნაცვლად შემოდის პრიმიტიული „გუთანი", უკეთ კავი (ირმის რქა ქვაცხელებიდან), შემოდის კევრი (ხიზანაანთ გორა). ხიზანაანთ გორაზე, ამას გარდა, ყურძნის წიპწებიცაა დადასტურებული. მიწათმოქმედება ისევე, როგორც ენეოლითში, ამ დროსაც პრიმიტიულ ირიგაციაზე უნდა ყოფილიყო დამყარებული. განვითარებულია მესაქონლეობაც[48] და ხელოსნობაც. კერძოდ, საკმაოდ განვითარებულია სპილენძის მეტალურგია. ქვაცხელებზე, მაგალითად, B და C დონეებზე უკვე ცნობილია მთელი მეტალურგიული ციკლი და ლითონის მეორადი დამუშავების ძირითადი ხერხები. დაწინაურებულია კერამიკული წარმოება და ფეიქრობა[49].

საზოგადოებრივი განვითარების თვალსაზრისით, ქვაცხელები უნდა ყოფილიყო ერთი პატრიარქალური გვარის ადგილსამყოფელი[50].

ამჟამად ადრებრინჯაოს ხანის ამგვარი ნამოსახლარები საკმაოდაა გამოვლენილი დაზვერვითი ექსპედიციებისა თუ დაზვერვითი გათხრების მეშვეობით შიდა და ქვემო ქართლში, თრიალეთში, მესხეთ-ჯავახეთში, კახეთში, დასავლეთ საქართველოში. ძირითადად

---

[46] ი. კ ი კ ვ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., 21.

[47] იქვე.

[48] Древние культуры, 106—109.

[49] ალ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ლ. ღ ლ ო ნ ტ ი, დასახ. ნაშრ., 46—50; Древние культуры, 112—160.

[50] ალ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ლ. ღ ლ ო ნ ტ ი, დასახ. ნაშრ., 53.

ასეთი ნამოსახლარები, რომლებიც, გარდა ამ ადრეული ფენებისა, შეიცავენ აგრეთვე მომდევნო კულტურულ-ისტორიული ეპოქების დანაშრევებსაც, მეტ-ნაკლები სიმაღლისა და მოცულობის ბორცვები, გორებია. ისინი ხშირად კარგად არიან გამოყოფილნი (ზოგჯერ ხელოვნური თხრილის საშუალებითაც) გარემო რელიეფიდან.

ამ ძეგლების ასეთმა კონფიგურაციამ შექმნა საფუძველი, რომ მათთვის ზოგად სახელად „გორა“ ყოფილიყო შემოღებული. არც თუ ისე დიდი ხანია, რაც დაისვა საკითხი ამგვარი არქეოლოგიური ძეგლების სოციალური ბუნების შესახებ: ისინი გააზრებულ იქნენ, როგორც პირველყოფილ თემური საზოგადოებისთვის დამახასიათებელი, კერძოდ, იმდროინდელი სოციალური უჯრედის, გვარის სამოსახლოები. ამდენად, ჩვენი აზრით, ტერმინი „გორა“ უნდა იხმარებოდეს მხოლოდ ამ თვალსაზრისით, როგორც გვაროვნული წყობის არსებითი ნიშანი, იმდროინდელი სოფელი და ეს მიუხედავად იმისა, განლაგებული იყო იგი გეომორფოლოგიურ გორაკზე, ხერთვისის კონცხზე, მთის ფერდობზე, გამოქვაბულში თუ ვაკეში[51].

ამგვარად, ყოველივე ზემოთქმულის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ენეოლითისა და ადრებრინჯაოს ხანაში მოსახლეობა საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობდა „გორებად“, რომლებიც, უეჭველია, ფლობდნენ თავის საგვარეულო ტერიტორიებს და ეწეოდნენ მიწათმოქმედებას, დამყარებულს პრიმიტიულ ირიგაციაზე. თუ მოვიგონებთ V—III ათასწლეულთა ნამოსახლარების სიმჭიდროვეს ბარში (მანძილი მათ შორის არ აღემატება 1,5—3 კმ), უნდა ვირწმუნოთ, რომ მათ მიერ სამიწათმოქმედოდ ათვისებული ტერიტორია ფრიად მცირე იყო. ეს, „გორების“ საუკუნეთა მანძილზე არსებობასთან ერთად, კვლავ იმაზე მიგვითითებს, რომ უკვე ამ დროს მორწყვითი მიწათმოქმედება არსებობდა. მოსახლეობა მისდევდა მესაქონლეობასაც, სპილენძის მეტალურგიას და ხელოსნობის სხვა დარგებსაც.

ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისით, ამ პერიოდს შეიძლება ვუწოდოთ „გორების ხანა“. იგი, რა თქმა უნდა, მხოლოდ

---

[51] ამ ტერმინის შემოღება და მისი ასეთი ინტერპრეტაცია ეკუთვნის ნ. ბერძენიშვილს (ამის შესახებ იხ. დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხები ნ. ბერძენიშვილის შრომებში, 104—106). „გორა“-სთან დაკავშირებული არქეოლოგიური ტერმინოლოგიის შემდგომი კლასიფიკაციის ცდა, იხ. ა. აფაქიძე, ქართული არქეოლოგიური ტერმინოლოგიის მასალები, მსკა. IV, 1965 157—166.

ენეოლით-ადრებრინჯაოს პერიოდს კი არ მოიცავს, არამედ ადრეულ კულტურულ-ქრონოლოგიურ პერიოდებსაც.

სოციოლოგიური ასპექტით ეს არის ტომებისა და ტომთა კონფედერაციების ხანა.

ადრებრინჯაოს ხანის ბოლო ეტაპისათვის თითქოს გარკვეული ცვლილებები შეინიშნება.

ჯერ ერთი, ძირითადი განმსაზღვრელი ნიშნები ამ არქეოლოგიური პერიოდისა, იმთავითვე რომ განაპირობეს მისი, როგორც სოციალური ეტაპის შინაარსიც, კერძოდ, საიალაღო მესაქონლეობაზე (მეცხვარეობაზე) თანდათანობითი გადასვლა და საკუთარი მეტალურგიული წარმოების შექმნა[52], შემდეგშიც აღმავალი ხაზით ვითარდებოდა. ეს იწვევდა ქონებრივ და, საბოლოო ჯამში, სოციალურ დიფერენციაციას. საქონელი და იარაღი მიტაცების საგანი ხდება. იზრდება დაძაბული ურთიერთობა ტომთა შორის. ეს დასტურდება „გორათა“ გამაგრების ტენდენციით უკვე, ყოველ შემთხვევაში, ენეოლითის შედარებით გვიანდელი ეტაპიდან. ადრებრინჯაოს ხანაში ყოველი „გორა“, როგორც წესი, გამაგრებულია სათავდაცვო თხრილით ან გალავნით[53]. „გორებზე“ ხშირდება ნახანძრევი ფენები[54].

ყველაფერი ეს ქმნის პირობებს მეზობელ ტომთა შეკავშირებისათვის და ფიქრობენ, რომ ამის გამოხატულება უნდა იყოს მტკვარ-არაქსის კულტურის ცალკეული ლოკალური ვარიანტები სპეციფიკური თავისებურებებით, რომლებიც სწრაფად ყალიბდება ადრებრინჯაოს განვითარებულ ეტაპზე და შესაძლებელია ეთნიკურ დაჯგუფებებსაც მიგვანიშნებს[55].

ამ პროცესის პარალელურად შეიმჩნევა ზოგიერთი სამოსახლოს გამსხვილება და თითქოს გარკვეული მიკროორაიონის ცენტრად გადაქცევის ტენდენციაც. ეს სამოსახლოები, ჩვეულებრივ, გარემოზე გაბატონებულ სტრატეგიულ ადგილებში არიან განლაგებულნი და, რაღა თქმა უნდა, სათავდაცვო სისტემით გამაგრებულნიც (ამირანის გორა, გუდაბერტყა)[56].

---

52 Древние культуры, 173—176.

53 იქვე, 96—97 და III.

54 Т. Чубинишвили, К древней истории..., 177.

55 იქვე, 160.

56 Древние культуры, 97 და 174.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეურნეობა კვლავ იმავე მიმართულებით ვითარდება და, ალბათ, ლა არქეოლოგის თანხმობლივი აღიარებით, ადრებრინჯაოს გვიანი ეტაპისათვის „გორებიდან“ მოპოვებულ ძვლოვან მასალაში აშკარად შეიმჩნევა წვრილფეხა რქოსანი საქონლის, კერძოდ, ცხვრის რაოდენობის ზრდის ფაქტი, რაც, ცხადია, იმის მანიშნებელია, რომ მოსახლეობა სულ უფრო და უფრო გადადის მწყემსურ, საიალაღო მესაქონლეობაზე[57]. წვრილფეხა საქონლის სულადობის ზრდას მხოლოდ ძვლების რაოდენობა კი არ მოწმობს, არამედ ცხვრის ქანდაკებებიც და საერთოდ სამიწათმოქმედო კულტების სამესაქონლეო კულტებით შეცვლა. მოშინაურებულია ცხენი და სახედარი, რაც აგრეთვე მომთაბარეობაზე (საიალაღო მეცხვარეობაზე) გადასვლის მომასწავლებელია[58].

ქონებრივი და სოციალური დიფერენციაცია კიდევ უფრო შესამჩნევი ხდება. სწორედ ძვ წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში ჩნდება პირველად წარჩინებულ მეომართა სამარხები ცხოველთა მსხვერპლშეწირვით, ლითონის იარაღით და ძვირფასი ლითონის ნაკეთობებით (საჩხერე, ამირანის გორა)[59]. ამავე პერიოდს თანხვდება გორასამარხების ინტენსიური წარმოქმნა სამესაქონლეო რაიონებში (ფარავნის ტბა, სამგორი, ბედენი და სხვ.) და ბორბლიანი ტრანსპორტის გაჩენაც (საჩხერე, ბედენი, ალაზნის ველი და სხვ)[60].

5. ზემოხსენებული ნიშანდობლივი ტენდენცია, რომელიც თავის დასაბამს ადრებრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსის კულტურაში იღებს და მის ბოლო ეტაპზე, III ათასწლეულის დასასრულისათვის, აშკარად გამოკვეთილ სახეს იძენს, სრულყოფას შუაბრინჯაოს ხანაში, ძვ. წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში აღწევს

---

[57] Б. Б. Пиотровский, Археология Закавказья, 1949, 40; საქართველოს არქეოლოგია, 1959, 85—86, ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ. 35, ტ. ჩუბინიშვილი, ამირანის გორა, 1963, 85, მისივე, მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთის უძველესი კულტურა, 1965, 125; Древние культуры, 110.

[58] Древние культуры, 110 и 174.

[59] იქვე, 177.

[60] იქვე, 110—111, ალაზნის ველის გორასამარხისთვის იხ. კრებული „საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1973 წელს“, 1974 წ. 22—23. ოთხთვალა ეტლის არსებობა უფრო გვიან დამახასიათებელია შუაბრინჯაოს ხანის „თრიალეთური კულტურისათვის“: საპიტიახშოს (ე. წ. საბიდ-ახჩას) და ახჩიის ველის გორასამარხები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თრიალეთის, ზურტაკეტის, ჯავახეთის და სხვ. გორასამარხების ბრწყინვალე არქეოლოგიური კულტურის სახით[61].

უკანასკნელი დროის არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად აშკარა გახდა, რომ ადრებრინჯაოს პერიოდის გვიანი ეტაპისა და შუაბრინჯაოს პერიოდის კულტურებს შორის უცილობელი გენეტიკური მემკვიდრეობა არსებობს. რამდენადაც ეს ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენა ვლინდება მასიურ კერამიკაში, დასტურდება სტრატიგრაფიულადაც და დამოწმებულია საქართველოს ტერიტორიის საკმაოდ ურთიერთდაშორებულ რაიონებში (თრიალეთი და კახეთი)[62], ამდენად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს ზოგადი, დამახასიათებელი მოვლენაა და ამ ორი ურთიერთმონათესავე კულტურის მატარებელი ხალხის ეთნიკურ თანამონაწილეობაზეც მიგვითითებს. რა თქმა უნდა, არ არის გამორიცხული უცხო ეთნიკური ელემენტის ინფილტრაციაც და შუაბრინჯაოს თრიალეთური გორასამარხების კულტურა საამისო მონაცემებსაც შეიცავს. მაგრამ, როგორც აღნიშნავენ, ეს არ იყო იმ დროს არსებითი ეთნოგენეტიკური პროცესი, რადგან უცხო კულტურული ნაკადი ერწყმოდა ადგილობრივს, ანდა ასიმილაციას განიცდიდა მისგან. თრიალეთის გორასამარხების კულტურის ძირითადი ელემენტი — შავპრიალა კერამიკა ადრებრინჯაოს ხანის კერამიკის უშუალო მემკვიდრეა[63], და ე. ი. სავარაუდოა, მისი მატარებელი ხალხის ეთნიკური ფიზიონომიაც ადგილობრივ ნიადაგზე ჩამოყალიბდა.

მეორე მხრივ, უაღრესად საყურადღებო ფაქტია, რომ ადრებრინჯაოს პერიოდის მიწურულისათვის „გორებზე", როგორც წესი, ცხოვრება უეცრად (?) წყდება. ეს წყვეტილი მოიცავს გარკვეულ პერიოდს, დაახლოებით შუაბრინჯაოს ხანის კულტურულ-ისტორიულ საფეხურს, რის შემდეგაც, გვიანბრინჯაოს ხანის უადრესი ეტაპიდანვე, იმავე „გორებზე" ცხოვრება კვლავ ახლდება.

ეს ფაქტი სომხეთის რამდენიმე ძეგლის მაგალითზე პირველად 1955 წ. აღინიშნა[64].

---

[61] Древние культуры, 112.

[62] ე. გ ო გ ა ძ ე, თრიალეთის ყორღანული კულტურის გენეზისისა და პერიოდიზაციის საკითხისათვის, სმმ XVII სამეცნიერო სესია, 1969, 1—14; Ш. Ш. Дедабришвили, დასახ. ნაშრომი, 42—63. ამჟამად იხ. აგრეთვე, ე. გოგაძე, თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი, 1972, 16—17, 24, 40.

[63] ე. გ ო გ ა ძ ე, სმმ XVII სამეცნ. სესია, მისივე, თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია, 40, 79—94.

[64] Б. Б. П и о т р о в с к и й, Развитие скотоводства в древнейшем Закавказье, СА, XXII, 1955, 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგივე ფაქტი იმავე 1955 წ. ისტორიულ-გეოგრაფიული ძიებ-ვერვების შედეგად შეამჩნიეს შიდა ქართლშიც[65]. შემდგომმა დაზვერვებმა, მაგალითად, ქვემო ქართლში[66] და აგრეთვე ინტენსიური გათხრების მეშვეობით შესწავლილი „გორების“ (ნაცარგორა, ხიზანაანთ გორა, ქვაცხელები, გუდაბერტყა) დოკუმენტაციამ ეს ვარაუდი, მიღებული დაზვერვითი ექსპედიციის შედეგად, სავსებით გაამართლა: შუაბრინჯაოს პერიოდში „გორები“ მოსახლეობისაგან მთლიანად დაცლილი და სავსებით აუთვისებელი ყოფილა და ეს შეეხება შიდა და ქვემო ქართლში მიკვლეულ ყველა ძველ ნამოსახლარს, მიუხედავად იმისა, ველში მდებარეობს იგი თუ მთისძირა ზოლში. ასეთივე ვითარებაა დასავლეთ საქართველოს მთისწინა ბარშიც[67]. სპეციალურმა დაზვერვითმა ძიებამ აღმოსავლეთ საქართველოს სამხრეთ მთიანეთში (ზურტაკეტი, თრიალეთი, ჯავახეთი, ნესხეთი) აგრეთვე ვერ გამოავლინა შუაბრინჯაოს ხანის ნამოსახლარები, თუმცა კი მიაკვლია ამ პერიოდის ბრწყინვალე „თრიალეთურ კულტურას“ კვლავ გორასამარხების სახით[68].

ჩვენ უკვე აღვნიშნავდით, რომ შუაბრინჯაოს ხანის ნამოსახლარების კვალი შიდა ქართლის ბარში მაინც ჩანს. ასე მაგალითად, ჯერ კიდევ 1945 წ. ნულში მიკვლეული იქნა კულტურული ფენა და ერთგან თიხატკეპნილი იატაკი დედაბოძის ჩასადგმელი ორმოთი, რომელთა მიკუთვნება შუაბრინჯაოს ხანისადმი შესაძლებელი ხდება იქ აღმოჩენილი კერამიკული ფრაგმენტების მიხედვით. ამ უკანასკნელთ დამახასიათებელი ორნამენტაცია აქვთ: ე. წ. „სავარცხლის შტამპით“ შევსებული სარტყელები თუ სამკუთხედები[69].

---

[65] ანგარიში წაკითხული იქნა 1956 წ. ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიის განყოფილებაში და 1957 წ. მარტში მოსკოვში არქეოლოგთა სესიაზე. დაიბეჭდა გვიან. იხ. დ. მუსხელიშვილი, გ. ცქიტიშვილი, დასახ. ნაშრ.

[66] გ. გრიგოლია, თ. ტატიშვილი, დასახ. ნაშრ., 77.

[67] Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, II, 1950, 116.

[68] ო. ჯაფარიძე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, 1969, 5—13; О. М. Джапаридзе, Я. А. Киквидзе, Г. Б. Авалишвили, Результаты работ Месхет-Джавахетской археологической экспедиции за 1970 год. Тезисы докладов посвященных итогам археологических исследований в 1970 году в СССР, Тб. 1971, 56—59; იხ. აგრეთვე, სსმაე, 111, 40—42.

[69] Б. А. Куфтин, Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию, 1949, 48—50.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზუსტად ასეთივე ორნამენტით შავბრიალა ჭურჭლის ფრაგმენტები აღმოჩნდა 1946 წ. დიდი ახალსოფლის მახლობლად არხის გაჭრის დროს გამოვლენილ კულტურულ ფენაში[70].

ეჭვი არ არის თითქოს, რომ აქ ჩვენ შუაბრინჯაოს ხანის ნამოსახლართან უნდა გვქონდეს საქმე. ამას მიუთითებს აგრეთვე ამავე ხანის კოლექტიურ-სამარხებიანი სამაროვნების აღმოჩენა ნულში და ქვასათალში[71], მაგრამ გამოვლენილ კულტურულ ფენათა ფრაგმენტულობა და უსახურობა საშუალებას არ იძლევა გარკვევით რაიმე ითქვას დასახლების ტიპზე.

გარდა ამისა, ზემოხსენებული თვალსაზრისით უაღრესად საინტერესო იქნებოდა იმის გარკვევა, თუ შუაბრინჯაოს პერიოდის რომელ ფაზას ასახავენ ეს ნამოსახლარები. გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ ნულში გამოვლენილი კულტურული ფენის კერამიკა, ერთის მხრივ, თრიალეთის შუაბრინჯაოს გორასამარხების ყველაზე გვიანდელი ჯგუფის მასალას, ხოლო, მეორე მხრივ, ნულისავე საგვარეულო სამაროვნის კერამიკას ემსგავსება და ამდენადვე შუაბრინჯაოს მიწურულით უნდა დათარიღდეს[72].

ამჟამად შუაბრინჯაოს ხანის თრიალეთური გორასამარხების პერიოდიზაცია გადასინჯულია და ის (III) ჯგუფი, რომელიც ყველაზე გვიანდელად იყო მიჩნეული, პირუკუ ამ პერიოდის უძველეს (!) ფაზას მიეკუთვნება, რომელიც უშუალოდ მოსდევს ადრებრინჯაოს გვიანდელი საფეხურის გორასამარხებს და მასთან გენეტიკურ კავშირშია[73].

ამ თვალსაზრისით ფრიად მნიშვნელოვანი ჩანს დაკვირვება გაკეთებული ილტოს „გორის“ კერამიკაზე, რომლის მიხედვით „სავარცხლის შტამპის“ ორნამენტი ჩნდება უკვე ადრებრინჯაოს ხანის

---

[70] ო. ჯაფარიძე, ტ. ჩუბინიშვილი, ახლად აღმოჩენილი ენეოლითური და ბრინჯაოს ხანის კულტურული კერა ქართლში, სმმ მოამბე, XV—B, 27—29; დ. მუსხელიშვილი, გ. ცქიტიშვილი, დასახ. ნაშრ., 191—192.

[71] Б. А. Куфтин, იქვე, 31; О. М. Джапаридзе, Квасатальский могильник, эпохи бронзы в Югоосетии, КСИИМК, № 60, 1955, 24—28. აღსანიშნავია, რომ ნაცარგორის II ფენა შეიცავს თრიალეთური შუაბრინჯაოს სავარცხლისებრი ტვიფრულ ორნამენტიანი კერამიკის ნიმუშებს (ე. გოგაძე, დასახ. ნაშრ. 54), მაგრამ შიდაქართლური ეს ძეგლები (ნული, ნაცარგორა II, დიდი ახალსოფელი და სხვ.) თრიალეთური კულტურის გვიანდელ ეტაპს მიეკუთვნება (იქვე, 65—69).

[72] Б. А. Куфтин, დასახ. დასახ. ნაშრ., 49—51.

[73] ვ. გოგაძე, დასახ. ნაშრ. 39.

ბოლო ეტაპზე და ფართოდ ვრცელდება შუაბრინჯაოს დასაწყისიდან შივე[74].

ამგვარად, გვაქვს საფუძველი ორივე ზემოხსენებული ნამოსახლარი შუაბრინჯაოს ადრეულ ან გვიანდელ ეტაპს მივაკუთვნოთ[75].

მაგრამ საქმეს ის გარემოება ართულებს, რომ ირიბწერტილოვანი ორნამენტი განსაკუთრებით გავრცელებულია თრიალეთში შუაბრინჯაოს მეორე ეტაპზე[76]. ამგვარად შემკული კერამიკა საერთოდ დამახასიათებელია „თრიალეთური კულტურისათვის" და ამიერკავკასიაში მისი გავრცელების არეალში ყველგან გვხვდება[77]. კერძოდ, ერთი ასეთი ფრაგმენტი აღმოჩნდა შიდა ქართლში ფრინევის „გორაზე" არა სამარხეულ ინვენტარში, როგორც ჩვეულებრივ, არამედ ნაგვის თუ სამეურნეო ორმოს ამოწმენდისას მოხატული ჭურჭლის ფრაგმენტთან ერთად[78]. ძეგლის სახე აქაც დაუდგენელია. ზოგადი შთაბეჭდილება კი ისეთია, რომ აქ დროებით სადგომთან უნდა გვქონდეს საქმე, თუმცა ინტენსიურ გათხრებამდე ძნელია გადაჭრით რაიმეს თქმა. ასეთივე ვითარება გვაქვს, ჯერჯერობით, შიდა ქართლის სხვა თანადროული მსგავსი ძეგლების მიმართაც (დიდი ახალსოფელი, ნაცარგორა II, ნული).

კიდევ ერთი, ჯერჯერობით ცნობილი, მინიშნება შუაბრინჯაოს პერიოდის ნამოსახლარისა გვაქვს კახეთიდან, ილტოს „გორაზე", რომლის უდიდესი ნაწილი დანგრეული იყო აქ განლაგებული ფიქლის კარიერის ასაფეთქებელი სამუშაოების დროს. როგორც ჩანს, „გორა" შეიცავდა ადრებრინჯაოს ხანის გვიანდელი ეტაპის, შუა და გვიანბრინჯაოს პერიოდების კულტურულ ფენებს, რომლებზედაც შემდეგ ფეოდალური ნასოფლარიც დაფენილა. ქვედა ტერასის გადარჩენილი მცირე ფართობის გათხრამ გამოავლინა ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარის უსახური შენობების ფრაგმენტები და სამეურნეო ორმოები (IV ჰორიზონტი). ამ ფენას ზემოდან ედო 20—30 სმ სისქის კულტურული დანაშრევი (III ჰორიზონტი), რომელიც კერამიკული ფრაგმენტების მიხედვით შუაბრინჯაოსკენ გარ-

---

74 Ш. Ш. Дедабришвили, დასახ. ნაშრ. 59.

75 Ш. Ш. Дедабришвили, იქვე, ე. გოგაძე, დასახ. ნაშრ. 65—69,

76 ასეთი დასკვნა თრიალეთის შუაბრინჯაოს ხანის გორასამარხების შესწავლის საფუძველზე მიიღო ე. გოგაძემ, იხ. მისი დასახ. ნაშრ. 40, 43.

77 იხ. ო. ჯაფარიძე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, 82—101,

78 იქვე, 93.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამავალ პერიოდს განეკუთვნებოდა, ხოლო მის ზემოთ მდებარე თხელი 10—15 სმ შრე — შუაბრინჯაოს ხანის კერამიკის შემცველი იყო. ზოგიერთი ნაგებობის და ორმოს მიკუთვნება ამ (II) ჰორიზონტისადმი მოხერხდა და თუმცა ნივთიერი მასალა ფრიად საყურადღებო აღმოჩნდა ამ ორი პერიოდის გენეტიკური დაკავშირებისათვის, ფაქტიურად, ამ ნამოსახლარის შინაარსიც გაურკვეველი დარჩა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ილტოს „გორაზე" გამოვლენილი ეს შრე მიეკუთვნება შუაბრინჯაოს პერიოდის უადრეს ეტაპს და ორი მომდევნო ფაზა აქ დამოწმებული არ არის[79].

ამგვარად, ილტოს „გორა", ნაცარგორა, ნულის და დიდი ახალსოფლის ნამოსახლარები სადღეისოდ გამონაკლსს წარმოადგენენ და, როგორც ასეთნი (რამდენადაც, სავარაუდოდ, შუაბრინჯაოს პერიოდის მხოლოდ უადრეს ან გვიან ფაზას შეიცავენ), შეიძლება ითქვას, ადასტურებენ ზოგად კანონზომიერებას, რომ საქართველოს (და ამიერკავკასიის) გარკვეულ რაიონებში ადრებრინჯაოს ხანის მიწურულს „გორებზე" ცხოვრება წყდება[80].

ზემოთ დავინახეთ, რომ არქეოლოგიური მასალა არ იძლევა საფუძველს, ამის მიზეზად ახალმოსული მოსახლეობის გამოჩენა და ძველის აყრა ვიგულისხმოთ[81]. სხვა არა იყოს რა, ასეთ შემთხვევაში ახალმოსული ელემენტი უეჭველად მეჯოგე-მომთაბარე უნდა ყოფილიყო, რომელმაც ამიერკავკასიის უზარმაზარ ტერიტორიაზე გაანადგურა ძველი მიწათმოქმედი მოსახლეობა და მათი კულტურული ბინადრობის არეალი ტრამალებად აქცია. ეს თავისთავად ძნელი წარმოსადგენია. მეორე მხრივ, თუკი ეს ახალმოსული ელემენტი აგრეთვე მიწათმოქმედი იყო, იგი, რა თქმა უნდა, ძველ ნამოსახლარებს აითვისებდა, რისი მაგალითიც ბევრია წინა აზიის არქეოლოგიაში.

---

[79] Ш. Ш. Дедабришвили, დასახ. ნაშრ. 62—63; მისივე, Культура эпохи ранней бронзы Иоро-Алазанского бассейна. Автореферат, 1970, 6.

[80] სულ უკანასკნელი წლების არქეოლოგიური ძიების შედეგად კახეთში, ალაზნის ველის აღმოსავლეთ ნაწილში (ყარაღაჯის მიდამოებში) გამოვლენილია ოცამდე „გორა" შუა-და გვიანბრინჯაოს ფენებით. ერთ-ერთ „გორაზე" გაჭრილმა სადაზვერვო თხრილმა დაადასტურა, რომ აქ განსაკუთრებით მძლავრია ადრე—და შუაბრინჯაოს ფენები (იხ. კ. ფიცხელაური, აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ. წ. XV—VII სს), 1973, 51) ამ ნამოსახლარის გათხრა ამჟამადაც მიმდინარეობს და იგი შესაძლებელია ფრიად საინტერესო გამოდგეს პრობლემის გარკვევისთვის.

[81] ო. ჯაფარიძე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, 148—149.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეისათვის გამოვლენილი და შესწავლილი არქეოლოგიური მასალა ამ პერიოდში მოსახლეობის რამდენადმე არსებით ცვლილებაზე არ მიუთითებს.

მაშ, რითი უნდა აიხსნას ზემოხსენებული მოვლენა?

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ასეთი ვითარება გამოწვეული უნდა ყოფილიყო, ერთი მხრივ, წვრილფეხა მესაქონლეობის, საიალაღო მეცხვარეობის და ბრინჯაოს მეტალურგიის შემდგომი განვითარებით[82] და, მეორე მხრივ, ბარში პრიმიტიული მიწათმოქმედების კრიზისით[83]. ამას უნდა გამოეწვია მოსახლეობის ამოძრავება და სამეურნეო საქმიანობის სიმძიმის ცენტრის ბარიდან მთაში გადანაცვლება. რა თქმა უნდა, ეს არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ მიწათმოქმედება საერთოდ ჩაკვდა ან მთაში მას არ მისდევდნენ,[84]მაგრამ ძირითადი და განმსაზღვრელი მოსახლეობის მეურნეობისა შუაბრინჯაოს ხანაში მესაქონლეობა უნდა ყოფილიყო[85].

ვფიქრობთ, ზემოხსენებული სოციალური და ეკონომიური განვითარების პროცესი, რომელიც დღეისათვის ცნობილი არქეოლოგიური მასალის ინტერპრეტაციით ვლინდება ენეოლითისა და ადრებრინჯაოს პერიოდებში, საკვლევით ამართლებს ამ დასკვნას.

ბუნებრივია, თუ ასეთ ვითარებაში ურთიერთობა მთასა და ბარს შორის კიდევ უფრო გაცხოველდა. ამის გამოხატულება უნდა იყოს ზემოხსენებული „თრიალეთური კულტურის“ გავრცელების არეალი, რომელიც მოიცავს აღმოსავლეთ საქართველოს სამხრეთ მთიანეთს (ზურტაკეტი, თრიალეთი, ჯავახეთი) სომხეთისა და თურქეთის მიმდგომი მთიანეთითურთ (კიროვაკანი, ყარსი), ქართლის ვაკეს იორ-ალაზნის ველებითურთ[86].

ამისავე მაჩვენებელია, რომ უკანასკნელ ხანებში ქვემო ქართლის ვაკეზე შესწავლილი პატარა გორასამარხების კერამიკა გარკვე-

---

[82] Б. Б. Пиотровский, დასახ. ნაშრ. 6; დ. მუსხელიშვილი, გ. ცქიტიშვილი, დასახ. ნაშრ., 190—191.

[83] ი. კ ი კ ვ ი ძ ე. მორწყვა ძველი საქართველოში, 1963, 16—21; ამჟამად იხ. მისივე, ხიზანაანთ გორის ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარი, 1972 ,79—85. ავტორი საერთოდ უარყოფს ირიგაციას ამ დროს ჩვენში.

[84] ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, 9; Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, I, 1941, 100.

[85] შდრ. ე. გ ო გ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, 93.

[86] ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., 11—12, 98—99.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულ მსგავსებას ამჟღავნებს ბედენის გორასამარხის ინვენტართან[87], ხოლო 1970—71 წწ. შესწავლილი ჯავახეთის გორასამარხების მასიური კერამიკა განსაკუთრებულ მსგავსებას შიდაქართლურთან (ნული, ქვასათალი) იჩენს[88].

მთისა და ბარის ცხოველი ურთიერთობის ეს და სხვა მსგავსი რეალიები სამომთაბარეო მესაქონლეობასთან დაკავშირებულ საზაფხულო და საზამთრო საძოვრების გამოყენების ინტენსივობის მაჩვენებელი უნდა იყოს[89].

რა ვითარება გვაქვს ამავე პერიოდში დასავლეთ საქართველოში — ამაზე სათანადო ძეგლების სიმცირის გამო ძნელია გარკვეული წარმოდგენის შექმნა. მაგრამ შთაბეჭდილება ისეთია, რომ აქაც, ყოველ შემთხვევაში, მის აღმოსავლეთ, მთაგორიან და მთისწინა ზოლში, მსგავსი ვითარებაა (დაბლაგომი): შეიმჩნევა ხანგრძლივი ქრონოლოგიური ლაკუნა ადრებრინჯაოს პერიოდის დასახლების შემდეგ, თუმცა ზღვისპირა ზოლში ცხოვრება თითქოს გრძელდება შუაბრინჯაოს ხანაშიც (დიხაგუძუბა)[90].

---

[87] იქვე, 12. მსგავსი კულტურის წრის დიდი გორასამარხი მდიდრული ინვენტარით გაითხარა 1973 წ. ალაზნის ველზე, იხ კრებული „საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1973 წელს“. 1974 წ. 20—23.

[88] О. М. Джапаридзе и др., დასახ. ნაშრ., 58; იხ. აგრეთვე, სსმაე, III, 48—53.

[89] ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., 11—12. სულ უკანასკნელ ხანს ო. ჯაფარიძემ, ი. კიკვიძემ და გ. ავალიშვილმა სრულიად საწინააღმდეგო აზრი გამოთქვეს, რომ „განსხვავებით მტკვარ-არაქსის კულტურისაგან, რომელიც მეტნაკლებად თანაბრად იკავებს როგორც ბარს, ასევე მთას, თრიალეთის კულტურა უპირატესად მთიან ზოლშია დადასტურებული და აქაც ეს კულტურა ბუდეებად არის წარმოდგენილი (წალკა, ზურტაკეტი, არტაანის მტკვრის აუზი და სხვა). უცნაურია, მაგრამ მაინც მიუხედავად იმისა, რომ თრიალეთის კულტურას მესაქონლეობის უპირატესი განვითარება ახასიათებს, ვიდრე მტკვარ-არაქსისას, იგი მაინც ნაკლებ მობილურია, ვიდრე უკანასკნელი, რაც, ვფიქრობთ, შუაბრინჯაოს ხანაში მესაქონლეობის მომთაბარულ ხასიათს გამორიცხავს“ (იხ. სსმაე, III, 42). ამ მოსაზრებას ვერ დავეთანხმებით თუნდაც იმიტომ, რომ პარადოქსული იქნებოდა ჩვენი ცოდნის დღევანდელ ვითარებაში სტატიკური გვეწოდებინა არქეოლოგიური კულტურისათვის, რომელიც ხასიათდება (წინააღმდეგ განვითარებული მტკვარ-არაქსის პერიოდისა) მ ე ს ა ქ ო ნ ლ ე ო ბ ი თ, ე ტ ლ ი თ და მ კ ვ ი დ რ ი ნ ა მ ო ს ა ხ ლ ა რ ი ს, უ ქ ო ნ ლ ო ბ ი თ, ე. ი. სწორედ იმ არსებითი ნიშნებით, რომლებიც მის მობილურობას გვავარაუდებინებენ.

[90] Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, II, 253—256. დას. საქართველოს „გორათა“ სტრატიგრაფიისათვის, იხ. გ. გრიგოლია, გ. ფხაკაძე, მ. ბარამიძე, გ. ლორთქიფანიძე, დასავლეთ საქართველოს საძიებო-არქეოლოგიური ექსპედიციის 1966 წლის მუშაობის შედეგები, XVI სამეცნიერო სესია, 16—18.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნებრივია გვევარაუდა, რომ კოლხეთის დაბლობზე უძველესი მოსახლეობის ეკონომიური და ამასთან დაკავშირებით სოციალური განვითარების პროცესი სხვაგვარი იქნებოდა აღმოსავლეთ საქართველოსთან შედარებით, რამდენადაც იქ არც მორწყვით მიწათმოქმედებას უნდა ჰქონდეს რაიმე მნიშვნელობა და არც მომთაბარული მესაქონლეობა უნდა განვითარებულიყო.

მართლაც, ანაკლიასთან მდებარე დიხაგუძუბას კულტურული ფენები თითქოს სწორედ ამის მაჩვენებელია.

მაგრამ, რამდენადაც დიხაგუძუბას დოკუმენტაცია სხვადასხვა მიზეზების გამო არც თუ ისე ნათელია, საამისოდ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მდ. ტეხურის ქვემო წელზე. მის ნაპირას მდებარე ნოსირის „გორის“ („გუძუბე“) ამჟამად მიმდინარე გათხრებს. დათარიღების საკითხი აქაც ჯერჯერობით მთლად ნათელი არ არის, მაგრამ გამთხრელები იმ დასკვნამდე მიდიან, რომ აქ ძვ. წ. მთელი II და I ათასწლეულის განმავლობაში, ე. ი. თუ უფრო ადრე არა, შუა — და გვიანბრინჯაო-ადრერკინის პერიოდებში განუწყვეტლივ იჯდა მიწათმოქმედი მოსახლეობა, რომელიც, კერამიკის ერთგვაროვნობას და გენეტიკურ ევოლუციას თუ გავითვალისწინებთ უძველესიდან უახლეს ფენამდე, ეთნიკურადაც ერთგვაროვანი უნდა ყოფილიყო მთელი ამ ხანგრძლივი დროის მანძილზე[91].

ამგვარად, დასავლეთ საქართველოს ბარში თითქოს მართლაც დასტურდება მოსახლეობის განსხვავებული განვითარების პროცესი შუაბრინჯაოს ხანაში და ამასთან დაკავშირებით განსახლების განსხვავებული გეოგრაფიაც.

რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრალურ რაიონს, აქ ჩვენ ყველაფერი ზემოთქმულის შედეგად ეკონომიური და სოციალური განვითარების შესახებ, თითქოს შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ის ძირითადი ტენდენცია ისტორიულ-გეოგრაფიულ ცვლილებათა პროცესისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ძვ. წ. V—III ათასწლეულთა მანძილზე: ენეოლითის პერიოდში შედარებით მჭიდროდ,

---

[91] დ. ქ ო რ ი ძ ე, ნოსირის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1967 წ. ჩატარებული მუშაობის მოკლე ანგარიში, სსმაე, I, 1969, 35—39; დ. ქორიძე, ე. გოგაძე, ნოსირის არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წლის მუშაობის ძირითადი შედეგები, სსმაე, II, 1971, 31—48; Д. Л. Коридзе, Э. М. Гогадзе, Краткий отчет работы Носирской археологической экспедиции за 1970 год. ТД, 1971, 73—75; Т. К. Микеладзе, Колхская керамика II—I тысячелетия до н. э. ТД, 81—83; ამჟამად იხ., აგრეთვე, დ. ქორიძე, ნ. გოგაძე, გ. ჯავახიშვილი, ნოსირის არქეოლოგიური ექსპედიციის 1970—1971 წლების მუშაობის შედეგები, სსმაე, III, 60—65.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„გორათა“ ჯგუფების მიერ ათვისებულია სამიწათმოქმედო ფართობი, გაცილებით უფრო ექსტენსიურად — ზეგანი და კიდევ უფრო იშვიათად — მთა. „გორათა“ შორის რაიმე განსხვავება არ შეიმჩნევა. ყველა „გორა“ მიწათმოქმედი მატრიარქალური გვარის სამოსახლოა, რომელსაც გააჩნია თავისი საკუთარი მცირე ტერიტორია, მოსახლეობა ეწევა მიწათმოქმედებას, რაც, აუცილებლობის შემთხვევაში, პრიმიტიულ ირიგაციაზეა დამყარებული. მისდევენ მესაქონლეობასაც, განსაკუთრებით მსხვილფეხა რქოსანი საქონლის მოშენებას. განვითარებულია ხელოსნობის სხვადასხვა დარგებიც. მეურნეობის შედარებით დაბალი დონე არ იძლევა დოვლათის მნიშვნელოვნად დაგროვების საშუალებას. ცხოვრების პირობები შედარებით მშვიდობიანია და უძველეს ენეოლითურ ნამოსახლარებს არ გააჩნიათ გამაგრების სისტემა. ბარი აშკარად მოწინავეობს მთაზე და ეკონომიური სიმძიმის ცენტრიც აქ არის.

ენეოლითის ბოლო ეტაპზე თუ ადრებრინჯაოს ხანის საწყის საფეხურებზე, IV ათასწლეულის დასასრულისთვის სიტუაცია შეცვლილია: „გორებს“ სათავდაცვო თხრილები შემოსდევთ. მაშასადამე, მოსახლეობის დოვლათი მიტაცების საგნად ქცეულა. ეს უნდა მოწმობდეს მეურნეობის შემდგომ დაწინაურებას. მართლაც, მიწათმოქმედება უფრო ინტენსიური გახდა. მიწას ხნავენ პრიმიტიული „გუთნით“, პურს ლეწავენ კევრით. პურეულის დაგროვება სიმდიდრის წყარო ხდება. მაგრამ საამისოდ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მესაქონლეობის განვითარებას წვრილფეხა რქოსანი საქონლის მოშენების მიმართულებით. უფრო და უფრო ვითარდება მეცხვარეობა. ვითარდება სპილენძის შეცნობილი მეტალურგია. ყველაფერი ეს აპირობებს ახალი მიწების ათვისებას საძოვრებისა და სპილენძის საბადოების დასაკუთრების მიზნით. ამას ემატება ბარში სახნავ-სათესი მიწების ნაწილობრივი გამოფიტვა, რაც იწვევს მოსახლეობის ნაწილის ბარიდან აყრას და მთასა და მთისწინეთში გადასახლებას. ენეოლითთან შედარებით მთა და ზეგანი გაცილებით უფრო ინტენსიურად არის ათვისებული. ამირანის გორაზე ნაპოვნი სპილენძის ნამგალი[92], რა თქმა უნდა, იმის მოწმობაა, რომ აქაც მიწათმოქმედებას დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ წვრილფეხა საქონლის მომრავლება, ძაღლის ძვლების სიმრავლე უკვე მწყემსურ მესაქონლეობაზე მიუთითებს[93].

---

[92] ტ. ჩ უ ბ ი ნ ი შ ვ ი ლ ი, ამირანის გორა, 85.

[93] იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამაზე ადრე, ადრებრინჯაოს პირველ ეტაპზევე შეიმჩნევა ეკონომიური წინა ზოლის დაწინაურება, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ეკონომიური სიმძიმის ცენტრმა ბარიდან ზეგანზე გადმოინაცვლა. მართალია, ზეგანის დაწინაურება თითქოს მეცხვარეობისა და მეტალურგიის თანდათანობითი განვითარებისა და ამ ნიადაგზე მთასა და ბარს შორის ურთიერთობის გაცხოველების შედეგი უნდა ყოფილიყო, მაგრამ სამიწათმოქმედო ბარი ჯერ კიდევ ძლიერი იყო. ამას ადასტურებს ადრებრინჯაოს საწყისი ფაზის გორასამარხები ქართლის ბარიდან, ტყვიავიდან[94], რომლებიც, სხვათაშორის, ობსიდიანის მიხედვით, აშკარა ურთიერთობას მოწმობენ მთასთან, თრიალეთთან[95]. ასევეა უფრო გვიანაც და, თუ ადრე ბრინჯაოს ხანის განვითარებულ ეტაპზე ამირანის გორა კვლავ დაწინაურებულ ეკონომიურ და რელიგიურ ცენტრად გვევლინება, ასეთივე მნიშვნელობა აქვს ბარში გუდაბერტყას.

ბარში ადრებრინჯაოს ხანის „გორები" უკვე ჯგუფებად კი არ არიან განლაგებულნი, არამედ უწყვეტი ჯაჭვის სახით მთის ძირობაზე, ხევების პირას ანდა მდინარეთა გაყოლებით. ყველაფერი ეს მიუთითებს საირიგაციო მიწათმოქმედების შემდგომ განვითარებაზე, რაც თავის მხრივ იწვევს ზოგიერთი სამოსახლოს დაწინაურებას სხვებთან შედარებით. ამას, სხვათა შორის, ხელს უწყობდა მათი სტრატეგიულად მოხერხებული მდებარეობაც. იგივე პროცესი ვითარდებოდა ზეგნებზეც. სამომთაბარეო მესაქონლეობის და მეტალურგიის განვითარებასთან ერთად მნიშვნელოვნად გაიზარდა მამაკაცის როლი. ადრებრინჯაოს პერიოდში „გორაზე" პატრიარქალური გვარი სახლობს.

ზემოხსენებული პროცესის გაღრმავება იწვევს ქონებრივ დიფერენციაციას, რაც სხვათა შორის, გორასამარხთა ინტენსიური წარმოქმნით გამოიხატა. საბოლოო ჯამში, სამეურნეო ევოლუციამ ადრებრინჯაოს ეტაპის დასასრულისთვის შესაქონლეობას უპირატესი როლი მისცა მიწათმოქმედებასთან შედარებით და სრულიად კანონზომიერად სამეურნეო ცხოვრების ცენტრმა მთაში გადაინაცვლა[96].

---

[94] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ტყვიავის ყორღანული სამარხების არქეოლოგიური გათხრები, 1943.

[95] Т. Ч у б и н и ш в и л и, К древней истории..., 90.

[96] შდ. ი. კ ი კ ვ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., 25.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუაბრინჯაოს პერიოდში მესაქონლე-მიწათმოქმედი მოსახლეობის ეკონომიკის სიმძიმის ცენტრმა რომ ბარიდან და მთისწინეთიდან მთაში გადაინაცვლა, ამის უეჭველი დადასტურებაა შუაბრინჯაოს ხანის გორასამარხების ბრწყინვალე არქეოლოგიური კულტურა აღმოჩენილი სწორედ სამხრეთ საქართველოს მთიანეთში.

მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ძირითადი სამეურნეო საქმიანობა მომთაბარეული მესაქონლეობაა საზაფხულო და საზამთრო საძოვრების სეზონური გამოყენებით. შესაბამისად იგი დროებით სადგომებში ცხოვრობდა მთასა და ბარში. ეს უნდა იყოს, ჩვენი აზრით, მიზეზი იმისა, რომ შუაბრინჯაოს პერიოდის ნამოსახლარები აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრალურ რაიონებში, ფაქტიურად, ცნობილი არ არის, ხოლო სამაროვნები კი, პირუკუ, საკმაოდ ინტენსიურადაა გამოვლენილი ორივე გეოკლიმატურ ზონაში.

6. უფრო გვიან, ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან, როგორც უკვე აღვნიშნავდით, ძველი სამოსახლო „გორები" ხელმეორედ ჩანს ათვისებული და ეს პროცესი გვიანბრინჯაოს პერიოდის ადრეული ეტაპიდანვე იწყება[97].

ათვისებულია როგორც ძველი „გორები", ისე ახალი სამოსახლო ადგილებიც დაბლობში, ხეობებში, მთისწინეთსა თუ მთაში. საინტერესოა, რომ, თუ შიდა ქართლში 1954—1955 წლებში აღნუსხული იქნა ადრებრინჯაოს ხანის 23 „გორა", გვიანბრინჯაო-ადრერკინის პერიოდის ასეთივე ძეგლი 66 იყო მიკვლეული[98], ხოლო ქვემო ქართლში 1956—1958 წლების განმავლობაში ათამდე ადრებრინჯაოს ხანისა და ორმოცამდე გვიანბრინჯაო-ადრერკინის პერიოდის „გორა" იქნა დამოწმებული[99]. რა თქმა უნდა, პირობითობისა მიუხედავად. ის გარემოება, რომ გვიანბრინჯაოს ხანაში სამჯერ და ოთხჯერ მეტი ნამოსახლარია გამოვლენილი, მიუთითებს არა მხოლოდ მოსახლეობის ზრდაზე, არამედ მეურნეობის ინტენსიფიკაციაზეც. ეჭვი არ არის, რომ „გორები" ამ დროს კვლავ მიწათმოქმედ მოსახლეობას აქვს ათვისებული[100]. ამას მოწმობს არა

---

97 დ. მუსხელიშვილი, გ. ცქიტიშვილი, დასახ. ნაშრ., 192.

98 იქვე, 195—196.

99 გ. გრიგოლია, თ. ტატიშვილი, დასახ. ნაშრ.; 77—78.

100 დ. მუსხელიშვილი, გ. ცქიტიშვილი, დასახ. ნაშრ., 192. ფრიად საინტერესო და თავისებური სურათი ვლინდება ამ თვალსაზრისით კახეთში, თანაც, როგორც ირკვევა, გარე- და შიგნიკახეთში სხვადასხვაგვარი ვითარებაა. პრობლემა აქაც, ჯერჯერობით გადაუჭრელია, იხ. კ. ფიცხელაური, დასახ. ნაშრომი, 42—54.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტო „გორათა“ ტოპოგრაფია, არამედ განათხარ ნამოსახლარებიც და ამდროინდელ მრავლად შესწავლილ სამაროვანთა დოკუმენტაციაც.

მეორე მხრივ, დადგენილია, რომ მიწათმოქმედებისათვის და საცხოვრებლად ვარგისი ადგილები თითქმის დღევანდელი სიმჭიდროვით არის დასახლებული[101]. ამასთანავე, თუ კარალეთში და დოღლაურში შიდა ქართლის ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიციის მიერ დამოწმებული „გორების“ და ურბნისის გათხრების შედეგებით ვიმსჯელებთ, სადაც „ნაქალაქარზე მრავლად არის აღმოჩენილი გვიანბრინჯაოს ხანის მასალები, ხოლო ქალაქის სამაროვანზე (XXV უბანი) რამდენიმე საკმაოდ მდიდრული სამარხიც აღმოჩნდა“[102]; აგრეთვე მუხრანთან მიკვლეულ „მელიების გორას“, ნარეკვავის „გორას“ და სამაროვანს და ახლად გამოვლენილ მსგავს ძეგლებს კასპთან[103] და სხვ. გავითვალისწინებთ; დაბოლოს, თვით სამთავროს სამაროვანს დავიმოწმებთ, ცხადი გახდება, რომ შიდა ქართლის ვაკე, ისევე როგორც ქვემო ქართლის ველები, მნიშვნელოვანწილად კვლავ ათვისებულია.

ვარაუდი, რომ მიწათმოქმედება ამ დროსაც ირიგაციაზე უნდა ყოფილიყო დამყარებული, სადავო არ ჩანს[104].

როგორ ხდებოდა შუაბრინჯაოს პერიოდის დასასრულიდან, გვიანბრინჯაოს ხანის დასაბამიდანვე სამიწათმოქმედო ბარის „ხელახალი“ ათვისება, ჯერ კიდევ ნათელი არ არის სათანადო გარდამავალი ხანის არქეოლოგიური ძეგლების სუსტად გამოვლენისა და არსებული მასალის ამ თვალსაზრისით შეუსწავლელობის გამო. ზოგადად შეიძლება მხოლოდ ის ითქვას, რომ ეს ეპოქალური მნიშვნელობის ტეხილი მიწათმოქმედების შემდგომი ინტენსიური განვი-

---

101 დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, გ. ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ. 195.

102 ი. კ ი კ ვ ი ძ ე. დასახ. ნაშრომი, 32, ლ. ჭილაშვილი, ნაქალაქარი ურბნისი, 1964, 24—28.

103 ჯ. გ ვ ა ს ა ლ ი ა. ქსნის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, სიგკ. III, 1967, 10—12;

ნ. ო ქ რ ო პ ი რ ი ძ ე. ნარეკვავის სამაროვანი. იიშ. VII, 1964, 194—220, მისივე, მუხრანის კვლევის არქეოლოგიური ძეგლები ძვ. წ. XVII—VII სს., მსკა, IV 1965, 15—29;

მ. ბ ა რ ა მ ი ძ ე. კასპის სამაროვანი, მსკა, IV, 15—29, იხ. აგრეთვე ტ. ჩუბინიშვილი, მცხეთის არქეოლოგიური ძეგლები, 1957, 104—115.

104 ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ერთი ფურცელი ისტორიულ-გეოგრაფიული დღიურიდან, სიგკ, I, 168—169 ი. კიკვიძე, დასახ. ნაშრ. 33—48.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარების შედეგია[105], რამაც მისი ხვედრითი წონა მოსახლეობის ეკონომიკაში საიალაღო მესაქონლეობასთან შედარებით საბოლოოდ და მნიშვნელოვნად გაზარდა. ეს იწვევდა თანდათან ეკონომიური სიმძიმის ცენტრის კვლავ ბარში გადმოადგილებას[106]. პროცესი, როგორც ჩანს, მეტად ხანგრძლივი იყო და, ჩვენი აზრით, მხოლოდ ადრეფეოდალურ ხანაში დასრულდა[107]. ამჟამად გავიმეორებთ, რომ ამ პროცესის დასაწყისი, შუაბრინჯაოს პერიოდიდან გვიანბრინჯაოს პერიოდზე გადასვლა, კონკრეტული პრობლემების თვალსაზრისითაც ჩვენში, ჯერჯერობით, გაურკვეველია.

კერძოდ, დღეისთვის ბუნდოვანია შუაბრინჯაოს და გვიანბრინჯაოს არქეოლოგიურ კულტურათა ურთიერთმიმართება. რა კავშირში არიან ისინი ერთმანეთთან ანდა არიან თუ არა საერთოდ ურთიერთდაკავშირებულნი?

ერთი მხრივ, გამოთქმულია კატეგორიული მოსაზრება, რომ გენეტიკური კავშირი გორასამარხებისა და გვიანბრინჯაოს ხანის კულტურებს შორის არ ჩანს[108]. მეორე მხრივ, შენიშნულია ცალკეული ელემენტების მსგავსება შუაბრინჯაოს ხანის თრიალეთურ და გვიანბრინჯაოს ხანის, მაგალითად, შიდაქართლურ, ანდა ორივე ზემოხსენებული ისტორიული პერიოდის შიდაქართლურ კერამიკას შორის[109]. გენეტიკური მემკვიდრეობა შემჩნეულია ლითონშიც[110], ხოლო ამ ბოლო დროის არქეოლოგიურმა ძიებამ კახეთში გამოავლინა მასალა, რომელიც თითქოს დამაჯერებელ სურათს

---

105 Б. Б. Пиотровский, დასახ. ნაშრ. 6; დ. მუსხელიშვილი, გ. ცქიტიშვილი, დასახ. ნაშრ., 191.

106 შდ. Б. Б. Пиотровский, დასახ. ნაშრ., 15.

107 იხ. Д. Л. Мусхелишвили, Вопросы исторической географии ущелья Панкиси, ТКАЭ, I, 1969, 157—159.

108 ე. გოგაძე, დასახ. ნაშრ. 43—44, იხ. მისივე თეზისები, სმმ XVII სამეც. სესია, 14. ავტორის აზრით, ზოგიერთი კერამიკული ფორმის თუ ორნამენტის მსგავსება უფრო ქრონოლოგიურ სიახლოვეზე მიუთითებს, ვიდრე გენეტიკურ კავშირზე.

109 ო. ჯაფარიძე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, 101.

ზ. შატბერაშვილი, მეტეხში 1966 წელს ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, XVI სამეცნიერო სესია, 36—38.

110 ტ. ჩუბინიშვილი. დასახ. ნაშრ., III, სურ. 16, იმავე შრომაში ავტორი შუა- და გვიანბრინჯაოს პერიოდების კერამიკული ნაწარმის განსხვავებას ჩარხის გამოყენებით ხსნის გვიანბრინჯაოს ხანაში (იქვე, 67).

ქმნის შუაბრინჯაოდან გვიანბრინჯაოზე თანდათანობითი გადასვლის წარმოსადგენად[111].

ეს პრობლემა დადებითადაც რომ გადაწყდეს, გასარკვევი იქნება მეორე, არანაკლები მნიშვნელობის, საკითხი გვიანბრინჯაოს პერიოდის მოსახლეობის, ასე ვთქვათ, სოციალური გენეზისისა.

მართლაც, სოციალური განვითარების თვალსაზრისით, ძირითადი პროცესი V—III ათასწლეულებში, ყოველ შემთხვევაში სამუშაო ჰიპოთეზის სახით, თითქოს დადგენილია. ამ პროცესმა II ათასწლეულის პირველი ნახევრისთვის შექმნა პირობები მკვეთრი ქონებრივი და აგრეთვე სოციალური დიფერენციაციისათვის იმ თვალსაზრისით მაინც, რომ საზოგადოებიდან აშკარად გამოიყოფა გვაროვნული არისტოკრატია (თრიალეთის, ზურტაკეტის, აშურიანის ველის და სხვ. თანადროული გორასამარხები) და რიგითი მეთემეები (ნულის და ქვასათალის კოლექტიური ორმოსამარხები და ახჩიის მცირე ზომის ყორღანები)[112].

არაფერი მსგავსი გვიანი ბრინჯაოს ადრეულ ეტაპზე არც ბარში და არც მთაში აღმოსავლეთ საქართველოში არ ჩანს. ამ დროის ორმოცდაათზე მეტი სამარხი იქნა შესწავლილი სამთავროს სამაროვანზე და არამც თუ სოციალური, არამედ რაიმე თვალშისაცემი ქონებრივი დიფერენციაციაც კი მათი შესწავლის შედეგად არ ვლინდება[113]. ასეთივე ვითარება ჩანს ამ პერიოდში მთაშიც (თრიალეთი)[114].

---

111. შ. დ ე დ ა ბ რ ი შ ვ ი ლ ი, ბრინჯაოს ხანის ადრეული ძეგლები კახეთიდან, გმმ 1965, 21; Т. Бугианашвили, Ш. Дедабришвили, К. Пицхелаури, Р. Рамишвили, Ц. Чикоидзе, М. Узунашвили, Работы Кахетской археологической экспедиции за 1970 г. ТД, 79; ამჟამად ეს მასალა მთლიანად გამოქვეყნებულია კ. ფიცხელაურის ზემოხსენებულ მონოგრაფიაში.

112 Б. А. К у ф т и н, Археологическая маршрутная экспедиция, 51; О. М. Джапаридзе, Квасатальский могильник эпохи бронзы...; მ. ბარამიძე, დასახ. ნაშრ. 57. ზ. შატბერაშვილი, დასახ. ნაშრ. მისივე, კასპის რაზმის 1965 წლის საველე მუშაობის მოკლე ანგარიში, XV სამეცნიერო სესია, 12—14 იხ. აგრეთვე, სსმე, III, 52—53.

113 ტ. ჩ უ ბ ი ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ.; 107—108.

114 Б. А. К у ф т и н, Археологические раскопки в Триалети, 75—77. შუადან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი მასალის გამოვლენასთან ერთად კ. ფიცხელაურმა არსებითად შეცვალა გვიანბრინჯაოს პერიოდის ეტაპების ღლემდე მიღებული ქრონოლოგია, რის შედეგადაც ზემოხსენებული სამთავროული სამარხები გვიანბრინჯაო II საფეხურად წარმოადგინა, ხოლო თრიალეთური (ბაიბურთი) — შუადან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი პერიოდით დაათარიღა. ამჟამად ჩვენი მსჯე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უფრო გვიან ქონებრივი დიფერენციაცია და მისი თანდათანობითი გაღრმავება აშკარად შეიმჩნევა. საამისოდ საკმარისია მოვიგონოთ სამთავროს ძვ. წ. XIII—XII საუკუნეების ბრინჯაოს სატევრიანი ან, განსაკუთრებით, მომდევნო ძვ. წ. XI—X საუკუნეების ე. წ. „წარჩინებული მეომრების“ სამარხები[115]. თრიალეთშიც უკვე ბეშთაშენის სამაროვანზე, რომელიც დაახლოებით ძვ. წ. XIII-XII საუკუნეებით უნდა დათარიღდეს, აგრეთვე შეიმჩნევა თითქოს სუსტი, მაგრამ არსებული ქონებრივი დიფერენციაციის პროცესი. ასე მაგალითად, აქ თავისი „სიმდიდრით“ ორმოცამდე სამარხში გამოირჩევა ბრინჯაოს ლახტისთავების შემცველი ხუთი სამარხი (№№ 11, 13, 18, 19, 20)[116] და სხვ. მაგრამ ყველაფერი ეს, ჯერ ერთი, მაინც შორს არის იმ დიდი კონტრასტისაგან, რომელიც შუაბრინჯაოს პერიოდის „გორასამარხების ბრწყინვალე კულტურასა“ და ამავდროულ კოლექტიურ სამარხებს შორის არის და მეორე, რაც მთავარია, გვიანბრინჯაოს პერიოდში დამოწმებული ეს პროცესი იმანენტური ჩანს, რაც ამ დროის ნამოსახლართა შესწავლითაც თითქოს დასტურდება (იხ. ქვემოთ).

თუკი გვიანბრინჯაოს პერიოდის კულტურის გენეტიკური კავშირი წინარე საფეხურთან უცილობლად დამტკიცდებოდა, შესაძლებელია გვეფიქრა, რომ არსებითად, ეს იყო ტომების კულტურა, რომლებიც შუაბრინჯაოს პერიოდშიც ძირითადად მიწათმოქმედებას მისდევდნენ (მთისწინა ზოლში?) და თანდათან ავითარებდნენ მას[117]. ეკონომიური დიფერენციაცია ამ მიწათმოქმედ ტომებს შორის გაცილებით უფრო სუსტად უნდა ყოფილიყო გამოხატული, ვიდრე მათ მეზობელ და თანამოძმე მესაქონლეებს შორის. ამის საფუძველს ნულისა და ქვასათალის კოლექტიური სამარხები იძლევა.

ლობისათვის ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან თვით კ. ფიცხელაურის მიერ გამოვლენილი გარდამავალი და გვიანბრინჯაო, I საფეხურები, არსებითად წარმოდგენილი მხოლოდ კერამიკით, ჩვენთვის საინტერესო ვითარების თვალსაზრისით, ამგვარსავე სურათს იძლევა (იხ. კ. ფიცხელაური, დასახ. ნაშრ. თ. III და ტაბ. LXIX).

115 იხ. რ. აბრამიშვილი, სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს ხანისა და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღებისათვის, სმმ. XIX-B და XXI-B, 1957. იქვე დართული ტაბულა I.

116 მასალა ინახება საქართველოს სახ. მუზეუმის თრიალეთის ფონდში.

117 ამ თვალსაზრისით, უაღრესად მნიშვნელოვანი იქნებოდა ნულის „გორის“ არქეოლოგიური გათხრა. ასევე ქვასათალის „გორის“ გამოვლენა და მისი არქეოლოგიური შესწავლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწათმოქმედების შემდგომ ინტენსიფიკაციასთან ერთად ძლიერდებოდა მიწათმოქმედი ტომების გავლენა მესაქონლეობაზე, რომელთაგან ბევრი ალბათ მიწაზე ჯდებოდა და ბინადარ ცხოვრებაზე გადადიოდა. ამის დამადასტურებელი უნდა იყოს, ჩვენი აზრით, კახეთისა და შიდა ქართლის ის გორასამარხები, რომელთა ინვენტარიც ამყღავნებს კონტაქტებს გვიანბრინჯაოს პერიოდის მიწათმოქმედი მოსახლეობის უფრო გვიანდელ კულტურასთან (აშურიანის ველის გორასამარხები, ზემო ბოდბე I და II)[118] და აგრეთვე ის გვიანდელი გორასამარხები, რომლებიც შეიცავენ გვიანბრინჯაოს ადრეული პერიოდისათვის დამახასიათებელ კერამიკულ მასალას, ხოლო სამარხის ტიპით უკავშირდებიან მახლობლად აღმოჩენილ წრიულქვაყრილიან გორასამარხებს შუაბრინჯაოს ხანისას (სალოკი ხევის გორასამარხები გრაკალთან)[119]. ბარში მიწათმოქმედების ხელმეორე მძლავრ აღმავლობასთან ერთად მთამ დაკარგა თავისი უპირატესი მნიშვნელობა და ამასთანავე, შესაძლებელია, გადაშენდა მესაქონლეთა ძველი გვაროვნული არისტოკრატიაც. მეორე მხრივ, ბუნებრივია, რომ ბარის მიწათმოქმედი მოსახლეობის ეკონომიკაში გვიანბრინჯაოს პერიოდში საიალაღო მესაქონლეობას ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს შენარჩუნებული[120]. კონტაქტები მთასთან უცილობელია[121].

---

118 ზ. შ ა ტ ბ ე რ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომები; მისივე, კასპის რაიონში 1968 წელს ჩატარებული საველე მუშაობის მოკლე ანგარიში, XVIII სამეცნიერო სესია, 6—7;

Т. Бугианашвили, Ш. Дедабришвили и друг., დასახ. ნაშრ., 79.

119 ზ. შ ა ტ ბ ე რ ა შ ვ ი ლ ი, კასპის რაზმის 1965 წლის საველე მუშაობის მოკლე ანგარიში, 13—14.

120 ტ. ჩ უ ბ ი ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., 106; მ. ბარამიძე, დასახ. ნაშრ., 62.

121 ამის მაუწყებელი უნდა იყოს წალკაში სოფ. ავრანლოსთან ბ. კუფტინის მიერ გათხრილი სამაროვანი, რომელიც ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ საუკუნეებს მიეკუთვნება და რომლის კერამიკა სრულიად უცხო თანადროული თრიალეთური კულტურისათვის (თაქჩილასა და მარალინ დერესის სამაროვნები) აშკარად შიდაქართლურ კულტურულ წრეში შედის. აღსანიშნავია აგრეთვე ის, რომ გვაროვნული არისტოკრატიის ერთგვარი დეგრადაციის პროცესის დასაწყისი თრიალეთში შუაბრინჯაოს III ეტაპზევე შეიმჩნევა, იხ. ე. გოგაძე, თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი, 43 (ავრანლოს მასალა ინახება საქართველოს სახ. მუზეუმის თრიალეთის ფონდში).

ზემოგამოთქმული მოსაზრება საქართველოს ბარის ხელმეორეთ ათვისების შესახებ, რა თქმა უნდა, გამარტივებული ვარაუდია. ამ პროცესში, ცხადია, გამორიცხული არ არის უცხო ეთნიკური ელემენტის მონაწილეობა, მაგრამ ესეც ახალი ვარაუდი იქნებოდა. ფაქტი კი ფაქტად რჩება, რომ შუა-და გვიანბრინჯაოს კულტურათა ურთიერთობის კარდინალური პრობლემების კვლევისას აუცილებელია, ასე ვთქვათ, „სოციალური შეუთავსებლობის“ საკითხის გადაწყვეტაც.

საფიქრებელია, რომ საყოველთაო მეურნეობრივი აღმავლობა, რომელიც ამ დროს აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჩანს, როგორღაც უნდა ასახულიყო ისტორიულ-გეოგრაფიულად. მართლაც, ამ მხრივ, გარკვეულ ცვლილებას ვადასტურებთ.

ქვემო ქართლის ისტორიულ-გეოგრაფიულმა ექსპედიციამ ბანუშ-ჩაის პატარა ხეობაში ჩვენთვის საინტერესო ხანის შვიდი „გორა“ აღნუსხა. ერთ-ერთი ასეთი „გორა“ იმ კლდოვან მთაზე იქნა დამოწმებული, რომელზედაც ადრეფეოდალურ ხანაში წოფის ციხეა აგებული. ეს უკანასკნელი და ნაწილობრივ „გორაც“ არქეოლოგიური გათხრების შედეგად შეისწავლეს. გაირკვა, რომ აქ გამაგრებული ნამოსახლარი „გორა“ ჯერ კიდევ ძვ. წ. VIII—VI სს-ში არსებულა[122].

წოფის „გორის“ გარდა, ბანუშ-ჩაის ხეობაში კიდევ ექვსი ასეთი ნამოსახლარია. მათ შორის საუკეთესო მდებარეობა წოფისას აქვს, რამდენადაც იგი დგას ხეობაზე გამავალ მთავარ საგზაო მაგისტრალზე და სხვებთან შედარებით აშკარად გაბატონებული პოზიცია აქვს გარემოზე. ამიტომ სწორი უნდა იყოს მოსაზრება, რომ წოფის შემდგომ დაწინაურებას საფუძველი ამ დროიდან მაინც უნდა ჩაჰყროდა[123]. ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, რომ ადრეფეოდალურ ხანაში „წოფის ჯევის“ ადმინისტრაციული ერთეულის არსებობა ეჭვმიუტანელი ფაქტია, მაგრამ ასევე უცილობელია ჩვენთვის, რომ ამ ადმინისტრაციული ერთეულის ჩამოყალიბება არ არის ნაგვიანევი ხანის ნაყოფი: „წოფის „ჯევი“ ისევე, როგორც საერთოდ „ჯევები“, IV საუკუნის წარმონაქმნი არაა. იგი (ჯევის წარმოქმნა) გვაროვნული საზოგადოების წიაღში იმ დროს აღმოცენებული ჩანს,

---

[122] გ. ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, წოფი, სიგკ, I, 85.
[123] იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა წოფის დასახლება, ძვ. წ. VII—VI საუკუნეებში, გამაგრებულ-გორად, იმ დროის ციხედ იქცა"[124].

როგორც ცნობილია, „ჯევი", წერილობითი წყაროების მიხედვით, ერთ-ერთი უძველესი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ქართული ერთეულია. ეს ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში აღნიშნეს და მისი შესატყვისი სომხური „ძორ"-ის და „ფორ"-ის ანალოგიით კავკასიის რელიეფის სპეციფიურობას დაუკავშირეს[125].

ჩვენი საუკუნის დასაწყისში დასაბუთებულ იქნა, რომ ადრეფეოდალურ ხანაში (და უფრო ადრეც) „მიწაწყლის ერთეულის აღმნიშვნელ ჩვეულებრივ ტერმინად „ჯევი"-ც იხმარებოდა... ქვეყნის ხევებად დაყოფა გეოგრაფიულ თვისებებზეა დამყარებული და საქართველოს მომეტებული ნაწილისთვის ამიტომ ჩვეულებრივი იყო"[126].

ამ ისტორიულ-გეოგრაფიულ ტერმინს სულ უკანასკნელ ხანში არსებითად განსხვავებული ინტერპრეტაცია მიეცა, რომლის მიხედვით „ჯევ"-ის წარმოქმნა ირიგაციას უკავშირდება: მას შემდეგ, რაც მორწყვა მოსახლეობის მეურნეობის უმთავრესი პირობა გახდა, „ამიერიდან ქართული სოფელი ხევს მიეკრა და ხევი მოსახლეობის ბუნებრივი ტერიტორიული ერთეული შეიქმნა. აქედან ადვილი გასაგებია, თუ საიდან მოდის ის ფაქტი, რომ საქართველოს მთელი მოსახლეობა ხევებად და მოხევეებად დაიყო. ამრიგად, გამოდის რომ საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა ხევებად შედეგია მისი სამეურნეო განვითარების სახეობისა"[127].

ეს დასკვნა რომ სავსებით სწორია, მტკიცდება იმითაც, თუ როგორ განმარტავს სულხან-საბა ორბელიანი ტერმინს „ჯეობა". მისი აზრით, ხეობა ნიშნავს „ერთს წყალზედ მრავალ მოსახლეს"[128]. ცხადია, იგულისხმება საზოგადოება, რომელიც გაერთიანებულია ერთ სარწყავ სისტემაზე დამოკიდებული მეურნეობით და ამ ეკონომიურ ერთიანობას ეწოდება „ჯეობა". ეს სრულიადაც არ ნიშნავს,

---

[124] გ. ცქიტიშვილი, წოფი, 92. „ჯევთა" წარმოქმნას წინაკლასობრივ ხანას უკავშირებს აგრეთვე ლ. ჭილაშვილი, იხ, მისი, ქალაქი რუსთავი, 1958, 19.

[125] J. Saint-Martin, Mémoires historiques et géographiques sur l Arménie, I, Paris, 1818, 35.

[126] ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. I, 1928, 143.

[127] ნ. ბერძენიშვილი, ერთი ფურცელი ისტორიულ-გეოგრაფიული დღიურიდან, 181.

[128] სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, 1928.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ძველი ინტერპრეტაცია ამ ტერმინისა სწორი არ არის, ადასტურებს თუნდაც ისიც, რომ მთაში, სადაც მორწყვას არავითარი ან თითქმის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ისტორიულ-გეოგრაფიულ ტერმინად მაინც „ჭევი“ იხმარებოდა და იხმარება დღესაც (მაგ.; „ფშავის ხევი“. „ხევი“ და სხვ.) და იქ, რა თქმა უნდა, სხვასთან ერთად, სწორედ ფიზიკურ-გეოგრაფიულ ფაქტორს ჰქონდა დიდი მნიშვნელობა. ახლებური ინტერპრეტაცია ბარს ეხება, სადაც კი მორწყვა აუცილებელი იყო ინტენსიური მეურნეობისათვის. მაგრამ, მეორე მხრივ, ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ მორწყვა იყო ერთადერთი ფაქტორი „ჭევების“ წარმოქმნისა (საამისოდ მნიშვნელობა ჰქონდა გზას, საერთო საძოვრების არსებობას, ეთნიკურ-ეთნოგრაფიულ თავისებურებებს და სხვ.)[129], თუმცა გარკვეულ პირობებში მორწყვა შეიძლება ძირითადი ფაქტორი ყოფილიყო.

მაინც, რა დროიდან არის შესაძლებელი ვივარაუდოთ საქართველოს ტერიტორიაზე „ჭევების“ წარმოქმნა და რა მოვლენებთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული ეს პროცესი?

საამისოდ შესაძლებელია გამოგვადგეს გვიანბრინჯაოს ხანის ერთ-ერთი ტიპიური ნამოსახლარის, ხოვლეგორის, გათხრების შედეგები.

ხევხმელას ხეობაში, სადაც ხოვლეგორა მდებარეობს, კიდევ ორი „გორა“ იქნა დადასტურებული, „კენჭიყარა“ და „ავკეთის გორა“. ეჭვი არ არის, რომ ისევე, როგორც წოფისას, ხოვლეგორასაც, რომელიც ხეობის ველში გამოსავალთანაა, გაბატონებული მდგომარეობა აქვს დანარჩენებთან შედარებით. გათხრების შედეგებიც ამას მოწმობენ.

განათხარი მასალის შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ მოსახლეობა ხოვლეგორაზე გვიანი ბრინჯაოს დასაწყისი ეტაპიდანვე ზის[130]. სამოსახლო ქვის გალავნით არის შემოზღუდული და ბუნებრივი ბორცვის თხემზეა განლაგებული. სავარაუდოა ეს ყოფილიყო ერთი „გვარის“ სამოსახლო.

---

[129] დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ქვემო ქართლის ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიციის საველე სამუშაოთა (1956—1958 წწ.) შედეგები, სიგკ. 1, 44.

[130] დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ხოვლეგორის განათხარი არქეოლოგიური მასალა, სიგკ. II სამეცნიერო სესია, 1964, 5—8.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცირე დაზვერვითმა თხრილმა კენჭიყარაზე უჩვენა, რომ აქაც, დაახლოებით ანალოგიურ მოვლენასთან უნდა გვქონდეს საქმე. ასეთი ვითარებაა ხოვლე VIII — ხოვლე VI პერიოდისათვის, რომელიც თარიღდება ძვ. წ. XV—XIII საუკუნეებით. უფრო გვიან, დაახლოებით ძვ. წ. XII ს-დან (ხოვლე V) „გორა" მხოლოდ ბორცვს კი აღარ მოიცავს, არამედ ამ უკანასკნელის ძირში გაჩენილ სოფელსაც, რომლისაგან ამიერიდან ბორცვზე დარჩენილი მოსახლეობა გამოყოფილია საგანგებო თხრილით და დიდრონი ქვებით ნაგები გალავნით. თვით ბორცვი საკულტო-თავდაცვით ნაგებობად არის ქცეული.

არაფერი მსგავსი არ არის კენჭიყარაზე და სრულიად უცილობელია ხოვლეგორის მნიშვნელობის და ფუნქციის ზრდა ხეობაში განლაგებული სხვა „გორების" მიმართ. კერძოდ, ეჭვი არ არის, რომ ხოვლეგორა ამ ხეობის ეკონომიური და პოლიტიკური ცენტრის როლს ჩემულობს. რეალურია ვივარაუდოთ, რომ ხევხმელას ხეობა ამ დროსავე ყალიბდება „ჯევად".

მეორე მხრივ, ის ფაქტი, რომ ბორცვის მოსახლეობა აშკარად გამოჰყოფია მის გარშემო მდებარე სოფელს, მოწმობა უნდა იყოს აქ მობინადრე გვარის გარკვეული დიფერენციაციისა, რომელიც შემდგომ (ხოვლე IV—II ანუ ძვ. წ. IX—V სს) ყველა ნიშნით ღრმავდება: ბორცვის დასახლების ტერიტორია ფართოვდება, მასზე უფრო მნიშვნელოვანი სათავდაცვო სისტემა იქმნება და სხვ.

ყველაფერი ეს, ვფიქრობთ, გვაძლევდა იმის საფუძველს, ვარაუდის სახით გამოგვეთქვა მოსაზრება, რომ ხევის წარმოქმნა პირველყოფილ თემური წყობილების წიაღში, მისი რღვევის პარალელური მოვლენა უნდა ყოფილიყო, რომ ფაქტიურად გვაროვნული სამოსახლოს, „გორის" თანდათანობითი მიტოვება და მისი თავდაპირველი ფუნქციის შეცვლა, ამავე დროს და ამასთან კავშირში, გულისხმობდა „ჯევის" თანდათანობით წარმოქმნას. რამდენადაც ხოვლეგორის მაგალითზე ამ პროცესის თვალის მიდევნება შესაძლებელია ძვ. წ. V ს-დე (ხოვლე II), ამდენად, თუ ეს სწორია, ჩვენ შეგვეძლებოდა კონკრეტულ-ქრონოლოგიურად წარმოგვედგინა ჩვენში პირველყოფილი თემური წყობილების რღვევის დასაწყისი და დასასრული[131].

---

131 ამ მხრივ ფრიად საინტერესო ჩანს, რომ გარკვეული დროიდან მოსახლეობა კენჭიყარას ტოვებს და ამ ფაქტის შეთანაპირება ქრონოლოგიურად თითქოს შეიძლება ხოვლეგორის გარშემო სოფლის შექმნასთან. ესეც, ჯერჯერობით, ვარაუდია, რომელიც თუ გამართლდა შემდგომი კვლევით, ფრიად ნიშანდობლივი და საინტერესო

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, თანადროული სამაროვნული დოკუმენტაციაც სავსებით ანალოგიურ პროცესს ასახავს.

ამგვარად, თითქოს დასტურდება, რომ ეკონომიურ აღმავლობას და სოციალური პროცესის გაღრმავებას გვიანბრინჯაოს პერიოდში მოჰყვა თანდათანობით „ჭევების“ წარმოქმნა. ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისით, ეს არის ტეხილი — დაიწყო „ხევების ხანა“.

ასეთია ვითარება აღმოსავლეთ საქართველოში. რაც შეეხება დასავლეთს, აქ ჯერჯერობით ძნელია რაიმე გარკვეულის თქმა, მაგრამ ნაოხვამუს ბორცვი, რომელიც სწორედ ამ დროიდან ჩანს ინტენსიურად დასახლებული[132] და აგრეთვე დაბლაგომის „ნაციხვარი“, ისიც ამ დროს ხელმეორედ ათვისებული[133], თითქოს აქაც ანალოგიურ პროცესზე მიგვითითებენ. განსაკუთრებით მნიშვნელოვან შედეგებს ამ თვალსაზრისით, როგორც აღვნიშნეთ, ნოსირის „გორის“ გათხრებიდან და აგრეთვე ენგურმშენის ტერიტორიაზე გათხრილი „გორის“, პალურის „ჟირსუკი I“-ის შესწავლისაგან უნდა მოველოდეთ[134].

რა ვითარებაა შემდგომი ხანისათვის, როგორ მიმდინარეობს ისტორიულ-გეოგრაფიული ევოლუციის პროცესი, არქეოლოგიური მასალის უკმარისობის გამო მთლად ნათელი არ არის. ერთი რამ ცხადია: ისტორიული განვითარების შედეგად, ეკონომიური და სოციალური აღმავლობის პირობებში, უნდა შექმნილიყო წინამძღვრები ცალკეული „ჭევების“ შემდგომი დაახლოვებისა და შერწყმისა. ასე მაგალითად, შიდა ქართლის ტერიტორიაზე მოხილული „გორების“ ზედაპირიდან აკრეფილი მასალის შესწავლის საფუძველზე გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანაში ამ ტერიტორიის მატერიალური კულტურა სრულ ერთგვაროვნებას ამჟღავნებს, რაც, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს თა-

---

იქნება პირველყოფილ თემური წყობილების რღვევის სოციალური პროცესის კონკრეტული წარმოჩენისათვის. მეორე მხრივ, არქეოლოგიური ტერმინოლოგიის შემუშავებასთან დაკავშირებით (იხ. ა. აფაქიძის დასახ. ნაშრ.) ეგების უპრიანი იყოს „გორა“ ეწოდოს ჯერ კიდევ არადიფერენცირებული გვარის სამოსახლოს, ხოლო „გორანამოსახლარი“ — უკვე დიფერენცირებული გვარისას.

132 Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, II, 161—238.

133 იქვე, 113—131.

134 გ. გრიგოლია, მ. ბარამიძე, ნ. ოქროპირიძე, ვ. ჯაფარიძე, ჯ. ჯღამაია, ენგურის არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წლის მუშაობის შედეგები, აკს 1969, 26—38.

ვისებურებებს დეტალებში. ეს დასკვნა გამომდინარეობდა ძალიან
თადად კერამიკის შესწავლისაგან, რომელიც ტექნიკური თვისე-
ბებითაც და ორნამენტაციითაც იდენტურია ყველა „გორაზე". ეს
გარემოება, თავისთავად იქითკენ გვიბიძგებს, რომ ამ პერიოდში
მოხილულ არეალზე ეთნიკური ერთიანობაც ვიგულისხმოთ[135].

მეორე მხრივ, შიდა ქართლის ზემოხსენებული ლოკალური
წრე, მიუხედავად უაღრესად მჭიდრო კონტაქტებისა მეზობელ მხა-
რეებთან, მაინც რიგი ნიშნებით განსხვავებულია შიდა ქართლისავე
მტკვრის სამხრეთი ნაწილის მატერიალური კულტურისაგან, რომე-
ლიც ხოვლეგორის განათხარის მიხედვით თუ ვიმსჯველებთ, ამჟღავ-
ნებს მისთვის დამახასიათებელ ინდივიდუალურ ნიშნებს. ეს, ჩვე-
ნი აზრით, მიუთითებს აქ გარკვეული არქეოლოგიური მიკრორაი-
ონის არსებობაზე[136]. ასევე აშკარად განსხვავებულია ორივესგან
თრიალეთის თანადროული განათხარი კერამიკა[137] და სხვ. და სხვ.
სამწუხაროდ, თითოეულ ამ ლოკალურ რაიონში სტრატიფიცირე-
ბული ძეგლების შესწავლილობის უკმარისობის გამო ძნელია ნათ-
ლად წარმოდგენა იმისა, თუ გვიანბრინჯაოს და ადრერკინის ხანის
რომელი ეტაპიდან დასტურდება ასეთი მსგავსება თუ განსხვავება,
რომ სწორი წარმოდგენა ვიქონიოთ ამ მოვლენის წარმომქმნელ
პროცესებზე. თავისთავად არ არის გამორიცხული, რომ ეს იყოს
სწორედ ცალკეულ „ჯევთა" შერწყმა-დაახლოების შედეგი.

ამგვარად, გარკვეული ისტორიული პროცესის შედეგად ცალ-
კეული „ჯევები", რომლებიც, თავის მხრივ, „გორათა" გაერთიანე-
ბის შედეგად წარმოიქმნენ, უნდა გაერთიანებულიყვნენ ერთ დიდ
„ჯევად" ან „ჯეობად", რომელიც ეტიმოლოგიურადაც „ჯევთა" ერ-
თობლიობას გულისხმობს[138]. როგორც აღვნიშნეთ, ამ პროცესის
საფუძველი „ჯევების" შემდგომი სამეურნეო და სოციალური ევო-
ლუცია უნდა ყოფილიყო, ხოლო რომ ეს უკანასკნელი სრულიად

---

135 დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, გ. ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., 192.

136 დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ხოვლეგორის განათხარი..., 7—8.

137 Б. А. К у ф т и н, Археологические раскопки в Триалети, 48—77.

138 „ჯეობის" შესაძლებელი სოციალური ფუნქციის შესახებ იხ. დ. მუსხელიშ-
ვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხები ნ. ბერძენიშვილის შრომე-
ბში, III; ამასვე მოწმობს სულხან-საბა ორბელიანისეული განმარტება ხეობისა, და-
ბოლოს, „ჯეობა" რომ „ჯევთა" ერთობლიობაა, ეს უთუმცაოდ მტკიცდება სვანუ-
რი მასალებით, იხ. პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, 1941, 9; შდ. რ.
ხარაძე, ალ. რობაქიძე, სვანეთის სოფელი ძველად, 1964, 67.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეალურ-ისტორიული ფაქტია, ეს უეჭველია ხოვლეგორის გაფანტვის ბის შედეგად.

უკვე აღნიშნული იყო, რომ /დაახლოებით ძვ. წ. XII ს-დან „გორაზე“ ამკარაა სოციალური დიფერენციაცია/ რაც გამოიხატა იმით, რომ /ძველი „გორა“ ორ ნაწილად გაიყო: თხრილით და გალავნით გამაგრებულ ბორცვად და მის ქვემოთ განლაგებულ სოფლად[139]/ „განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი გარდატეხა ხოვლელთა ყოფაში და მეურნეობაში დადასტურებულია III ჰორიზონტის დროს (ძვ. წ. VI ს.). ახლა „გორა“ საკმაოდ გასცდა ბუნებრივი გორის ფარგლებს. მას ღრმა თხრილთან ერთად დიდი და განიერი ქვის გალავანი ევლება. უფრო გავრცელდა და მჭიდროდ სახლდება სოფელი... /მეურნეობაში ახალია მევენახეობის მკვეთრი დაწინაურება“.[140] ხოვლეგორის ბორცვი ქვის გალავნის რამდენიმე კონცენტრული სარტყლით არის გამაგრებული, ხოლო ამ სარტყლებს შორის დარჩენილი ფერდების დიდი ნაწილი — ბრტყელი ფილაქნით მოგებული. როგორც აღვნიშნავდით, აქ საქმე უნდა გვქონდეს მნიშვნელოვან სათავდაცვო და საკულტო ცენტრთან, რომელიც, ეჭვი არ არის, აერთიანებდა არა მხოლოდ ხევხმელას, არამედ გაცილებით უფრო ფართო ტერიტორიას.

ამგვარი, დიდი „ჰევების“ თუ „ჰეობების“ გაერთიანებათა გარეგნულ გამოხატულებად მიგვაჩნია ჩვენ ზემოხსენებული და სხვა ტერიტორიულ-ლოკალური წრეების არქეოლოგიური მატერიალური კულტურა.

/ სოციალური თვალსაზრისით ეს უნდა ყოფილიყო პირველყოფილ თემური წყობილების უკანასკნელი ფაზა — სამხედრო დემოკრატიის სტადია./ ამ დროისათვის, ხოვლე III და ხოვლე II პერიოდში (ძვ. წ. VI—V სს), სოციალური დიფერენციაცია ხოვლეგორაზე კულმინაციას აღწევს და თუ უკვე კლასობრივ საზოგადოებასთან არა გვაქვს საქმე, ყოველ ეჭვს გარეშეა, პირველყოფილ თემური წყობილების რღვევას იმ ხარისხამდე მიუღწევია, როდესაც სოციალური დიფერენციაცია უკიდურეს მიჯნამდეა მისული. ამისავე მოწმობაა წინწყაროს (ქვემო ქართლი), საძეგურ-ყანჩაეთის

---

139 დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ხოვლეგორის განათხარი არქეოლოგიური მასალა, 5. გ. ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ხოვლეგორელთა საშინაო ყოფა და მეურნეობა, იქვე, 9.

140 გ. ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, იქვე, II.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(შიდა ქართლი) მდიდრული სამარხები და აგრეთვე „ყაზბეგის გორაკი“ (ხევი[141]).

რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, იმის მიხედვით, რაც ჩვენთვის ცნობილია, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აქაც ძირითადად ისტორიული განვითარების ანალოგიურ მოვლენასთან გვაქვს საქმე.

ვგულისხმობთ ნაოხვამუს ბორცვს, რომელიც მისი არსებობის უკანასკნელ ფაზაში (ადრეანტიკური ხანა) ისეთივე ტიპის ძეგლი უნდა ყოფილიყო, გამაგრებული სათავდაცვო ღრმა თხრილით და აგრეთვე, როგორც ჩანს, რიყის ქვებით ნაგები გალავნით და ბორცვის ფერდების გასამაგრებლად მოგებული რიყისავე ქვაფენილით[142], როგორც ხოვლეგორა. ანალოგიური ტიპის ძეგლი გამოვლინდა გათხრების შედეგად დასავლეთ საქართველოს მთისწინა ზოლში, ენგურის ხეობაში სოფ. პალურთან (ჟირსუკი I). აქაც გვაქვს „გორა“ გამაგრებული ღრმა თხრილით, გალავნის რამდენიმე სარტყლით და ფერდებზე ქვაფენილით. ელინისტური და ადრეანტიკური ფენების გარდა, რომელიც იქ 1965 წ. აღმოჩნდა და რომელთა თანადროული უეჭველად არის ეს ზემოხსენებული სათავდაცვო კომპლექსი[143], უფრო გვიან გვიანბრინჯაოს (და ნეოლითის) ფენაც კი დადასტურდა[144]. სტადიალური და ქრონოლოგიური სიახლოვე პალურის „გორისა“ ხოვლეგორასთან ამგვარად ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა, რომ დაზვერვითმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1970 წ. დასავლეთ საქართველოში საზონდაჟო გათხრების შედეგად დაადგინა, რომ კოლხეთის დაბლობის ძვ. წ. I ათასწლეულის „გორები“ თხრილით არიან გარშემოვლებულნი და არსებითად ისეთ სათავდაცვო (და საკულტო?) ძეგლებს წარმოადგენენ[145], როგორც ზემოხსენებული კომპლექსები.

---

141 Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ., 34—41. ი. გაგოშიძე, ადრე ანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, 1964, 78—82.

142 Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, II, 167—173, 188.

143 რ. აბრამიშვილი, თ. მიქელაძე, დ. მუსხელიშვილი. ენგურის არქეოლოგიური ექსპედიციის პალურის რაზმის 1965 წლის გათხრების ანგარიში, 1966 (ხელნაწერი).

144 გ. გრიგოლია, მ. ბარამიძე, და სხვ. დასახ. ნაშრ. 27—28.

145 Г. К. Григолия, Г. Элиава, Результаты работ 1970 года Западногрузинской разведочной археологической экспедиции, ТД, 97—98.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე მხრივ, ვანის ნაქალაქარის ხელოსნური წარმოების შესწავლა და ე. წ. „კოლხური თეთრის“ ინტენსიური გავრცელება ეჭვს არ ტოვებს, რომ ძვ. წ. VI—IV სს-ში დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე უკვე კლასობრივი საზოგადოებაა[146].

7. ამ უკანასკნელ ხანებში ძველაღმოსავლური და ბერძნული წყაროების ახლებური ინტერპრეტაციის საფუძველზე უძველესი ქართული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის, კოლხეთის სამეფოს ისტორიას სრულიად სამართლიანად ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან იწყებენ[147]. მაგრამ იმ უძველეს პერიოდში კოლხეთის სამეფოს ეკონომიური და პოლიტიკური ცენტრი, როგორც ჩანს, უფრო სამხრეთით, ჭოროხის აუზში იყო, თუმცა, რა თქმა უნდა, არ არის გამორიცხული, რომ დღევანდელი დასავლეთი საქართველოც ამ სახელმწიფოებრივ გაერთიანებაში შედიოდა. უფრო გვიან, მაინცდამაინც, ძვ. წ. VI საუკუნისათვის, სხვადასხვა პირობების გამო, ცენტრი ჩრდილეთისაკენ ინაცვლებს და ამიერიდან „კოლხეთი“ სწორედ დასავლეთ საქართველოს გულისხმობს[148].

ჩვენი მიზანი არ არის ამჯერად, თუნდაც ზოგადად, ე. წ. „ანტიკური ხანის“ კოლხეთის ისტორიული გეოგრაფიის შესახებ საუბარი, მით უმეტეს, რომ საამისოდ არც წერილობითი წყაროები და არც, ჯერჯერობით, გამოვლენილი არქეოლოგიური მასალა არ არის საკმარისი[149]. მოკლედ შევეხებით მხოლოდ სამეფოს პოლიტიკურ საზღვრებს და აღვნიშნავთ მის მთავარ ცენტრებს.

VI—IV სს-ში, როგორც ჩანს, კოლხეთის სამეფო მთლიანად მოიცავდა დასავლეთ საქართველოს, რაც დასტურდება ადგილობრივი სავაჭრო მოთხოვნილებისათვის მოჭრილი ვერცხლის მონეტების, „კოლხური თეთრის“ გავრცელების არეალით, რომელიც, როგორც აღნიშნავენ, მთლიანად ემთხვევა მთელ დასავლეთ საქართ-

---

[146] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии. 1959. 236 и след., ო. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, 1966. 33—46, მისივე, კოლხური ხელოსნობა ძვ. წ. VI—IV საუკუნეებში, XXI სამეცნიერო სესია, 19—20; Т. Микеладзе. Исследования по истории древнейшего населения Колхиды и юго-восточного причерноморья. Автореферат. 1969, 92—94.

[147] Т. К. Микеладзе, დასახ. ნაშრ., 79—91.

[148] იქვე, 92—98.

[149] მით უმეტეს, რომ ამდროინდელი კოლხეთის „სხვადასხვა ლოკალური საწარმოო ცენტრები ამზადებენ ფორმითა და ორნამენტით სავსებით ერთგვაროვან პროდუქციას“ (ო. ლორთქიფანიძე, კოლხური ხელოსნობა, 20).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველოს და, კერძოდ, მის შიდა რაიონებს[150]. ამას, თავის მხრივ, ადასტურებს წმებს ძვ. წ. IV საუკუნის „პერიპლუსი“, რომელიც ფსევდო-სკილაქს კარიანდელს მიეწერება და რომლის თანახმად კოლხეთის განსახლების ტერიტორიაზე, სხვათაშორის, დასახელებულია ქალაქი დიოსკურია (დღ. სოხუმი), როგორც ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე პუნქტი და მდ. აფსაროსი (დღ. ჭოროხი) — ყველაზე სამხრეთით მდებარე მიჯნა. სრულიად სამართლიანად მიაჩნიათ, რომ ეს ბერძენი ავტორი გულისხმობს არა საკუთრივ კოლხთა ტომის განსახლების ფარგლებს, არამედ კოლხეთის სამეფოს ტერიტორიას[151].

ასეთი თანადამთხვევა „კოლხური თეთრის“ გავრცელების არეალისა და ფსევდო-სკილაქსის მიერ აღნიშნული მიჯნებისა, რა თქმა უნდა, ფრიად მნიშვნელოვანია კოლხეთის სამეფოს პოლიტიკური გეოგრაფიის წარმოსადგენად[152].

კიდევ უფრო საინტერესოა ის ფაქტი, რომ კოლხური თეთრის დიდი უმრავლესობა რიონის აუზშია დადასტურებული, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სამეფოს მთავარი ეკონომიური არტერია აქ გადიოდა[153]. ამიტომ ბუნებრივია, რომ სწორედ აქ წარმოიქმნა უმნიშვნელოვანესი ქალაქები (ფოთი||ფაზისი, ვანი, დაბლაგომი, ქუთაისი). ფოთი ამ სავაჭრო მაგისტრალის ბოლოში მდებარეობდა და კოლხეთს ზღვით გარე სამყაროსთან აკავშირებდა. ზღვის სანაპიროზე სხვა ქალაქებიც ჩნდება (დიოსკურია, გიენოსი ოჩამჩირესთან)[154]. როგორც სულ უკანასკნელი ხანის კვლევა-ძიებით დგინდება, კოლხეთის ზღვისპირა ქალაქები წარმოადგენდნენ არა ბერძნულ კოლონია-პოლისებს, არამედ ადგილობრივ ნიადაგზე აღმოცენებულ კოლხურ ქალაქებს, რომლებიც ინტენსიურ ვაჭრობას აწარმოებდნენ ბერძნულ სამყაროსთან[155].

ქალაქური ტიპის სამოსახლოები იქმნებოდა ქვეყნის უშინაგანეს რაიონებშიც (ითხვისი საჩხერესთან)[156].

---

150 ო. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ანტიკური სამყარო, 37.

151 ნ. ლ ო მ ო უ რ ი, ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები ქართველი ტომების შესახებ, მსკი, 35, 24—25.

152 Т. К. Микеладзе, დასახ. ნაშრ., 92—93.

153 იქვე, 93.

154 ამის შესახებ დაწვრილებით იხ. Г. А. Меликишвили, დასახ. ნაშრ., 236—251; საქართველოს არქეოლოგია, 1959, 223—242; ო. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო, 41—46.

155 ო. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., 24—67.

156 ო. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., 40.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლხეთის დედაქალაქი ძვ. წ. VI—IV საუკუნეებში უნდა ყოფილიყო ქუთათისი||ქუთაისი, რომელიც აპოლონიოს როდოსელთან, როგორც ცნობილია, „კუტაიის“ სახელით მოიხსენიება კოლხეთის მეფის აიეტის სატახტო ქალაქად[157].

ძვ. წ. III ს-ის დასაწყისში, როდესაც ყალიბდება ივერიის აღმოსავლურ-ქართული ერთიანი სახელმწიფო, ქართული ეროვნული ისტორიული ტრადიციის მიხედვით, დასავლეთი საქართველო, ძველი კოლხეთის სამეფო, მის ფარგლებში ერთიანდება ორი საერისთავოს სახით.

8. ქართული ეროვნული ტრადიცია, შემონახული ჩვენს საისტორიო წყაროებში, როგორც ცნობილია, ქართლის (ივერიის) სახელმწიფოს წარმოქმნის თარიღად ძვ. წ. IV ს-ის მიწურულს თუ IV — III საუკუნეთა მიჯნას თვლის. ქართულ წყაროებში დაცული ისტორიული რეალიების ახლო აღმოსავლეთის იმდროინდელ პოლიტიკურ ვითარებასთან შეთანაპირების შედეგად, ბერძნულ წყაროებში შემონახული სათანადო ცნობების და აგრეთვე არქეოლოგიური მასალის მონაცემების გათვალისწინების საფუძველზე, ირკვევა, რომ ქართული ეროვნული ტრადიცია არ უნდა იყოს მცდარი[158]. იგივე დასკვნამდე მივყავართ ზემოთ წარმოდგენილ ძვ. წ. 1 ათასწლეულის პირველი ნახევრის აღმოსავლეთ საქართველოს (მაინცდამაინც, საკუთრივ ქართლის) ისტორიულ-გეოგრაფიული და სოციალური განვითარების პროცესის ანალიზს.

ქართლის სამეფოს წარმოქმნა, რა თქმა უნდა, რთული პოლიტიკური და სოციალური ევოლუციის შედეგი იყო და საშინაო თუ საგარეო ბრძოლებისა და კლასობრივ წინააღმდეგობათა გამწვავების ნიადაგზე მოხდა[159].

ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისით როგორ უნდა გამომყღავნებულიყო ეს, სამწუხაროდ, შეუძლებელია რაიმე გადაჭრით ითქვას, რადგან ამ პერიოდის (ძ. წ. IV—II სს) არქეოლოგიური ძეგლები საკმაოდ სუსტად არის გამოვლენილი. მაგრამ სწორედ

---

157 იქვე, 40—44; აქვეა სათანადო ლიტერატურა და ქუთაისის ტერიტორიიდან ცნობილი არქეოლოგიური მასალის მიმოხილვა; იხ. აგრეთვე, ა. ურუშაძე, ქუთაისი ბერძნულსა და რომაულ წყაროებში. სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავისადმი, ქუთაისი, 1971, 6—7, მისივე, საქართველოს უძველესი ქალაქი. „ძეგლის მეგობარი“, № 27—28, 1971, 17—20, იხ. აგრეთვე ვ. ჩაკვეტაძე, ქუთაისის ისტორიიდან. 1960, 17—36.

158 Г. А. Меликишвили, დასახ. ნაშრ., 296—283.

159 იქვე, 296—283.

ეს გარემოება უნდა მოწმობდეს, ჩვენი აზრით, კვლავ რაღაც მნიშვნელოვან ტეხილს აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიულ გეოგრაფიაში[160].

ნიშანდობლივი უნდა იყოს, რომ ხოვლეგორის ნამოსახლარი სწორედ ძვ. წ. IV ს-ში ასრულებს თავის ცხოვრებას. ამის ახსნა მხოლოდ იმით, რომ იგი ძალდატანებით იქნა დანგრეული[161], არ იქნებოდა სწორი (ხოვლეგორა ადრეც რამდენჯერმე ყოფილა განადგურებული), მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ დაზვერვების შედეგად მიღებული შთაბეჭდილებებით „გორათა" უმეტესობაზე სწორედ ეს ე. წ. „ანტიკური ხანა" არ ჩანს და „გორები", მაინცდამაინც ამ ხანაში მიუტოვებიათ[162]. გამოთქმულია მოსაზრება, რომ „სოციოლოგიური თვალსაზრისი ჩვენ იმის საშუალებასაც გვაძლევს, რომ ზოგადად ვუპასუხოთ კითხვას, თუ როდის დატოვა საზოგადოებამ გორა, როგორც საცხოვრებელი. ეს მოვლენა დაკავშირებულია უღრმეს საზოგადოებრივ ძვრებთან, გვაროვნული წყობილების

---

160 ზემოთქმული იმას როდი გულისხმობს, რომ ჩვენ არ ვითვალისწინებთ ამ პერიოდის ცნობილ არქეოლოგიურ მასალას. ასე მაგალითად, ელინისტური ხანის ფენები ცნობილია უფლისციხიდან (იხ. დ. ხახუტაიშვილი, უფლისციხე I, 1964, 56 და შემდ.; მისივე, უფლისციხე II, 1970, 76 და შემდ.), ურბნისიდან (იხ. ლ. ჭილაშვილი, ნაქალაქარი ურბნისი, 1964, 34—46), სამადლოდან (იხ. ი. გაგოშიძე, ქსნის არქეოლოგიური ექსპედიციის 1966—1967 წწ. მუშაობის მოკლე ანგარიში, სსმაე, I, 40—44; მისივე, ქსნის არქეოლოგიური ექსპედიციის 1968—69 წლების მუშაობის მოკლე ანგარიში, სსმაე, II, 53—58; მისივე, ქსნის არქეოლოგიური ექსპედიციის 1970 —1971 წლების მუშაობის მოკლე ანგარიში, სსმაე, III, 1974, 79—88; მისივე, Раскопки городища Самадло, ТД, 190—191) და სხვ. ე. წ. „ანტიკური ფენა" დადასტურებული იყო 1954—1955 წლების დაზვერვითი ექსპედიციებით შიდა ქართლის სხვადასხვა „გორებზე" (იხ. დ. მუსხელიშვილი. გ. ცქიტიშვილი, დასახ. ნაშრ., 193); ცნობილია სამაროვნებიც. მაგალითად, კამარახევში (იხ. რ. რამიშვილი, კამარახევის სამაროვანი, მსკა, II, 1959, 5—52) და სხვ.; უკანასკნელი ხანების აღმოჩენები იმედს იძლევა, რომ ეს უაღრესად საინტერესო პერიოდი, ბოლოს და ბოლოს, კარგად წარმოჩნდება არქეოლოგიური მასალით. მაგრამ სადღეისოდ ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისით, ვიმეორებთ, ჯერჯერობით ცოტა რამის თქმა შეიძლება (მხედველობაში მაქვს გათხრები კავთისხევში, სარკინეთში, ნასტაკისში. კავთისხევის და ნასტაკისის შესახებ. იხ. კრებული „საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1973 წელს". 1974, 41—4 და 54—9).

161 დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ხოვლეგორის განათხარი..., 8.

162 ამ თვალსაზრისით ფრიად ნიშანდობლივი ჩანს, რომ სამთავროს მრავალფენიან სამაროვანზე სწორედ ეს პერიოდი, ძვ. წ. V—III საუკუნეებს შორისი რაღაც მონაკვეთი, არ დასტურდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რღვევისა და კლასობრივი ურთიერთობის მოქმნის პროცესთან"[163].

ზემოთქმულის შემდეგ, ბუნებრივია, თუ „გორების" საბოლოოდ მიტოვებას და ქართლის სამეფოს წარმოქმნას, რაც ქრონოლოგიურად დაახლოებით ერთმანეთს ემთხვევა, ერთიანი დიდი პროცესის ურთიერთდაკავშირებულ მოვლენებად მივიჩნევთ.

რამდენადმე კონკრეტული სახით ამ დიდი ტეხილის წარმოდგენა ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისით, ჯერჯერობით, როგორც აღვნიშნეთ, შეუძლებელია, თუმცა საამისო ზოგიერთი საინტერესო მოსაზრება უკვე გამოთქმულია[164].

ქართული ეროვნული გადმოცემის მიხედვით, ქართლის პირველ მეფეს, ფარნავაზს, იმთავითვე ქართლის (ივერიის) მთელი ტერიტორია და დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი დაუპყრია (იხ. ქვემოთ).

რამდენად სწორია ეს გადმოცემა ძნელი სათქმელია. ყოველ შემთხვევაში, ქართლის სამეფოს წარმოქმნა ამოდენა ტერიტორიაზე ერთდროული აქტის სახით შესაძლებელია არც იყოს მართალი.

პირველი სახელმწიფოები, ჩვეულებრივ, წარმოიქმნებიან ტომთა დიდი გაერთიანებების დაშლის შედეგად, როგორც უარყოფა ტომთა ამ დიდი კავშირებისა, და ტერიტორიულადაც უფრო ნაკლები მოცულობისანი არიან. ისევე როგორც სხვაგან, უნდა ვიფიქროთ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე იმ დროს არსებობდა ერთდრულად სხვადასხვა დამოუკიდებელი „ჯეები" და წვრილი „სამეფოები" — „ჩვეულებრივი მოვლენა იმ პერიოდში, როდესაც ტომობრივი ერთიანობა იშლება, ხოლო მსხვილი სახელმწიფოებრივი გაერთიანება ჯერ არ შექმნილა"[165].

ქართული ისტორიული წყაროები და არქეოლოგიური მასალა იძლევა იმის საშუალებას, რომ სწორედ ასეთი მდგომარეობა ვივარაუდოთ ძვ. წ. V—IV საუკუნეებში აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე[166].

---

163 ნ. ბერძენიშვილი, ერთი ფურცელი..., 71, შენ. 8.

164 იხ. მაგალითად, ი. კიკვიძე, მორწყვა ძველ საქართველოში, 61—64, დ. ხახუტაიშვილი, იბერიის ქალაქთა ისტორიის საკითხები, 1966, 72 და შემდ., ო. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ქართლის სამეფო, 1968 14 და შემდ.

165 И. М. Дьяконов. История Мидии, 1956. 154.

166 ო. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ., 14—19, ნ. ლომოური, ქართლის (იბერიის) სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის, II სამეცნიერო სესია, 1966, II.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლაც, „მცხეთელ მეფეს“ საკმაო დრო უნდა დასჭირვებოდა იმისათვის, რომ მთელი „ქართლი“ თავისი ტახტის გარშემო შემოეკრიბა. შესაძლებელია, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ყველასათვის ცნობილი ადგილი ალექსანდრე მაკედონელის შესახებ, რომელმაც „იხილნა ნათესავნი სასტიკნი ბუნთურქნი მსხდომარენი მდინარესა ზ҃ა მტკუარსა: მიხუევით ოთხ ქ҃ლქდ და დაბნები მათნი: სარკინე ქ҃ლქი: კასპი: ურბნისი: და ოძრაჯ҃ და ციხენი მათნი: ციხ҃ დიდი სარიკნისაჲ უფლის ციხ҃ კასპისა: ურბნისისა და ოძრაჯისა:“[167] — სწორედ ასეთი წვრილი სახელმწიფოებრივი ერთეულების არსებობაზე მიგვითითებდეს.

ასეთ კონტექსტში ადვილად აიხსნება გაუგებარი „უფლისციხ҃ კასპისა“: რამდენადაც კასპი ცალკე, დამოუკიდებელი ერთეული იყო, უფლისციხე ამ ერთეულის „უფლის ციხედ“ იგულისხმება. მეორე მხრივ, თუ ასეთ ვარაუდს დავუშვებთ, შესაძლებელია, გასაგები გახდეს იმავე წყაროს მეორე ცნობაც: „მეფობდა არსუკ: რ҃ნ კასპი შეიპყრა: და უ҃ლის ციხე: განაგო“[168]. ე. ი. „მცხეთელ მეფეს“ კასპის „შეპყრობა“ დასჭირვებია[169]. მართალია, ეს ცნობა ძვ. წ. 1 საუკუნისა უნდა იყოს და, თუ ეს სწორია, მაშინ ძნელია დავუშვათ, რომ ამ დრომდე კასპი უფლისციხით არ შემოდიოდა ქართლის სამეფოში. მაგრამ, შესაძლებელია, ეს მეორადი მოვლენა იყოს, რომელიც ძველი მდგომარეობის რეპლიკას წარმოადგენს.

ფრიად საინტერესოა ამავე წყაროს კიდევ ერთი ცნობა, რომელიც IV საუკუნის პირველ ნახევარს, მირიანის მეფობის დროს ეხება. მხედველობაში გვაქვს ეპიზოდი „ცეცხლის ჯვრისაგან“ ვარსკვლავთა ამოსვლის შესახებ, რომელთაგან ერთი გაემართა აღმოსავლეთისაკენ, ხოლო მეორე — დასავლეთისაკენ. იმის გასაგებად, თუ საით მიდიოდნენ ისინი, წმინდა ნინო ეუბნება მირიანს: „გ ა ნ ა ვ ლ ი ნ ე ნ ი თ კ ა ც ნ ი მთათა ზ҃ა: მაღალთა აღმოსავალად: ვ҃ე

---

[167] Е. Такайшвили, Описание рукописей «Общества распространения грамотности среди грузинского населения», т. II, вып. 4. Тифлис, 1906—1912, 708 (ქვემოთ: OP).

[168] OP, 709.

[169] ამ ცნობათა სხვაგვარი ინტერპრეტაციისათვის იხ. Г. А. Меликишвили, დასახ. ნაშრ., 440, შენ. 1; დ. ხუციშვილი, დასახ. ნაშრ., 90—91, და 101, შენ. 152.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კახეთისა მთამდჱ: და დასავლით; ვᲬᲔ მიაღწევდეს სამეუფოჲ შᲬᲜᲘ: და ოდეს... იხილონ თუ სადა დადგენ: და მუნცა აღჰმართენ ითორნი ესე ᲯᲬᲠᲜᲘ... მოვიდეს დასავალითნი იგი (კაცნი, რომელნიც მეფემ გააგზავნა აქეთკენ წასული ვარსკვლავის სანახავად, დ. მ).ᲠᲜᲘ დგეს მთათა ᲗᲠᲐ: ᲠᲬᲚ არს მთაჲ ქუაბთა თავისაჲ (დღევანდელი შიომღვიმის გამოქვაბულებიანი მთა დ. მ.)[170] და უთხრეს მეფესა ᲕᲬᲓ დაადგრა ვარსკულავი იგი მთათა თხოთისათა (მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მდ. რეხულასა და მდ. ქსანს შორის გაწოლილ წლევ-თხოთის მასივის აღმოსავლეთი ნაწილი)[171] და შთავიდა ყრგუს (sic) და კასპისასა და დაადგრა ადგილსა ერთსა"[172]. ჰელიშური ვარიანტი საინტერესო დეტალს უმატებს: „გამოვიდა ვარსკვლავი იგი აღიმაღლა და მიიწია მთᲬᲗᲐ ᲗᲠᲐ თხოთისათა. გარდასვლასა ნიასპისსა (sic). და დადგა ადგილსა ერთსა"[173]. ჩვენი აზრით, ორივე ვარიანტის შერყვნილი ადგილი ერთსა და იმავეს უნდა გულისხმობდეს: „გარდასავალსა კასპისასა" და იგი შესაძლებელია იმ უნაგირის აღმნიშვნელი იყოს, რომელიც ჰყოფს ორად წლევ-თხოთის მასივს და დღესაც „უღელტეხილი"[174] (ანუ იგივე ძველქართული „გარდასავალი") ეწოდება.

მას შემდეგ, რაც ვარსკვლავის „დადგრომის" ადგილი ნახეს, პირობისამებრ, „მაშინ ბრძანა ნეტარმან ნინო: რᲬა წარიხუნენ ორნი ესე ᲯᲠᲬᲜᲘ: და აღმართნენ ერთი თხოთს: სადა იგი ამხილა ღᲬ მეფესა: ძალი თᲕსი".[175] და, მემატიანის სიტყვით, ასეც გაუკეთებიათ.

ზემომოტანილი ამონაწერიდან ცხადად ჩანს, რომ მირიან მეფის „სამეუფოჲ" დასავლეთით „მთადმდე ქუაბთა თავისა" ანდა, მაინცდამაინც, „მთათადმდე თხოთისათა" უწევდა, ხოლო ამის იქით უკვე სხვისი „სამეუფოჲ" იყო. კონტექსტიდან აშკარად ჩანს აგრეთ-

---

170 იხ. დ. მუსხელიშვილი, ქობთავის გამოქვაბულები. კრებულში „საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები", ტ. I, 1963, 149.

171 იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1948, 16; ლ. მარუაშვილი, საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, II, 221—222.

172 OP, 790.

173 OP, 790.

174 ლ. მარუაშვილი, დასახ. ნაშრ., 222.

175 OP, 791.

ვე, რომ ეს უკანასკნელი „კასპის სასპასალარო“ უნდა ყოფილიყო[176].

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართალია, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ კონტექსტში „სამეუფოჲ“ მეფის საკუთარ სამფლობელოს, მეფის დომენს აღნიშნავს[177], მაგრამ ეს საქმის არსებით მხარეს არ ცვლის: თხოთის მთის იქით IV ს-ის პირველ ნახევარში „სამეფო ქუეყანა“ (გვიანდელი ტერმინოლოგიით) აღარ იყო და, კერძოდ, ქალაქ კასპის „ქუეყანა“ უნდა ყოფილიყო, რომელიც, ამჯერად, ქართლის სამეფოში შემოდიოდა მისი ერთ-ერთი ადმინისტრაციული ერთეულის (სასპასალარო?) სახით, მაგრამ ძველად დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ ორგანიზმს წარმოადგენდა ისევე, როგორც „მცხეთის სამამასახლისო“ და სხვ.

ასეთი წვრილი პოლიტიკური ერთეულები ძვ. წ. VI—V საუკუნეებში, როგორც აღვნიშნეთ, არაერთი უნდა ყოფილიყო[178] და IV—III საუკუნეთა მიჯნაზე ფარნავაზის, მცხეთელი მამასახლისის მემკვიდრის, უდიდესი ისტორიული მისია ის იყო, რომ მან ეს ცალკეული სახელმწიფოებრივი ორგანიზმები ერთ მთლიან ეროვნულ სახელმწიფოდ აქცია.

---

176 ქალაქ კასპის სპასალარი ცნობილია V საუკუნეში, იხ. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I, 1955, 143 (ქვემოთ: ქ<ცა).

177 მეფის დომენი ამ დროს იგივე მცხეთის „ქუეყანაა“. აღვნიშნავთ ლეონტი მროველის გლოსას, რომელიც საინტერესოა ამ თვალსაზრისით. ვარსკელავთა ამბის გადმოცემისას ლეონტი მროველი უეჭველად „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ტექსტით სარგებლობს, მაგრამ კაცთა გაგზავნის ეპიზოდს ასეთი ვარიანტით გვაწვდის: „განავლინენით კაცნი მთათა ზედა მაღალთა აღმოსავლით ვიდრე კახეთის მთამდე და დასავალით ვ ი დ რ ე ს ა ნ ა ხ ე ბ ა მ დ ე ა მ ი ს ქ ა ლ ა ქ ი ს ა“ (ქ<ცა I, 120—121). არსებითად აქ სხვა სიტყვებით იგივეა ნათქვამი, რამდენადაც „სამეფო ქუეყანა“ იგივე მცხეთის „ქალაქისა ამის სანახები“ იყო. მაგრამ საინტერესო აქ ის არის, რომ ეტყობა XI ს-ს ისტორიკოსი დაუფიქრებია მატიანეს ძველ ცნობას „სამეფოს“ საზღვართა შესახებ და ამიტომ მისი დროისთვის უფრო გასაგები აზრით გადმოიტანა იგი თავის თხზულებაში. საინტერესოა ისიც, რომ ქ<ცა სწორად კითხულობს: „გარდასავალსა ზედა კასპისასა“.

178 ოთ. ლორთქიფანიძის აზრით, მაგალითად, ასეთ დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულებს წარმოადგენდნენ უფრო გვიანდელი, ფარნავაზისეული საერისთავოები. მისი ვარაუდით, „ფარნავაზის მიერ ქვეყნის საერისთავოებად დაყოფა, არსებითად, უკვე შექმნილი ვითარების ან ისტორიულად ჩამოყალიბებული პოლიტიკური ერთეულების ერთიან სახელმწიფოში გაერთიანების იურიდიული აღიარება იყო“ (იხ. მისი, ანტიკური სამყარო და ქართლის სამეფო, 15).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ფარგლებს მოიცავდა ახლადჩამოყალიბებული ქართლის სამეფო?

საამისო ცნობებს კანტი-კუნტად გვაწვდიან ანტიკური ხანის ბერძენ-ლათინი ისტორიკოსები და გეოგრაფები. მათი ეს ჩვენებები უკვე შესწავლილია მონოგრაფიულად[179]: კერძოდ, დადგენილია, რომ „ეს ცნობები, თუმცა ისინი ამჟამად დაცულია სხვადასხვა დროის ანტიკურ ავტორებთან, დადის, თავისი წარმოშობით, პომპეუსის თანამგზავრი მწერლების მოთხრობასა და რომაულს უმთავრესად ოფიციალურ წყაროებამდე“[180]

ირკვევა, რომ ჩვენს წყაროებში შემორჩენილი სათანადო ტრადიცია (იხ. ქვემოთ) ძირითადად სწორია: ჩრდილოეთის საზღვარი კავკასიონის ქედზე გადიოდა და გარკვეული ტერიტორია მის გადაღმა (მაინცდამაინც, დღევანდელი ხევი დარიალის ციხითურთ) ძვ. წ. I ს-ში მაინც უკვე ქართლში შემოდიოდა. დასავლეთის საზღვარი კოლხეთთან იმავე საუკუნეში სკანდა-შორაპნის ხაზზე გადიოდა[181].

რაც შეეხება აღმოსავლეთის საზღვარს, იგი იწყებოდა ქალაქ ხუნანთან დაახლოებით (დღ. ძეგამ-ჩაის მტკვართან შერთვის ადგილას. ამის შესახებ, ქვემოთ) და რუსთავამდე მტკვარს უნდა გაჰყოლოდა. აქედან უხვევდა ჩრდილოეთით ალაზნამდე და შემდეგ ალაზნის ზემო წელის აყოლებით კავკასიონს ადგებოდა[182]. უძველეს ხანაშივე, დროთა განმავლობაში აღმოსავლეთის საზღვარი თანდათან, მაგრამ განუხრელად აღმოსავლეთისაკენ იწევდა[183].

სამხრეთი საზღვრის მიმართ საწინააღმდეგო მოვლენა დასტურდება: „მცხეთის სამეფოს პოლიტიკური საზღვრების ისტორიას უძველეს ხანაში ახასიათებს საერთო ძლიერი ტენდენცია სამეფოს ტერიტორიის შეკვეცისა სამხრეთიდან“[184].

მართლაც, სტრაბონის ცნობილი ჩვენების მიხედვით (XI, 14,5) ძვ. წ. II ს-ის დასაწყისში სომხებს ივერიისაგან მიუტაციათ „პარიადრეს კალთები, ხორზენე და გოგარენე, რომელიც მტკვრის გა-

---

179 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, იბერიის (ქართლის) სამეფოს პოლიტიკური გეოგრაფიისათვის უძველეს პერიოდში, შრომები, II, 249—258.

180 იქვე, 250—251.

181 იქვე, 253.

182 დ. მუსხელიშვილი, ციხე-ქალაქი, უჯარმა, 1966, 15.

183 იქვე, 28 და შემდ.

184 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, დასახ. ნაშრ., 250.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დალია არის"[185]. გოგარენე ანუ სომხური წყაროების გუგარქი, რომელიც
გორც ქვემოთ დავრწმუნდებით, მთელ ქვემო ქართლს მოიცავდა
დებედას ხეობითურთ. ამავე დროს გუგარქში მდებარეობდა და მას
აღმოსავლეთიდან საზღვრავდა ჰნარაკერტის ანუ იგივე ქართული
ხუხანის ციხე. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ ძვ. წ. III ს-ში
ქართლის სამეფოს სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვარი მდ. ძეგამ-
ჩაის, ქართული წყაროების ბერდუჯის, ხეობაზე გადიოდა მის სათა-
ვეებამდე, ხოლო აქედან დაწყებული ქართლ-სომხეთის საზღვარი
მტკვარ-არაქსის წყალგამყოფს გასდევდა მტკვრის სათავეებამდე.

მტკვრის სათავეებიც და ჭოროხის აუზიც იმ დროს ქართლის
სამეფოში იყო. საქმე ის არის, დიდი ხანია, რაც შენიშნულია, რომ
პარიადრის მთიანეთი უნდა იყოს ტერიტორია გვიანდელი ტაოსი
და სპერისა[186] და რომ პარხალის მთები (დღ. ლაზისტანის ქედი)
ანახავდეს სტრაბონისეული პარიადრის ქედის სახელწოდებას[187].

ჩვენ შეგვიძლია კიდევ უფრო დავაზუსტოთ, კერძოდ, ხორზ-
ენეს ლოკალიზაცია. II ს-ის ბერძენი ისტორიკოსი აპიანე (მითრ.
101) მოგვითხრობს, რომ ძვ. წ. 66 წ. მითრიდატე პონტოელი „საჩ-
ქაროდ გაეშურა ევფრატის სათავეებისაკენ, რათა იქიდან კოლხეთ-
ში გადასულიყო. შეუჩერებელი სვლით იგი მეოთხე დღეს გავიდა
ევფრატში... შეიჭრა ხოტენეს არმენიაში, უკუაგდო ხოტენელები
და იბერები, რომელნიც ცდილობდნენ მის შეჩერებას ისრებითა
და ქვებით და მივიდა მდინარე აფსართან"[188].

კონტექსტიდან აშკარაა, რომ ხოტენე, რომელიც სომხეთს ეკუ-
თვნის, არის დაახლოებით ევფრატის სათავესა და ჭოროხს (აფსარს)
შორის მდებარე ქვეყანა. მეორე მხრივ, აპიანეს ცნობის სტრაბონის
ცნობებთან (XI, 14,5 და XII, 3,28) შეთანაპირებისა და აგრეთვე
ბერძნული პალეოგრაფიის ნიადაგზე აშკარა ხდება, რომ აპიანეს ხო-
ტენე არის იგივე სტრაბონის ხორზენე[189], რომელიც მის დროს
შართლაც, სომხებს ეპყრათ. რამდენადაც ევფრატის სათავესა და
ჭოროხს შუა ტერიტორია par excellence ტაოს წარმოად-

---

185 თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი. სტრაბონის გეოგრაფია, 1957, 189.

186 Н. А д о н ц, Армения в эпоху Юстиниана, 1908, 395.

187 იქვე, 62.

188 მომყავს ს. ჯანაშიას თარგმანით, იხ. მისი შრომები, II, 90.

189 იქვე, 91—92. აზრი ამ ორი ტერმინის იგივეობის შესახებ გამოთქმული ჰქონია უკვე თ. რეინაკს, იხ. Th. Reinach, Mithridate Eupator roi de Pont, 1890, London, გვ. 389; შდ. Г. Л о р д к и п а н и д з е, Некоторые вопросы истории Колхиды II—I вв. до н. э., „მაცნე", 2, 1965, 123.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენს, ამიტომ ცხადია, რომ ხორზენე, მაინცდამაინც, ამ ტერიტორიას გულისხმობს, ჭოროხისა და მტკვრის სათავეებიანად, რასაც აქ დამოწმებული ტოპონიმი „ხორზიანის ველი“ მეტყველებს. ხოტენე||ხორზენეში ივერიელების ყოფნა და მათი ბრძოლა მითრიდატესთან იმას უნდა გულისხმობდეს, რომ ისინი ამ პროვინციას თავისად თვლიდნენ[190].

ამგვარად ირკვევა, რომ არამცთუ მტკვრის მთელი აუზი (ალვანეთის საზღვრამდე), არამედ ჭოროხის მთელი აუზიც ქართლის სამეფოში შემოდიოდა და სახელმწიფო საზღვარი სამხრეთ-დასავლეთით ჭოროხ-მტკვრისა, ერთი მხრივ, და ევფრატ-არაქსის, მეორე მხრივ, წყალგამყოფზე გადიოდა.

ასეთი ვითარება მოწმდება სხვა მხრივაც.

სტრაბონს (I 3,21) დაცული აქვს კიდევ ერთი ცნობა, რომელსაც იგი აპოლოდორეს მიაწერს: ივერიელები „აპოლოდორეს მტკიცების თანახმად, არმენიას ესაზღვრებიან არაქსით, უფრო კი მტკვრით და მოსხური მთებით“[191]. ჩვეულებრივ ვარაუდობენ, რომ აქ ორი სხვადასხვა დროის ვითარების ამსახველ ჩვენებასთან გვაქვს საქმე[192]: აპოლოდორეს დროს (ძვ. წ. II ს. მეორე ნახევარი) საზღვარი არაქსზე (ალბათ, მის ზემო წელზე) გადის, ხოლო სტრაბონის დროს (ძვ. წ. I ს.) — მოსხურ მთებზე და მტკვარზე (აგრეთვე ალბათ, მის სათავეებზე).

მოსხური მთების იდენტიფიკაცია, როგორც დღევანდელი ლაზისტანის ქედისა[193], არ უნდა იყოს სწორი. საქმე ის არის, რომ ეს ქედი, რომელიც რკალისებურად გასდევს პარალელურად შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაპირს და ჭანეთს (დღ. ლაზისტანს)

---

190 ჭოროხის სათავეებშიც შემონახულია ხოტენესთან დაკავშირებული ტოპონიმიკა, იხ. ს. ჯანაშია, იქვე, 93—94; არ არის სწორი ხორზენეს გაიგივება არტაანთან, იხ. Հ. Մանանդյան, Քննական տեքստ հայ ժողովրդի պատմության, Երևան, 1957, 307.

აპიანესეული „ხოტენეს არმენია“ რომ, ფაქტიურად, ივერიის პროვინცია იყო, ეს მოწმდება იოსებ ფლავიუსის ცნობით მითრიდატის ივერიაში გაქცევის შესახებ (Antiquit, XIII, 16, 4). შდ. Г. Лордкипанидзе, დასახ. ნაშრ. 123—124. ესეც მოწმობს ხოტენე II ხორზენეს იგივეობას. (ფლავიუსის ცნობა ციტირებულია გ. ლორთქიფანიძის ნაშრომის მიხედვით).

191 თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ. 81.

192 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, დასახ. ნაშრ., 254; Г. А. Меликишвили, დასახ. ნაშრ., 137.

193 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, დასახ. ნაშრ., 266.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოჰყოფს ჭოროხის აუზისაგან, არასოდეს არ იყო და არც შეიძ-
ლება ყოფილიყო საზღვარი ივერიასა და სომხეთს შორის, რადგან
იგი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან საზღვრავდა მთლიანად ჭანეთსა და
ყველა ეპოქაში იგი მხოლოდ ჭანეთის და რომელიმე სხვა ქვეყნის
(ივერიის ან სომხეთის) საზღვარი შეიძლება ყოფილიყო.

სტრაბონის ერთი ცნობის მიხედვით (IX, 2,1), სრულიად აშკა-
რაა, რომ მისი „მოსხების მთები" აღნიშნავს დღევანდელ მესხეთის
ანუ აჭარა-იმერეთის ქედს. წყაროში აღნიშნულია, რომ „ჰენიოხე-
ბის შემდეგ მდებარეობს კოლხიდა კავკასიონისა და მოსხების მთე-
ბის ქვემოთ"[194]. ე. ი. კონტექსტი ისეთია, რომ კავკასიონსა და მოს-
ხების მთებს შორისაა კოლხეთი და, რა თქმა უნდა, აქ ყველაზე
ბუნებრივია სწორედ დღევანდელი მესხეთის ქედი (კავკასიონის სა-
პირისპირო) ვიგულისხმოთ.

მაგრამ სტრაბონისავე მეორე ჩვენებით (XII, 12,4), ეს სრუ-
ლიად გამორიცხულია, რამდენადაც აქ უკვე „მოსხების მთები
(სხვებთან ერთად, დ. მ.)... გარს ერტყმიან მთელ არმენიას იბერე-
ბამდე და ალბანებამდე"[195]. რამდენადაც სომხეთი არც ამ დროს და
არც რომელიმე სხვა დროს მესხეთის ქედამდე არ აღწევდა, ამიტომ
ცხადია, რომ აქ რომელიღაც სხვა მთების სისტემა იგულისხმება.

ბუნებრივია, „მოსხების მთები" ეწოდებოდა ქედს, რომელიც
მოსხების ანუ მესხების განსახლების ტერიტორიასთან იყო დაკავ-
შირებული, უკეთ, რომელიმე მხრიდან საზღვრავდა ამ ტერიტორია-
ს (შდ. დღევანდელი მესხეთის ქედი, რომელიც საზღვრავს სამცხეს
და აჭარას დას. საქართველოსაგან!). მართლაც, ჩვენ გვაქვს პომ-
პონიუს მელას (III, 3, 109) პირდაპირი ცნობა, რომ „სხვა ადგი-
ლებში (ამ მთებს, დ. მ.)ეწოდება ტავრის, მოსხური, ამაზონების,
კასპიის, კორაქსიული და კავკასიური: როგორც ემხრობიან ისინი
ამა თუ იმ ხალხს, ასევე ეწოდებათ ესა თუ ის სახელი"[196]. ასეთ
ვითარებაში გასაკვირი არ უნდა იყოს, თუ „მოსხების მთები" ეწო-
დებოდა სხვადასხვა ქედს, მთების მთელ სისტემას, რომლებიც
სხვადასხვა მხრიდან საზღვრავდნენ მოსხთა ტერიტორიას, მესხეთს.

---

194 თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ. III, რუსული თარგმანი უფრო ნი-
შანდობლივია: «...Колхида, лежащая у подошвы *Кавказских и Мосхийских
гор». იხ. Страбон, География, 1964; შდ. სტრაბონის მეორე ცნობა (XII, 3, 18).

195 თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., 174.

196 ВДИ, 1, 1949, 174.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ტერიტორიაა სტრაბონისეული „მოსხიკე“ ანუ მესხეთი? სტრაბონის ცნობის თანახმად (XI, 2, 18), „მოსხების ქვეყანა... სამ ნაწილს შეიცავს: ერთი მისი ნაწილი აქვთ კოლხებს, მეორე იბერებს და მესამე არმენიელებს“[197]. უეჭველი უნდა იყოს ერთი რამ: გვიანდელი სამცხე, საკუთრივ მესხების პირველსაცხოვრისი, უნდა შესულიყო სტრაბონისეული „მოსხიკეს“ ცნებაში და თანაც „მოსხების ქვეყნის“ ის ნაწილი უნდა ყოფილიყო, რომელიც ქართლის წილს შეადგენდა. მეორე მხრივ, რადგან სტრაბონთანვე „მოსხების მთები“ ზოგჯერ დღევანდელ მესხეთის ქედს ნიშნავს, ცხადია, იგივე სამცხე და აჭარაც „მოსხიკეს“ შემადგენელი თემებია და რამდენადაც სამცხე ქართლშია საგულისხმო, ამდენადვე აჭარა კოლხეთის წილი უნდა ყოფილიყო. დაბოლოს, ჩვენ ვიცით, რომ სომხებმა ძვ. წ. II ს-ის დასაწყისში ქართლისაგან მიიერთეს პარიადრის კალთები, ე. ი. მთიანეთი და ხორზენე. ეჭვი არ არის სტრაბონისეული „მოსხიკეს“ სომხური ნაწილი სწორედ ეს ქვეყნებია, ე. ი. ტაო ჭოროხის სათავეებითურთ და მტკვრის სათავით (ხორზენე||ხოტენე) და სპერი (პარხალ-ლაზისტანის ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთი მთიანეთი).[198]

რადგან ტაო და კოლა იგივე ხოტენე||ხორზენეა, ხოლო ეს უკანასკნელი სომხეთის უკიდურესი ჩრდილოური თემია და თან კოლხეთის მოსაზღვრე (სტრაბონი, XI, 14,4)[199], ამიტომ, ცხადია, კლარჯეთი და არტაან-ჯავახეთი სომხეთს არ ეკუთვნის, მაგრამ უეჭველია, ისინიც შედიან სტრაბონისეული „მოსხიკეს“ ფარგლებში.

---

[197] თ. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრ., 125.

[198] პარიადრის მთები სტრაბონთან, როგორც ჩანს, ეწოდება ე. წ. პონტოს მთავრეხილს, რომელიც იწყება მდ. იეშილ-ირმაკის შესართავთან და მთავრდება ჭოროხის შესართავთან (იხ. Г. Н. Стебницкий, Понтийский хребет, Т. 1881). ეს მთავრეხილი, რომელიც ზღვის სანაპიროს გასდევს, შესდგება შემდეგი ქედების ჯაჭვისაგან: ჯანიკის, გირესუნის, გუმუშანეს, ტრაბზონის, ლაზისტანის. საკუთრივ პარიადრი იყო ჯანიკ-გუმუშანეს ქედი (სტრაბონი, XI, 2, 15; XII, 3, 18; XII, 3, 30; იხ. ს. ჯანაშია დასახ. ნაშრ., 266), სკიდისი—გუმუშანეს, ტრაბზონის და ლაზისტანის ქედები (XI, 2, 12; XI, 14, I; XII, 3, 18. იხ. ს. ჯანაშია, იქვე). რომ სკიდისს ზოგადად პარიადრიც ეწოდებოდა, ეს ჩანს სტრაბონის ორი ზემოაღნიშნული ადგილის შეთანაპირებიდან (XII, 3, 18 და XII, 3, 28) და იქიდანაც, რომ პარხალ II პარხარი მართლაც უნდა უკავშირდებოდეს სტრაბონისეულ პარიადრ II პარახოატრას. ამ მთების შესახებ. იხ. აგრეთვე. C. Toumanoff, Studies in christian caucasian history, 1963, 450—451.

[199] თ. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრ., 188.

ანგვარად, სტრაბონის „მოსხიკე“ მოიცავდა მტკვრის ზემო წელს და ჭოროხის აუზს[200]. აქედან მის დროს სპერი, ტაო და კოლა სომხეთს მიეერთებინა, შავშეთ-კლარჯეთი და აჭარა—კოლხეთს, ხოლო არტაან-ჯავახეთი და სამცხე ქართლს დარჩენოდა. რომ არტაანი, მართლაც, ქართლში უნდა ყოფილიყო, ამას სტრაბონის კიდევ ერთი ცნობა მოწმობს, რომ სომხეთში მხოლოდ მტკვრის სათავეებია (XI, 3, 1)[201] ანუ კოლას პროვინცია, იგივე ხორზენე.

ახლა შეიძლება დავუბრუნდეთ „მოსხების მთების“ საკითხს. თვით სტრაბონის ჩვენება, რომ საზღვარი ეეერიისა სომხეთთან მტკვარზე და მოსხურ მთებზე გადის, ბუნებრივად, ამ ორ ორიენტირს ერთმანეთთან აკავშირებს და რამდენადაც, ზემოთქმულის შემდეგ, ცხადია, აქ მტკვრის სათავეებზეა ლაპარაკი, გამოდის, რომ „მოსხური მთები“ მტკვრის სათავეებთან არის დაკავშირებული. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, თუ „მოსხების მთებად“ ვივარაუდებთ იმ მთაგრეხილს, რომელიც „მოსხიკეს“, მესხების ქვეყანას, სამხრეთიდან ანუ სომხეთისაგან, საზღვრავდა. მართლაც, ჩვენ აკი ვიცით, იმავე სტრაბონისაგან, რომ „მოსხების მთები... გარს ერტყმიან მთელ არმენიას იბერებამდე“ (XII, 12,4), ე. ი. აქ იგულისხმება ის მთაგრეხილი, რომელიც სომხეთს გამოჰყოფს პირველ რიგში სწორედ მესხეთისაგან და რადგან მესხეთის ტერიტორია ამ დროს მტკვრის ზემო წელს და ჭოროხის აუზს მოიცავდა, ამიტომ ბუნებრივია ვივარაუდოთ: სტრაბონის „მოსხების მთები“ ამ შემთხვევაში გულისხმობს ჭოროხ-მტკვრის აუზის, ერთი მხრივ, და ევფრატ-არაქსის, მეორე მხრივ, წყალგამყოფს. რომ ეს ასეა, ამას მოწმობენ სხვა ანტიკური წყაროებიც და აგრეთვე ქართული ეროვნული ტრადიცია შემონახული ვახუშტი ბაგრატიონთან[202].

ამის დასამტკიცებლად ჩვენ კიდევ ერთ ანტიკურ წყაროს მოვიშველიებთ.

კლავდიოს პტოლემაიოსი თავის „გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში“ აღნიშნავს: „მდინარეების ევფრატს, კიროსსა და არაქსს შორის მდებარე არმენიის ნაწილში შემდეგი ოლქებია: მოსხურ

---

200 შდ. ნ. ხაზარაძე, Μοσχική („მოსხების ქვეყნის“) შესახებ სტრაბონის ზოგიერთი ცნობის ინტერპრეტაციისთვის, XVII სამეცნიერო სესია, 8—9.

201 თ. ყაუხჩიშვილი, იქვე, 127.

202 პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 1954, 429—430, 484—485; ნ. ხაზარაძე, ვახუშტი ბატონიშვილი და მოსხური მთების მდებარეობის საკითხი, XXI სამეცნიერო სესია, 8—9, იხ. აგრეთვე, ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, 121, სქოლიო.

მთებთან — კატარძენე, ე. წ. ბოხების ზევით"[203]. ეს ცნობა ... ვის საინტერესო საკითხისათვის უკვე გამოყენებულია და სწორი დასკვნაცაა მიღებული[204], მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ იმავე მიზნისთვის მისი სხვაგვარი ინტერპრეტაცია შეიძლება.

ჯერ ერთი, ეს ცნობა სრულიად მხოლოდ ზოგადად მიგვითითებს, რომ მოსხური მთები ისინია, რომლებიც კიროსს (მტკვარს), ევფრატს და არაქსს შორისაა, ე. ი. აქ იგულისხმება, მაინცდამაინც, ამ მდინარეთა სათავეების წყალგამყოფი. მეორე, რაც ჩვენს ყურადღებას იპყრობს, არის ამ მთებთან მდებარე ქვეყანა — კატარძენე. პტოლემაიოსის თხზულების ზოგიერთ ხელნაწერში აქ „კორაძენე" იკითხება, რაც ჩვენ უფრო სწორად მიგვაჩნია, რადგან ეს უნდა იყოს იგივე სტრაბონისეული ხორზენე, რომელიც, როგორც ვიცით, მართლაც მოსხურ მთებთან მდებარეობდა.

ზემოთქმულის შემდეგ უნდა დავასკვნათ, რომ სტრაბონთან სახელწოდება „მოსხების მთები" მიემართება ქედების ორ სისტემას, რომელთაგან ერთი მესხეთს საზღვრავდა ჩრდილოეთიდან და მიჯნავდა კოლხეთისაგან (დღ. მესხეთის ანუ აჭარა-იმერეთის ქედი), ხოლო მეორე — სამხრეთიდან და მიჯნავდა მას სომხეთისაგან. ასეთ ვითარებაში უნდა ვივარაუდოთ, რომ იმ ცნობაში, რომელიც მას აპოლოდორესთან დაკავშირებით მოაქვს, მოსხების მთებით იგი არა თანადროულ საზღვარს აღნიშნავს ქართლ-სომხეთისას, არამედ სწორედ ძვ. წ. III საუკუნისას, როდესაც ხორზენე და პარიადრის მთიანეთი, ე. ი. ჭოროხის მთელი აუზი, ქართლის სამეფოში შემოდიოდა.

ამგვარად, ფარნავაზის დროინდელი ქართლის სამხრეთი საზღვარი მტკვარ-არაქსის წყალგამყოფზე გადიოდა, ხოლო უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთით — ჭოროხ-ევფრატის წყალგამყოფზე (იხ. რუკა I).

ქართული ეროვნული ტრადიციის თანახმად, მას შემდეგ, რაც ფარნავაზმა თავისი ხელისუფლება მთელს ქართლზე განავრცო („ხუნანიდან ვიდრე ზღუამდე სპერისა") და დასავლეთი საქართველო, კოლხეთიც, შეიერთა, მთელი ეს ტერიტორია საერისთავოებად დაუყვია. ესენია: მარგვის, კახეთის, ხუნანის, სამშვილდის, წუნ-

---

[203] ნ. ლ ო მ ო ურ ი, კლავდიოს პტოლემაიოსი, „გეოგრაფიული სახელმძღვანელო", ცნობები საქართველოს შესახებ, მსკი, 32, 1955, 49.

[204] იხ. პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრ., იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის, ოძრაჯის, კლარჯეთის და ეგრისის საერისთავოები. შიდა ქართ-
ლის გამგებლად სპასპეტი დაინიშნა[205].

ქრონოლოგიის თვალსაზრისით, ლეონტი მროველის ეს ცნობა ერთგვარი მოდერნიზაციის შთაბეჭდილებას სტოვებს, თუმცა არ არის გამორიცხული, იგი რეალურ-ისტორიული იყოს.

როგორც ზემოთ წარმოდგენილი ამდროინდელი ისტორიულ-გეოგრაფიული სიტუაცია უნდა მოწმობდეს, ძვ. წ. III ს-ში რეალური ისტორიულ-გეოგრაფიული ერთეული უნდა ყოფილიყო „ჯევი". ასე რჩებოდა შემდეგაც, ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ამიტომ არის, რომ გვიანდელ ქართულ წყაროებში, რომლებიც ამ პერიოდს ასახავენ, არაერთხელ გვხვდება ცალკეული ასეთი „ჯევი" და თვით ქართლიც მათ კრებულად იგულისხმება: „ყოველნი ჯევნი ქართლისანი"[206]. მართლაც, მაგალითად, „ქართლის ცხოვრება" არა ერთ ასეთ „ჯევს" იცნობს. ესენია ხევები: კახეთისა[207], კლარჯეთისა, შავშეთისა, ნიგალისა[208], სამცხისა, არტანისა[209] და სხვ. ამგვარი მაგალითების გამრავლება სხვა წყაროებითაც შეიძლება. მართალია, ზემოაღნიშნულ ხევთა უმეტესობა დიდ მხარეებს გულისხმობს, მაგრამ ეს თვით ამ ტერმინის, სოციალური განვითარების გამო, გვიანდელი მეტამორფოზის შედეგია, თორემ თავდაპირველად იგი, უეჭველია, გაცილებით მცირე ტერიტორიულ ერთეულს მოიცავდა. ასე მაგალითად, იმავე წყაროში იგივე „ჯევი კახეთისა" მოიცავდა „ჯევსა ლოპოტისასა", „უჯარმისა ჯევსა"[210] და ბევრ სხვასაც. დღემდე შემორჩენილი ტოპონიმიკაც ამის მაუწყებელია: მეჯვრისხევი (მეჯუდისხევი), თეძმისხევი, კავთისხევი, კისისხევი და სხვ. და სხვ.

ამგვარად, თუ უძველეს ქართულ ისტორიულ-გეოგრაფიულ ტერმინოლოგიას მოვიშველიებთ, როდესაც „სოფელი" იხმარებო-

---

[205] ივ. ჯავახიშვილი ამ ცნობას სასანიანთა ხანის შესაფერისად თვლის (იხ. მისი ქართული სამართლის ისტორია, I, 1928, 155; II, 1929, 209). გ. მელიქიშვილიც ასეთ ვითარებას საერთოდ ანტიკური ხანის შესაბამისად ვარაუდობს და არა ძვ. წ. III ს-ად (იხ. მისი, К истории..., 290); ო. ლორთქიფანიძე, როგორც ვიცით, ამას რეალურ ფაქტად თვლის და არსებული ვითარების იურიდიულ აღიარებად მიაჩნია (იხ. ზემოთ).

[206] ქ-ცა, I, 205.

[207] იქვე, 136.

[208] იქვე, 378.

[209] იქვე, 379.

[210] იქვე, 200.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დღევანდელი „ქვეყნის“ მნიშვნელობით, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ „სოფელი ქართლისა“[211] წარმოადგენდა კრებულს „ჰევთა ქართლისათა“.

უცხოური, კერძოდ კი, ბერძნულ-ლათინური ტრადიცია ქართლის სახელმწიფოს, როგორც ცნობილია, „იბერიის“ ანუ „ივერიის“ სახელწოდებით იცნობს და „იბერიელებს“ ანუ „ივერიელებს“ სწორედ ქართველებს უწოდებს. „ქართლის სამეფო“ რომ ქართველთა შენამოქმედია, ეს თავისთავად ცხადია. მაგრამ არც ისე ცხადია ქართული ეთნოსის წინარე ხანის ისტორია, როდესაც საამისოდ ჩვენ მხოლოდ არქეოლოგიური მასალა გვაქვს. ეს უკანასკნელი, ჩვენი აზრით, გვაძლევს საშუალებას რამდენადმე გაშუქდეს ეს საკითხი.

9. ზემოთ, როდესაც არქეოლოგიური მასალით საქართველოს ტერიტორიაზე ისტორიულ-გეოგრაფიული ცვლილებების პროცესის წარმოდგენას ვცდილობდით, ჩვენ საგანგებოდ არ შევეხეთ ეთნოგენეზის საკითხებს. რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ ეს ჩვენი კომპეტენციის ფარგლებიდან გამოდის და შემდეგ იმიტომაც, რომ ყველას, ვინც კი შეხებია ამ ურთულეს პრობლემას (და ამ მეცნიერთა რიცხვი კი ფრიად დიდია), თავისი საკუთარი, სხვებისაგან განსხვავებული, აზრი აქვს და, საბოლოო ჯამში, ჯერ-ჯერობით, არც ერთი არ ჩანს დამაჯერებელი[212].

ცხადია, მეზობელ ცივილიზაციებთან ამიერკავკასიას უძველესი დროიდანვე ჰქონდა ახლო კონტაქტები. არ არის გამორიცხული უცხო ტომთა შემოსვლაც, მაგრამ, როგორც ვნახეთ, ძვ. წ. V—IV ათასწლეულთა „პირველი მიწათმოქმედების“ კულტურას თითქოს ადგილობრივ ნეოლითშიაც აქვს ფესვები და III ათასწლეულის „მტკვარ-არაქსის კულტურასთან“ გარდამავალი არხებიც უჩნდება. მეორე მხრივ, შუაბრინჯაოს „გორასამარხების ბრწყინვალე კულტურა“, სპეციალისტების აზრით, სრულიად ძალდაუტანებლივ გამომდინარეობს ადრებრინჯაოს ბოლო ეტაპისაგან. ის უცხოური, რაც შემოტანილია, არც გადამწყვეტია და არც უპირატესი და,

---

[211] ეს ტერმინი იხმარება V ს-ის ძეგლში, იხ. იაკობ ცურტაველი, მარტჳლობა შუშანიკისი, ქართული და სომხური ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა, ვარიანტები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ილია აბულაძემ, 1938, 92.

[212] ამის შესახებ დეტალურად იხ. ო. ჯაფარიძე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, 197—237.

როგორც ჩანს, ასიმილაციას განიცდის ადგილობრივი გარემოცვა-ნი[213].

უკანასკნელ ხანებში, როგორც ვიცით, შეინიშნება დაბეჯითებითი ძიება გვიანბრინჯაოს ხანის კულტურის გენეზისის დადგენისათვის. თითქოს გარკვეული შედეგებიც ჩანს. ყოველ შემთხვევაში, აქაც არქეოლოგიური მასალის მიზანშეწონილ, დეტალურ შესწავლას გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს.

იმედია, მომავალში ყველა ეს საკითხი არქეოლოგიური თვალსაზრისით გაირკვევა, აქ კი ჩვენ გვინდა წარმოვადგინოთ ჩვენი შეხედულება ამ პრობლემის ერთ მნიშვნელოვან ასპექტზე.

ამ უკანასკნელ ხანს გამოითქვა მოსაზრება, რომ გვიანბრინჯაოს ხანის ე. წ. ცენტრალურ-ამიერკავკასიული არქეოლოგიური კულტურა, არსებითად, უნდა ეკუთვნოდეს არაქართულ, ჩაჩნურ-დაღესტნურ მოსახლეობას[214]. არგუმენტაცია ემყარება, ჯერ ერთი, ისტორიულ ტოპო — და ეთნონიმიკას. აღნიშნულია , რომ „ცენტრალურ ამიერკავკასიული კულტურის არე, რომელშიც აღმ. საქართველოს რიგი რაიონების გარდა (ალაზნის გაღმამხრითურთ), მოქცეული იყო სევანის ტბის მხარე და ნაწილობრივ არაქსის ხეობაც, არეკლილია ამ პერიოდის ურარტულ წყაროებში. აქ დამოწმებული სახელების ანალიზი არ იძლევა საშუალებას ქართული ფენა გამოვყოთ, მაშინ როდესაც ავლენს ჩრდილო-აღმოსავლურ კავკასიურ (ჰერულ-ალბანურ) ელემენტებს. ამ კულტურის გავრცელების მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ჰერულ-ალბანური ტომებით უნდა ყოფილიყო დასახლებული“[215]. ამის დასასაბუთებლად მითითებულ წერილებში[216] ლაპარაკია ურარტული ხანის წარწერებზე, რომლებიც სევანის ტბის მიდამოებისა და ლენინაკანის რაიონის (ანდა კიდევ უფრო გაცილებით სამხრეთი ტერიტორიების) ვითარებას ასახავენ.

ცხადია, ეს მასალა არ გამოდგება აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ხალხის ეთნიკური ვინაობის გარკვევისათვის გვიანბრინჯაოს ხანაში.

---

[213] ე. გოგაძე, დასახ. ნაშრ. 79—94, შდ. ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ. 233—234.

[214] გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს, კავკასიის და ~~მახლობელი~~ აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, 1965, 78—79; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, 1971. 356, 431—432.

[215] გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, იქვე, 79. საქ. ისტ. ნარკვევები, 431—432.

[216] გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, ირანის აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ახლად აღმოჩენილი ურარტული წარწერა, „აღმოსავლური კრებული“, 1.1960, 70—73.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი არგუმენტი ზემოხსენებული კონცეფციისა, რომელ-
მაც ავტორს სრულიად კანონზომიერი საფუძველი მისცა იმ ვარაუ-
დისათვის, რომ არაქსის აუზის ვითარების მიხედვით ანალოგიური
მდგომარეობა წარმოედგინა მტკვრის აუზშიც, ე. წ. გლოტოქრონო-
ლოგიური მეთოდია, რომლის გამოყენების შედეგად მიღებული
დასკვნის მიხედვით ქართულ-ზანური ენობრივი ერთობის დაშლის
დასაწყისი მხოლოდ ძვ. წ. VIII ს-დან ივარაუდება. საამისო არგუ-
მენტაცია ასეთია: „თუ ჩვენ ქართულ-ზანური ენობრივი ერთობის
დაშლა ძვ. წ. VIII ს-ზე ადრე არ უნდა ვივარაუდოთ... ამკარაა,
რომ ძვ. წ. II—I ათასწლეულთა მიჯნაზე არსებული „კოლხეთის
სამეფო“ არ შეიძლება ზანური (ე. ი. მხოლოდ ზანური, დ. მ.)
გაერთიანება ყოფილიყო. იგი ზემონათქვამის შუქზე საჭიროა გან-
ვიხილოთ, როგორც ქართულ-ზანური მოსახლეობის გაერთიანება...
ასევე, ამ ჯერ კიდევ სუსტად დიფერენცირებული ქართული ეთნი-
კური ჯგუფის კულტურა უნდა ყოფილიყო ე. წ. „კოლხური კულ-
ტურა“, რომელიც ისტორიული კოლხეთის მიწა-წყალს მოიცავდა
ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლო საუკუნეებში და I ათასწლეულის
საწყის საუკუნეებში“[217].

როგორც ვხედავთ, ზემოხსენებული ეთნოგენეტიკური კონ-
ცეფციის არგუმენტაცია ამგვარია: რადგან ე. წ. „კოლხური კულ-
ტურა“ წარმოადგენს ჯერ კიდევ განუყოფელი ქართულ-ზანური
ენობრივი ერთობის მატარებელი ეთნოსის (აგრეთვე სვანებისა და
აფხაზების) მატერიალურ კულტურას გვიან ბრინჯაოს ხანაში, ცხა-
დია, ე. წ. „აღმოსავლურქართული კულტურა“, რომელიც გარკვე-
ული თვალსაზრისით ცენტრალურ-ამიერკავკასიულის ნაწილს წარ-
მოადგენს, უნდა იყოს განსხვავებული ეთნოსის მატერიალური
კულტურა და, კერძოდ, ჩაჩნურ-დაღესტნური ანუ ჰერულ-ალბანუ-
რი მოდგმის ხალხის მატერიალური კულტურა.

ეს არის სავსებით კანონზომიერი, თუმცა არა აუცილებელი,
ვარაუდი იმ პირობით, თუ გლოტოქრონოლოგიური მეთოდით მიღე-
ბული დასკვნები სწორია. მაგრამ საქმეც ის არის, რომ ამ უკანასკ-
ნელ ხანში ენათმეცნიერების უმრავლესობის მიერ ეს მეთოდი
უარყოფილია, როგორც უვარგისი. ამდენად, ზემოხსენებულ ეთ-
ნოგენეტიკურ კონცეფციასაც საფუძველი ეცვლება[218].

---

217 გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმო-
სავლეთის..., 72.

218 ამ კონცეფციამ იმთავითვე არქეოლოგთა კრიტიკა გამოიწვია, იხ. ო. ჯაფარიძე,
დასახ. ნაშრ., 235.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვლევა იმ პრობლემისა, თუ ვის ეკუთვნის გვიანბრინჯაოს ხანის აღმოსავლურქართული კულტურა, სხვა მეთოდით უნდა წარმოებდეს, რომართოს, კერძოდ, თვით ამ არქეოლოგიური კულტურის სათანადო შესწავლის გზით.

ცნობილია, რომ არქეოლოგია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ეთნოგენეზის საკითხების კვლევისას. საამისოდ, ჩვენი აზრით, საინტერესო მასალას იძლევა სწორედ გვიანბრინჯაოს ხანის აღმოსავლეთი საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები და, პირველ რიგში, ამ პერიოდის პირველხარისხოვანი ძეგლის — ხოვლეგორის კერამიკა.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ კერამიკის ტიპოლოგიური და ქრონოლოგიური კლასიფიკაცია ნამოსახლარის გათხრისას, როდესაც ჩვენ საქმე გვაქვს მონოქრომულ, მოუხატავ კერამიკასთან, მეტად ძნელია, თუ არ — შეუძლებელი, რადგან ჩვენ ხელთაა, ძირითადად, ჭურჭლის ცალკეული ნატეხები, რაც ფორმის აღდგენის საშუალებას იშვიათად იძლევა.

ხოვლეგორაზე დადასტურებული, არქეოლოგიური ტიპოლოგიის თვალსაზრისით, ეს საინტერესო ფაქტი, სხვამხრივ ფრიად მნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა: ცხადია — საქმე გვაქვს ამკარა კულტურულ თანამომდევნოებასთან და რადგან ამის გამომხატველი, პირველ რიგში, სწორედ კერამიკაა და მისი ორნამენტაცია და არა სხვა რაიმე, ჩვენ კულტურულთან ერთად ეთნიკურ თანამომდევნოებაზედაც შეგვიძლია ვილაპარაკოთ.

ამგვარად, სრულიად ძალდაუტანებლივ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხოვლეს უძველეს ნამოსახლარზე (ხოვლე VIII — ხოვლე IV ჰორიზონტები ანუ ძვ. წ. XV—VII სს.) ცხოვრობდა კულტურულად და ეთნიკურად ერთი მოდგმის მოსახლეობა, რომლის შემოქმედებასაც წარმოადგენს ხოვლური შავ-ლეგა (და წაბლისფერი) კერამიკა. რადგან ეს უკანასკნელი იგივე ფორმებითა და ორნამენტაციით გახაგრძობს არსებობას ხოვლე III და ხოვლე II (და ხოვლე I?) ჰორიზონტებშიც (ძვ. წ. VI—IV სს), უნდა დავასკვნათ, რომ ამ პერიოდშიც იგივე მოსახლეობასთან გვაქვს საქმე.

ზემოაღნიშნული ეს გარემოება მტკიცდება არა მარტო კერამიკის შესწავლით, არამედ მატერიალური კულტურის სხვა გამოვლინებებითაც (ერთიანი სამშენებლო ტექნიკა ხოვლე VIII — ხოვლე II ჰორიზონტებში; იდენტური საცხობი ღუმელები ხოვლე VI — ხოვლე I ჰორიზონტებში; ცხვრის თავის საკულტო დანიშნულების

ქანდაკებები ხოვლე VIII — ხოვლე IV ჰორიზონტებში). ასეა რომ დაახლოებით ერთი ათასწლეულის მანძილზე ხოვლეს ნამოსახლარზე ეთნიკურად ერთსა და იგივე მოსახლეობას ვხედავთ. რა თქმა უნდა, აქ ერთ სოფელზე კი არ არის ლაპარაკი, არამედ, მაინცდამაინც, მთელ (თუნდაც მცირე) მხარეზე. ეს ერთი დასკვნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ეს მართლაც ასე უნდა ყოფილიყო და რომ აქ მხოლოდ ერთი სოფლის ვითარებასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ მთელი მხარისა, ამას მოწმობს ცხინვალის „ნაცარგორის“ გათხრის შედეგები, რომელიც ანალოგიურ მოვლენაზე მიუთითებს სწორედ შიდა ქართლისათვის[219]. ამაზევე მიუთითებს სამთავროს სამაროვნის კერამიკის შესწავლა და აგრეთვე ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიციების მიერ 1954—1958 წლებში შიდა — და ქვემო ქართლის ტერიტორიაზე მოხილული მრავალი ათეული ნამოსახლარი „გორის“ ზედაპირიდან ანაკრეფი მატერიალური კულტურის ნამთები[220].

ცხადია, ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ მთელ ამ ტერიტორიაზე იმ დროს გამოუკლებლივ ერთი მოდგმის ხალხი სახლობდა, მაგრამ, ჯერჯერობით, გათხრილი ძეგლების დოკუმენტაცია ამის საწინააღმდეგოს არაფერს უჩვენებს.

მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი გარემოება ვლინდება იმავე ხოვლური კერამიკის შესწავლით.

ძვ. წ. VI ს. დასაწყისიდან ხოვლეგორაზე სულ სხვა ჯურის კერამიკა ჩნდება, ვიდრე აქამდე: შემოდის „წითლად გამომწვარი“ ჭურჭელი, რომელიც არ ამჟღავნებს არავითარ გენეტიკურ კავშირს წინამორბედთან და შემდგომ საუკუნეებში (ხოვლე III და ხოვლე II) თანდათან გაბატონებულ მდგომარეობას იძენს, ვიდრე ნამოსახლარის არსებობის ბოლომდე (ხოვლეI — ძვ. წ. IV ს.). ჩვენ აღვნიშნავდით, რომ ეს გარემოება არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ კერამიკული წარმოების ტექნიკის პროგრესით. ახალი ფორმებისა და ახალი ტექნიკური ხერხების გაჩენა მოწმობს ახალი კულტურული დინების გავლენას, რომელიც ურარტულ სამყაროზე მიუთითებს და, შესაძლებელია, დაკავშირებულია ახალი ეთნიკური ელემენტის შემოსვლასთანაც. ეს უნდა ყოფილიყო თანდათანობითი, მშვიდობიანი ინფილტრაციის პროცესი, რომელსაც არ გამოუწვევია ადგილობრივი მოსახლეობის ეთნიკური სახის შეცვლა.

---

219 გ. გობეჯიშვილი, სტალინირის ნაცარგორა, „მიმომხილველი“, II, 1951, 251.

220 დ. მუსხელიშვილი, ბ. ცქიტიშვილი, დასახ. ნაშრ; გ. ბრეგოლია, თ. ტატიშვილი, დასახ. ნაშრ.

ურარტული სამყაროდან ამ ახალი ნაკადის გავრცელებას ადასტურებს არა მხოლოდ ხოვლური კერამიკა, რომლის ანალიზის საფუძველზე გახდა შესაძლებელი საკითხის ამგვარი დასმა, არამედ ქვემო ქართლის ბევრი პუნქტიდან ცნობილი სათანადო მასალაც, რომელმაც, ამდენად, ახალი ინტერპრეტაცია მიიღო ხოვლური განათხარის გათვალისწინების შედეგად[221].

ეს კერამიკა ვრცელდება არა მხოლოდ ქვემო ქართლში და შიდა ქართლის მტკვრის სამხრეთ ნაწილში (ხოვლეგორა, ხიდისთავი, დიღომი), არამედ მტკვრის ჩრდილოეთითაც, რასაც კარგად ადასტურებს შიდა ქართლის 1955 წლის ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიციის მიერ მოპოვებული მასალა (ქვასათალის, კარალეთის, აჩაბეთის, ავნევის და სხვ. „გორები"), თუმცა, რამდენადაც გამოქვეყნებული ანგარიშიდან ჩანს, ეს წითლადგამომწვარი კერამიკა არ არის გამოვლენილი ცხინვალის „ნაცარგორაზე", სადაც, როგორც ჩანს, ეს პერიოდი (ძვ. წ. VI—IV სს) დადასტურებული ფაქტიურად არც გვაქვს[222]. ზემოხსენებული ჯურის კერამიკა არ აღმოჩენილა სამთავროს სამაროვანშიც.

ამჟამად ძნელია თქმა, ვინ იყო ახალი ნაკადის შემომტანი ხალხი. თვით ურარტელები, თუ მათი კულტურის ორბიტაში მოქცეული სხვა, ეგების კიდევაც ქართული ტომები, მაგრამ ის კი მაინც ცხადია, რომ ქართველი ხალხის ეთნოგენეზის საკითხების კვლევისას ეს პროცესი უეჭველად გასათვალისწინებელია[223].

---

221 იხ. მაგალითად, კ. კვიჟინაძე, 1965 წელს ასურეთში წარმოებული არქეოლოგიური დაზვერვების შედეგები, XV სამეცნიერო სესია, 17—18.

222 გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრ.

223 აღსანიშნავია, რომ ტექნიკური თვალსაზრისით თვით ურარტულ ცენტრებში აღმოჩენილი მსგავსი კერამიკა უფრო სრულყოფილია.

რა თქმა უნდა, სრულიადაც არ არის გამორიცხული, რომ ზემოაღნიშნული ჯურის კერამიკის ქართლში შემომტანნი რომელიღაც ქართულივე ტომები ყოფილიყვნენ. ამ თვალსაზრისით, ფრიად საინტერესო ჩანს ევსები კესარიელთან (და მოსე ხორენელთან) შემონახული ცნობა მეგასთენესი (ძვ. წ. III ს) ვითომც ივერიელნი ამიერკავკასიაში ნაბუქოდონოსორს (ძვ. წ. 604—562) დაესახლებინოს. ცნობის ლეგენდარულობისდა მიუხედავად, მისი სინქრონიზმი ჩვენთვის საინტერესო არქეოლოგიურ მოვლენასთან შესაძლებელია ნიშანდობლივიც იყოს. ამდენადვე იგი, არსებითად, სავარაუდოა, რეალური ვითარების გამოძახილი იყოს, თუმცა ეს, ცხადია, კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ აბორიგენი მოსახლეობა არაქართული იყო (მეგასთენეს ცნობის ინტერპრეტაციისათვის იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წიგნი პირველი, 1950, 57—58); დაწვრილებით ამის შესახებ იხ. Д. Л. Мусхелишвили, К вопросу о связях центрального Закавказья с передним Востоком в раннеантичную эпоху, კრებ.: საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, 1977.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძვ. წ. IV ს-ში (ხოვლე I), როდესაც ხოვლეგორაზე ცხოვრება რამდენიმე ხნით კვლავ განახლებულია, მატერიალური კულტურა იმგვარივეა, როგორც წინა პერიოდში (ხოვლე II) იყო და წითლადგამომწვარი კერამიკა თუ ერთადერთი არა, აშკარად გაბატონებულია. მაგრამ სწორედ მისი დაკავშირება აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიიდან ცნობილი მომდევნო ხანის კულტურასთან რამდენადმე ჭირს. ასე მაგალითად, სამთავროს სამაროვანზე წითლადგამომწვარი და წერნაქით შეღებილი კერამიკა, რომელიც პირველად ქვევრსამარხებში გვხვდება და ამდენად ძვ. წ. III—I სს-ით თარიღდება[224], მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს ხოვლურთან, მაინც, ჯერჯერობით, ვერ ჩაითვლება უკანასკნელი კულტურის უშუალო მემკვიდრედ. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ მათ შორის შესაძლებელია საკმაო ქრონოლოგიური ლაკუნა არსებობდეს ერთი საუკუნის ფარგლებში მაინც. ელინისტური ხანის სხვა მასალასთანაც (კამარახევი, უფლისციხე, ურბნისი, ალაზან-იალოილუთაფა, სამადლო, კავთისხევი, ნასტაკისი. იხ. ზემოთ, § 8) მსგავსი ელემენტების გამონახვა, ჯერჯერობით, არ იძლევა იმის მყარ საფუძველს, რომ რომელიმე მათგანი „ხოვლური კერამიკის“ ორგანულ განვითარებად ვცნოთ.

მცხეთური ქვევრსამარხების კულტურა, რომელიც მცხეთის სამაროვნის მიხედვით მომდევნო საუკუნეებში (კრამიტსამარხები, ქვისსამარხები) ორგანულად ვითარდება, რა თქმა უნდა, ასახავს სწორედ ქართველი (ივერიელი) ხალხის ფართო მასის კულტურას. ამ თვალსაზრისით, შესაძლებელია ნიშანდობლივი იყოს, რომ თანადროული მატერიალური კულტურა გამოვლენილი უფლისციხეში და I—III საუკუნეებისა — ურბნისში, საკმაო მსგავსებას სწორედ სამთავრული ქვესამარხების (და კრამიტსამარხების) მასალასთან ამჟღავნებს[225]. მით უფრო საინტერესო და მნიშვნელოვანი იქნებოდა მისი გენეტიკური დაკავშირება „ხოვლურ კულტურასთან“, რომელიც თავის მხრივ, როგორც ვნახეთ, დიდი ხნის ორგანული განვითარების შედეგი უნდა ყოფილიყო და,

---

224 ვ. თოლორდავა, ქართლის სამეფოს ისტორიისათვის, ძ. წ. III- -Iსს, მსკა, III, 1963.

225 დ. ხახუტაიშვილი, უფლისციხე I, 82; ლ. ჭილაშვილი, ურბნისი, 55. ასეთი ვითარება, შესაძლებელია, მიუთითებდეს, რომ ეს მასალა ასახავს, მაინც-დამაინც, „ქალაქურ კულტურას“. რა ვითარებაა ამ დროს პროვინციაში, ჯერჯერობით, ცოტა რამ ვიცით. ამ მხრივ, საინტერესოა ვაჩნაძიანის (კახეთი) ვვიანანტიკური ნამოსახლარი (იხ. აკს 1969, 42).

ფაქტიურად, — ერთი ხალხის შემოქმედებაც. ამდენად, მათი გენეტიკური კავშირი, მეორის პირველისაგან ორგანული წარმომავლობის ნათელყოფა ფრიად საგულისხმო დასკვნამდე მიგვიყვანდა, მაგრამ ძვ. წ. IV—III სს-ის არქეოლოგიური ძეგლების დღევანდელი შესწავლილობის დონე და ჩვენთვის ცნობილი მასალა არ იძლევა რაიმე მხოლოაზროვანი დასკვნის გამოტანის საშუალებას.

საფიქრებელია, ზემოხსენებული ხარვეზი მომავალი მიზანდასახული გათხრების შედეგად შეივსოს, მაგრამ ამჟამად სხვა საბუთების მოშველიებით, ჩვენი აზრით, შესაძლებელია გარკვეული ვარაუდის გამოთქმა.

ჰეროდოტე (IV, 37), როგორც ცნობილია, შავი ზღვიდან სპარსეთის ყურემდე გაშლილ ტერიტორიაზე მოსახლე ოთხ ხალხს ასახელებს. ესენია: კოლხები, სასპერები, მიდიელები და სპარსელები[226]. გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ ამ ვითარების შესაძლებელი თარიღი უნდა იყოს ძვ. წ. VI ს., ხოლო თვით ცნობა კი ისეა გასაგები, რომ „სასპერების“ სახით არსებობს მნიშვნელოვანი პოლიტიკური ერთეული, რომელიც აკონტროლებს კოლხეთსა და მიდიას შორის არსებულ ვრცელ ტერიტორიას. ეს უკანასკნელი, უეჭველია, უნდა მოიცავდეს ყოფილი ურარტუს სამეფოს ჩრდილო პროვინციებს. „სასპერები“, როგორც ამას ჩვეულებრივ ვარაუდობენ, „იბერების“ სა-პრეფიქსით ნაწარმოები მეორე სახელწოდებაა და, ამდენად, მათი სახით ჩვენ საქმე გვაქვს ტომთა დიდ გაერთიანებასთან, რომლის სათავეშიც აღმოსავლურქართული ტომები იდგნენ. შესაძლებელია, ცნება „სასპერებისა“ მოიცავდა თანამედროვე აღმოსავლეთ საქართველოსაც[227].

---

226 თ. ყაუხჩიშვილი, ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, 1960, 65—82.

227 Г. А. Меликишвили, К истории..., 232—233. ზემოაღნიშნული ახალი „სამხრეთული ელემენტების“ გამოჩენამ მატერიალურ კულტურაში, რაც ხოვლეგორის გათხრების შედეგად დადგინდა, გ. მელიქიშვილს მისცა საშუალება ეს ფაქტი სწორედ იმის შესაძლებელ მოწმობად ეცნო, რომ „სასპერები“ მოიცავდნენ აღმოსავლეთ საქართველოსაც (იქვე). ამ თვალსაზრისით, ჩვენ მიერ ნავარაუდევი ინფილტრაცია საკუთრივ „სასპერების“ მიგრაციის საბუთი იქნებოდა, მაგრამ ეს საეჭვოა, რადგან: 1. ეს „სამხრეთული ელემენტები“ უკვე ძვ. წ. VII-ს-ში ჩანს ურარტულ ცენტრებში და საკუთრივ ურარტელებს მიეკუთვნება და 2. ჩვენ არ ვიცით, თუ როგორი იყო საკუთრივ „სასპერების“ მატერიალური კულტურა ამ დროს, კერძოდ, მათ სავარაუდო სამშობლოში, სპერში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მართალია, უფრო გვიან სხვაგვარი მოსაზრებაც იქნა გამოთქმული, მაგრამ სასპერ-იბერის ერთმანეთთან დაკავშირება არც აქ არის გამორიცხული[228]. ჩვენ პირველი თვალსაზრისი უფრო სწორი გვგონია.

მართლაც, არქეოლოგიური მასალის ანალიზს ჩვენ იმ დასკვნამდე მივყევართ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (მაინცადამაინც, შიდა ქართლის მტკვრის სამხრეთ ტერიტორიაზე) ძვ. წ. XV ს-დან ვიდრე IV ს-მდე ეთნიკურად ერთი წარმომავლობის ხალხი ცხოვრობდა. მცხეთის სამაროვნის, სამთავროს გათხრებიც იგივეს გვიდასტურებს XV—V სს-თვის. მეორე მხრივ, იგივე მცხეთის (და შიდა ქართლის?) ტერიტორიაზე ძვ. წ. III, მაინცდამაინც II-ს-დან, კვლავ ერთი ეთნიკური წარმომავლობის ხალხი ცხოვრობს და ეს უკანასკნელნი, უეჭველად, „იბერები“ ანუ ქართველები არიან. მიუხედავად იმისა, რომ მატერიალური კულტურის განვითარებაში სადღაც IV—III სს-ის მონაკვეთზე ხარვეზი ჩანს, ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ აქ ერთი ხალხის ხანგრძლივ, უწყვეტ მატერიალურ კულტურასთან გვაქვს საქმე[228ა].

ერთადერთ საამისო მითითებას, რომ აღმოსავლურქართული ტომების მოსვლა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე სწორედ ამ ხანებში (ძვ. წ. IV—III სს.) ვიგულისხმოთ, შეიცავს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მატიანე[229]. მაგრამ ისტორიულად რეალური სინამდვილის გამოძახილიც რომ იყოს ეს ცნობა, რა თქმა უნდა, წარმოუდგენელია, რომ აზოს არიან ქართლიდან გადმოსახლებული 18 „სახლით“ უცხო ტომებით დასახლებულს აღმოსავლეთი საქართველოს ტერიტორიაზე ქართული სამეფო შეექმნა.

ყველაფერი ზემოთქმული გვაფიქრებინებს, რომ ხსენებული („ხოვლური“) მატერიალური კულტურის მატარებლად ჩვენ სწორედ ქართველები უნდა მივიჩნიოთ. ამის საბუთია მცხეთის ელი-

---

228 გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის... 83—84.

228ა უკანასკნელ წლებში ასე ინტენსიურად გამოვლენილი ძვ. წ. IV—III სს-ის წითელკეცანი მოხატული და მოუხატავი კერამიკის დეტალურმა ანალიზმა შესაძლებელია ამ ხარვეზის მოჩვენებითობაც დაამტკიცოს, თუმცა თავისთავად კერამიკის სახეობის ცვლილება სრულიადაც არ ნიშნავს ეთნიკურ ცვლილებებსაც. ასე მაგალითად, უცარი და მასიური გამოჩენა XI ს-თვის მოჭიქული კერამიკისა, რა თქმა უნდა, ეჭვის ქვეშ არ აყენებს ქართველთა აბორიგენობას.

229 OP, 708—709. სტრაბონის მიერ შემონახული გადმოცემა დასავლეთის იბერთა გადმოსახლების შესახებ კავკასიაში (1, 3, 21) მეგასთენეს ზემოხსენებულ ცნობას უნდა ემყარებოდეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნისტური (და შემდგომი) ხანის მატერიალური კულტურის ეთნიკური კუთვნილების უეჭველობა და აგრეთვე ძვ. წ. VI—V სს-ში აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ქართველების შესაძლებელი არსებობის დამადასტურებელი მოსაზრება (ჰეროდოტე, მეგასთენე).

რომ ქართველი, კერძოდ, აღმოსავლელი ქართველი ტომები უძველესი დროიდანვე მოსახლეობდნენ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, ეს უნდა დასტურდებოდეს აქ გავრცელებული გარკვეული რიგის ტოპონიმების წყალობით[230]. ისეთი „ტოტემისტური" ადგილის სახელების წარმოქმნა აღმოსავლეთ საქართველოს ბარში, როგორიცაა მაგალითად, ლომთაგორა, მელიგორი, მელიების გორა, ჩხიკვთა, ყორანთა, აკაურთა, ქურთა (<ქორთა) წერონისი, ურბნისი (<ორბნისი), ყორნისი (ყორანნისი?)[231], წეროვანი და სხვ. და სხვ., ჩვენი აზრით, შეუძლებელია კლასობრივი საზოგადოების წიაღში. სამაგიეროდ, ასეთი ნომენკლატურა ბუნებრივია პირველყოფილი თემური საზოგადოებისათვის და გარკვეული გვაროვნული კოლექტივების აღმნიშვნელი უნდა იყოს.

ჩვენ გვესმის პრობლემის სირთულე, ამიტომ მხოლოდ საკითხის დასმით დავკმაყოფილდებით: თუ ზემოთქმული რეალურ-ისტორიულია, მაშინ განსაკუთრებით საინტერესო ჩანს, როდესაც ზემოხსენებული ტოპონიმების დამოწმების ადგილზე „გორები" გვხვდება და, მით უმეტეს, თუ ეს სახელწოდებანი, მაინცდამაინც, ამ „გორებს" ეკუთვნის. ასეთი მაგალითებიც საკმაოა („ყორანთა" — ბოლნისის რაიონში, „ჩხიკვთა" — თეთრიწყაროს რაიონში, „ლომთაგორა" — მარნეულის რაიონში, „მელიგორის" — მცხეთის რაიონში და სხვ). და მიზანდასახული ძიება, უეჭველია, ბევრად მეტს გამოავლენს.

მოკლედ რომ ვთქვათ, ეს ფაქტი უნდა მოწმობდეს, რომ ამ „გორების" არსებობის პერიოდში ქ ა რ თ უ ლ ი ე ნ ა (დიფერენცირებული სვანურ-ზანურისაგან) უ კ ვ ე ა რ ს ე ბ ო ბ დ ა ან, რაც იგივეა, ამ „გ ო რ ე ბ ზ ე" ქ ა რ თ უ ლ ი მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ა ი ჯ დ ა.

---

230 ეს საკითხი ჯერ კიდევ 1954 წლის ზაფხულში ხოვლეგორის გათხრების პირველი კამპანიის დროს დასვა ნ. ბერძენიშვილმა კერძო საუბრისას.

231 ამგვარ ორმაგსუფიქსიან ტოპონიმებს (წერო-ნი-ს-ი, ორბ-ნი-სი და სხვ.) ნ. ბერძენიშვილი მეორეულ მოვლენად თვლიდა, მათ მიიჩნევდა სხვადასხვა ქ ა რ თ უ ლ ი ტ ო მ ე ბ ი ს სხვადასხვადროინდელი დანაშრევის შესაძლებელ დადასტურებად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ენეოლითისა და ადრებრინჯაოს პერიოდს, დადასტურებულს ზოგიერთ „გორაზე“ (მაგ., ურბნისი, ყორანთა) რომ თავი დავანებოთ, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანა დაზვერვების (და გათხრების) შედეგად დამოწმებულია მთელ რიგ ასეთ გვაროვნულ სამოსახლოებზე (ლომთაგორა, მელიგორი, ჩხიკვთა, ურბნისი და სხვ.) რამდენადაც ხოვლეგორის გათხრების შედეგად ცხადი ხდება, რომ ეს „გორები“ II ათასწლეულის შუახანიდანვეა ათვისებული და მომდევნო მთელი ათასწლეულის მანძილზე აქ ეთნიკურად ერთგვაროვანი მოსახლეობა უნდა ყოფილიყო, ამდენადვე სრულიად ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ გვიანბრინჯაო—ადრერკინის პერიოდის აღმოსავლეთი საქართველოს არქეოლოგიური კულტურა, არსებითად, სწორედ აღმოსავლელი ქართველი ტომების კუთვნილი უნდა ყოფილიყო.

მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ მთელი აღმოსავლეთი საქართველოს ტერიტორიაზე იმთავითვე მხოლოდ ქართული ტომები მოსახლეობდნენ. პირუკუ, ჩვენ გვაქვს საფუძველი იმ დროსვე აღმოსავლეთ პერიფერიაზე ვეინახურ-დაღესტნური ანუ ჰერულ-ალვანური ტომების არსებობაც ვივარაუდოთ.

ცნობილია, რომ გვიანბრინჯაო-ადრერკინის პერიოდში დღევანდელი კახეთის ტერიტორიაზე გავრცელებული იყო ლოკალური არქეოლოგიური კულტურა დახასიათებული, ძირითადად, ბრინჯაოს გარცვეული ტიპის სატევარ-მახვილებით, მასრაშეკრული ფოთლისებური შუბისპირით და სხვ[232]. ამის გამო ამ იარაღს (სატევარ-მახვილებს) არქეოლოგიურ ლიტერატურაში პირობითად „კახური ტიპისას“ უწოდებდნენ და უწოდებენ.

ჯერ კიდევ 1956 წ. ჩვენ დავსვით საკითხი ასეთი იარაღისათვის „ჰერული“ გვეწოდებინა. ამის საფუძველი იყოს ის, რომ დღევანდელი კახეთის დიდ ნაწილს ქართული წყაროებით ადრეფეოდა-

---

[232] იხ. მაგალითად, გ. ნიორაძე, ზემოავჭალის სამარე, სმმ, VI, 203—207, იქვე თანდართული რუკა; დ. ქორიძე, გვიანბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები თბილისთან, სმმ, XVIII—B; დ. მუსხელიშვილი, ციხე-ქალაქი უჯარმა, საკანდიდატო დისერტაცია, 1956, 6—13 (ხელნაწერი); К. Н. Пицхелаури, Локализация археологических культур на территории Восточной Грузии, ТКАЭ, I, 1969.

ლური ხანიდანვე ჰერეთი ეწოდებოდა და ჰერული (resp. ალვანური) ტომებით უნდა ყოფილიყო დასახლებული. ასევე უნდა ყოფილიყო ივერიის სამეფოს ჩამოყალიბების დროისათვის და, მით უმეტეს, უფრო ადრე ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ და II ათასწლეულის მეორე ნახევარში, ანუ სწორედ გვიანბრინჯაო — ადრერკინის ხანაში[233].

საკითხის ასე დასმამ იმთავითვე კრიტიკა გამოიწვია[234], მაგრამ შემდგომმა კვლევამ ჩვენი თვალსაზრისი, ფაქტიურად, გაამართლა. საქმე ის არის, რომ ზემოხსენებული სატევარ-მახვილების ახალი ტიპოლოგიური კლასიფიკაციის შემუშავების საფუძველზე გამოყოფილია ოთხი ქვეტიპი, რომელთაგან I—III (სატევრები) გავრცელებულია, ძირითადად, ჰერეთის ტერიტორიაზე[235], ხოლო IV ქვეტიპის (სატევარ-მახვილები) სამი ჯგუფის (IV_1—IV_2—IV_3) გავრცელების არეალი ძირითადად ემთხვევა კახეთის, კუხეთის და ჰერეთისათვის ჩვენ მიერ ძვ. წ. IV—III საუკუნეებში ნავარაუდევ საზღვრებს[236]. ამის გამო გვთავაზობენ დიფერენცირებულ დენომინაციას IV ქვეტიპის ჯგუფებისათვის: ჰერული — IV_1 კუხური —IV_2 და კახური — IV_3 ჯგუფებისათვის[237].

ასეთი ვითარება, მართლაც, შესაძლებელია შემთხვევითი არ იყოს და რამდენადაც სატევრების I—III ქვეტიპი უფრო არქაულია, ვიდრე სატევარ-მახვილთა IV ქვეტიპი და ეს უკანასკნელი ამავე დროს ტიპოლოგიურადაც გენეტიკურ კავშირშია I—III ქვეტიპებთან[238], ამდენადვე ჩვენ ვფიქრობთ, სრული უფლება გვაქვს ამ სატევრებს (I—III ქვეტიპი), მაინცდამაინც, „ჰერული“ ვუწოდოთ, ისევე, როგორც მასრაშეკრულ შუბისპირებს, რომლებიც დამახასიათებელია დღევანდელი კახეთის ტერიტორიისათვის გვიანბრინჯაოს ხანის მთელი პერიოდის განმავლობაში.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, გვაქვს საფუძველი აღმოსავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ პერიფერიაზე გვიანბრინჯაო-ადრე-

---

233 დ. მუსხელიშვილი, იქვე.

234 იხ. კ. ფიცხელაური. ბრინჯაოს კახური ტიპის სატევარი, მსკა, II. 1959. 136, შენ. 49. ავტორი აქ ნაადრევად თვლიდა ამ ტიპის იარაღისათვის „ჰერულის“ წოდებას გეოგრაფიული და, მით უმეტეს, ეთნიკური კუთვნილების თვალსაზრისით,

235 К. Н. Пицхелаури. დასახ. ნაშრ., 182, შენ. 91 და რუკა № 1. სულ 40 აღმოჩენის ადგილიდან 24 მოდის ჰერეთზე, 6 კახეთ-კუხეთზე და 10 შიდა ქართლზე. აქედან იარაღის რაოდენობის აბსოლუტური უმრავლესობა ჰერეთზე მოდის.

236 იქვე, 203.

237 იქვე, რუკა № 2.

238 იქვე, 205.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რკინის ეპოქაში ჰერულ-ალვანური ანუ ჩაჩნურ-დაღესტნური მოსახლეობის არსებობა ვივარაუდოთ. ამას, სხვათაშორის, ამ მხარის ტოპონიმიკაც ამოწმებს (იხ. ქვემოთ), რომლის აქ წარმოქმნაც ივერიის სამეფოს ჩამოყალიბების შემდგომ პერიოდში ძნელი წარმოსადგენია, რამდენადაც ამიერიდან აშკარად შეიმჩნევა ინტენსიური პროცესი ქართული ელემენტის აქეთკენ ექსპანსიისა, რასაც საბოლოო ჯამში მოჰყვა ჰერულ ტომთა ასიმილაცია[239].

დღევანდელი კახეთის ანუ ისტორიული კახეთის, კუხეთის და ჰერეთის გვიანბრონჯაოს ხანის არქეოლოგიური კულტურის ეთნიკური კუთვნილების საკითხი იმავე 1956 წ. ჩვენ ამგვარად დავსვით: რამდენადაც უძველეს ხანაში ისტორიული კახეთისა და ჰერეთის კულტურა ერთგვაროვანი ჩანს (იგულისხმებოდა „ჰერული" სატევარ-მახვილები და შუბისპირები), ამდენად შესაძლებელია: I. კახები (და კუხები), ისევე როგორც ჰერები, ალვანური ტომი იყო და მათი (კახ-კუხების) ასიმილაცია და გაქართველება გაცილებით უფრო ადრე მოხდა, ვიდრე ჰერებისა. როდესაც ჰერების ასიმილაცია იწყება, კახები (და კუხები) უკვე ქართველები არიან. 2. იმ ტერიტორიაზე, სადაც კახები სახლობდნენ თავდაპირველად, შესაძლებელია, ჰერები ბინადრობდნენ და უფრო გვიან (არქეოლოგიურად გვიან) იწყება იქით კახების ქართული ტომის ექსპანსია და იქ დასახლება. 3. რამდენადაც ერთგვაროვანი არქეოლოგიური კულტურის არსებობა სრულიადაც არ ნიშნავს განსაზღვრულ ტერიტორიაზე მოსახლე ტომების ეთნიკურ ერთიანობას, ამდენად შესაძლებელია კახები იმთავითვე ქართული მოდგმისანი ყოფილიყვნენ, ხოლო ჰერები კი ალვანურისა. ეს უკანასკნელი გარემოება უნდა გამოჩნდეს არქეოლოგიურ მასალაში და ამ თვალსაზრისით მეტი ყურადღება უნდა მიექცეს არა არქეოლოგიურ კულტურათა მსგავსებას, არამედ განსხვავებას[240].

---

239 იხ. დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ციხე-ქალაქი უჯარმა, 1966. კ. ფ ი ც ხ ე ლ ა უ რ ი, როგორც აღვნიშნეთ, ლოკალურ კულტურულ წრეებს ლეონტი მროველისეულ ეთნარქთა სქემას უფარდებს, მაგრამ იქითკენ იხრება, ეს არქეოლოგიური კულტურა მხოლოდ ქართველ ტომებს დაუკავშიროს. ეს კი მას ეჭვის ქვეშ აყენებინებს ჰერთა ვინაობის საკითხს, „რომელიც, მიღებული ვარაუდის მიხედვით, ალბანურ ტომადაა მიჩნეული" (იხ. კ. ფ ი ც ხ ე ლ ა უ რ ი, აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები, 197).

240 იხ. დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ციხე-ქალაქი უჯარმა, საკანდიდატო დისერტაცია, 1956 წ., 46—47. საკითხი ასე დაგვისვა ნ. ბერძენიშვილმა. მისივე მითითებით ვუწოდეთ ჩვენ ზემოხსენებულ სატევარ-მახვილებს „ჰერული".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენთვის საინტერესო საკითხისათვის, შესაძლებელია, ზედმეტი არ იყოს მოვიგონოთ ერთი ადგილი „ქართლის ცხოვრებიდან". მხედველობაში გვაქვს ცნობა ლეონტი მროველისა, რომლის კონცეფციის თანახმად კახები (და კუხები) ჰერთა საწინააღმდეგოდ ძირეული ქართული ტომია.

ამ ჩვენების მიხედვით, „ბერ ერქუა პირველშენებულსა კახეთისასა."[241] თუ ვივარაუდებთ, რომ „ბერ" იგივე „იბერის" ექვივალენტია, როგორც ამას ჩვეულებრივ ვარაუდობენ (იბერ-ჰბერ-ბერ.), მაშინ გამოგვივა ფრიად საგულისხმო დასკვნა, რომ, ჯერ ერთი, იმ სატომო სახელწოდებას, რომელსაც ქართველ ხალხს უცხოელები უწოდებდნენ, იცნობდნენ თვით ქართველები და მეორე — ქართული ხალხური ტრადიციის მიხედვით, კახეთის ტერიტორიაზე უძველესი მოსახლე („პირველშენებული") ივერიული ტომი იყო, ანუ ლეონტისვე კონცეფციის მიხედვით — კახები. ისტორიული კახეთის ტერიტორიის ლოკალიზაციის მიხედვით[242] სავარაუდოა, რომ პუნქტი „ბერ" ივრის ხეობაში უნდა ყოფილიყო.

ამასთან დაკავშირებით შეიძლება გავიხსენოთ, რომ ანტიკური მწერლობა იცნობდა მდინარე „იბერს", რომლის ლოკალიზაციაც ხერხდება ქართველი ტომების მოსახლეობის ტერიტორიაზე[243]. ასე მაგალითად, პლინიუსმა (VI, 29) იცის „მოსხების ქვეყანა ვიდრე მდ. იბერამდე, რომელიც მტკვარს ერთვის"[244]. ცხადია, ამ ცნობით სარგებლობა სახიფათოა, მაგრამ შეუძლებელი არ არის პლინიუსის „იბერი" მდ. იორთან („ივერთან") დავაკავშიროთ. ისტორიულადაც მოსხების ან მესხების აქამდე ოდესღაც გავრცელება სავსებით რეალურია (შდ. „მცხეთა"). ამისდა მიხედვით, ვფიქრობთ, სავარაუდოა მდ. იორის (ივრის) დაკავშირება გეოგრაფიულ პუნქტ „ბერ"-თან და საბოლოო ჯამში ივერ-იბერების სატომო სახელთან, რო-

---

241 ქცა, I, 9.

242 იხ. დ. მუსხელიშვილი, ციხე-ქალაქი უჯარმა, 1966. 16 და შემდ. იხ. იქვე თანდართული რუკა.

243 ცნობილია აგრეთვე მდ. იბერი (დღ. ებრო) ესპანეთში. იხ. დრეპანიუსი, ВДИ 1949, № 4, 248.

244 იხ. ВДИ, № 2, 1949, 298.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორც ამას (მართალია, მცდარი წინამძღვრების საფუძველზე) ჯერ კიდევ ჩვენამდე ვარაუდობდნენ[245].

ამგვარად, როგორც ვხედავთ, გვიანბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური მასალისა და სხვა ხასიათის მონაცემების ანალიზის შედეგად უნდა ვივარაუდოთ, რომ აღმოსავლეთი საქართველოს ტერიტორიის, კერძოდ, მისი ბარის დიდ ნაწილში ამ დროს უკვე ქართული მოსახლეობაა. რაც შეეხება ჰერულ-ალვანურ ტომებს, მათ, მაინცდამაინც, აღმოსავლეთ პერიფერიაზე ვადასტურებთ. ამდენადვე ცხადია, რომ როდესაც ძვ. წ. IV—III საუკუნეების მიჯნაზე შეიქმნა ივერიის ანუ ქართლის სამეფო, ეს იყო შემოქმედება ქართული ტომებისა, რომელნიც აქ უკვე მრავალი ასეული წლების ორგანული განვითარების ისტორიას მოითვლიდნენ.

10. უძველესი ქართული ისტორიული მატიანე „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ (VII ს.) როდესაც საქართველოს, უფრო სწორად, ქართლის სამეფოს თავდაპირველ საზღვრებს ეხება, ასეთი მოცულობით წარმოიდგენს სახელმწიფო ტერიტორიას: აღმოსავლეთით მას საზღვრავდა ჰერეთი (ე. ი. კავკასიის ალვანეთი); დასავლეთით — ეგრისწყალი. სამხრეთით — სომხითი (ე. ი. სომხეთის სახელმწიფო), ჩრდილოეთით — მთა ცროლისა[246]. თუ აღმოსავლეთისა და სამხრეთისათვის მემატიანეს სრულიად ნათელი, თუმცა ზოგადი მითითება აქვს, რომლის დაზუსტებაა საჭირო, ჩრდილოეთისა და დასავლეთისათვის მას სავსებით კონკრეტული ორიენტირები გააჩნია, თუმცა კი მათი იდენტიფიკაცია აგრეთვე საჭიროა. „მთა ცროლისა“ დღესაც არსებობს, ასეთივე სახელწოდებით. იგი მდებარეობს ხევსურეთში, კავკასიონის მთავარი ქედის ერთ-ერთ თოვლიან მწვერვალს წარმოადგენს და ერთმანეთისაგან ჰყოფს ხევსურეთის ე. წ. პირიქითა (კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთით მდებარე) და პირაქეთა (კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთით მდებარე) თემებს. აქედან გამომდინარე უნდა ვივარაუდოთ, რომ მემატიანის წარმოდგენით ქართლის სამეფოს ჩრდილოეთის საზღვარი გადიოდა კავკასიონის ქედის წყალსაყარზე და ზოგიერთი მხარე მთიანეთისა, რომელიც შუა საუკუნეებში (და ამჟამადაც) ორგანულ

---

[245] კერძოდ, ამას ვარაუდობდა მ. ჯანაშვილი, იხ. ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს გეოგრაფია, 1904, 131, შენ. 232. ამ საკითხის შესახებ იხ. აგრეთვე დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, საკანდიდატო დისერტაცია, გვ. 47—49.

[246] OP, 709.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართულ პროვინციებს წარმოადგენდნენ (თუშეთი, პირიქითი ჰერეთი, სურეთი, ხევი, დვალეთი), იმთავითვე ქართულ სახელმწიფოში შემავალად არ იგულისხმებოდა.

რაც შეეხება ქართლის სამეფოს დასავლეთის საზღვარს, რომელიც მდ. ეგრისწყლითაა აღნიშნული, ამ მდინარის იდენტიფიკაცის შესახებ ერთი აზრი არ არსებობს (ამის შესახებ ქვემოთ). ზოგს იგი მდ. ენგურად მიაჩნია, ზოგს — მდ. ოქუმისწყლად, ხოლო სხვებს — მდ. ღალიძგად. რომელი აზრიც არ უნდა გამოდგეს სწორი, ერთი რამ მაინც ცხადია — „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ავტორს (თუ მის წყაროს) დასავლეთი საქართველოს უდიდესი ნაწილი იმთავითვე ქართლის სამეფოს შემადგენლობაში შეაქვს.

ასეთივე სურათს ვხვდებით „ქართლის ცხოვრებაში“. ლეონტი მროველის (XI ს) მიხედვით, მას შემდეგ, რაც ფარნავაზმა, პირველმა ქართველმა მეფემ, დიდი ბრძოლების შედეგად ბერძნებთან, დაიპყრო სამეფო ტახტი, იგი „მეფე იქმნა ყოველსა ქართლსა და ეგურსა ზედა“. ფარნავაზმა თავისი სამეფო ადმინისტრაციულ ერთეულებად, საერისთავოებად დაჰყო და ერთ-ერთ ერისთავად განაწესა ბრძოლებში მისი მოკავშირე ქუჯი, რომელსაც „მისცა ქუეყანა ეგრის წყალსა და რიონს შუა, ზღუთგან მთამდე, რომელსა შინა არს ეგრისი და სუანეთი, და დამტკიცა იგი ერისთავად მუნ. და მან ქუჯი აღაშენა ციხე-გოჯი“. „ხოლო ეგრის წყალს ქუემოთ დარჩა ბერძენთა“[247]. ცხადად ჩანს, რომ ამოსავალი ვითარების მოხაზვისას ავტორი „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მატიანეს ზემოხსენებულ ცნობას უნდა იყენებდეს, როგორც პირველწყაროს, თუმცა უმატებს ისეთ საინტერესო დეტალს, როგორიცაა ეგრისის მმართველი ქუჯის უშუალო ქვეშევრდომობა ქართლის მეფის მიმართ. ეს გარემოება მით უფრო ნიშანდობლივია, რომ მისივე ეთნოლოგიური კონცეფციის თანახმად, ეგროსი, მეგრელთა ეთნარქ-ეპონიმი, ისეთივე ძმაა ქართლოსის — აღმოსავლელ ქართველთა მამამთავრისა, როგორც ჰეროსი ან ლეკანი, რომლებიც თავის მხრივ, ალვანელთა და დაღესტნელთა ეთნარქებს წარმოადგენენ და მთელი მისი თხზულების მანძილზე პოლიტიკური თვალსაზრისით ქართლის თანასწორ ერთეულებს განასახიერებენ. ეგროსი კი, მიუხედავად იმისა, რომ ქართლოსის ძმაა, მთელი მისი თხზულების მანძილზე ქართლის ერთ-

---

247 ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, 1955, გვ. 24.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი საერისთაოს — ეგრისის — განსახიერებაა. მაგრამ ეგრისის, როგორც საერისთაოს სტატუსი ქართლის სამეფოში არც მთლად ისეთია, როგორც სხვა ასეთივე ადმინისტრაციული ერთეულებისა, მაგალითად, კლარჯეთისა ან კახეთისა, რომლებიც ამავე დროს ქართლის „ჯევებს", ე. ი. ადმინისტრაციულად და ეთნოგრაფიულადაც საკუთრივ ქართლის ორგანულ ნაწილებს წარმოადგენენ. მაგრამ მაინც ამ კონცეფციით დასავლეთ საქართველოს, ეგრისის პოლიტიკური დაქვემდებარება ქართლისადმი სრულიად ცხადია.

რა თქმა უნდა, ქართული მატიანეების ასეთი თვალსაზრისი არ შეიძლება შემთხვევითი და ნებისმიერი იყოს. არ შეიძლება, ამავე დროს, ასეთი პოლიტიკური კონცეფცია შექმნილი იყოს VII ან XI საუკუნეებში, რადგან პირველ შემთხვევაში არ ჩანს ამის საფუძველი, ხოლო მეორე შემთხვევაში სწორედ საწინააღმდეგო პოლიტიკური ვითარებაა. ამიტომ უნდა დავასკვნათ, რომ ზემოხსენებული მემატიანეები რაღაც ძველ წყაროებს თუ გადმოცემებს ემყარებოდნენ, რომელთაც ჩვენამდე არ მოუღწევიათ. ამდენადვე, ჩვენ მართებულად მიგვაჩნია ის ტენდენცია ჩვენს მეცნიერებაში, რომლის მიხედვით სათანადო სიფრთხილით და არგუმენტაციით შესაძლებელია ჩვენი წყაროების ცნობების ამ მხრივაც გამოყენება[248], მით უმეტეს, რომ ამ პოლიტიკური კონცეფციის რეალური იდეოლოგიური ანარეკლი უკვე VII საუკუნეში გვაქვს[249].

რაც შეეხება ქართლის სამეფოს კონკრეტულ საზღვრებს (აღმოსავლეთისას და სამხრეთისას) ანტიკურ ხანაში, ამის დაზუსტება ხერხდება იმავე „ქართლის ცხოვრების" მეშვეობით: ქართლის სამეფოს საზღვარი იყო „აღმოსავლით ჰერეთი და მდინარე ბერდუჯისი.. სამხრით მთა, რომელი მიჰყვების ბერდუჯის მდინარის თავ-

---

248 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ძიებანი ქართველთა IV—VII საუკუნის ისტორიის შესახებ, „ისტორიო კრებული", წ. II, 1928, 9 და შემდ.; Г. А. М е л и к и ш в и л и, К истории древней Грузии, 1959, 131 და შემდ.

249 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წ. I, 1951, 303; ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, I, 1949, 121 და შემდ.; ეპისტოლეთა წიგნი, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და კომენტარებით გამოსცა ზ. ა ლ ე ქ ს ი ძ ე მ, 1968, 168 და შემდ. აღსანიშნავია, რომ კ. თუმანოვი ლეონტი მროველთან გატარებულ ამ პოლიტიკურ კონცეფციას, ივერია-ეგრისის ურთიერთობას რომ ეხება, „იბერიის სამეფოს კოსმოკრატიზმს" მიაწერს (იხ. C. T o u m a n o f f, Studies in christian caucasian history, 1963, გვ. 449, შენ. 41), რაც, როგორც ქვემოთ ვნახავთ (III, 3), სრულიად მოკლებულია საფუძველს.

სა, და მთა, რომელი მიჰყვების დასავლით კერძო, რომლისა წყალ-
გარდმოდის ჩრდილოთ კერძო და მიერთვის მტკუარსა, რომელ მიჰ-
ყვების მთა შორის კლარჯეთსა და ტაოს ვიდრე ზღუამდის"[250].
რამდენადაც უკიდურესი სამხრეთ-აღმოსავლეთი პუნქტი ქართლი-
სა, რომლითაც იგი ემიჯნებოდა ალვანეთის სამეფოს, იყო ციხე-
ქალაქი ხუნანი, ამდენად „ქართლის ცხოვრებაში" სახელმწიფო
საზღვრები მოკლედ აღინიშნებოდა: „ხუნანითგან ვიდრე ზღუამ-
დე სპერისა"[251], სადაც ხუნანი უკიდურეს აღმოსავლეთ მიჯნას გან-
საზღვრავდა, ხოლო „ზღუა სპერისა" ანუ შავი ზღვა — დასავლეთს.

აღმოსავლეთი სასაზღვრო ხაზის კოორდინაცია ხერხდება სხვა-
დასხვა, ადგილობრივი და უცხოური წყაროების, აგრეთვე ტოპო-
ნიმიკური მონაცემების შეჯერების საფუძველზე და მისი მიმართუ-
ლება შემდეგნაირად წარმოგვიდგება: უკიდურესი სამხრეთის პუნქ-
ტი ხუნანია, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე. აქედან მტკვრის გასწვრივ
რუსთავამდე, შემდეგ სამგორ-ჩადივრისა და გარეჯის მთის შორი-
სი ხაზით მდ. იორამდე. აქედან სამების ხევით გომბორის გადასასვ-
ლელამდე, შემდეგ თურდოს ხეობით ალაზნამდე. აქედან ალაზნის
გაყოლებით დასავლეთისაკენ, ვიდრე ბახტრიონამდე: შემდეგ ალა-
ზან-მაჭარეულის წყალგამყოფი მთით, ალაზან-შტორის წყალგამყოფი
ნაქერალას ქედის მიმართულებით კავკასიონის მთავარ ქედამდე[252].
დაახლოებით ამ ხაზზე გადიოდა ქართლის სამეფოსა და ალვანეთის
საზღვარი მტკვრის ჩრდილოეთით და იგი გამოჰყოფდა ქართულ
პროვინციებს, კახეთსა და კუხეთს ჰერეთისაგან (ჩრდ. ალვანეთი-
საგან). ამ საზღვრის სამხრეთი მონაკვეთი, რომელიც გამოჰყოფდა
ქართულ გარდაბანს ანუ ხუნანის საერისთაოს რანისაგან (სამხ.
ალვანეთისაგან) ხუნანთან იწყებოდა და აჰყვებოდა მდ. ბურდუჯს,
ვიდრე მის სათავეებამდე.

სამხრეთის საზღვარი, რომელიც ქართლის სამეფოს სომხეთი-
საგან გამოჰყოფდა, იწყებოდა მდ. ბერდუჯის სათავეებიდან და
გაჰყვებოდა მტკვრისა და არაქსის აუზების წყალგამყოფს მთელს
სიგრძეზე მტკვრის სათავეების ჩათვლით (პროვინცია „კოლა"), ხო-

---

250 ქ ც ა, I, 4.

251 იქვე, 8. ბერდუჯის და ხუნანის სავარაუდო ლოკალიზაცია იხ. ქვემოთ.

252 დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ციხე-ქალაქი უჯარმა, 1966, 15; შდ. ნ. ლ ო-
მ ო უ რ ი, იბერიის (ქართლის) სამეფოს საზღვრების საკითხისათვის ანტიკურ პე-
რიოდში, სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, VII, 1955,
8—9.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლო აქედან ქედს, რომელიც გაჰყოფდა კლარჯეთს (მდ. ჭოროხი ქვემო დინების აუზი) ტაოსაგან (მდ. ჭოროხის შუა დინების აუზი).

ზემოთ განხილული გვქონდა ივერიის სამეფოს საზღვრები ანტიკური ხანის უცხოური წყაროების მიხედვით, რომლებიც, მაინც-დამაინც, ელინისტური ხანის ვითარებას ასახავენ და, როგორც უნდა დავრწმუნებულიყავით, ქართული ეროვნული ტრადიცია შემონახული ლეონტი მროველის მიერ, არსებითად სწორი უნდა იყოს.

მაგრამ აქ აღსანიშნავია ერთი გარემოება.

როგორც ლეონტი მროველის ჩვენებიდან ჩანს, მას ქართველი ხალხის განსახლების ძირითადი ტერიტორიიდან გამორიცხული აქვს ტაო და სპერი (ჭოროხის ზემო დინების აუზი), ხოლო ჩვენ კი ვიცით, რომ ივერიის სამეფოს ჩამოყალიბებისას ეს პროვინციები მის შემადგენლობაში შედიოდნენ. შუა საუკუნეებშიც ჭოროხის აუზი საქართველოს ტერიტორიას წარმოადგენდა. ცხადია, იმ გარემოებას, რომ ლეონტი მროველთან ტაო-სპერი გამორიცხულია ქართველი ხალხის უძველესი განსახლების ტერიტორიიდან, ახსნა სჭირდება.

საქმე ის არის, რომ როგორც უკვე ვიცით, ქართლის სამეფომ ეს ტერიტორია (გოგარენე — ქვემო ქართლთან ერთად) ძვ. წ. II საუკუნის დასაწყისში დაჰკარგა და საკმაოდ ხანგრძლივი დრო დასჭირდა, რომ იგი კვლავ უკან დაებრუნებინა (იხ. რუკა 2).

ახ. წ. I—II საუკუნეებში, როდესაც ქართლის სამეფო პოლიტიკურ აღმავლობას განიცდის, ეჭვი არ არის, მისგან ადრე წაღებული ტერიტორიები მისსავე ფარგლებში შემოდიოდა. მაგრამ უფრო გვიან იგი კვლავ კარგავს მათ (იხ. რუკა 3), ვიდრე IV ს-ის მეორე ნახევრამდე, როდესაც ქართლმა კვლავ შეიერთა გუგარქ-გოგარენე ანუ ქვემო ქართლი. ტაოს დაბრუნება მხოლოდ VIII ს-ში მოხერხდა, ხოლო სპერისა — კიდევ უფრო გვიან. ამიტომ ის გარემოება, რომ ლეონტი მროველს, რომლის დროსაც (XI ს.) ტაო წარმოადგენდა ქართული კულტურის ერთ-ერთ ყველაზე უფრო მოწინავე კერას, ეს ქართული ქვეყანა არ შეაქვს მის მიერვე ქართველი ხალხის ოდინდელი განსახლებისათვის შემოსაზღვრულ ძირითად ტერიტორიაში, უნდა მოწმობდეს მხოლოდ იმას, რომ იგი საამისოდ (და საერთოდ თავისი ისტორიის შესაქმნელად) სარგებლობდა ძველი წყაროებით და გადმოცემებით და თავის ამ მასალას, როგორც ირკვევა, ფრიად ობიექტურად იყენებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუკი ლეონტი მროველს საკუთრივ ქართლის სამეფოს უძველესი ისტორიისთვის ხელთ ჰქონია რომელიღაც ძველი წყაროები და, ჩვენი თვალსაზრისით, საკმაოდ სანდოც, ამას ვერ ვიტყვით დასავლეთი საქართველოს შესახებ. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ არც ლეონტი მროველს და არც ჯუანშერს მიზნად არ ჰქონიათ დასავლეთი საქართველოს ისტორია დაეწერათ. მათი მიზანი იყო აღმოსავლეთი საქართველოს, საკუთრივ ქართლის სამეფოს ისტორიის აღდგენა და დასავლეთ საქართველოს, ისევე როგორც სხვა მეზობელს მხარეებს, ეხებოდნენ იმდენად, რამდენადაც ამას, მათი თვალსაზრისით, ქართლის სამეფოს ისტორია მოითხოვდა. ეს ასეა, მაგრამ როდესაც კი ეხებიან ისინი დასავლეთ საქართველოს ანუ ეგრისს, სვანეთს ან აფხაზეთს, მაშინაც ჩვენ ფრიად საინტერესო და ნიშანდობლივ ცნობებს ვხვდებით მათთან. მიუხედავად ამისა, რა თქმა უნდა, დასავლეთი საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და დროთა ვითარებაში მისი ცვლილებების გასათვალისწინებლად ეს არ არის საკმარისი. საამისოდ ზედმიწევნით საყურადღებო მასალას უცხოურ, პირველ რიგში რომაულ და ბიზანტიურ წყაროებში ვპოულობთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი I

ეგრისის სამეფო

1. IV—V საუკუნეებისათვის ეგრისის სამეფოს უკვე საკმაოდ ხანგრძლივი, რთული განვითარების გზა ჰქონდა გავლილი და პოლიტიკური და კულტურული აყვავების ეტაპზე იმყოფებოდა[1]. თუმცა იგი კვლავ აღმოსავლეთ რომის (ბიზანტიის) იმპერიის ვასალურ სახელმწიფოდ ითვლებოდა, მაგრამ, არსებითად, ამ დამოკიდებულებას ფორმალური ხასიათიღა შერჩენოდა[2]. მისი სახელმწიფოებრივი განვითარების ამ პროცესს თან სდევდა შესაბამისი ისტორიულ-გეოგრაფიული ცვლილებები. ამის ნათელსაყოფად საჭიროა კვლავ უკან მივბრუნდეთ და ძველი სათანადო ვითარება გავითვალისწინოთ.

შესანიშნავ ცნობებს ახ. წ. II ს-ის პირველი მესამედის დასავლეთ საქართველოს, უფრო სწორად, მისი ზღვისპირა მხარეების ისტორიული გეოგრაფიისათვის გვაწვდის ფლავიუს არიანეს ე. წ. „პერიპლუსი“ ანუ მისი ანგარიში რომის კეისრისადმი შავი ზღვის გარშემო საინსპექციო თვალსაზრისით შემოვლის შესახებ, რომელიც ბევრი მეცნიერის კვლევის საგანი გამხდარა. ეს თავისი მისია არიანეს 131 წელს შეუსრულებია. იგი წერს იმპერატორ ადრიანეს; „შემდეგი ტომები გავიარეთ: ტრაპეზუნტელების მოსაზღვრენი, როგორც ქსენოფონტიც ამბობს, არიან კოლხები და ტომს, რომელიც უგულადესია და ტრაპეზუნტელთა მოსისხლე მტერია, ქსენოფონტი დრილებს უწოდებს. მე კი ვფიქრობ, რომ ისინი სანები არიან... ამათ გვერდით არიან მაკრონები და ჰენიოხები, მათი მეფე ანქიალეა. მაკრონების და ჰენიოხების მეზობლები ძიდრიტები არიან, ესენი ფარსმანის ქვეშევრდომნი არიან. ძიდრიტების გვერდით ლა-

---

[1] Г. А. Меликишвили, დასახ. ნაშრ., 385; ნ. ლომოური, ეგრისის სამეფოს ისტორია, 1968, 72.

[2] ს. ჯანაშია, შრომები, II. 317—318; Г. А. Меликишвили, დასახ. ნაშრ., 385; ნ. ლომოური, დასახ. ნაშრ., 77.

ზები არიან. ლაზების მეფე მალასაა, რომელსაც ტახტი შენგანა აქვს მიღებული. ლაზების მეზობლები აფსილები არიან, მათმა მეფემ იულიანემ მეფობა შენი მამისაგან მიიღო. აფსილების მეზობლები აბასკები არიან. აბასკთა მეფე რესმაგაა, ამასაც ტახტი შენგანა აქვს მიღებული. აბასკთა მეზობლები სანიგები არიან, მათ მიწაზე იმყოფება სებასტოპოლისი. სანიგთა მეფემ სპადაგამ შენგან მიიღო ტახტი"[3]. მეორეგან იგივე არიანე წერს: „ესაა მთელი მანძილი ბიზანტიონიდან დიოსკურიადამდე... აქ მთავრდება რომაელთა სამფლობელოები პონტოს მარჯვენა მხარეს მცურავთათვის"[4].

ამგვარად, არიანეს მიხედვით, II ს-ის დასაწყისში შავი ზღვის სანაპიროზე ტრაპეზუნტიდან ვიდრე დიოსკურიამდე ანუ სებასტოპოლისამდე (დღ. სოხუმი) შემდეგი ტომები ცხოვრობენ: კოლხები, სანები (იგივე ჭანები), მაკრონ-ჰენიოხები, ზიდრიტები, ლაზები, აფსილები, აბასკები და სანიგები, რომელთა ტერიტორიაზეცაა სებასტოპოლისი. კოლხები, რომლებიც აქ, როგორც ჩანს, ვიწრო ეთნიკური მნიშვნელობით იხსენიებიან[5] და ჭანები იმავე არიანეს მიხედვით მდ. ოფისით (დღესაც არის ადგილი ოფი თურქეთის სანაპიროზე ტრაპეზუნტის აღმოსავლეთით) არიან ერთმანეთისაგან გამოყოფილნი[6], ხოლო ორივე ეს ტომი იმ დროს, როგორც ჩანს, შედიოდა რომის პროვინციის, კაპადოკიის პონტოს ტერიტორიაში[7]. უფრო ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობდა უკვე მაკრონ-ჰენიოხთა გაერთიანებული სამეფო, რომლის ცენტრი უნდა ყოფილიყო დაახლოებით დღევანდელი თურქეთის ქალაქ ათინასთან[8]. რაც შეეხება ამ სახელმწიფოს სამხრეთისა და ჩრდილოეთის საზღვრებს, ამის შესახებ ცნობა შემოგვინახა რამდენადმე უფრო გვიანი ხანის, V ს-ის ანონიმურმა ავტორმა, რომლის მიხედვით „მდინარე არქაბისიდან მდინარე ოფიუნტამდე (იგივე ოფისი არიანესი, დ. მ.) ...ახლა ცხოვრობენ მაქელონები (იგივე მაკრონები, დ. მ.) და ჰე-

---

[3] ფ ლ ა ვ ი უ ს ,ა რ ი ა ნ ე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო. თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა ნათელა კეჭაღმაძისა, 1961, 42—43 (ქვ.: ფლავიუს არიანე).

[4] იქვე, 51.

[5] იხ. ნ. ლ ო მ ო უ რ ი, დასახ. ნაშრ., 7, შენ. 2; შდ. ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ. 12; გ. მელიქიშვილის აზრით, „კოლხები" აქ ლიტერატურული გადმონაშთია, იხ, მისი, დასახ. ნაშრ., 63.

[6] ფ ლ ა ვ ი უ ს ა რ ი ა ნ ე, 35—36.

[7] ნ. ლ ო მ ო უ რ ი, დასახ. ნაშრ.; 7.

[8] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, 111, 22.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიოხები"[9]. მდ. ოფი, რომელიც არიანესთან კოლხების და ჭანების ურთიერთგამყოფი იყო, ანონიმთან მაკრონ-ჰენიოხთა სამხრეთ საზღვრად გვევლინება. ეს გარემოება შესაძლებელია არც კი მიუთითებდეს რაიმე ცვლილებებზე განვლილი დროის მანძილზე, რადგან პირველ შემთხვევაში, ალბათ, მდინარის ზემო წელზეა ლაპარაკი, რამდენადაც თვით არიანეს მიხედვითაც[10] (ხოლო უფრო გვიანდელი, ადრებიზანტიური წყაროების უცილობელი ცნობებით) სანები-ჭანები მთიელები არიან, მით უმეტეს, რომ არიანეს მაკრონები, როგორც ჩანს, იგივე სანებია[11]. ჩრდილოეთი საზღვარი მაკრონ-ჰენიოხთა სამეფოსი, ანონიმის მიხედვით, მდ. არქაბისია, რომელსაც, ჩვეულებრივ, დღევანდელ მდ. არხავესთან აიგივებენ[12]. მაკრონ-ჰენიოხთა სამეფოს ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ზიდრიტები ესაზღვრებიან, რომლებიც ამ დროს ქართლის მეფის ფარსმანის ქვეშევრდომნი არიან. ზიდრიტების განსახლების საზღვრები V ს-ის ანონიმს მითითებული აქვს მდ. არქაბისსა და მდ. აფსაროსს შორის. ამ უკანასკნელს, თითქმის გამოუკლებლივ ყველა, მდ. ჭოროხთან აიგივებს. ასე რომ, ზიდრიტების ჩრდილო საზღვარი აქ უნდა გასულიყო, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ნაწილობრივ ისინი, მოსალოდნელია, ჭოროხის ჩრდილოეთითაც გადადიოდნენ, რასაც სხვათა შორის, შესაძლებელია ამოწმებდეს „ქართლის ცხოვრების" ის ცნობა, რომლის მიხედვით ქართლის პირველი მეფე ფარნავაზი ფლობდა აჭარა-კლარჯეთის მიმდებარე შავიზღვისპირეთს[13]. არ არის გამორიცხული ლეონტი მროველის ეს ცნობა იყოს გამოძახილი იმ რეალური ვითარებისა, რომელიც ფიქსირებულია არიანესთან[14].

ზიდრიტების ჩრდილოეთით უკვე ლაზთა სამეფო იყო.

ლაზთა სამეფო ამ დროისათვის მდ. ფაზისის (დღ. რიონის) ორივე ნაპირზე უნდა ვიგულისხმოთ[15]. ამას შესაძლებელია მოწ-

---

[9] ანონიმი V ს. იხ. ფლავიუს არიანე. 85.

[10] იხ. ფლავიუს არიანე, 92.

[11] იხ. ს. ჯანაშია, იქვე; შდ. გ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრ., 373—374.

[12] თუმცა უკანასკნელ ხანში გამოითქვა მოსაზრება, რომ არიანეს მდ. არქაბისი უნდა იყოს არხავეს ჩრდილოეთით მდ. ორხოფი, იხ. ნ. ლომოური, ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები ქართველი ტომების შესახებ, მსკი, ნაკვ. 35, 1963, 13—14; შდ. მისივე, ეგრისის სამეფოს ისტორია, 8.

[13] ქ-ცა, 1, 24.

[14] შდ. Г. А. Меликишвили, დასახ. ნაშრ., გვ. 136; ზიდრიტების ადგილსამყოფელს მთლიანად ჭოროხს ჩრდილოეთით ათავსებს ნ. ლომოური. იხ. მისი, ეგრისის სამეფოს ისტორია, გვ. 8—10.

[15] შდ. ნ. ლომოური, დასახ. ნაშრ., გვ. 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მობდეს ახ. წ. II ს-ის მწერლის დიონისოს პერიეგეტის მიერ შემოწმებული ნახული ცნობა, რომლის მიხედვით კოლხები „კავკასიონის მახლობლად არიან. აქვეა ფასისი, რომელიც კირკეს დაბლობზე მიიკლაკნება და ევქსინის წყლებში (ე. ი. შავ ზღვაში, დ. მ.) ათხევს ქაფს“[16]. მართალია, ამ ცნობას აშკარად ეტყობა ძველი ანტიკური ლიტერატურული ტრადიციის გავლენა, მით უმეტეს, რომ იგი კოლხებზე ლაპარაკობს და არა საკუთრივ ლაზებზე (რომლებიც ადრებიზანტიური წყაროების მიხედვით კოლხების უშუალო ჩამომავლები არიან), მაინც შესაძლებელია, ჩვენი საკითხისთვის მას მნიშვნელობა ჰქონდეს. ყოველ შემთხვევაში, საამისოდ ნიშანდობლივი ჩანს II ს-ის ცნობილი გეოგრაფის პტოლემაიოსის ცნობა, რომ „კოლხეთის ზღვისპირა ნაწილში მოსახლეობენ ლაზები“[17]. მართალია, პტოლემაიოსის ცნობები კოლხეთის შესახებ ბუნდოვანია, რაზედაც უკვე იყო მიქცეული ყურადღება[18], მით უმეტეს, რომ ლაზთა განსახლების სამხრეთ საზღვრად მის მიერ დასახელებულია თვით მდ. ფაზისი[19], რაც აშკარა შეცდომაა[20], მაინც მისი ჩვენება ამ შემთხვევაში იმდენად არის საინტერესო, რომ არიანეს ცნობასთან შეთანაპირებით ირკვევა ლაზების განსახლება რიონის ორივე ნაპირზე. მიუხედავად ამისა, პტოლემაიოსის „ლაზებს“ პოლიტიკური მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. ე. ი. ამ ცნებაში უნდა იგულისხმებოდნენ არა მხოლოდ საკუთრივ ლაზები, არამედ სხვა ტომებიც, რომლებზედაც ამჯერად ვრცელდება ლაზთა პოლიტიკური ძალაუფლება[21]. ასე რომ, იგი უნდა გამოხატავდეს უფრო გვიანდელ ვითარებას, ვიდრე ეს არიანესთან არის დამოწმებული. ამ უკანასკნელის მიხედვით კი, როგორც ვიცით, ლაზების გავრცელების ჩრდილო საზღვარსა[22] და დიოსკურიას შორის კიდევ ორი სახელმწიფოებრივი

---

[16] თ. ყაუხჩიშვილი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, 1, 1967, გვ. 151.

[17] ნ. ლომოური, კლავდიოს პტოლემაიოსის „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“, ცნობები საქართველოს შესახებ, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 32, 1955, 45.

[18] იხ. ს. ჯანაშია, შრომები, III, 24.

[19] ნ. ლომოური, დასახ. ნაშრ., გვ. 45.

[20] იქვე, გვ. 56—57.

[21] იხ. ს. ჯანაშია, იქვე.

[22] დაახლოებით მდ. ხობი? (იხ. ს. ჯანაშია, იქვე, 23: ნ. ლომოური, ეგრისის სამეფოს ისტორია, გვ. 10).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაერთიანება არსებობდა აფსილებისა და აბასკებისა, ხოლო თვით ქალაქი დიოსკურია სანიგთა ტერიტორიაზე მდებარეობდა.

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე II ს-ის 30-იან წლებში არსებული ოთხივე სახელმწიფოებრივი გაერთიანება (ლაზებისა, აფსილებისა, აბასკებისა და სანიგებისა) ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად რომის ვასალურ ერთეულებს წარმოადგენდა. დიოსკურიაში, სადაც საზღვრისპირო ციხესიმაგრეში ისევე, როგორც ფაზისის ციხესიმაგრეში, რომაული გარნიზონები იდგა[23], მთავრდება ამ დროს რომაელთა სამფლობელო ტერიტორია (იხ. ზემოთ). ეს, რა თქმა უნდა, სიტყვა-სიტყვით კი არ უნდა გავიგოთ, თითქოს თვით ქალაქი სასაზღვრო პუნქტს წარმოადგენდა, არამედ იმგვარად, რომ ის ტერიტორია, რომლის ცენტრსაც დიოსკურია წარმოადგენდა, ე. ი. მაინცდამაინც, სანიგების ქვეყანა, იყო რომის ძალაუფლების გავრცელების უკიდურესი ტერიტორია ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ პტოლემაიოსის ცნობა განსხვავებულ ვითარებას გულისხმობს. მართლაც, მისი მიხედვით, ქალაქი დიოსკურია ანუ სებასტოპოლისი (დღ. სოხუმი) კოლხეთშია ანუ ლაზთა დასახლების ტერიტორიაზეა[24], მაშინ როდესაც ჩვენ უეჭველად ვიცით, რომ II ს-ის ოცდაათიან წლებში, არიანეს მიხედვით, ლაზებსა და დიოსკურიას შორის ზღვის სანაპიროზე კიდევ ორი ტომი ბინადრობდა: აფსილები და აბასკები, ხოლო თვით დიოსკურია მესამე ტომის — სანიგების ტერიტორიაზე მდებარეობდა. მაშასადამე, თუ კი პტოლემაიოსის ჩვენება შეესაბამება სინამდვილეს, უნდა ვიფიქროთ, რომ იმ პერიოდის განმავლობაში, რომელიც აშორებს ამ ორ ცნობას (დაახლ: სამი ათეული წელიწადი), შავი ზღვის სანაპიროზე რაღაც ცვლილებებს ჰქონია ადგილი.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ცვლილებები უნდა გამოხატავდეს ლაზთა სამეფოს, ქართული წყაროების „ეგრისის“ ანუ ბიზანტიური წყაროების „ლაზიკის“ ჩამოყალიბების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპს, როდესაც მან უშუალოდ შემოიერთა ჩრდილო-დასავლეთი ტერიტორია, რომელზედაც უფრო ადრე მოსახლეობდნენ აფსილები, აბასკები და ნაწილობრივ სანიგებიც (დიოსკურიის ჩათვლით). მაშასადამე, ეს უნდა მომხდარიყო II ს-ის შუა ხანებში. ამ დროისათვის ეგრისის სამეფო აღმოსავლეთისაკენაც ფართოვ-

---

[23] ფ ლ ა ვ ი უ ს ა რ ი ა ნ ე..., გვ. 39—41.

[24] ნ. ლ ო მ ო უ რ ი, კლავდიოს პტოლემაიოსი, გვ. 45.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დება. პტოლემაიოსის ზემომოტანილი ცნობით, „კოლხეთის ზღვისპირა ნაწილში მოსახლეობენ ლაზები, ზევით მდებარე ადგილებში მანრალები და ეკრი(კ)ტიკის ქვეყნის მცხოვრებნი, მის (კოლხეთის, დ. მ.) შიგნით ნაჩვენებია ქალაქები და სოფლები: მეხლესოსი, მადია, სარაკე, სურიონი, ძადრისი“[25]. ეს ცნობა, ვფიქრობთ, მრავალმხრივ არის საყურადღებო ჩვენთვის საინტერესო საკითხისათვის.

აშკარაა, რომ პტოლემაიოსი ტერმინს „კოლხეთი“ ძველი ანტიკური ლიტერატურული ტრადიციის გავლენით ხმარობს, მაგრამ რეალურად, ვფიქრობთ, იგი უნდა გვიანდელ „ლაზიკეს“ შეესატყვისებოდეს (რა თქმა უნდა, მიახლოებით). ამას გვავარაუდებინებს, ჯერ ერთი, უფრო გვიანდელი ხანის ბიზანტიური წყაროები (იხ. ქვემოთ), რომლებიც ლაზიკეს დაახლოებით იგივე ფარგლებში წარმოიდგენენ, და შემდეგ, თვით პტოლემაიოსის ზოგიერთი მონაცემის სრული რეალურობა.

ასე მაგალითად, კოლხეთის შიდა მხარეებში (ზღვისპირა ნაწილიდან „ზევით მდებარე ადგილებში“) იგი ასახელებს მანრალების ტომს, რომელსაც მის გარდა არცერთი ანტიკური მწერალი არ იცნობს[26] და რომელიც უნდა იყოს, რა თქმა უნდა, იგივე „მაგრალების“ ტომი[27]. თუკი პტოლემაიოსის ცნობას ისე არ გავიგებთ, თითქოს „ზევით მდებარე ადგილებში (ცხოვრობდნენ) მანრალები —ეკრიკტიკის ქვეყნის მცხოვრებნი“ (ე. ი. აქ ლაპარაკია ეკრიკტიკის ქვეყანაზე, რომლის მცხოვრებნიც არიან მანრალები[28]), რაც აუცილებელი არ გვეჩვენება, მაშინ გამოვა, რომ მანრალ-მაგრალები სხვაა, ხოლო ეკრიკტიკა-ეკრიტიკის ანუ, ცხადია, ქართული წყაროების ეგრისის[29] მცხოვრებნი ანუ მეგრელები — სხვა. ძველი ქართული წყაროების ეგრისის ძირითადი ტერიტორია, რომლის პოლიტიკური გავრცელების შედეგადაც მთელმა დასავლეთ საქართველომ გარკვეულ დროს მიიღო სახელწოდება ეგრისი, უნდა იყოს მდ. ენგურის შუა და ქვემო წელი, რასაც მოწმობს ჰიდრო — და ტოპონიმიკა (მდ. ენგური ანუ იგივე მდ. ეგური[30], სოფ. ერგეტა

---

25 ნ. ლ ო მ ო უ რ ი, კლავდიოს პტოლემაიოსი, გვ. 45.

26 იხ. ნ. ლ ო მ ო უ რ ი, დასახ. ნაშრ., 57.

27 იხ. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, იქვე, 6.

28 იხ. Г. А. М е л и к и ш в и л и, დასახ. ნაშრ., 67.

29 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, 1951, 418; ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, იქვე, 6, შენ. 1. ნ. ლ ო მ ო უ რ ი, იქვე; Г. А. М е л и к и ш в и л и, იქვე.

30 ასე უწოდებს მდ. ენგურს მაგ. ვახუშტი, იხ. მისი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ. 167.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდ. ენგურის ქვემო დინებასთან). ძველი ქართული წყაროებიდან ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინოლოგია (შიდა ეგრი) და აგრეთვე არქეოლოგიური და ნუმიზმატიკური მონაცემები[31]. რაც შეეხება პტოლემაიოსის მანრალ-მაგრალებს, ესენი შესაძლებელია იყვნენ დასავლეთ საქართველოს უკიდურესი აღმოსავლეთი პროვინციის, ივერიის მომიჯნავე არგვეთის მცხოვრებლები — მარგველები[32].

გარდა ამისა, კოლხეთის შიდა მხარეების ქალაქებს შორის, როგორც იყო აღნიშნული, პტოლემაიოსი ასახელებს მეხლესოსს (ვარ. მეხრესოს), რომელსაც აიგივებენ პროკოპი კესარიელთან ლაზიკაში მოხსენებულ ქალაქ მოხირისთან (იხ. ქვემოთ) და რომელიც შესაძლებელია იყოს სამტრედიის რაიონში, რიონის მარცხენა ნაპირზე სოფ. დაბლაგომთან დამოწმებული მუხურის ციხე. სარაკე უნდა იყოს დღ. შორაპანი, ხოლო სურიონი — დღ. სვირი[33]. ამ ორი უკანასკნელი პუნქტის იდენტიფიკაცია აგრეთვე იმას გვაგულისხმებინებს, რომ პტოლემაიოსის მიხედვით არგვეთის ტერიტორია, რომელიც ქართული წყაროებით ქართლის სამეფოს ჩამოყალიბებისთანავე მის ფარგლებში შევიდა[34], ამ დროს, II ს-ის 50—60-იან წლებში ეგრისის სამეფოს ეკუთვნის.

ამგვარად, ჩვენი აზრით, პტოლემაიოსის მიერ მოცემული სურათი კოლხეთის ვითარებისა გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ამ დროს უკვე ჩამოყალიბებულია ეგრისის სამეფო, რომელიც მოიცავდა არა მხოლოდ არიანესთან დამოწმებულ ლაზთა სამეფოს ტერიტორიას, არამედ იმავე ავტორთან დამოწმებულ აფსილთა, აბასკთა და ნაწილობრივ სანიგთა ტერიტორიას, რიონის მარჯვენა სანაპიროს შიდა რაიონებს, ენგურის შუა და ქვემო დინებას („შიდა ეგრი") და აგრეთვე არგვეთსაც[35].

ეგრისის სამეფოს ჩამოყალიბება უნდა განხორციელებულიყო არა საკუთრივ ლაზთა ჰეგემონობით[36], არამედ, ვფიქრობთ, სწორედ

---

31 იხ. თ. ბ ე რ ა ძ ე, ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, III, 1966, 131—142. იქვე დართული რუკა.

32 შდ. ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, საისტორიო მოამბე, წ. I, 1924 გვ. 30.

33 ამ პუნქტთა იდენტიფიკაციისათვის იხ. ნ. ლ ო მ ო ურ ი, დასახ. ნაშრ., 57.

34 ქ-ცა, 24. შორაპანი მარგვის ანუ არგვეთის ციხედ იხსენიება „ქართლის ცხოვრების" იმავე ცნობაში. რაც შეეხება სვირს, იგი გვიანფეოდალური საჩხერის ტერიტორიაზეა, ხოლო ეს უკანასკნელი ვახუშტის მიხედვით ძველად არგვეთს მიეკუთვნებოდა, იხ. ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ნაშრ., 169.

35 შდ. Г. А. Меликишвили, დასახ. ნაშრ., 382—383.

36 იქვე, გვ. 382.

ეგრისელთა ანუ ძველი წყაროების „მეგრთა“, ე. ი. მეგრელთა თაოსნობით, რომლებიც, როგორც ჩანს, ეთნიკურად ლაზთაგან თავიდან მის არ განირჩეოდნენ. მეგრელთა წარმმართავ როლს ამ უაღრესად მნიშვნელოვან მოვლენაში გვაგულისხმებინებს, ჯერ ერთი, ის რომ საკუთრივ ეგრისის ტერიტორია, შიდა ეგრი (დაახლ. გვიანდელი სამეგრელო და ქვემო იმერეთი), როგორც ბიზანტიური წყაროები გვავარაუდებინებენ (იხ. ქვემოთ) წარმოადგენდა უმდიდრეს რაიონს, სოფლის მეურნეობის თვალსაზრისით, მთელს ლაზიკაში. მართლაც, ლაზიკის ყველა მნიშვნელოვანი ქალაქი და თვით მისი ცენტრიც სწორედ აქ მდებარეობდა. ეკონომიურ დაწინაურებას, რა თქმა უნდა, პოლიტიკური გაძლიერებაც უნდა გამოეწვია.

ამას გარდა, ახლად წარმოქმნილი სამეფოს კიდეებზე, იქ, საღაც მისი საზღვრები გადიოდა ისეთი ჰიდრო-და ტოპონიმების წარმოქმნა, როგორიცაა „ეგრისწყალი“ (ჩრდილო-დასავლეთით), სოფ. ერგე ჭოროხის ქვემო დინებაზე, ერგე[37] (დღ. ერკეთი გურიაში, მდ. სუფსის ზემო წელზე), ეგრე-სუ (იგივე ეგრის-წყალი), ჭოროხის მარცხენა შენაკადის მურღულის სათავეში (დღ. თურქეთის ტერიტორიაზე) აშკარა მოწმობაა სწორედ მეგრელთა პოლიტიკური ექსპანსიისა. ის ფაქტი, რომ ბიზანტიელი ავტორები ამ სახელმწიფოს კვლავ „ლაზიკეს“ უწოდებენ, ადვილი ასახსნელია სწორედ იმ ნიადაგზე, რომ ლაზ-მეგრელნი ეთნიკურად ერთგვაროვანნი იყვნენ და უცხოელთა თვალში აქ არავითარ ცვლილებას ამ მხრივ ადგილი არ ჰქონია[38].

ეჭვს შეიძლება იწვევდეს ეგრისის სამეფოს მიერ არგვეთის მიერთება.

საქმე ის არის, რომ, როგორც ცნობილია, I—II სს-ში ქართლის სამეფოს ძლიერების ხანაა და ამიტომ არგვეთის ეგრისის ფარგლებში შესვლა ამ დროს თითქოს ნაკლებ სავარაუდოა. კერძოდ, II ს-ის 30—50-იან წლებში ქართლის მეფეა ფარსმან II, რომლის დროს

---

[37] ბ. ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, 1940, გვ. 49. ბერი ეგნატაშვილის მიხედვით, ეგრე გურიის სამთავროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროვინცია იყო. რომელიც მდებარეობდა აჭარა-გურიის ქედის ჩრდილოეთით და მოიცავდა, როგორც ჩანს, მდ. სუფსის ზემო წელს მიმდებარე რაიონით. ისტ. მეცნ. დოქტორის ი. სიხარულიძის აზრით, დღეს მისი ნაშთი უნდა იყოს სოფ. ერკეთი.

[38] Г. А. Меликишвили, იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართლის სამეფოს ტერიტორია ფართოვდება[39], და როგორც ზემოთ არიანეს მიხედვით დავიმოწმეთ, ზღვაზედაც კი გადის. ცხადია, ენერგიული ფარსმანი, რომელიც რომსაც არ ეპუებოდა, თვით შეეცდებოდა თავისი გავლენა ეგრისზეც გაევრცელებინა[40] და ასეთ ვითარებაში არგვეთის ეგრისისადმი მიკუთვნება გამორიცხული უნდა იყოს, მით უმეტეს, თუკი ბორის თასის წარწერით კარგად ცნობილი ბუზმიჰრ პიტიახში, რომელიც არგვეთის ტერიტორიაზე ზის და ქართლის მეფეს ემორჩილება, სწორედ ამ ფარსმანის პიტიახშია[41]. მაგრამ აქ დასაზუსტებელია ქრონოლოგიის საკითხი, რისი ზედმიწევნით გაკეთებაც ჯერჯერობით შეუძლებელია: ფარსმანის მეფობა, როგორც ჩანს, II ს-ის 50-იან წლებს არ გადმოსცდება[42], ხოლო პტოლემაიოსის ცნობებით აღდგენილი ეგრისის სამეფოს ვითარება კი შეიძლება ამავე საუკუნის 60-იანი ან კიდევაც უფრო გვიანი წლებისა იყოს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ზედმეტად არ მიგვაჩნია „ქართლის ცხოვრების“ ცნობების მოტანა, რომელიც ფარსმან ქველის (იგივე ფარსმან II-ის) სიკვდილის უშუალოდ მომდევნო ხანას ეხება, ე. ი. დაახლოებით სწორედ II ს-ის 60-იან წლებს. ფარსმანის მოწამვლის შემდეგ სპარსელებმა თავისი პრეტენდენტი მირდატი დასვეს ქართლის ტახტზე მცხეთაში, ხოლო „დაუტევეს ერისთავი არმაზს... და დაიპყრეს ქართლი მირდატ და ერისთავმან სპარსთამან, ხოლო მეგრნი დადგეს ერთგულობასა ფარსმანის ძისასა. ხოლო მას ჟამსა მოყუარე იყვნეს სომეხნი და ბერძენნი. მაშინ სომეხთა მეფემან მოირთო ძალი ბერძენთაგან, და წარმოემართა ბრძოლად სპარსთა და ქართველთა. მიერთნეს მეგრნი, და შეკრბა სიმრავლე ურიცხვ. მაშინ მირდატ და ერისთავმან სპარსთამან მოირთეს ძალი სპარსეთით, ხოლო სომეხნი და ბერძენნი და მეგრნი შთავიდეს შიგა ქართლს, და მუნ მიეგებნეს სპარსნი და ქართველნი მდინარესა ზედა, რომელსა ჰქჳან ლიახჳ. და მუნ იქმნა ბრძოლა მათ შორის ადგილსა, რომელსა ჰქჳან რეკაჲ და მოს-

---

[39] მ. ი ნ ა ძ ე, იბერიისა და რომის ურთიერთობა II საუკუნის პირველ ნახევარში, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. I, 1955, გვ. 326—327; Г. А. Меликишвили, დასახ. ნაშრ., გვ. 359—361.

[40] Г. А. Меликишвили, დასახ. ნაშრ., გვ. 383.

[41] გ. ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ანტიკური ხანის საერისთაოს საკითხისათვის, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, II, 1964, 90, 95, შდ. მისივე, იბერიის საპიტიახშოს საკითხისათვის ლიხთიმერეთში, ისტ. ინსტ-ტის შრ., ტ. 1,

[42] Г. А. Меликишвили, დასახ. ნაშრ., გვ. 58.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყდა ორგანითვე ურიცხვ, იძლივნეს სპარსნი და ქართველნი“. როგორც ვხედავთ, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, II ს-ის სამოციან წლებში „მეგრნი“, ე. ი. ამ შემთხვევაში უნდა ვიგულისხმოთ მთელი ეგრისის (არგვეთიანად) მოსახლეობა[44], არამც თუ არ ემორჩილებიან ქართლის მმართველს, არამედ კიდევაც ებრძვიან მას. ბერძენთა (და სომეხთა) ხსენებაც შესაძლებელია არ იყოს შემთხვევითი და ეგრისის გაძლიერებული, მაგრამ მისი ვასალური, სამეფოს არსებობით რომი, მართლაც, უნდა ყოფილიყო დაინტერესებული იმ კონკრეტულ პირობებში, რომ იგი ძლიერი ქართლისათვის დაეპირისპირებინა.

ეგრისის სამეფოს სწრაფ ჩამოყალიბებას მეგრელთა პოლიტიკურ ექსპანსიასთან ერთად თან სდევდა ტომთა მიგრაციის პროცესი (ამის შესახებ ქვემოთ). ამასთანავე ეს პოლიტიკური ექსპანსია მიმართული იყო არა მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთისაკენ და აღმოსავლეთისაკენ. არამედ სამხრეთისკენაც. ამის შესახებ ჩვენ გვაქვს ცნობები IV—V სს-ის წყაროებში, ასე მაგალითად, IV-ის მეორე ნახევრის სახელგანთქმული რომაელი ისტორიკოსი ამიანე მარცელინე მოგვითხრობს, რომ 368 წელს ერანის შაჰი შაბური შეესია სომხეთს. სომხეთის მეფე პაპი და სხვა სომეხი წარჩინებულები მოერიდნენ მასთან ბრძოლას და „სცადეს შეეფარებინათ თავი მაღალ მთებში, რომლებიც ჩვენებს (ე. ი. რომაელთა მიწებს, დ. მ.) ლაზიკისაგან ჰყოფენ. იქ ხუთ თვეს იფარავდნენ თავს ულრან ტყეებსა და დახლაკნილ სერებში და თავს აღწევდნენ მეფის მრავალ ცდას მათი დაჭერისათვის“[45]. კონტექსტიდან აშკარად ჩანს, რომ ეს მაღალი მთები, რომლებიც ამ დროს გამოჰყოფდნენ რომაელთა უშუალო სამფლობელოს ეგრისის სამეფოსაგან, უნდა მდებარეობდნენ ჭოროხის შესართავის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ზღვის მახლობლად[46]. მაგრამ ამავე დროს ეს უნდა ყოფილიყო საკმაოდ ფართო ტერიტორია, მთელი მხარე[47], რომელიც, თავის მხრივ, სომ-

---

43 ქცა, I, გვ. 53—54.

44 საქმე ის არის, რომ „ქართლის ცხოვრებამ“ იცის „ორნი ერისთავნი ეგრისისანი“ (ქცა, 1, 57), რომელთაგან ერთი უნდა იყოს „შიდა ეგრისა და სვანეთისა“, ხოლო მეორე „მარგუსა და თაკუერისა“ (იქვე, გვ. 185). მარგვი კი სწორედ იგივე არგვეთია. შდ. ს. ჯანაშია, აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფოს უძველესი კულტურულ-პოლიტიკური ცენტრების საკითხისათვის, შრომები, II, 1952, გვ. 283, შენ. 2.

45 ამიანე მარცელინე, გეორგიკა, I, გვ. 128.

46 Г. А. Меликишвили, დასახ. ნაშრ., გვ. 381.

47 ნ. ლომოური, ეგრისის სამეფოს ისტორია, გვ. 70.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხეთში იგულისხმება. ამიტომ ვფიქრობთ, რომ აქ ლაპარაკი უნდა იყოს ტაოს ან მისი დიდი ნაწილის შესახებ. ამის საფუძველს ის გვაძლევს, რომ ტაო ცნობილი იყო თავისი მიუვალი მთის სიმაგრეებით, ტყეებით და ღრმა ხევებით, რომელთაც იმავე IV საუკუნეში და უფრო გვიანაც ხშირად თავს აფარებდნენ ხოლმე აჯანყებული სომეხი ნახარარები ხან თავისი საკუთარი მეფის, ხან სპარსელთა და ბერძენთა რისხვას[48].

ამგვარად, IV ს-ის 60-იან წლებში რომის სამფლობელოებს და ლაზიკას შორის ტაო იდო, რომელიც ამ დროს სომხეთში შედიოდა. ცხადია, ეს მიუთითებს ეგრისის სამეფოს სამხრეთი საზღვრების გაფართოებაზე ამ დროისათვის. შესაძლებელია ზემოაღნიშნული ჰიდრონიმი „ეგრე-სუ" (=ეგრის-წყალი), რომელიც მურღულის ხეობის სათავეშია, ქვახიდის მთის ძირში, სწორედ ამ პერიოდისა იყოს. ეს გვავარაუდებინებდა, რომ IV ს-ის 60-იან წლებში მურღულის ხეობა, რომელიც კლარჯეთის მხარეს წარმოადგენს, ეგრისის სამეფოში შემოდიოდა და საზღვარი კი გასდევდა ორჯოხის ქედს, რომელიც ტაოს, კერძოდ კი, პარხალს გამოყოფს მურღულის ხეობიდან.

VI ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოპი კესარიელის ერთი ცნობის მიხედვით[49] სავარაუდო ხდება, რომ IV ს-ის ბოლოსათვის, როდესაც ეგრისის სამეფო თავისი ძლიერების ზენიტს აღწევს, მის ფარგლებში შემოდიოდა აგრეთვე ჭანეთის ტერიტორიის ნაწილიც, კერძოდ, არიანესეული მაკრონ-ჰენიოხთა სამეფოს და ზიდრიტების ტომის ტერიტორიაც. საზღვარი რომის სამფლობელოებთან აქ რიზესა და ათინას შორის გადიოდა[50].

რომაელ და ბიზანტიელ ისტორიკოსთა ეს ცნობები და მათი ამგვარი ინტერპრეტაცია რომ სწორი უნდა იყოს, ამას ამოწმებს მათგან სრულიად დამოუკიდებელი წყარო, ე. წ. „სომხური გეოგრაფია", რომლის სხვადასხვა რედაქციასაც VII—X სს-ის ფარგლებში ათავსებენ.

„სომხური გეოგრაფიის" მოკლე რედაქციაში ვკითხულობთ: „კოლხეთი (კოლქის) არის იგივე ეგრისი (ეგერ)... და შეიცავს ეგრი-

---

[48] იხ. მაგალითად. История Армении Фавстоса Бузанда, 1953, 39, 101; Սրբոյ հօրն մեր Մովսէսի Խորենացւոյ Պատմութիւն հայոց, 1910, 323; Ղազար Փարպեցւոյ Պատմութիւն հայոց, 1904, 73—75, 121, 135;

[49] პ რ ო კ ო პ ი კ ე ს ა რ ი ე ლ ი, „გორგიკა", II (2), 123, 125

[50] Г. А. М е л и к и ш в и л и, დასახ. ნაშრ., 390—391.

სი ოთხ მცირე ქვეყანას: მანრილი, ეგრევიკა, ლაზივი, ჭანეთი, რომ-
ლებიც არიან ხალდები"[51]. ასევეა ჟ. სენ-მარტენის მიერ გამოცე-
მულ შემოკლებულ რედაქციაში, მხოლოდ ეგრისის შემადგენელი
ქვეყნების სახელებია სახეშეცვლილი: მარნელიტი, აგრივიკე, ლა-
ზივი და ჭანივი, რომლებიც არიან ხალდები[52]. ა. სუქრის მიერ გამო-
ცემული ვრცელი რედაქცია უფრო დაწვრილებით ცნობებს
იძლევა: „აზიის ქვეყანაა კოლხეთი ანუ ეგრი, მდებარეობს პონტოს
ზღვის აღმოსავლეთით სარმატიის მახლობლად, დრაკონის მდინა-
რის შესართავიდან კავკასიის მთამდე და მის ტოტამდე, რომელიც
გაჰყოფს მას (ეგრისს, დ. მ.) და ივერიას. და იქიდან ნაწილობრივ
ესაზღვრება დიდ სომხეთს, ვიდრე კაპადოკიის პონტომდე. დანაწი-
ლებულია ოთხ მცირე ქვეყნად: მანვილი (ვარ.: მანრილი), ეგრევი-
კი ანუ საკუთრივ ეგრისი, რომლის კიდეზე არის მდინარე ფაზისი
თანამოსახელე ქალაქითურთ; (ლაზივი)[53] და ჭანივი—იგივე ხალდე-
ბი, სადაც არის მდინარე მეგალოპოტამია. აქვს (ეგრისს, დ. მ.) სხვა
მდინარეებიც: აკამფსისი ანუ ჟოჰი, რომელიც მოედინება დიდი
სომხეთიდან. აქვს (ეგრისს, დ. მ.) ხუთი ქალაქი: იანი, კოტა, როდო-
პოლისი, ათინა და რიზონი და სხვა ბევრი ემპორიონები ანუ საზ-
ღვისპირო დაბაქალაქები, რომელთა შორისაა ტრაპიზონი"[54].

ეჭვი არ არის, რომ „სომხური გეოგრაფიის" ავტორს ეგრისის
აღწერისას ისევე, როგორც საერთოდ მთელი თხზულების შედგე-
ნისას, ამოსავალად პტოლემაიოსის „გეოგრაფიული სახელმძღვანე-
ლო" ჰქონდა[55], მაგრამ არც ის არის საეჭვო, რომ მას კავკასიის
ქვეყნებისა და ტომების აღწერის დროს დამატებითი წყაროებით
უსარგებლია[56] და, როგორც ირკვევა, საკმაოდ სანდო წყაროები-
თაც. კერძოდ, ეს უნდა ითქვას ეგრისის შესახებაც, რომლის აღწე-
რილობა, როგორც ვარაუდობენ, ამოღებული უნდა იყოს IV ს-ის
მეორე ნახევრის ბერძენი გეოგრაფის პაპი ალექსანდრიელის

---

[51] Армянская география VII века по р. Х. Текст и перевод, издал К. П. Патканов, 1877, 16.

[52] J. Saint-Martin, Mémoires historiques et géographiques sur l Arménie, т. II, 1819, 356.

[53] ეს სიტყვა ტექსტში აშკარად გამორჩენილია.

[54] Géographie de Moise de Corène d'après Ptolémée. Texte arménien traduit en français par le p. Arsène Soukry Mekhitariste, 1881, 27—28.

[55] იქვე, გვ. 111.

[56] იქვე, გვ. VII.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენამდე არ მოღწეული თხზულებიდან[57], რომელსაც, როგორც თავის წყაროს, ზოგადად ასახელებს თვით სომეხი გეოგრაფი[58].

ამგვარად, სომეხი გეოგრაფის მიხედვით, ეგრისი განიყოფებოდა ოთხ ქვეყნად: მანრილი, რომელიც, ცხადია, არის იგივე მანრალები პტოლემაიოსის[59] და რომელიც უნდა ნიშნავდეს ქართულ მარგვის — არგვეთს[60]; ეგრევიკი, რომელიც არის იგივე პტოლემაიოსის ეკრიტიკე[61] და რომელიც სომეხი გეოგრაფისვე განმარტებით არის საკუთრივ ეგრისი (ანუ ქართული წყაროების „შიდა ეგრი"). ამ პროვინციას ისევე, როგორც ქართული წყაროების შიდა ეგრისსაც რიონი აქვს საზღვრად[62]. ეს, რა თქმა უნდა, ფრიად მნიშვნელოვანი დამთხვევაა: რიონი ეგრისის საზღვრად იგულისხმება, როგორც ჩანს, სამხრეთითაც და აღმოსავლეთითაც. სწორედ ეს გარემოება გვავარაუდებინებს, რომ „სომხური გეოგრაფიის" მანრილი (ისევე, როგორც პტოლემაიოსის მანრალები) გულისხმობს მარგვის-არგვეთს. შემდეგ ჭანივი ანუ ჭანეთი, რომელიც ყველა ბიზანტიელი მწერლის მიერ ლოკალიზებულია ჭოროხის შესართავის სამხრეთით მთიანეთში, ზოგჯერ ზღვისპირასაც. რიზეს და ათინას ხსენება მათ ტერიტორიაზე სომეხ გეოგრაფთან სწორედ ამას მიუთითებს. ლაზივ-ლაზებისათვის, ამგვარად, რჩება ერთადერთი ტერიტორია რიონიდან ჭოროხის შესართავამდე[63]. საკუთრივ ლაზების ასეთი ლოკალიზაცია მეორე მხრივაცაა სავარაუდო: სომეხი გეოგრაფი ეგრისის შემადგენელი ქვეყნების ჩამოთვლისას, როგორც ჩანს, გარკვეულ თანმიმდევრობას იცავს, კერძოდ კი, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისკენ; ჯერ ასახელებს მარგველებს, შემდეგ მეგრელებს, შემდეგ ლაზებს და ბოლოს ჭანებს.

ერთადერთი პერიოდი, როდესაც ეგრისის ფარგლებში ადრეფეოდალურ ხანაში შესაძლებელია ჭანეთი (თუ მისი ნაწილი) შესულიყო, ეს არის ეგრისის სამეფოს განსაკუთრებული ძლიერების ხანა, ე. ი. IV ს-ის დასასრული ან V ს-ის დასაწყისი[64]. მართლაც,

---

57 ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 37—39.

58 Géographie... გვ. IV.

59 J'Saint-Martin, დასახ. ნაშრ., გვ. 388, შენ. 65.

60 ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 39.

61 J. Saint-Martin, დასახ. ნაშრ. გვ. 388, შენ. 65.

62 ქცა, I, გვ. 24.

63 ს. კაკაბაძე, იქვე.

64 ყოველ შემთხვევაში, ეს სრულიად შეუძლებელია VII-X სს-თვის.

ამ პერიოდში, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, პროკოპი კესარიელის ცნობის, ჩვენი აზრით, სწორი ინტერპრეტაციის შედეგად, საგულისხმოა, რომ ეგრისის სამეფოში შემოდიოდა მაკრონ-ჰენიოხთა და ზიდრიტთა განსახლების ტერიტორია და „სომხური გეოგრაფიაც“, ვფიქრობთ, ამას ადასტურებს, რამდენადაც ეთნიკურად ყველა ეს ტომები, როგორც ფიქრობენ, თითქმის ალბათ არც კი განსხვავდებოდნენ. თავისთავად ეს დაათარიღებდა სომეხი გეოგრაფის ცნობებს ეგრისის შესახებ IV ს-ის ბოლოთი ან V ს-ის დასაწყისით. შესაძლებელია, გაზვიადებული იყოს ამ ცნობების ის ნაწილი, სადაც ჭანეთი ტრაპიზონამდე მთლიანად ეგრისის ფარგლებშია მოქცეული, მაგრამ თვით ეს მოწმობა (ჭანეთის გარკვეული ნაწილის შეერთება ეგრისთან) ჩვენ სრულიად რეალური გვგონია.

რომ „სომხური გეოგრაფიის“ ჩვენთვის საინტერესო ცნობები ეგრისის შესახებ გარკვეულ ნაწილში სანდო უნდა იყოს ფაქტიურადაც და ქრონოლოგიურადაც, ამაში გვარწმუნებს კიდევ ერთი ჩვენება ამ თხზულებისა.

ტაოს აღწერისას სომეხი გეოგრაფი აღნიშნავს, რომ ჭოროხი ანუ „ჲოჰი მოდის რა სპერიდან თუხარისის ციხის მახლობლად ჩადის კლარჯეთში, ხოლო იქიდან — ეგრისში, ნიგალის, მრუღის და მრიტის ხევების გავლით — პონტოს ზღვაში“[65]. აქედან სრულიად აშკარაა, რომ „ჰევი ნიგალისა“[66], რომელიც ლოკალიზებულია ჭოროხის ქვემო დინებაზე, დაახლ. იმერხევის შესართავიდან ვიდრე ბორჩხამდე და ჭოროხის ამ მონაკვეთის აუზს უნდა მოიცავდეს; მრუღი, რომელიც უნდა იყოს იგივე მურღულის ხეობა და მრიტი (ალბათ დღ. მარადიდი ან მირვეთი ან მერეთი) — ჭოროხის სულ ქვემო დინება შესართავამდე მაჭახლის ხევიანად ეგრისის ფარგლებში შედიოდა[67]. საზღვარი ამის მიხედვით სომხეთსა (ტაოსა) და ეგრისს შორის ორჯოხის ქედზე უნდა გასულიყო, რაც ჩვენ ზემოთ ვივარაუდეთ აგრეთვე ამიანე მარცელინის ერთი ცნობის მიხედვით. ამგვარად, „სომხური გეოგრაფიის“ ეს ჩვენებაც კარგად ეთანხმება სრულიად მისგან დამოუკიდებელ და სხვა ხასიათის წყაროს და ამდენადვე მისი ეს ცნობაც IV ს-ის მეორე ნახევრით უნდა დათარიღდეს.

---

[65] Géographie... ეგ. 35.

[66] ᲒᲬᲪ, I, 377—378.

[67] შდ. Ս. Տ. Երեմյան, հայաստան ըստ „Աշխարհացույցի“, 1965, 71—72.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმავე გეოგრაფის ცნობით, ეგრისის ჩრდილო საზღვარი კავკასიონის მთავარ ქედზე გადის. ამის მიხედვით სავარუდოა, რომ დასავლეთ საქართველოს შთიანეთიც, კერძოდ, სვანეთი და რაჭა, იმ დროს ეგრისის სამეფოში შედიოდა.

მართლაც, VI ს-ის ბიზანტიელ ისტორიკოსს მენანდრე პროტიქტორს დაცული აქვს შესანიშნავი ცნობა, რომლის მიხედვით ცხადი ხდება სვანეთისა და ეგრისის ურთიერთდამოკიდებულება IV—V სს-ში. კერძოდ, როგორც ირკვევა, ჯერ კიდევ VI ს-ის 60-იან წლებში დაცული იყო ოფიციალური დოკუმენტი, სადაც წარმოდგენილი იყო სია ეგრისის მეფეებისა, რომლებიც სვანებს უნიშნავდნენ ხოლმე მმართველებს. ეს ნუსხა ეგრისის მეფეებისა და სვანთა მმართველებისა იწყებოდა იმ დროიდან, როდესაც რომის იმპერატორი იყო თეოდოსი I (379—395 წწ) ხოლო ერანის შაჰი — ბაჰრამ IV (388—399 წწ.) და მთავრდებოდა იმ დროით, როდესაც ბიზანტიაში მეფობდა ლეონ 1 (457—474 წწ.), ხოლო ერანში — პეროზი (459—483 წწ). ე. ი. ეს სია, საბოლოო ჯამში, თარიღდებოდა IV ს-ის ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისიდან ვიდრე V ს-ის 60—70-იან წლებამდე[68]. აქედან ასკვნიან, რომ IV ს-ის ბოლოს ეგრისს სვანეთიც შემოუერთებია[69].

რაჭა-ლეჩხუმიც ამ დროს ეგრისის ფარგლებში რომ უნდა მოხვედრილიყო, ეს გამომდინარეობს, ჯერ ერთი, იქიდან, რომ თვით სომეხი გეოგრაფის მიერ ეგრისის აღმოსავლეთ საზღვრად ლიხის მთაა მიჩნეული, და შემდეგ, ვახუშტის, მართალია გვიანდელი, მაგრამ ნიშანდობლივი ცნობიდან, რომ „პირველად იყო რაჭა შორაპნის საერისთაო“[70] ანუ, მისივე თვალსაზრისით — არგვეთის საერისთავოში შემავალი[71], ხოლო არგვეთი კი ამ დროს, ჩვენი აზრით, ეგრისის სამეფოს ფარგლებში შემოდიოდა.

რაც შეეხება სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვარს — აქ მიჯნა ქართლის სამეფოსთან უნდა გასულიყო ლიხის მთის სამხრეთ-დასავლეთ გაგრძელებაზე, დღევანდელ აჭარა-ახალციხის ქედზე. შედიოდა თუ არა აჭარა ამ დროს ეგრისის სამეფოში[72] ძნელი სათქმელია,

---

[68] მ ე ნ ა ნ დ რ ე პ რ ო ტ ი ქ ტ ო რ ი, „ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ა“, III, 224—225.

[69] იხ. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები; II, 314; Г. А. Меликишвили, დასახ. ნაშრ., გვ. 384; ნ. ლ ო მ ო უ რ ი, დასახ. ნაშრ; 71.

[70] ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 162.

[71] იქვე, გვ. 154. იხ. მისივე, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, 1885, გვ. 97.

[72] Г. А. М е л и к и ш в и л и, დასახ. ნაშრ., გვ. 382.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადგან თუმცა „სომხური გეოგრაფიის“ ვრცელ რედაქციაში აქა-
რა სრულიად არ არის ნახსენები, შემოკლებულ და მოკლე რედაქ-
ციებში კი ქართლის სამეფოს ფარგლებშია ნაჩვენები[73]. უკიდუ-
რეს სამხრეთ-დასავლეთ საზღვრებზე ჩვენ ზემოთ ვილაპარაკეთ.

ცალკეა აღსანიშნავი უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთი სა-
ზღვარი.

„სომხურ გეოგრაფიას“ მეტად საინტერესო ცნობა აქვს საამი-
სოდ შემონახული. აზიის სარმატიის აღწერისას იქ აღნიშნულია,
რომ „ბულღართა (იგულისხმება უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთი
კავკასიონის მთიელები, დ. მ.) და პონტოს ზღვას შორის მოსახლე-
ობენ გარშთა, ქუთთა და სვანთა ტომები ვიდრე ზღვისპირა ქალაქ
პისინუნამდე (დღ. ბიჭვინტამდე, დ. მ.) ავაზოვ ქვეყნისა, რომელიც
არის აფშილეთი და აფხაზეთი (ან: რომელიც არიან აფშილნი და
აფხაზნი, დ. მ.), ვიდრე მათ ზღვისპირა ქალაქ სევასტუპოლამდე,
ხოლო იქიდან აგრეთვე ვიდრე მდინარემდე, რომელსაც ეწოდება
დრაკონი ანუ ვეშაპი, რომელიც მოედინება ალანიდან (ტექსტში
აშკარა შეცდომით — ალვანეთიდან, დ. მ.) და განჰყოფს აფხაზეთს
(ან აფხაზებს, დ. მ.) და ეგრის ქვეყანას“[74]. ორიოდ სიტყვა ტექს-
ტის უკეთ გაგებისათვის. ჯერ ერთი, უნდა აღინიშნოს, რომ აქაც
ეტყობა, სომეხი გეოგრაფის პირველწყაროა პტოლემაიოსი. ეს
ჩანს თუნდაც იქიდან, რომ იგი ახსენებს მდ. ფსადუქროსს[75], რო-
მელსაც პტოლემაიოსს გარდა აქ სხვა წყარო არ იცნობს[76]. მაგრამ
აშკარაა ისიც, რომ იგი სრულიად სხვა და ფრიად ნიშანდობლივი
წყაროებითაც სარგებლობდა. როგორც ტექსტიდან ირკვევა, არსე-
ობს სარმატიაში ქვეყანა ავაზოვ, რომელშიც მოსახლეობენ აფში-
ლები და აფხაზები და რომლის ტერიტორიაზეა ქალაქები ბიჭვინ-
ტა და სებასტოპოლისი. ეგრისისგან მას გამოჰყოფს მდ. დრაკონი,
ხოლო ბიჭვინტის ჩრდილო-დასავლეთით მას ემეზობლება სვანთა
და სხვ. ტომი. პტოლემაიოსითაც ასეთი სურათი გამოდის: დიოსკუ-
რია კოლხეთშია, ხოლო მისი საზღვარი სარმატიასთან მდ. კორა-

---

73 Армянская география..., 17; Saint-Martin... II. 356.

74 Géographie, გვ. 25—26.

75 იქვე, გვ. 25.

76 ნ. ლ ო მ ო ვ ი, კლავდიოს პტოლემაიოსი..., გვ. 43 და 52. ამ სახელწო-
ოდების მდინარეს, მაგრამ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. იცნობს არიანე,
იხ. ფლავიუს არიანე... გვ. 36.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოსზეა[77]. ამ უკანასკნელს კი აიგივებენ მდ. ბზიფთან[78] და ამ ადგილ-ტიფიკაციის სისწორეს ამოწმებს „სომხური გეოგრაფია“, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი პტოლემაიოსისაგან განსხვავებით ტერიტორიას მდ. ბზიფსა (ბიჭვინტასა) და დიოსკურია-სებასტოპოლისს შორის სარმატიაში ათავსებს.

საინტერესოა კიდევ ერთი გარემოება. არიანესთან ზღვისპირა შედარებით ვიწრო ზოლზე ლაზების დასახლებასა და დიოსკურიას შორის სამი ტომი მოსახლეობდა: აფსილები, აბასკები და სანიგები. „სომხური გეოგრაფიის“ მიხედვით კი დიოსკურია-ბიჭვინტას შორის აფშილ-აფხაზებიღა არიან და აქ სანიგთა ხსენება აღარ არის. მდ. დრაკონი, რომელიც ჰყოფს ეგრისის ქვეყანას აფხაზეთისაგან, უნდა იყოს მდ. კოდორი[79]. ეს ჩანს იქიდან, რომ მისი სათავე ალანის ქვეყანაშია, ხოლო, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ალანის ქვეყანა სწორედ კოდორის სათავეებს ეწოდებოდა. მეორე მხრივ, VI ს-ში, პროკოპი კესარიელთან (და უფრო გვიანაც) დიოსკურია-სებასტოპოლისი აშკარად აფსილთა ანუ აფშილთა ტერიტორიაზეა, ხოლო საზღვარი აფშილთა და აფხაზთა შორის ანაკოფიასთან გადის (იხ. ქვემოთ). ამის მიხედვით ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ იმ ხანაში, რომელსაც ასახავს „სომხური გეოგრაფიის“ ეს ცნობა, შემდეგი ვითარება იყო შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე: მდ. კოდორამდე ცხოვრობდნენ მეგრელები; ტერიტორია კოდორს იქით დღ. სოხუმის ჩათვლით ეჭირათ აფშილებს, ხოლო ამათ იქით, დაახლ. ანაკოფიიდან მდ. ბზიფამდე მოსახლეობდნენ აფხაზები. ამგვარად, თუმცა კი თანმიმდევრობა ტომთა განსახლებისა ისეთივე იყო, როგორც არიანეს დროს[80], II ს-ის დასაწყისში, მაგრამ თვით მათი განსახლების ტერიტორია არის სულ სხვა და ეს უნდა მიუთითებდეს ზემოხსენებულ ტომთა ამოძრავებას ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით.

თუ ჩვენ გავიხსენებთ, რომ არიანესთან აფსილებს და აბასკებს ჩრდილო-დასავლეთით ემეზობლებოდა სანიგთა ტომი, ხოლო სომეხ გეოგრაფთან კი აფხაზთა ჩრდილო-დასავლეთ მეზობლად სვანები გვევლინებიან, მაშინ მოსაზრება, რომ „სომხური გეოგრა-

---

[77] ნ. ლ ო მ ო უ რ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 43 და 45.

[78] იქვე, გვ. 59.

[79] შდ. З. В. А н ч а б а д з е, Из истории средневековой Абхазии, 1959, 65.

[80] ის, რომ „სომხურ გეოგრაფიაში“ აფშილთა და აფხაზთა ადგილმდებარეობა შეცვლილია, უბრალო შეცდომას უნდა მიეწეროს.

ფიის“ სვანები იგივე სანიგები უნდა იყვნენ[81], საკუთარი რეალურად გახდება. გამოდის, რომ თუ II ს-ის ოცდაათიან წლებში სანიგები დიოსკურია-სებასტოპოლისის რაიონში მოსახლეობდნენ, უფრო გვიან მათი გავრცელების საზღვარი სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ მდ. ბზიფი იყო. როდის და რასთან დაკავშირებით უნდა ამოძრავებულიყვნენ ეს ტომები, რას უნდა აეძულებინა ისინი გამოეცვალათ თავისი ძველი ნაბინადრევი ადგილები? ბუნებრივია თუ ამ მნიშვნელოვან მიგრაციულ პროცესს ჩვენ ეგრისის სამეფოს წარმოშობას დავუკავშირებთ[82], რისი ერთი მნიშვნელოვანი ეტაპიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, II ს-ის მეორე ნახევარში უნდა დამთავრებულიყო.

რა დროის უნდა იყოს სომეხი გეოგრაფის ცნობა?

V ს-ის ანონიმს, არიანეს „პერიპლუსის“ კომენტატორს ერთი ამგვარი ჩვენება აქვს: „მდინარე აქეუნტიდან მდინარე აბასკამდე სანიგები ცხოვრობენ“[83]. მდინარე აქეუნტი, რომელიც ამავე ავტორისა[84] და არიანეს მიხედვითაც[85] ჯიქებისა და სანიგების საზღვარია, უნდა იყოს, როგორც ვარაუდობენ. მდ. შახე (სოჭის ჩრდილოეთით); ხოლო მდინარე აბასკი, რომელიც, რა თქმა უნდა, აბასკებისა და სანიგების საზღვარია, მდინარე ფსოუ უნდა იყოს[86].

როგორც ვხედავთ, V ს-ის ანონიმი განსხვავებულ სურათს იძლევა „სომხური გეოგრაფიისაგან“. მის დროს აბასკ-აფხაზთა ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი გადის არა მდ. ბზიფზე, არამედ საგრძნობლად უფრო შორს მდ. ფსოუზე. რა თქმა უნდა, ეს გვიანდელ ვითარებას ასახავს და ე. ი. „სომხური გეოგრაფიის“ ჩვენთვის საინტერესო ჩვენებაც, თუ უფრო ძველი არაა, იმავე ხანისა უნდა იყოს, რა დროსაც ჩვენ სხვა სათანადო ცნობები მივაკუთვნეთ (IV ს-ის ბოლო ან V ს-ის დასაწყისი).

რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ სომეხ ავტორს ქვეყანა ავაზოვ სარმატიაში მდებარედ მიაჩნია და ეგრისისაგან აშკარად გამოყოფილი აქვს, ვფიქრობთ, ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს ეს ქვეყანა ეგრისისაგან სრულიად დამოუკიდებელი იყო: ჩვენ ქვემოთ ვნახავთ შემთხვევებს, როდესაც ბევრი ტომი კავკასიის მთიელებისა

---

[81] З. В. Анчабадзе, იქვე.

[82] შდ. Г. А. Меликишвили, დასახ. ნაშრ., 387.

[83] V ს-ის ანონიმი, ფლავიუს არიანე... გვ. 92.

[84] იქვე, გვ. 92—93.

[85] იქვე, გვ. 52.

[86] Г. А. Меликишвили, დასახ. ნაშრ., გვ. 88 და 370—371.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გეოგრაფს სარმატიაში ჰყავს მოთავსებული, მაშინ როდესაც, მისივე ცნობით, საზღვრების შესახებ და სხვა, მისგან დამოუკიდებელი წყაროების მიხედვით, ისინი აშკარად ქართლის სამეფოს ფარგლებში შემოდიან. მთიელი ტომების სარმატიაში მოთავსება უფრო მათ ეთნიკურ განსხვავებაზე მიუთითებს ბარელებთან შედარებით, ვიდრე პოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე. ასე რომ, უნდა ვივარაუდოთ მთელ ეგრისში ჭანეთიდან ვიდრე კოდორამდე ეთნიკურად ერთგვაროვანი ხალხის არსებობა, კერძოდ, მეგრულ-ჭანური მოსახლეობა[87], ხოლო კოდორის გადაღმა, ჩრდილო-დასავლეთით, აფხაზური მოსახლეობის არსებობა IV ს-ის ბოლოსთვის, რაზედაც თვით ქვეყნის სახელწოდებაც — ავაზოვ — უნდა მიუთითებდეს. ეს უკანასკნელი შეიძლება იმასაც გულისხმობდეს, რომ აფშილ-აფხაზთა ამ გაერთიანებაში წამყვანი როლი აფხაზებს ეკუთვნოდათ.

აფშილეთი დანაწილებული აღმოჩნდა ქვეყანა ავაზოვს, ე. ი. ფაქტიურად, აფხაზეთსა და ეგრისს შორის. მისი ერთი ნაწილი უშუალოდ ეგრისის სამეფოს შეუერთდა, ხოლო დანარჩენზე აფხაზთა გავლენა გავრცელდა. თვით აფხაზეთი კი ვასალურ ურთიერთობაში უნდა ყოფილიყო ეგრისის სამეფოსთან, რომელიც თავის მხრივ რომის ვასალურ სახელმწიფოდ და ფორმალურად მის სამფლობელოდ ითვლებოდა. ამიტომ V ს-ის პირველი ნახევრის მწერლისათვის ბიუვინტა იყო „უკიდურესი საზღვარი პონტოსი და რომაელთა სამფლობელოსი, უველურესი ბარბაროსების მეზობლად“[88]. V ს-ის ანონიმთანაც ვხვდებით მსგავს ცნობას: ბიუვინტამდე „მოდის პონტოს ბარბაროსული სამეფო ტიბარანიაში, სანიკეში, და კოლხიდაში. მეზობელი მხარეები ავტონომიურ ბარბაროსებს ეკუთვნის“[89]. მაგრამ იმავე ავტორს მეორეგან უწერია: „დიოსკურიდიდან ანუ სებასტოპოლისიდან მდინარე აფსაროსამდე წინათ ცხოვრობდა ხალხი კოლხებად წოდებული, ახლა ლაზებად სახელშეცვლილი“[90]. ჩვენ შეიძლება პირველი ორიენტირი — დიოსკურია — გავიგოთ როგორც ზოგადი მითითება და არა როგორც კონკრეტული საზღვარი ლაზთა განსახლებისა და მაშინ დაახლოებით

---

87 შდ. V ს-ის ანონიმის ცნობას, რომ „დიოსკურიდიდან ანუ სებასტოპოლისიდან მდინარე აფსაროსამდე წინათ ცხოვრობდა ხალხი კოლხებად წოდებული, ახლა ლაზებად სახელშეცვლილი“. იხ. ფლავიუს არიანე... გვ. 88.

88 თ ე ო დ ო რ ი ტ ე კ ვ ი რ ე ლ ი, „გეორგიკა“, 1, 224.

89 V ს. ანონიმი, ფლავიუს არიანე..., გვ. 91.

90 იქვე, გვ. 88.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვლავ მდ. კოდორი შეიძლება ვივარაუდოთ ასეთ მიჯნად ჩრდილოეთ-დასავლეთით. რაც შეეხება სამხრეთ-დასავლეთ ორიენტირს, მდ. აფსარუსს ანუ, როგორც ჩვეულებრივ ვარაუდობენ, მდ. ჭოროხს, იგი შესაძლებელია მიგვითითებდეს ეგრისის სამეფოს პოლიტიკური გავრცელების შეკვეცაზე. ამ მხრიდან V ს-ში. საქმე ისაა, რომ V ს-ის 60—70-იან წლები, როგორც ფიქრობენ, არის ეგრისის სამეფოს ძლიერების დაცემის დასაწყისი[91], რისი ერთ-ერთი გამოხატულება უნდა ყოფილიყო საზღვრის დადება მდ. ჭოროხზე.

2. ვიდრე ამ საკითხს შევეხებოდეთ, განვიხილოთ ეგრისის სამეფოს შიდა ტერიტორიის ისტორიული გეოგრაფიის ზოგიერთი საკითხი, რის საშუალებასაც გვაძლევენ ბიზანტიური წყაროები. ისინი, მართალია, ცოტათი უფრო გვიანდელ ხანას, VI—VII სს-ებს მიეკუთვნებიან, მაგრამ მათი გამოყენება სათანადო ძველი სურათის აღსადგენად საკმაოდ სავსებით კანონზომიერია.

ამგვარად, IV ს-ის მეორე ნახევრის და V ს-ის პირველი ნახევრის, თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში ეგრისის სამეფო, რომელიც ამ დროს ეკონომიური და კულტურული აყვავების ხანაში იყო, საკმაოდ ფართო ტერიტორიაზე იყო გადაჭიმული კავკასიონის ქედიდან, ვიდრე ჭანეთამდე და მდ. ფსოუს ხეობიდან ვიდრე ლიხის ქედამდე.

ა) ჭანეთი მის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ პროვინციას შეადგენდა, რომლის საზღვრებზე მიახლოებით ზემოთ უკვე გვქონდა ლაპარაკი. მთავარ ცენტრებს ჭანეთისას წარმოადგენდნენ საზღვისპირო ქალაქები: რიზე, ათინა და ტრაპეზუნტი. ეს მხარე სამხრეთით ემიჯნებოდა რომის პროვინციას, კაპადუკიის პონტოს, დასავლეთით — ზღვას, აღმოსავლეთით — სომხეთს (ტაო) და ქართლს (ცლარჯეთი), რომლის რამდენიმე ხევიც (ნიგალი, მურღული) მიერთებული ჰქონდა. ჩრდილოეთით ჭანეთი ემიჯნებოდა საკუთრივ ლაზეთს და საზღვარი ამ ორ პროვინციას შორის ჭოროხის შესართავზე უნდა გასულიყო.

ბ) ლაზეთი ჭოროხის შესართავსა და რიონის ქვემო დინებას შორის იყო მოთავსებული. სამხრეთით ფერსათისა და აჭარა-გურიის მთებით (დღ. აჭარა-ახალციხის ქედი) იგი ქართლის სამეფოს ემიჯნებოდა. ხოლო აღმოსავლეთით არგვეთის პროვინციას, ანუ, უფრო ზუსტად, შორაპნის საერისთაოს ტერიტორიას[92], ასე რომ,

---

[91] Г. А. Меликишвили, დასახ. ნაშრ., გვ. 385.

[92] ვახუშტი, აღწერა..., გვ. 163; გ. ცქიტიშვილი, ანტიკური ხანის შორაპნის საერისთაოს საკითხისათვის, 94—95.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაზეთი მოიცავდა დაახლოებით დღევანდელ გურიას გვიანდელ-დალური საჯავახო-საჩინოს ჩათვლით და დღევანდელი აჭარა-ქობულეთის სანაპიროს ჩათვლითაც.

ჩვენ მიერ მოხაზული ლაზეთის ტერიტორიის შესახებ VI ს-ის ცნობილ ბიზანტიელ ისტორიკოსს პროკოპი კესარიელს არა ერთხელ აქვს ნათქვამი, რომ იგი სრულიად მოკლებულია მნიშვნელოვან სამოსახლოებს ან კიდევაც მთლიანად დაუსახლებელია[93]. ერთგან იგი პირდაპირ აცხადებს, რომ „მდინარე ფაზისის იქითა (ე. ი. მარცხენა, დ. მ.) მხარეს ლაზებს პეტრას გარდა სხვა არცერთი დასახლებული ადგილი არ მოეპოვებოდათ"[94]. თვით ქალაქი პეტრაც ხომ „უმნიშვნელო იყო წინათ, ხოლო იუსტინიანე მეფემ (VI ს-ის მეორე მეოთხედში, დ. მ) გარეზღუდისა და სხვა მინაშენების საშუალებით გაამაგრა და ყოველმხრივ გაამშვენიერა კიდეც"[95]. პროკოპი კესარიელი, როგორც ცნობილია, საერთოდ და, კერძოდ, ლაზიკის იმდროინდელი ვითარების გასარკვევად ფრიად კომპეტენტური ისტორიკოსია, მაგრამ რიონის მარცხენა ნაპირის სრული დაუსახლებლობის შესახებ მისი აზრი შეცდომა უნდა იყოს. ჯერ ერთი, თვით პროკოპი კესარიელს მოეპოვება ასეთი ცნობა: ბიზანტია-ირანის განუწყვეტელი ბრძოლის დროს, რომელიც პირველ ხანებში განსაკუთრებით ქალაქ პეტრას (აიგივებენ დღ. ციხისძირთან) გარშემო დატრიალდა, სპარსელთა რაზმი პეტრას მახლობელ მთებში თარეშობდა. ბოლოს ისინი „დაბანაკდნენ მდინარე ფაზისის გასწვრივ და იქიდან ჯგუფ-ჯგუფად უვლიდნენ იქაურ სოფლებს და არბევდნენ"[96]. ცხადია, აქ მდინარის მარცხენა სანაპირო იგულისხმება, რომელიც, როგორც ჩანს, დასახლებული ყოფილა.

მაგრამ საამისო სრულიად უტყუარი ცნობები აქვს იმავე VI ს-ის მეორე ბიზანტიელ ისტორიკოსს აგათია სქოლასტიკოსს, რომელიც უშუალოდ აგრძელებს პროკოპი კესარიელის თხზულებას. აგათია სქოლასტიკოსი მოგვითხრობს, რომ სპარსელთა სარდალმა მერმეროემ გადაწყვიტა ტელეფისის ციხის მიდამოების დარბევა, რომ „ესინჯა შეძლებდა თუ არა ზოგიერთი იქ მდებარე პატარა ქალაქების დამორჩილებას... (რომაელი) სარდალი მარტინე მისი ხელქვეითი ჯარითურთ ტელეფისში დაბინავებულიყო — ეს ციხე

---

[93] იხ. მაგ. პროკოპი კესარიელი, „გეორგიკა", II (2), გვ. 101.

[94] იქვე, გვ. 182.

[95] იქვე, გვ. 83.

[96] პ რ ო კ ო პ ი კ ე ს ა რ ი ე ლ ი, „გეორგიკა", II(2), გვ. 115.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტკიცე და ძალიან მაგარია"[97]. ამის შემდეგ მერმეროე მიდის ქალაქ როპოლიისკენ ანუ თიხის ჭურჭლების სავაჭრო ადგილისკენ, რომელიც ტელეფისის ციხესთან ახლოს იყო[98] და, როგორც ჩანს, საბაზრო ადგილს წარმოადგენდა, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა თავის ხელოსნურ პროდუქციას ასაღებდა. ქიტროპოლიიდან მერმეროე ტელეფისში კი აღარ ბრუნდება, არამედ ხიდს სდებს ფაზისზე, ჯარი გადაჰყავს მეორე (ე. ი. მარჯვენა) ნაპირზე და მიდის „ონოგურისის ციხეში, რომელიც წინათ გაეხადა არქეოპოლისის მიდამოებში რომაელთა წინააღმდეგ საჭირო სასიმაგრო საფარად"[99]. რამდენადაც ონოგურისის ციხე და არქეოპოლისი რიონის მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობდნენ (იხ. ქვემოთ), ამიტომ სრულიად ცხადია, რომ ციხე ტელეფისი, საბაზრო ადგილი ქიტროპოლია და, შესაძლებელია მდ. ფაზისთან მდებარე ზემოხსენებულ „პატარა ქალაქთაგან" ზოგიერთი მაინც მდინარის მარცხენა ნეპირზე უნდა ყოფილიყო, მით უმეტეს, რომ ტელეფისის ციხის მახლობლად სოფელიც არის[100], ხოლო თვით პროკოფი კესარიელიც იცნობს ტელეფისის ციხეს, თუმცა კი არ ასახელებს მას[101]. სავაჭრო ადგილიც, ქიტროპოლია, რა თქმა უნდა, სწორედ მოსახლეობის კონცენტრაციას გულისხმობს.

ამას გარდა, აგათიასავე მოწმობით, ქალაქ ფაზისის (დღ. ფოთის) მახლობლად საკმაოდ ინტენსიური დასახლება არსებობდა: სპარსელთა შიშით „რომაელებს გადაეწვათ ქალაქი გარშემო მდებარე ყველა სოფლები, ავრეთვე მგზავრების გასაჩერებელი სადგომები და რაც კი მახლობლად სხვა რამ ბინები იყო"[102]. რადგან ფაზისი მდინარის სამხრეთ ნაპირზე მდებარეობდა[103], ამიტომ, ცხადია, ზემოხსენებული სოფლები თუ სხვა ნაგებობები, ყველა მდინარის სამხრეთით უნდა ყოფილიყო, მით უმეტეს, რომ სპარსელები სწორედ ამ მხრიდან უახლოვდებოდნენ ქალაქ ფაზისს.

აგათია სქოლასტიკოსს კიდევ ერთი ცნობა აქვს ამ მხრივ ჩვენთვის საინტერესო. მისი სიტყვით, ქალაქ ფაზისის სამხრეთით მდებარეობდა „ქრისტეანეთა შორის ძალიან განთქმული ტაძარი, რო-

---

97 აგათია სქოლასტიკოსი, „გეორგიკა", III, გვ. 30—31.

98 იქვე, გვ. 34.

99 იქვე, გვ. 40.

100 იქვე, III, გვ. 30.

101 იქვე, გვ. 40, შენ.

102 იქვე, გვ. 106—107.

103 იქვე, გვ. 97—98

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელიც ქალაქს ბევრად არ იყო დაშორებული"[104]. უეჭველია, ზემოხსენებული „სახელგანთქმული ტაძარიც" უდაბურ ადგილზე არ იქნებოდა აგებული.

ყველა ზემომოტანილი ფაქტი ცხადად უარყოფს პროკოპი კესარიელის ჩვენებას და საკუთრივ ლაზეთს, რიონის მარცხენა სანაპიროს, საკმაოდ ინტენსიურად დასახლებულს წარმოგვიდგენს. ამის დადასტურებას, ბოლოსდაბოლოს, მატერიალურ ძეგლებში ვხედავთ. კერძოდ, ციხე ტელეფისი, სამართლიანი ვარაუდით, უნდა იყოს დღევანდელი სოფ. ტოლებთან შემორჩენილი ციხე-სიმაგრის ნანგრევები, რომლის კედლებშიც, თავის დროზე, გამოირჩეოდა ბიზანტიური ხანისთვის დამახასიათებელი ქვა-აგურის წყობა[105]. ამას გარდა, თუ პროკოპი კესარიელის მიერ ლაზიკის ქალაქებს შორის აღნიშნული „ყველაზე შესანიშნავი ქალაქები... როდოპოლისი და მოხირისი"[106], ორივე რიონის მარცხენა სანაპიროზეა (როდოპოლის — ვარციხის მდებარეობა ყვირილა-რიონის შესართავთან ცნობილია; მოხირისს კი დაბლაგომთან ვარაუდობენ)[107], მაშინ პროკოპი კესარიელის შეცდომა აშკარა გახდება. ამას ცხადყოფს აგრეთვე უკანასკნელი წლების არქეოლოგიური გათხრები: გურიაში სოფ. შუხუთთან გაითხარა IV—V სს-ის წარჩინებული ლაზის აგარაკი ე. წ. Villa rustica[108], რაც მთისპირეთის დასახლებასაც გულისხმობს იმ დროს. პროკოპი კესარიელის ზემოხსენებულ ჩვენებებზე დამყარებული წარმოდგენა მარცხენა რიონისპირეთის დაუსახლებლობის შესახებ ადრებიზანტიურ ხანაში, ფაქტიურად, შეუძლებელია ამ ჩვენებათა არასწორი ინტერპრეტაციის შედეგი იყოს, რაზედაც ამჟამად სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

ამგვარად, საკუთრივ ლაზეთის ტერიტორიაზე ჩვენ შეგვიძლია დავადასტუროთ მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრის ტელეფისის არსებობა. VI ს-ის მეორე მეოთხედში, როგორც ზემოთ იყო აღწერილი, აქ შენდება ციხე-ქალაქი პეტრა.

გ) არგვეთი ანუ მარგვისი, რომელიც ეგრისის სამეფოს ივერიისაგან ჰქონდა წაღებული, აღმოსავლეთით ლიხის ქედით ისაზღვრებოდა, სამხრეთით ფერსათის ქედით, ჩრდილოეთით მას რაჭა ემიჯნებოდა,

---

104 იქვე, გვ. 112—113.

105 იხ. „გეორგიკა", III, გვ. 311—316.

106 პ რ ო კ ო პ ი კ ე ს ა რ ი ე ლ ი „გეორგიკა", II(2), გვ. 101.

107 იქვე, გვ. 208, შენ. I.

108 Н. Н. З а к а р а я, В. А. Л е к в и н а д з е, Археологические раскопки в селе Шухуте, „მაცნე", 1966, № 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც ხშირად მასთან იყო გაერთიანებული ერთი საერისთავოს სახით („მარგვსა და თაკუერის“ საერისთაო). დასავლეთით კი ეგვეთის პროვინციის საზღვარი უნდა გასულიყო დაახლოებით სკანდისა და შორაპნის ციხეთა ხაზზე. ეს ციხეები (მაინცდამაინც, შორაპანი) უძველესი ხანიდანვე ქართლ-ეგრისის სასაზღვრო პუნქტებს წარმოადგენდნენ. მართალია, შორაპნის ციხე-სიმაგრე ქართული ეროვნული ტრადიციის თანახმად, რომელიც არსებითად სწორი უნდა იყოს[109], ქართლის პირველი მეფის ფარნავაზის მიერ იქნა აგებული, მაგრამ კოლხეთის და შემდეგ კი ეგრისისა და ქართლის სამეფოს პოლიტიკური ურთიერთობის განვითარების კვალად ხელიდან ხელში გადადიოდა. VI ს-ში, ვიდრე ბიზანტია-ერანს შორის ბრძოლა დაიწყებოდა ეგრისის დაუფლებისათვის, ეს ციხე-სიმაგრეები ეგრისის სამეფოს სასაზღვრო ფორპოსტებს წარმოადგენდნენ[110]. ეჭვი არ არის, რომ ასევე უნდა ყოფილიყო IV ს-ის მეორე ნახევარსა და V ს-ის პირველ ნახევარში. თუკი ამ პერიოდში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საზღვარი ქართლისა და ეგრისის სამეფოთა შორის ლიხის ქედზე უნდა გასულიყო, უფრო ადრე (მაგალითად, ძვ. წ. 1 ს-ში, როდესაც შორაპნის ციხე კოლხეთს ეკუთვნოდა)[111] და უფრო გვიან (VI ს-ის პირველ ნახევარში, როდესაც სკანდა და შორაპანიც ეგრისის სამეფოს ციხე-სიმაგრეებია)[112], მიუხედავად იმისა, რომ ამ ციხეებს თავისი საკუთარი „შესავალი ქვეყანაც“ უნდა ჰქონოდათ, მაინც სასაზღვრო ხაზი ლიხის ქედის დასავლეთით უნდა გასულიყო, დაახლოებით სწორედ სკანდა-შორაპნის ხაზზე[113]. აქვე უნდა გასულიყო ეთნიკური საზღვარიც აღმოსავლელ და დასავლელ ქართველებს შორის, რამდენადაც ამ დროისთვის მარგველები, ფაქტიურად, დიდი ხნის გაქართველებულები უნდა ყოფილიყვნენ. ამას შესანიშნავად მოწმობს ტოპონიმი სახანო—სოფელი, რომელიც მდებარეობს სკანდასა და შორაპანს შორის[114]. ამასვე მოწმობს პროკოპი კესარიელის ცნობა, რომ ლაზიკე „იბერიის საზღვრებამდე დასახლებულია ადგილობრივი მცხოვრებლებით“[115]. ფართოდ გაგებული არგვეთის პროვინციაში უნდა ყო-

---

109 გ. ცქიტიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 81—82.

110 პროკოპი კესარიელი, „გეორგიკა“, II (2), გვ. 51 და 185—186.

111 თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 123 და 128.

112 პროკოპი კესარიელი, იქვე.

113 ს. ჯანაშია, შრომები, II, გვ. 259.

114 ს. ჯანაშია, შრომები, III, გვ. 13—14.

115 პროკოპი კესარიელი, „გეორგიკა“, II (2). 101.

ფილიყო აგრეთვე ციხე-სიმაგრე დიმნა (დღ. დიმი სოფ. ბ[illegible] თან), რომელიც, ქართული ეროვნული ტრადიციის მიხედვით, აგრეთვე ფარნავაზის აგებულია[116], და ქალაქი ვარციხეც[117], რომელსაც, როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, პროკოპი კესარიელი ეგრისის ერთ-ერთ ყველაზე შესანიშნავ ქალაქად თვლიდა.

ეგრისის სამეფოს ძლიერების ხანაში მის ფარგლებში უნდა შემოსულიყო აგრეთვე რაჭაც.

ეგრისის სამეფოს გული იყო საკუთრივ ეგრისი ანუ ქართული წყაროების „შიდა ეგრი", რომელიც ძირითადად მდ. რიონს შიგნით მოქცეულ ტერიტორიას წარმოადგენდა. ჩრდილოეთიდან მას ესაზღვრებოდა ლეჩხუმი და სვანეთი, დასავლეთით იგი ზღვაზე გადიოდა. ჩრდილო-დასავლეთით მისი თავდაპირველი საზღვარი უნდა ყოფილიყო ეგრისწყალი, ხოლო IV ს-ის ბოლოსთვის, აფშილეთის ნაწილის უშუალოდ შემოერთების შემდეგ, საზღვარი, როგორც ვიცით (აფხაზეთთან) მდ. კოდორზე დაიდო.

დ) საკითხის უკეთ გარკვევისათვის ჩვენ აქ უნდა გამოვთქვათ ჩვენი ვარაუდი იმის შესახებ, თუ რას უწოდებენ, ბოლოს და ბოლოს, ქართული წყაროები „ეგრისწყალს". ეს საკითხი უაღრესად დიდი მნიშვნელობისაა დასავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის და, ბუნებრივია, მას ბევრი მკვლევარი შეხებია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საკითხი საბოლოოდ გადაჭრილად ვერ ჩაითვლება და, როგორც ჩანს, წყაროების სიმცირისა და ინტერპრეტაციის სხვადასხვაობის გამო ვერც გადაიჭრება. შესაძლებელია ადგილზე ისტორიულ-გეოგრაფიულმა ინტენსიურმა კვლევამ მომავალში მოგვცეს საამისო მასალა. ამჯერად კი აღვნიშნავთ, რომ საბოლოო ჯამში მკვლევართა აზრი ამ საკითხზე ამგვარია: ერთნი ფიქრობენ, რომ „ეგრისწყალი" უნდა იყოს მდ. ენგური; მეორენი მას მდ. ოხოჯე-ოქუმისწყალთან აიგივებენ, ხოლო მესამეთათვის ეს არის მდ. ღალიძგა[118].

საკუთრივ სწორი უნდა იყოს ის მოსაზრება, რომელიც მდ. ენგურის სახელს „ეგრ" ფუძეს უკავშირებს და მეგრელების პირველსაცხოვრისად წარმოადგენს[119]. ამ თვალსაზრისით, „ენგურ"‖„ეგუ-

---

116 იხ. ქ-ცა. I, გვ. 24.

117 გ. ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 86 და თანდართული რუკა.

118 იხ. თ. ბ ე რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., 134—140, სადაც დაწვრილებითაა განხილული ეს საკითხი, იქვეა სათანადო ლიტერატურა.

119 თ. ბ ე რ ა ძ ე. იქვე, გვ. 140.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი“ და „ეგრისწყალი“ სემასიურად, მართლაც ერთი და იგივე უნდ
იყოს. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ქართული
წყაროების „ეგრისწყალი“ იგივე დღევანდელი ენგურია. ვახუშტიც
აკი აშკარად ასხვავებს მდ. ეგურს და ეგრისის — წყალს[120]. საქმე
ის არის, რომ „ეგრისწყალი“ იმგვარი წარმოების ჰიდრონიმია, რომ
იგი შესაძლებელია სულ სხვადასხვა ადგილას შეგვხვდეს. და მართ-
ლაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, ასეთივე ეგრისწყალი (ეგრე-სუ)
დამოწმებულია კლარჯეთის ტერიტორიაზე მდ. მურღულის სათავეში
(იხ. ზემოთ). ორივე ჰიდრონიმი — „ეგრისწყალი“ და „ეგრე-სუ“
ცხადია, ადგილობრივი მეგრულ-ჭანური სახელწოდების თარგმანია
და ეს, რა თქმა უნდა, მოწმობაა იმისა, რომ ასეთი ადგილობრივი
ჰიდრონიმები არსებობდა. ბუნებრივია, ასეთი ტოპო- ან ჰიდრონი-
მები წარმოიქმნებოდნენ ან ამათუიმ ტომთა საზღვრებზე (მაგ.
ზემოხსენებული „საზანო“), ანდა ამ ტოპონიმის წარმომქმნელი
ტომისათვის უცხო გარემოში (მაგ. „კახთუბანი“ ჰერეთში). ჩვენ
ვფიქრობთ, რომ „ეგრისწყალთან“ დაკავშირებით საქმე უნდა გვქონ-
დეს პირველ შემთხვევასთან, რამდენადაც ქართული წყაროების
არაერთგზისი დაჟინებითი მითითებებით ეს მდინარე ეგრისის სა-
ზღვარია. მაგრამ იმავე წყაროების მიხედვით, „ეგრისწყალი“ წარ-
მოადგენს ეგრისის ჩრდილო-დასავლეთ საზღვარს. ჩვენ კი ვიცით,
რომ არიანეს (II ს.), „სომხური გეოგრაფიის“ (IV ს.), V ს-ის ანო-
ნიმის და, როგორც ქვემოთ ვნახეთ, პროკოპი კესარიელისა (VI ს.)
და ანასტასი აპოკრისიარის (VII ს.) თანხმობლივი მოწმობით, ლა-
ზებს (resp. ეგრებს, მეგრელებს) ჩრდილო-დასავლეთიდან აფსილ-
თა ტომი ესაზღვრებოდა. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ ქართული წყა-
როების „ეგრისწყალი“ იყო საზღვარი მეგრელთა და აფსილთა შო-
რის. ამგვარად, შეძლებისდაგვარად ჩვენ უნდა გავარკვიოთ, საიდ
გადიოდა საზღვარი აფსილთა და მეგრელთა შორის.

არიანესი არ იყოს, პროკოპი კესარიელიც თანმიმდევრობით
ჩამოთვლის იმ ხალხებს, რომლებიც შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავ-
ლეთ სანაპიროდან ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპირომდე სახლობდ-
ნენ და აღნიშნავს: „ქალაქ აფსარუნტიდან (აიგივებენ დღ. გონიოს-
თან, დ. მ.) ქალაქ პეტრამდე (აიგივებენ დღ. ციხისძირთან, დ. მ.)
და ლაზთა საზღვრებამდე, სადაც ევქსინის პონტო თავდება, ერთი
დღის სავალი გზა არის. პონტო რომ თავდება აქ, ქმნის ნახევარ-
მთვარის მსგავს ნაპირს. ამ ნახევარმთვარის გადასავალი უდრის

---

120 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 168.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთასორმოცდაათ სტადიონს, ხოლო მის უკან მდებარე მთელი ქვეყანა არის ლაზური და ასეც იწოდება"[121]...

„ნახევარმთვარის იმ ერთ დასაწყისში, რომელიც აზიისა არის, მდებარეობს ქალაქი პეტრა, ხოლო მის პირისპირ, მეორე ნაპირას, ევროპის ნაწილში აფსილების ქვეყანაა"[122].. „აფსილებისა და ნახევარმთვარა ნაპირის შემდეგ მეორე ნაწილში ზღვის პირას აბაზგები მოსახლეობენ, რომელთა საბინადრო ადგილები კავკასიონის მთებამდე გრძელდება"[123].

პირველი გარემოება ის არის, რომ პროკოპი კესარიელის მონაცემები, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ტომთა განლაგების თანმიმდევრობის თვალსაზრისით, სრულიად იდენტურია არიანეს სათანადო ცნობებისა, მაგრამ აქ აშკარად ჩანს ამ ტომების აღრე მომხდარი გადაადგილების შედეგებიც. რამდენადაც მერყეები არ უნდა იყოს ჩვენი ისტორიკოსის ფიზიკურ-გეოგრაფიული საფუძველი ზემოხსენებულ ტომთა ადგილსამყოფელის იდენტიფიკაციისათვის, მაინც თვალში საცემია ის გარემოება, რომ შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროს, მართლაც, ნახევარმთვარისებური მოხაზულობა სწორედ მდ. ღალიძგას შესართავთან მკვეთრად იხრება დასავლეთის მიმართულებით, შემდეგ კლაკნილად მიემართება ჩრდილო-დასავლეთისაკენ, ვიდრე დაახლოებით ანაკოფიასთან (დღ. ახალი ათონი) კვლავ სწორხაზოვნად არ მობრუნდება დასავლეთით. ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, რომ იგივე პროკოპი კესარიელი აფსილთა და აფხაზთა შორის საზღვარს სწორედ სებასტოპოლისსა და ანაკოფიას შორის ათავსებს და, ამდენად, ნახევარმთვარის მეორე ბოლოზე აფსილთა მოსახლეობის მისი თვალსაზრისი შესაძლებელია ამ ტერიტორიას — ღალიძგასა და ანაკოფიას შორის — გულისხმობდეს. მაშასადამე, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ისტორიკოსის წარმოდგენით საზღვარი ლაზებსა და აფსილებს შორის მდ. ღალიძგაზე გადიოდა და, ამდენადვე, ეს უკანასკნელი უნდა წარმოადგენდეს ქართული წყაროების „ეგრისწყალს"[124].

ჩვენთვის საინტერესო საკითხისათვის ცნობებს აგრეთვე ვპოულობთ იერუსალიმელი მონაზონის თეოდოსი განგრელის მიერ დაცულ ანასტასი პოკრისიარის წერილში, რომელიც მან 662 წელს

---

121 პროკოპი კესარიელი, „გეორგიკა", II (2), გვ. 126.

122 იქვე, გვ. 128.

123 იქვე, გვ. 133.

124 შდ. З. В. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии, 7.

ეგრისში (ლაზიკეში) გადასახლებულმა მოსწერა თეოდოსის და ეროვნული ბიბლიოთეკა
რეთვე თვით ამ უკანასკნელის „მოგონებებში“. ანასტასი აპოკრისიარი წერს: ლაზთა მთავარმა „დამაბრუნა ზემოხსენებულ სხემარის ციხის გზიდან და მომათავსა ხუთი სიგნის (-5000 ნაბიჯი, დ. მ.) მანძილზე თავისი ღვთით დაცული სახლიდან, მონაზონებისთვის სრულიად შესაფერის ადგილას“[215]... ის ადგილი, სადაც ლაზთა მთავარს მოუთავსებია ანასტასი, არის იგივე თუსუმის ციხე, რომელსაც თვით თეოდოსი განგრელიც ახსენებს. მეორე მხრივ, ლათინური ტექსტის „in loco monachos“ („მონაზონების ადგილას“), სამართლიანი შენიშვნით, უნდა შესწორდეს „in loco Mochoes“ („ადგილ მოქვში“).[126] რომ ეს შესწორება სავსებით კანონზომიერია, ამას ამოწმებს თვით თეოდოსი განგრელი, რომელიც თავის „მოგონებებში“ წერს: ანასტასი აპოკრისიარი იყო „იმ ციხეში, რომელსაც თუსუმესი ეწოდება და რომელიც მდებარეობს სოფელ მოქვის ზემოთ, აფსილიის მხარის საზღვარზე, პონტოს ზღვის აღმოსავლეთით კავკასიის მთების ძირში, ქრისტესმოყვარე აბაზგებისა და ალანთა ტომის მახლობლად, ხუთი სიმიის მანძილზე სოფელ ჯიხაჰორიდან, ესე იგი, იმავე ლაზთა ქვეყნის ჭეშმარიტად ქრისტესმოყვარე პატრიკიოსისა და მაგისტროსის გრიგოლის პირველი სახლიდან, რომელსაც ის ამ წერილში ღირსეულად მიუძღვნის კეთილ ხსოვნას“[127]...

ამ ფრიად მნიშვნელოვანი ცნობიდან, რომელსაც ქვემოთ კიდევ დავუბრუნდებით, ჩვენ ამჟამად შევეხებით ერთ საკითხს.

პირველ რიგში აღსანიშნავია ერთი გარემოება, რომ თეოდოსი განგრელი ორიოდ წლის მერე ანასტასი აპოკრისიარის სიკვდილისა თვით იყო ეგრისში, ესაუბრა „ლაზიკის პატრიკიოს ლებარნიკოსს“, რომელიც კარგად იცნობდა ანასტასი აპოკრისიარის. ყველაფერი ზემოთქმული თეოდოსი განგრელს მისი ნაამბობიდან აქვს ჩაწერილი[128].

---

125 თ ე ო დ ო ს ი გ ა ნ გ რ ე ლ ი, „გეორგიკა“, IV. გვ. 46.

126 А. Бриллиантов. О месте кончины и погребения св. Максима Исповедника, Христианский Восток, т. VI, вып. 1, 1917. გვ. 57, შენ. 1.

127 თ ე ო დ ო ს ი გ ა ნ გ რ ე ლ ი, „გეორგიკა“, IV, გვ. 50. შდ. კ. კეკელიძე, თეოდოსი განგრელის „მოსახსენებელის“ ქართული ვერსია და მისი მეცნიერული მნიშვნელობა, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, გვ. 307.

128 იხ. „გეორგიკა“, IV, 49.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამდენად, მისი ეს ცნობები (ისევე როგორც თვით ანასტასი პოკრისიარის სხვა ცნობები) უაღრესი ნდობის ღირსია.

ამგვარად, თუსუმეს ციხე ყოფილა მოქვთან „აფსილიის მხარის საზღვარზე". მოქვთან აფშილეთის საზღვარი შესაძლებელია მხოლოდ მისი აღმოსავლეთი საზვარი იყოს. მოქვი კი მხოლოდ რამდენიმე კმ-ითაა დაშორებული მდ. ღალიძგას დასავლეთისაკენ. ეს გვავარაუდებინებს, რომ საზღვარი აფშილეთსა და ეგრისს შორის კვლავ მდ. ღალიძგაზე გადიოდა. ე. ი. მდ. ღალიძგა უნდა იყოს ქართული წყაროების „ეგრისწყალი".

დაბოლოს, ვნახოთ რას გვეუბნებიან ჩვენთვის საინტერესო საკითხისათვის ქართული წყაროები. ზემოხსენებული ორი შემთხვევის გარდა, როდესაც „მოქცევაჲ ქართლისაჲს" მატიანე და „ქართლის ცხოვრება" ქართლის სამეფოს თავდაპირველი საზღვრების შესახებ გვაწვდიან ცნობებს, „ეგრისწყალი" „ქართლის ცხოვრებაში" კიდევ არაერთხელაა ნახსენები. მაგალითად, მირიანის მეფობის დროს (IV ს-ის პირველი ნახევარი): „და მეფობდა მირიან მუნ ქართლს, რანს, ჰერეთს და მოვაკანს. და აქუნდა ეგრისიცა ვიდრე ეგრის წყლამდე"[129]. შემდეგ, ვახტანგ გორგასლის მეფობისას, როდესაც მისი მცირეწლოვანობის დროს (ე. ი. V ს-ის შუა ხანებში) „გამოვიდეს ბერძენნი აფხაზეთით, რამეთუ ბერძენთა ჰქონდა ეგრისწყალს ქუემოთი კერძი ყოველი, და დაიპყრეს ეგრის-წყლითგან ვიდრე ციხე-გოჯადმდე"[130]. ვახტანგი შეებრძოლა კეისარს ქართული მიწების მიტაცების გამო და დაზავების შემდეგ კეისარი ეუბნება ვახტანგს: „ეგრის-წყლითგან ვიდრე მდინარედმდე მცირისა ხაზარეთისა — ესე საზღვარი არს საბერძნეთისა ალექსანდრობითგან, რომელი აწ შენ მიგიღია მკლავთა ჩუენგან. აწ იგი უკუმოგუეც"... და დაუწერა (კეისარმა, დ. მ.) ეგრის წყალსა და კლისურასა შუა ქვედანა ზითვად (ვახტანგს, დ. მ.), და სხუა აფხაზეთი უკუსცა ვახტანგ ბერძენთა"[131]. ვახტანგი დაჩის უანდერძებს მეფობას და ეუბნება: „ნაწილად ძმათა შენთა მიმიცემია ტასისკარითგან და წუნდითგან ვიდრე სომხითამდე და საბერძნეთამდე, საზღვარი აფხაზეთისა, რომელი მოცემულ არს ეგრის-წყალსა და კლისურასა შუა, იგი თვით ძმათა შენთა დედისა არს, იგი აქუნდეს მათ, და იყვნენ შენდა

---

[129] ქ-ცა. I, გვ. 70.
[130] იქვე, გვ. 146.
[131] ქ-ცა. I, გვ. 177.

ერისთავად მორჩილებასა ქუეშე ნათესავისა შენისასა"[132]. ბოლოს
დაჩი, ვახტანგის სიკვდილის შემდეგ, დაევაჭრა თავის ნახევარძმას
„და აღიღო მირდატისგან ეგრის-წყალსა და კლისურასა შუა, მირ-
დატის დედული საზღვარი საბერძნეთისა, და მისცა ნაცვლად ჯავა-
ხეთი ფარავნითგან მტკურამდე"[133].

როგორც ამ ამონაწერებით უნდა დავრწმუნებულიყავით, „ქართლის ცხოვრების" ცნობები (განსაკუთრებით ვახტანგს და დაჩის რომ შეეხება) იმდენად ნიშანდობლივია და ისეთ კონკრეტულ ვითარებას ასახავენ, რომ ყოვლად შეუძლებელია ისინი უსაფუძვლო შენათხზად წარმოვიდგინოთ. ამგვარად, ამ ცნობებიდან ჩვენ ვიგებთ, რომ V ს-ის შუა ხანებამდე აფხაზეთსა და ეგრისს შორის საზღვარი ეგრისწყალზე გადიოდა, ხოლო „ეგრისწყლის ქუემოთი კერძი ყოველი" ე. ი. ეგრისწყალს ჩრდილო-დასავლეთი ტერიტორია ბერძნებს სჭერიათ. მართლაც, თუმცა IV ს-ის ბოლოდან V ს-ის პირველი ნახევრის განმავლობაში საკუთრივ ეგრისის ტერიტორიაზე, ზღვისპირა ზოლში არ არის საგულვებელი ბერძნული გარნიზონების დგომა[134], მაგრამ სებასტოპოლისში და პიტიუნტში ანუ ცხუმსა და ბიჭვინტაში ბიზანტიური ჯარების არსებობა სავარაუდოა. თავი რომ დავანებოთ ე. წ. Notitia dignitatum-ის ცნობას, რომლის მიხედვით ბიზანტიის ჯარები დგას პოლემონის პონტოს შემდეგ ქალაქებში: ტრაპეზუნტში, პითიეში, სებასტოპოლში, ზიგანეში, მოხორაში და სხვ[135]. რადგან აქ, მართლაც, შესაძლებელია ტრაპიზონის მიდამოების ქალაქები იგულისხმებოდეს[136], ჩვენ გვაქვს პროკოპი კესარიელის (VI ს-ის შუა ხანებში) ცნობა საგინების ანუ იგივე სანიგების შესახებ: „მათი მიწაწყლის ზღვისპირა ნაწილი, — წერს ისტორიკოსი,—ძველითგანვე ეპყრათ რომაელებს (შდ. არიანეს ცნობას სანიგების შესახებ, დ. მ.). რომაელებმა აქ ზღვისპირა ორი სიმაგრე გააშენეს: სებასტოპოლისი და პიტიუნტი, რომლებიც ერთმანეთს ორი დღის სავალი გზით არიან დაშორებულნი და იმთავითვე ჩააყენეს იქ მცველი რაზმი. პირველ ხანებში რომაელ ჯარისკაცთა რაზმებს ეჭირათ მთელი ადგილები ტრაპეზუნტის საზღვრებიდან დაწყებული, ვიდრე საგინების ქვეყნამდე (შდ. იმავე არიანეს

---

132 იქვე. გვ. 203—204.

133 იქვე, გვ. 205.

134 Г. А. Меликишвили, დასახ. ნაშრ., გვ. 385. ნ. ლომოური, ეგრისის სამეფოს ისტორია, გვ. 66.

135 Notitia dignitatum. „ვეორგიკა", I, გვ. 175.

136 იხ. იქვე, სხვადასხვა აზრი ამ საკითხის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობას, დ. მ.). ამჟამად კი დარჩათ მხოლოდ ეს ორი სიმაგრეც, დაც ჩვენ დრომდე ჰქონდათ სადარაჯოები"[137]. მართალია, სანიგებზე ლაპარაკისას პროკოპი კესარიელი, უეჭველია, ლიტერატურული ტრადიციის (შესაძლებელია იმავე არიანეს „პერიპლუსის") გავლენის ქვეშაა, რამდენადაც მის დროს სებასტოპოლისსა და პიტიუნტში დიდი ხანია სანიგები აღარ იყვნენ (თვით პროკოპი კესარიელი ხომ საგინებს ანუ სანიგებს, აშკარა შეცდომით, კიდევ უფრო შორს, ჯიქების იქით ათავსებს)[138]. მაგრამ თვით ისტორიული სიტუაცია სწორად უნდა იყოს გადმოცემული და ე. ი. პროკოპი კესარიელის მოწმობით, ამ ორ ქალაქში მის დროს კი არ ჩაუყენებიათ ხელმეორედ გარნიზონები რომაელებს, არამედ იგულისხმება, რომ ასეთი ვითარება ძველის-ძველია. ამას შესანიშნავად ამოწმებს წყაროების („მოქცევაჲ ქართლისაჲ", „ქართლის ცხოვრება") არაერთგზისი ჩვენება, რომ ეგრისწყალს იქით ტერიტორია ბერძნებს ეჭირათ.

V ს-ის მეორე ნახევარში, ვახტანგ გორგასლისა და ბიზანტიის კეისრის შეთანხმების შედეგად, საზღვარი აფხაზეთსა და ქართლს (resp. ეგრისს) შორის დაიდო კლისურაზე ანუ მდ. კელასურზე. ამიერიდან ვიდრე VIII ს-ის ბოლომდე, კლისურაზე გადიოდა ეგრის-აფხაზეთის პოლიტიკური საზღვარი[139], ხოლო „ეგრის-წყალსა და კლისურასა შუა ქუეყანა" ქართლს (resp. ეგრისს) გადაეცა. ნიშანდობლივია, რომ უკანასკნელ საუკუნეებამდე ტერიტორიას სოხუმიდან ვიდრე მდ. ღალიძგამდე ეწოდებოდა „შვა სოფელი"[140]. ჩვენი აზრით, სწორია მოსაზრება, რომ ეს „შვა სოფელი" იგივე „შუა ქვეყანა" უნდა იყოს[141] და ეს გარემოებაც, თავის მხრივ, ამოწმებს, რომ ქართული წყაროების „ეგრისწყალი" უნდა იყოს იგივე დღევანდელი მდ. ღალიძგა, რომლის ეტიმოლოგიაც (ღალიძგა მეგრულად ნიშნავს კიდის ღელეს ანუ მიჯნის წყალს. შდ. მიჯნისწყალი, ეგრისის მეორე კიდეზე, კახაბრის ველზე, ჭოროხის შესართავთან), ბოლოსდაბოლოს, იმას მოწმობს, რომ იგი ოდესღაც სასაზღვრე მდინარე უნდა ყოფილიყო.

---

137 პ რ ო კ ო პ ი კ ე ს ა რ ი ე ლ ი, „გეორგიკა", II (2), გვ. 136—137. შდ. იქვე, გვ. 33, იუსტინიანეს 535 წლის ნოველა.

138 პ რ ო კ ო პ ი კ ე ს ა რ ი ე ლ ი. იქვე, გვ. 135—136.

139 ქ-ცა, I, გვ. 234—235 და 243.

140 ნ. დ ა დ ი ა ნ ი, ქართველთა ცხოვრება, 1962, გვ. 209.

141 პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, გიორგი მერჩულე. 1954, გვ. 128. იხ. აგრეთვე, ივ. ჯავახიშვილის მიერ 1923 წ. გამოცემული საქართველოს ისტორიული რუკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლოს აღვნიშნავთ იმასაც, რომ ტერმინი „შვა სოფელი“ „შუა ქვეყნის“ მნიშვნელობით შესაძლებელია შექმნილიყო მხოლოდ ადრეულ შუა საუკუნეებში, მაინცდამაინც VIII ს-მდე და ესეც უნდა მოწმობდეს, რომ როდესაც მემატიანეს ეს ვითარება ვახტანგ გორგასლის ეპოქაში გადააქვს, იგი ქრონოლოგიის თვალსაზრისით სავსებით სწორი უნდა იყოს. რაც შეეხება იმას, რომ თვით მატიანეში „ქუეყანაა“ ნახმარი, ეს აიხსნება იმით, რომ გვიანდელმა ავტორმა თუ რედაქტორმა წყაროს „სოფელი“ მისი დროისთვის უფრო შესაფერის „ქუეყანად“ შეცვალა.

ამგვარად, ჩვენც იმ აზრს ვემხრობით, რომ ქართული წყაროების „ეგრისწყალი“ უნდა იყოს იგივე დღევანდელი მდ. ღალიძგა. ეს იყო ეთნოგრაფიული ეგრისის საზღვარი აფშილეთთან ადრე საშუალო საუკუნეებში[142].

ე) ამ მცირე ექსკურსიის შემდეგ დავუბრუნდეთ კვლავ ეგრისის საკითხს. როგორც ირკვევა, მაშასადამე, საკუთრივ ეგრისის ეთნოგრაფიული ფარგლები ადრე საშუალო საუკუნეებში აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან შემოისაზღვრებოდა რიონით, დასავლეთიდან ზღვით, ჩრდილო-დასავლეთიდან მდ. ეგრისწყლით (ღალიძგა), ხოლო ჩრდილოეთიდან სვანეთით და ლეჩხუმით.

შესაძლებელია ეთნოგრაფიული ეგრისის საზღვრების მაჩვენებელი იყოს ისეთი ტოპონიმი, როგორიცაა „მუხურა“ ან „მუხური“.

სოფ. მუხურაა ჩხარის რაიონში სკანდას ზემოთ, სწორედ იმ ხაზზე, რომელზედაც ივარაუდება ქართლ-ეგრისის პოლიტიკური საზღვარი ამ ხანებში. სოფ. მუხური ცნობილია აგრეთვე ცხაკაიას რაიონში. რიონის მარჯვენა ნაპირზე კიდევ სამი ასეთი სახელწოდების სოფელია: ერთი ჩხოროწყუს რაიონში, მდ. ხობის სათავეში, იქ, სადაც ეს მდინარე ვიწროებიდან ვაკეზე გამოდის; ზუგდიდის რაიონში — მდ. ენგურის მარჯვენა ნაპირზე მის შესართავთან ახლოს; გალის რაიონში — მდ. ოქუმის შუა წელზე. ნიშანდობლივია, რომ ყველა ტოპონიმი ჩვენ მიერ შემოსაზღვრულ „ეგრისის“ განაპირა მხარეებშია. თვით ეტიმოლოგიაც („მუხური“ მეგრულად ნიშნავს „მხარეს“) ეგების იმის მანიშნებელი იყოს, რომ ისინი წარმოადგენენ ტოპონიმიკურ გადმონაშთებს საკუთრივ ეგრისის განაპირა მხარეებისას. ასეთ შემთხვევაში უნდა გვევარაუდა, რომ ტერიტორია რიონის ზემო წელის მარცხენა ნაპირსა და სკანდა-საზანო-შორაპანს შორის, ისევე როგორც დაახლ. გვიანდელი საჩინოს ვაკე ნაწილი

---

142 შდ. З. В. Анчабадзе, დასახ. ნაშრ., გვ. 7.

ეთნოგრაფიული ეგრისი უნდა ყოფილიყო (როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, სოფ. დაბლაგომთან ახლოს ვარაუდობენ „მუსტარიეს ციხის“ არსებობას).

ეგრისი ამ ფარგლებში დასავლეთ საქართველოს შუაგულია. აქ იყრის თავს, საბოლოო ჯამში, ყველა მაგისტრალური გზა, რომლითაც ეს ქვეყანა დაკავშირებული იყო აღმოსავლეთით ქართლის სამეფოსთან, სამხრეთით — ბიზანტიასა, სომხეთსა და ქართლთანვე, ხოლო ჩრდილოეთით ჯერ რაჭა-სვანეთ-აფხაზეთთან, ხოლო აქედან კავკასიის საუღელტეხილო გზებით ჩრდილო კავკასიასთან. ჩვენთვის საინტერესო პერიოდის ძირითადი მაგისტრალური სავაჭრო გზები, რომლითაც ეგრისის სამეფო დაკავშირებული იყო მახლობელ აღმოსავლეთთან, აღნიშნულია IV ს-ის ცნობილ საგზაო რუკაზე ე. წ. პევტინგერის ტაბულაზე, რომლის თანახმად ეგრისის სამეფოს მნიშვნელოვანი ცენტრები ფაზისი და სებასტოპოლისი დაკავშირებულნი არიან სავაჭრო მაგისტრალებით, ერთი მხრივ, ტრაპეზუნტთან, ხოლო, მეორე მხრივ, სომხეთის დედაქალაქ არტაშატთან. ორივე სავაჭრო ტრაქტი შიდა ეგრის ტერიტორიას გადაჰკვეთდა[143].

ეს უკანასკნელი ამავე დროს სოფლის მეურნეობის თვალსაზრისითაც ყველაზე უფრო ბარაქიანი რაიონია დასავლეთ საქართველოში. აქ მდებარეობდა ე. წ. მოხირისის მხარე, რომელიც, პროკოპი კესარიელის დახასიათებით, უმდიდრესი კუთხე იყო ლაზიკაში. ისტორიკოსი ასე ახასიათებს ამ მხარეს: „მოხირისი ერთი დღის სავალ გზაზეა არქეოპოლისს დაშორებული და შეიცავს მრავალს მჭიდროდ დასახლებულ სოფელს. კოლხიდის მიწაწყალზეც ის საუკეთესო მხარეს წარმოადგენს: ღვინოც კარგი მოდის და სხვა ნაყოფნიც აქ კარგად ხარობენ... ამ მხარეს ჩამოუდის ერთი მდინარე, სახელად რეონი“[144]. მეორე ადგილას იგივე ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ მოხირისზე მოედინება მდ. იპპისი (დღ. ცხენისწყალი)[145]. ამგვარად, მოხირისის ძირითადი ტერიტორია, პროკოპი კესარიელის მიხედვით, შემოფარგლულია მდ. რიონითა და ცხენის-

---

143 იხ. ნ. ლომოური, ძველი საქართველოს სავაჭრო გზების საკითხისათვის. იმ, IV, I; აგრეთვე, ღ. მუსხელიშვილი, ფეოდალური ხანის საქართველოს და ამიერკავკასიის მნიშვნელობა საერთაშორისო ვაჭრობაში, „ცისკარი“, № 11, 1970, გვ. 130.

144 პ რ ო კ ო პ ი კ ე ს ა რ ი ე ლ ი, „ომორგია“, II (2), გვ. 194.

145 იქვე, გვ. 119.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყლით და ამ უკანასკნელის მარჯვენა მხარეზეც გადადის[146]. თვით სახელი ამ მხარეს უნდა მიეღო ერთ-ერთი ისეთი სახელწოდების პუნქტიდან, რომელზედაც ჩვენ ზემოთ ვილაპარაკეთ (მუხური).

მოხირისის ერთ-ერთ ცენტრს VI ს-ში, როგორც ჩანს, ქუთაისი წარმოადგენდა, რომელიც, სავარაუდოა, ამ დროიდან იწყებს ხელმეორედ დაწინაურებას[147].

ეგრისის სამეფოს პოლიტიკური ცენტრი იყო არქეოპოლისი (დღ. ნოქალაქევი), მდ. ტეხურზე, რომელსაც მაშინ დიკონოსი ეწოდებოდა[148]. არქეოპოლისი იმ პერიოდში იყო „მთავარი და უდიდესი ქალაქი ლაზების ქვეყანაში“[149]. არქეოპოლისის მახლობლად მდებარეობდა ონოგურისის ციხე[150], რომელსაც დღევანდელ შხეფის ციხესთან აიგივებენ და რომელიც ტეხურის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს მის ქვემო წელზე. იქვე, მდ. ტეხურის (ძვ. დიკონოსი) და მდ. აბაშის (ძვ. კათარი)[151] შესართავში მდებარეობდა სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით ძლიერი გამაგრებული ადგილი ნესოსი, რომლის ნაშთია დღევანდელი სოფელი ისულეთი[152]. რიონის შესართავში კი მდებარეობდა ძველისძველი ქალაქი ფოთი (ფაზისი), რომლის საშუალებითაც ეგრისის სამეფო საზღვაო ვაჭრობას ეწეოდა[153]. ეგრისი, კერძოდ, მოხირისის მხარე, მაგისტრალური გზებით იყო დაკავშირებული მთიანეთთან, ლეჩხუმ-სვანეთთან. ერთი გზა აჰყვებოდა რიონს და ამ გზის დაცვა დავალებული ჰქონდა ქუთაისის ციხეს[154], ხოლო მეორე აჰყვებოდა ცხენისწყლის ხეობას. ამ გზას აკონტროლებდა „ერთი მეტად მაგარი ციხე, სახელად უქი-

---

146 მოხირისის ლოკალიზაციისათვის იხ. აგრეთვე ს. ჯანაშია, შრომები, II, გვ. 320.

147 პროკოპი კესარიელი, იქვე, გვ. 196, 203—204, 211; აგრეთვე, აგათია სქოლასტიკოსი, „გეორგიკა“, III, გვ. 30, 41, 54, 56, 123.

148 აგათია სქოლასტიკოსი, „გეორგიკა“, III, გვ. 37—38.

149 პროკოპი კესარიელი, „გეორგიკა“ II (2), გვ. 182. იხ. „გეორგიკა“ III, დამატება.

150 აგათია სქოლასტიკოსი, იქვე, გვ. 40, და 148.

151 იქვე, გვ. 58.

152 იქვე, გვ. 57—58 და 91. იხ. აგრეთვე იქვე, დამატება.

153 იქვე, გვ. 83, 97—98. პროკოპი კესარიელი, იქვე, გვ. 73.

154 პროკოპი კესარიელი, იქვე, გვ. 197.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერიონი"[155]. ამ ციხის ნანგრევები დღესაც არის ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირზე, სოფ. დიდღვაბუნასთან[156].

ციხე-სიმაგრე, რომელიც სავარაუდოდ „უქიმერიონი" უნდა იყოს, ჩვენ ვინახულეთ 1969 წ. სვანეთის ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიციის დროს. იგი აგებულია მაღალ კლდოვან მთაზე ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირზე სოფ. გოლდის სამხრეთით ოხვირის ხევისა და ცხენისწყლის შესაყარში. ტიპით იგი ჩვეულებრივია დასავლეთ საქართველოსათვის: ოთხკუთხი კოშკი — შიდაციხე და გალავანი, რომელსაც შიგნიდან სხვადასხვა სათავსოები ერთვის. ციხის ტერიტორია, რომელიც არ არის დიდი (30X10 მ²), მთლიანად ბალახით, ნანგრევი ქვებით და ხეებით არის დაფარული. თვით ნაგებობა საკმაოდ დანგრეულია. ერთადერთი მისავალი ციხეს იქიდან აქვს, სადაც კოშკია ამართული. კოშკი სამსართულიანი მაინც უნდა ყოფილიყო. მეორე სართულში, სამ ადგილას მაინც, განიერი და ღრმა საისრე ნიშები აქვს, გადაყვანილი სამკუთხა თაღებით. წყობა კედლებისა არ არის მთლიანად თარაზული, თუმცა, რამდენადაც ჩანს, ძირა—ცოკოლის—წყობა (ზოგან ორ-სამ რიგად ნაწყობი) დიდრონი სწორკუთხა კვადრატებისა თარაზულია. ასეთივე წყობა კედლებში სხვაგანაც შეიმჩნევა.

ეჭვი არ არის, რომ ეს ციხე-სიმაგრე, შესაძლებელია, გვიან რამდენჯერმე გადაკეთებული, ადრეფეოდალური ხანისაა.

საერთოდ, როგორც კახეთის ციხეებზე დაკვირვებამ დაგვარწმუნა, მსგავსი ციხე-სიმაგრეები, რომლებიც ფაქტიურად მთისა და ბარის დამაკავშირებელია, შეუძლებელია შუაფეოდალურ ხანაში იყოს აგებული, როდესაც საქართველო და მთელი კავკასია პოლიტიკურად ერთ მთლიანობას წარმოადგენდა. ისინი აგებულნი უნდა ყოფილიყვნენ ან გვიან, ანდა ადრეფეოდალურ ხანაში, როდესაც მთა და ბარი ცალკე „ქვეყნები" იყო. გვიანფეოდალური ხანა ამ შემთხვევაში გამორიცხულია უკვე საისრეთა არსებობის გამო[157], და საერთოდაც ამგვარი ციხეების აგება უფრო ადრეფეოდალურ ხანაშია მოსალოდნელი.

---

155 პროკოპი კესარიელი გვ. 196—197, 202.

156 ი. სიხარულიძე, „უხეიმერიონის" ადგილმდებარეობის საკითხისათვის, წულუკიძის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიის მასალები, II. 1968. ქ. წულუკიძე.

157 ერთ ადგილას ნაგებობას „სათოფურიც" უჩანს, მაგრამ ეს შეიძლება გვიანდელი გადანაკეთებია, ანდა, საერთოდ, სათოფურიც არ არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც შეეხება ამ ნაგებობის იდენტიფიკაციას პროკოპი კესარიელის „უქიმერიონთან“, მოსაზრება სწორი ჩანს, რადგან ბიზანტიელი ისტორიკოსის ცნობიდან გამომდინარე ეს ციხე დგას ერთ-ერთ მთავარ მაგისტრალზე, რომელიც ლაზიკეს ბარს სკვიმნიასვანეთთან აკავშირებს და ეს მთავარი მაგისტრალი სწორედ ცხენისწყალზე დღესაც გამავალი მთავარი დამაკავშირებელი გზაა ამ კუთხეებისათვის. მეორე მაგისტრალია რიონზე, ქუთაისიდან ალპანამდე. თანაც ქუთაისთან ეს ციხე, მართლაც ახლოა.

ყველაფერი ეს გვაფიქრებინებს, რომ სოფ. დიდღვაბუნას, ნოღებსა და გორდის მახლობლად მდებარე ციხე-სიმაგრე პროკოპი კესარიელის „უქიმერიონი“ უნდა იყოს[158].

ვ) ეგრისის სამეფოს ჩრდილო-დასავლეთ პროვინციას შეადგენდა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აფშილეთი, რომელსაც საკუთრივ ეგრისისაგან გამოჰყოფდა ეგრისწყალი ანუ დღევანდელი მდ. ღალიძგა. აფშილეთის ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი IV ს-ის ბოლოსა და V ს-ის პირველ ნახევარში, „სომხური გეოგრაფიის“ ცნობის მიხედვით, უნდა გასულიყო მდ. დრაკონზე ანუ კოდორზე. ეს იყო პოლიტიკური საზღვარი აფხაზეთსა და ეგრისს შორის. მაგრამ აფშილეთის ეთნიკური საზღვარი კიდევ უფრო ჩრდილოეთით იყო, სადღაც სებასტოპოლისსა და ანაკოფიას შორის[159], შესაძლებელია მდ. გუმისთაზე[160] ან უკეთ მის დასავლეთ წყალგამყოფ ქედზე, რომელიც მუხურმას მთას გამოეყოფა, მიემართება დასავლეთისაკენ, მდ. დასავლეთ გუმისთის სათავეებს ჩრდილოეთიდან შემოუვლის და შემდეგ მკვეთრად უხვევს სამხრეთისაკენ და სოფ. ფსირცხასთან ჩამოდის ზღვის სანაპიროზე. ეს მერიდიანული ქედი წარმოადგენს მდ. დასავლეთ გუმისთის და მდ. ბაკლანოვკის წყალგამყოფს. შესაძლებელია მდ. ბაკლანოვკის ადგილობრივი სახელი — აფსტა — სწორედ აფსილ—აფშილთა ტომის სახელწოდებას ინახავდეს და იმის მოწმობად გამოდგეს, რომ აქ გადიოდა საზღვარი აფსილთა და აფხაზთა შორის. ესეც, რა თქმა უნდა, ეთნოგრაფიული საზღვარი იყო.

---

158 სხვა ასეთი ციხე ცხენისწყლის ხეობაში ახლომახლო არ ყოფილა. ციხეა მათხოჯში, მაგრამ იგი გორდის ციხეზე გაცილებით პატარაა (ი. სიხარულიძის ცნობა).

159 პროკოპი კესარიელის ტრაქეის ციხე უნდა იყოს მერმინდელი ანაკოფია შდ. З. В. Анчабадзе, დასახ. ნაშრ., გვ. 9—11.

160 შდ. პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრ. გვ. 126; З. В. Анчабадзе, დასახ. ნაშრ., გვ. 8.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საინტერესოა, რომ მსგავსი ტოპონიმი, რომელმაც აფშილეთ-ტომის სახელი შემოგვინახა აფშილეთ-ეგრისის უშუალო საზღვარზედაც დასტურდება. ეს არის მთა აფშარა, ენგურისა და ღალიძგას ზემო წელის წყალგამყოფ ქედზე. ამგვარად, აფშილეთის დასავლეთი და აღმოსავლეთი საზღვარი საკმაო ზედმიწევნილობით ირკვევა. სამხრეთით აფშილეთი, როგორც პროკოპი კესარიელის ცნობიდან უცილობლად ირკვევა, ზღვაზე გამოდიოდა. რაც შეეხება ჩრდილოეთ საზღვარს, აქ უნდა გავითვალისწინოთ ერთი გარემოება. როგორც პროკოპი კესარიელის ზემოხსენებული ცნობიდან (აფშილეთს და აფხაზეთს რომ შეეხება) გამომდინარეობს, აფშილეთი, აფხაზეთისაგან განსხვავებით, ჩრდილოეთით არ ადგებოდა კავკასიონის ქედს. რომ ეს, მართლაც, ასე უნდა ყოფილიყო, მტკიცდება აგათია სქოლასტიკოსის და თეოდოსი განგრელის ცნობებითაც. აფშილეთის ციხე-სიმაგრე წიბილე, რომელიც დღევანდელი წებელდის (კოდორის ხეობაში) მიდამოში უნდა ყოფილიყო და რომელიც, როგორც ჩანს, აფშილთა მთავარ ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენდა[161], აგათიას მიხედვით, „მისიმიელთა და აფსილიელთა ქვეყნების საზღვარზეა და მათ ჰყოფს“[162], ე. ი. წებელდას ზონა, თუმცა კი აფშილეთში შედიოდა, მაგრამ მისიმიეთის თუ მისიმიანეთის საზღვართან ახლოს მდებარეობდა. მეორე მხრივ, ანასტასი პოკრისიარი თეოდოსი განგრელს წერდა: „თაკვრიის ზემოხსენებულ ციხეში ცოტაოდენი სიმშვიდე ვპოვე, მთავარმა კვლავ გადამგზავნა აფსილიისა და მისიმიანის მხარეებში, რათა ფუსტას ციხეში დავემწყვდიეთ“[163]. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფუსტას ციხეც ამ ორის ქვეყნის საზღვარზე უნდა ყოფილიყო[164]. ტოპონიმი ფუსტა (აფუსტა) დღესაც არის ამტყელის ხეობაში. საზღვარიც აფშილეთსა და მისიმიანეთს შორის ამ სექტორში, შესაძლებელია, ამტყელის ხეობაზე გადიოდა.

ამგვარად, ეთნოგრაფიული აფშილეთის საზღვრები (მაინცდამაინც, VI—VII სს-ში) მეტნაკლებად შეიძლება ამგვარად შემოიხაზოს: დასავლეთი საზღვარი იწყებოდა დაახლოებით სოფ. ფსირცხასთან და აჰყვებოდა მდ. მდ. გუმისთა — აფსტას წყალგამყოფს,

---

161 პროკოპი კესარიელი, იქვე, გვ. 162, 164—165.

162 აგათია სქოლასტიკოსი, იქვე, გვ. 160.

163 თეოდოსი განგრელი, იქვე, გვ. 44.

164 К. Кекелидзе. Сведения грузинских источников о Максиме Исповеднике, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. VII, გვ. 31.

ვიდრე მუხურშას მთამდე, რომელიც უკვე მდ. ბზიფის წყალგამ-
ყოფ ქედზეა. შემდეგ საზღვარი გადადევდა ამ ქედს აღმოსავლე-
თისაკენ ბზიფის ზემო წელის გასწვრივ მდ. კელასურ-ამტყე-
ლის წყალგამყოფის მიმართულებით, ვიდრე ამტყელის ტბამდე
(სოფ. ახანთა). აქედან ჩამოჰყვებოდა მდ. ამტყელს, გადასჭრიდა
კოდორის და ადიოდა ფანავის ქედზე, რომელსაც გაჰყვებოდა აღ-
მოსავლეთისაკენ კოდორის ზემო წელის გასწვრივ ხოჯალის მთამ-
დე (მდ. ენგურის წყალგამყოფზე) და აქედან კვლავ სამხრეთისა-
კენ ეშვებოდა აფშარის მთის გადავლით და სადღაც ტყვარჩელ-
თან ეშვებოდა მდ. ღალიძგაზე. რა თქმა უნდა, საზღვრების ეს ხაზი,
რომელიც ბუნებრივ წყალგამყოფ ქედებზეა გავლებული მიახლო-
ებითია, მაგრამ თუკი ამოსავალი ორიენტირების ჩვენებური ინტერ-
პრეტაცია და იდენტიფიკაცია სწორია (აფსტა, აფუსტა, წიბილე,
აფშარა, ეგრისწყალი), მაშინ აფშილეთის საზღვრების კოორდინა-
ციაში დიდი შეცდომა აღარ არის მოსალოდნელი.

აფშილეთის ტერიტორიაზე იყო, ზემოხსენებული პუნქტების
გარდა, აგრეთვე ციხე კოტორი[165], რომელიც სადღაც კოდორის ხე-
ობაში უნდა ყოფილიყო[166]. დაბოლოს, აფშილეთშივე ითვლებოდა
ქალაქი სებასტოპოლისი. ეს გამომდინარეობს ჯერ ერთი, პროკოპი
კესარიელის ცნობიდან ციხე-სიმაგრე ტრაქეის შესახებ, რომელიც
მდებარეობდა ზღვისპირას, მთაზე „აფსილიის საზღვრების შემდეგ
აბაზგიის შესავალში“[167]. ეჭვი არ არის, ეს ციხე-სიმაგრე შესაძლებე-
ლია იყოს მხოლოდ მერმინდელი ანაკოფია[168], რომლის ციხე-სიმაგ-
რის ნაგებობაში გამოჰყოფენ IV—V სს-ში აგებულ „დედაციხეს“[169].
ცხადია, თუ ტრაქეა-ანაკოფია აფხაზეთის შესავალში ყოფილა აფში-
ლეთის საზღვრების შემდეგ, სებასტოპოლისი — ცხუმი აფშილე-
თის ტერიტორიაზე უნდა ყოფილიყო, რასაც ამოწმებს აგრეთვე
ქართული წყარო, რომელსაც დასახელებული აქვს „ქალაქი აფში-
ლეთისა“ ცხუმი[170].

ამგვარად, ჩვენი აზრით, თუკი „სომხური გეოგრაფიის“ მდ.
დრაკონის გაიგივება კოდორთან სწორია, გამოდის, რომ IV ს-ის

---

165 თ ე ო დ ო ს ი გ ა ნ გ რ ე ლ ი, „გეორგიკა“, IV, გვ. 42, შენ. 4.

166 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 169; K. Кекелидзе, Сведения... 28.

167 პ რ ო კ ო პ ი კ ე ს ა რ ი ე ლ ი, „გეორგიკა“, II (2), გვ. 158—159.

168 З. В. А н ч а б а д з е, დასახ. ნაშრ., გვ. 9—11.

169 В. Л е к в и н а д з е, По поводу Анакопийской крепости, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, XXV-B, 1968, გვ. 102—103.

170 ქ~ცა. I, გვ. 235.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე ნახევარში ეთნოგრაფიული აფშილეთი განაწილებულიყო აფხაზეთსა და ეგრისის სამეფოს შორის, რომელთაგან პირველი, ამავე დროს, მეორის ვასალურ სამთავროს წარმოადგენდა. ამ თვალსაზრისით ანასეული ნუსხის „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული ვარიანტული კითხვასხვაობა ზემოხსენებული ცნობისა — „ქალაქი აფხაზეთისა და აფშილეთისა ცხუმი“ (რომელიც, ცხადია, პირველ ყოვლისა, გულისხმობს პოლიტიკურად გაგებულ აფხაზეთს, რომელიც ამჯერად მოიცავს აფშილეთსაც,[171] მაგრამ მაინც გაუმართავი და ბუნდოვანია) — ეგების მიზანშეწონილი იყოს ამგვარად შესწორდეს: „ქალაქი აფხაზეთისა აფშილეთისა ცხუმი“, საიდანაც ნათელი ხდება, რომ არსებობდა „აფხაზეთის აფშილეთი“, რომელშიც იყო ქალაქი ცხუმი და იყო აგრეთვე სხვა, ალბათ, „ეგრისის აფშილეთი“. შუაში ჩართული „და“ შეიძლება გვიანდელი გადაწერის გაუგებრობის შედეგი იყოს.

ზ) ეგრისის სამეფოს ფარგლებში შემოდიოდა აგრეთვე მისიმიელთა მიწა-წყალი ანუ მისიმიანეთი, რომელიც, როგორც უკვე უნდა დავრწმუნებულიყავით, აფშილეთს ესაზღვრებოდა წებელდა-ამტყელის ზონაში და ე. ი. ჩრდილო-აღმოსავლეთიდან. მისიმიანეთის საზღვარი ხოჯალის მთიდან ვიდრე მდ. კელასურის სათავეებამდე, რა თქმა უნდა, აფშილეთისას მიჰყვებოდა. ჩრდილო-დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან იგი, შესაბამისად, აფხაზეთს და სვანეთს ესაზღვრებოდა და, ბუნებრივია, აქ მიჯნები კვლავ წყალგამყოფ ქედებზე გასულიყო: მდ. ბზიფისა და მდ. ჩხალთის (ანგარა) სათავეებზე მარუხის ულელტეხილთან — აფხაზეთთან, ხოლო მდ. ენგურისა და საკენის წყალგამყოფზე — სვანეთთან. ჩრდილოეთიდან მას საზღვრავდა კავკასიონის მთავარი ქედი, რომელიც მისიმიანეთს (და ე. ი. ეგრისის სამეფოს) ალანებისაგან მიჯნავდა. მისიმიანეთის ტერიტორიაზე ხვდებოდა ჩრდ. კავკასიაში გადამავალი ისეთი უმნიშვნელოვანესი უღელტეხილები, როგორიცაა მარუხის, ქლუხორისა და ნახარის გადასავლები. ამათგან ქლუხორზე გადმომავალ გზას ეწოდებოდა, როგორც ჩანს „მისიმიანთა გზა“, ხოლო მარუხზე გადამავალ გზას, რომლითაც შეიძლებოდა ქედ-ქედ პირდაპირ აფშილეთში მოხვედრა მისიმიანეთში ჩაუსვლელად — „დარინის გზა“[172].

---

[171] З. В. Анчабадзе, დასახ. ნაშრ., გვ. 8.

[172] მენანდრე პროტიქტორი, „გეორგიკა“, III, გვ. 236—237; შდ. პ. ინგოროყვა, გეორგიმერჩულე, გვ. 126; З. В. Анчабадзе, დასახ. ნაშრ., გვ. 12—13.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისიმიანეთის ასეთი ლოკალიზაცია ნებისმიერი რომ არ არ[illegible] ამას მოწმობენ წყაროები. აგათია სქოლასტიკოსის ცნობით, მისიმიანეთი „უდაბური და მეტისმეტად ცივი ქვეყანა იყო“, რომელიც „მდებარეობდა კოლხეთს (—ეგრისს, დ. მ.) ზემოთ“, „აფსილთა ტომებზე უფრო ჩრდილოეთით... ოდნავ აღმოსავლეთით“[173] ყველა ზემომოტანილი ცნობა მისიმიანეთს კოდორის სათავეებში გვაგულისხმებინებს[174]. ამავე დროს, ეს ქვეყანა ალანთა ანუ ქართული წყაროების ოვსთა ქვეყნის მეზობლად იყო. ალანები პროკოპი კესარიელის მოწმობით მოსახლეობდნენ ჩრდილო კავკასიის მთიანეთში „კავკასიის მთიდან დაწყებული კასპიის კარამდე“[175] (ე. ი. დარიალამდე). ისინი ემეზობლებოდნენ სვანებს[176] და აგრეთვე ბრუქებს, რომლებიც „კავკასიონის მთის გასწვრივ ცხოვრობენ... აბაზგებსა და ალანებს შუა“[177], ცხადია, ჩრდილო კავკასიის ტერიტორიაზე, რადგან იმავე ისტორიკოსის სხვა ცნობიდან ჩვენ ვიცით, რომ აფხაზეთი კავკასიონის ქედს ადგებოდა (იხ. ზემოთ). ალანები ემეზობლებოდნენ მისიმიანებსაც. სწორედ ალანეთიდან გადმოდიოდა „მისიმიანეთის“ და „დარიანის გზა“, რომელთა შესახებაც მენანდრე პროტიქტორი მოგვითხრობს. ვარაუდობენ, რომ მისიმიელთა ტომი სვანური უნდა ყოფილიყო[178].

მისიმიანების მთავარ ციხე-სიმაგრეს აგათია სქოლასტიკოსი ძახარის ციხეს უწოდებს, რომელსაც „მეტსახელად „რკინისას“ ეძახიან მისი სიმტკიცისა და დაუძლეველობის გამო“[179]. ძახარის, ანდა უკეთ, ჩახარის ციხე-სიმაგრე უნდა იყოს იგივე დღევანდელი ჩხალთის ციხე, კოდორის ზემო წელზე ჩხალთის წყლისა და კოდორის შესართავთან[180]. ამ ციხის მახლობლად მდებარეობს რკინის მადნის საბადოები, რასაც შესაძლებელია კავშირი ჰქონდეს ჩახარის სახელწოდებასთან — „რკინის ციხე“. მეორე ციხე-სიმაგრე, რომელიც მისიმიელთა ტერიტორიაზე იყო, ეს არის აგათიას ბუქლო-

---

173 აგათია სქოლასტიკოსი, „გეორგიკა“, III, გვ. 86, 155, 174.

174 შდ. ს. ყაუხჩიშვილი, მისიმიანთა ტომი, თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, I, 1936, გვ. 272; З. В. Анчабадзе, იქვე.

175 პროკოპი კესარიელი, „გეორგიკა“, II (2), გვ. 130.

176 იქვე, 55, შენ. I.

177 იქვე, გვ. 136.

178 ს. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 280.

179 აგათია, იქვე, გვ. 163.

180 იხ. პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრ., გვ. 127.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სი ანუ თეოდოსი განგრელის ბუკოლუსი. ფრიად საინტერესოა ლოკალიზაციისთვის ის გარემოება, რომ აგათიას მიხედვით, მისიმიელთა ეს „ციხე ზედ ლაზეთის საზღვრებზეა აღმართული“, როგორც ჩანს, ალანთა მახლობლად[181], რასაც სავსებით ნათლად ამოწმებს ანასტასი აპოკრისიარის წერილის ლათინური თარგმანი, რომლის მიხედვით, ბუკულუსის ციხე მისიმიანეთშია ალანთა საზღვრებთან[182]. ქართული წყაროებით ამ ციხეს ეწოდება ბოკერი[183]. ბუნებრივია, რომ ამ ციხე-სიმაგრის მდებარეობასაც კოდორის ზემო წელზე ვარაუდობენ[184]. მართლაც, კოდორის სათავეში მდ. მდ. გვანდრისა და კლიჩის შესართავში ამჟამადაც არსებობს ადრეფეოდალური ციხე-სიმაგრის ნანგრევები, რომელიც უნდა წარმოადგენდეს მისიმიანთა ერთ-ერთი ცენტრის, ბოკერის, ნაშთს.

მისიმიანეთშივე უნდა ყოფილიყო თეოდოსი განგრელის სქიომარის თუ სხიმარის ციხე ანუ ქართული წყაროს ჰიმარი, რომელშიაც მოუთავსებიათ მაქსიმე აღმსარებელი მისი ეგრისში გადმოსახლების შემდეგ. ეს ციხე-სიმაგრე „მდებარეობს მახლობლად ალანებად წოდებული ხალხისა“[185]. უკვე ეს გლოსა ანასტასი აპოკრისიარისა, რომელმაც რამდენიმე წელი დაჰყო პატიმრობაში ეგრისში, ნებით თუ უნებლიეთ ბევრსაც მოგზაურობდა ამ ქვეყანაში და ამდენად საკმაოდ კარგად იცნობდა იმდროინდელ პოლიტიკურ გეოგრაფიასაც, სრულიად გამორიცხავს, რომ სხიმარის ციხე-სიმაგრე ლეჩხუმში ანდა მის მახლობლად ვეძებოთ[186]. ბუნებრივია, იგი კვლავ მისიმიანეთში, ალანთა მეზობელი ქვეყნის ფარგლებში ვეძებოთ, რადგან არც სვანეთში და მით უმეტეს, აფხაზეთში პატიმრები არ წაუყვანიათ[187]. კოდორის სათავეში კი მდ. საკენრის (საკენის) ხეობაში დამოწმებულია ტოპონიმი „სგიმარი“. შემდგომმა კვლევამ შესაძლებელია თვით ციხე-სიმაგრეც მიგვაგნებინოს.

---

181 ა გ ა თ ი ა, იქვე, გვ. 86—87.

182 თ ე ო დ ო ს ი გ ა ნ გ რ ე ლ ი, იქვე, გვ. 42. შენ. 5.

183 К. Кекелидзе, Сведения... 29.

184 იხ. „გეორგიკა“, III, გვ. 87, შენ. 2, პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრ., გვ. 126, რუკა.

185 თ ე ო დ ო ს ი გ ა ნ გ რ ე ლ ი. „გეორგიკა“, IV, გვ. 42. შდ. კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 307.

186 К. Кекелидзе, Сведения. 32; А. Бриллиантов, დასახ. ნაშრ,. გვ. 27. ს. ყაუხჩიშვილი. იხ. „გეორგიკა“, IV, გვ. 56. შენიშვნა.

187 თ ე ო დ ო ს ი გ ა ნ გ რ ე ლ ი, იქვე. გვ. 42—43. ლეჩხუმი კი ალანებს არ ესაზღვრებოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მისიმიანეთის ტერიტორიაზე ამ ციხეების არსებობა საკმაოდ გასაგებია, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, ამ ტერიტორიაზე გადმოდიოდა უმნიშვნელოვანესი მაგისტრალური გზები ჩრდილო კავკასიიდან აფხაზეთში და ეგრისში, ხოლო აქედან ზღვით ან ხმელეთით — ბიზანტიაში[188]. ეს უკანასკნელი ამ გზების გამოყენებას ცდილობდა აღმოსავლეთთან საერთაშორისო ვაჭრობის მიზნებითაც კი, რამდენადაც წინა აზიაში მას ერანი ეღობებოდა[189]. გარდა ამისა, ამ გზებით ხდებოდა მომთაბარე ჩრდილო-კავკასიელ ტომთა და, კერძოდ, ალანთა დაქირავებული რაზმების გადმოყვანა და თვით ალანთა შემოტევაც[190]. ზემოხსენებული ციხესიმაგრეები სწორედ ამ მაგისტრალურ გზებს აკონტროლებდნენ: ჩხალთისა — მარუხის უღელტეხილით ჩხალთის წყალზე მომავალ გზას; ბოკერისა — ქლუხორის და ნახარის უღელტეხილებზე გადმომავალ მაგისტრალს, ხოლო სხიმარისა, ალბათ, სვანეთთან დამაკავშირებელ გზას.

ამ მხრივ სვანეთიც ფრიად მნიშვნელოვანი მხარე იყო ეგრისის სამეფოსათვის და სწორედ ამის გამო ატყდა VI ს-ის 60-იან წლებში დაუმთავრებელი დიპლომატიური დავა ბიზანტიასა და ერანს შორის ამ კუთხის მფლობელობასთან დაკავშირებით. ანასტასი აპოკრისიარი ეგრისში იხსენიებს „სვანეთის ციხეს“[191], თან კონტექსტი ისეთია, რომ აქ ციხის საკუთარი სახელწოდება კი არ უნდა იყოს, არამედ — უფრო მისი სვანეთის ტერიტორიასთან დამოკიდებულების აღმნიშვნელი ტერმინი[192].

იქვეა მოხსენიებული აგრეთვე „თაკვირიის ციხე“, რომელიც ლეჩხუმის ერთ-ერთ ციხე-სიმაგრეს უნდა გულისხმობდეს[193].

3. 1969 წ. სვანეთის ისტორიულ-გეოგრაფიულმა ექსპედიციამ გზად მოიხილა ლეჩხუმის ციხე-სიმაგრეებიც: მურის ციხე, ორბელის ციხე, გვესოს ციხე, ზუბის ციხე და ისუნდერის ციხე. ამ ციხეების შესწავლა და მათი ისტორიულ-გეოგრაფიული ფუნქციის გარკვევა, რა თქმა უნდა, ინტენსიური საველე მუშაობისა და აგრეთვე არქეოლოგიური ძიების გარეშე შეუძლებელია, მით უმეტეს,

---

188 იხ. მაგ: მენანდრე პროტიქტორი, „გეორგიკა“, III, 237.

189 იქვე, გვ. 234—236.

190 თ ე ო ფ ა ნ ე ქ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, „გეორგიკა“, IV, გვ. 106—107, 111—113; თეოდოსი განგრელი, იქვე, გვ. 42, შენ. 5, შდ. А. Бриллиантов, დასახ. ნაშრ., გვ. 33, შენ. 3.

191 თ ე ო დ ო ს ი გ ა ნ გ რ ე ლ ი, იქვე, გვ. 43.

192 იხ. А. Бриллиантов, იქვე.

193 თ ე ო დ ო ს ი გ ა ნ გ რ ე ლ ი, „გეორგიკა“, IV, გვ. 41—43.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ცნობილი არ არის მათი ადგების თარიღი და ქრონოლოგიური ურთიერთმიმართება. მიუხედავად ამისა, ზედმეტად არ მიგვაჩნია ზოგიერთი სახელდახელო დაკვირვების გადმოცემა, რომელიც მათი მოხილვისას შეგვექმნა.

ლეჩხუმი, ფაქტიურად, ორ ხეობას მოიცავს: ერთია ლაჯანურას ხეობა, რომელიც დაახლ. ალპანასთან ერთვის რიონს; მეორე — ცხენისწყლის ხეობა (მისი შუა წელი). ორივე ხეობა თავის დროზე ცალკე დამოუკიდებელი ერთეული („ხევი") უნდა ყოფილიყო, გამოყოფილი ერთმანეთისგან და მიმდებარე მხარეებისგან (რაჭა, სვანეთი, სამეგრელო, იმერეთი) ქედებით.

ლაჯანურას ხევის პოლიტიკურ ცენტრს წარმოადგენდა, როგორც ჩანს, სოფ. ორბელის ციხე, რომელიც სოფლის ჩრდილოეთით ამართულ მაღალ კლდოვან მთაზე დგას. იგი აუგიათ გზასაყარზე: ერთი გზა დასავლეთით გადადის ცაგერში (ცხენისწყლის ხეობაში), მეორე ლაჯანურას მიჰყვება ჩრდილოეთისკენ და „ჯვრის" გადასასვლელით გადადის ქვემო სვანეთში (ლაშხეთში).

გეგმარებით ორბელის ციხე ჩვეულებრივი ტიპისაა: კოშკი — ციტადელი და გალავანი („ქვედა ციხე"). ციტადელი წარმოადგენს მაღალ, მკვიდრადნაგებ ოთხკუთხა პირამიდულ კოშკს, რომლის კედლების წყობა თითქმის მთლიანად თარაზულია, რაც მის ადრეფეოდალურობაზე უნდა მიუთითებდეს, თუმცა ზედა ცრუთაღებიანი სართული გვიან დაშენებულია. მისი მსგავსია ქვედაციხის SO კოშკი, რომელიც მთლიანად, ისევე როგორც ქვედაციხის უდიდესი ნაწილი, გვიანდელი ნაგებობა ჩანს. ძველი, თარაზული წყობა აქ მხოლოდ O ფასადზე შეიმჩნევა. ციტადელს ორ-სამსართულიანი შენობები აკრავს, რომელთაგან ერთი მოზრდილია და შეიძლება სასახლის ნაშთი იყოს. ქვედაციხეშიც სხვადასხვა ნაგებობებია, მათ შორის — წყალსაცავები. ციხის გარშემო თანამედროვე სასაფლაოა, რომლის ტერიტორიაზე ძველი საყდრის ნანგრევიც არის.

მურისციხე ათიოდე კმ-ზეა ორბელის ციხისაგან დასავლეთისკენ, მაგრამ იგი აშკარად სხვა „ხევის" ცენტრს წარმოადგენს, კერძოდ კი, ცხენისწყლის ხეობის გარკვეული მონაკვეთისას, რომელიც ლაჯანურადან დაბალი ქედით არის გამოყოფილი და დანარჩენი მხრიდანაც აშკარად გამოცალკევებული ფიზიკურ-გეოგრაფიული ერთეულია. მურისციხე ცაგერთან არის, მის ჩრდილოეთით მაღალ, შვეულ და კლდოვან მთაზე, რომელზედაც ორი გზა ადის: დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან. ორივე გზას ცალკე გამდგარი კოშკები იცავენ. თვით ციხე ორბელის ციხის მსგავსია: ციტადელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოადგენს კოშკს, ნაგებს თარაზული წყობით და ისეთივე თაღოვანი ზედა ნაწილით, როგორც ორბელში. აქაც ციტადელთან სხვადასხვა ნაგებობებია. ქვედაციხე პატარა მინდორია, რომელსაც საგანგებო კედლები არ ეტყობა: იგი კლდის შვეული ბლოკებითაა შემოზღუდული. აქვეა ოთხკუთხა, ორფერდა სახურავით გადახურული წყალსაცავი. მურისციხე, მართლაც, სრულიად მიუვალია, რასაც ვახუშტიც აღნიშნავს[194].

მურისციხის დანიშნულებაც ამკარაა: იგი ფლობს მის წინ გადაშლილ ველს ცხენისწყლისას და აგრეთვე კონტროლს უწევს ქვემო სვანეთს, რამდენადაც იგი ცხენისწყლის იმ ვიწროების თავზეა აგებული, საიდანაც ადის მთავარი გზა ქვემო სვანეთში[195]. ასე რომ, სრულიად ბუნებრივი ჩანს ქართველი სქოლიასტის ჩვენება: „სუანთა სოფლის ციხე, რომელ არს მური“[196] და მართლაც ანასტასი აპოკრისიაარის „სვანეთის ციხე“ შესაძლებელია სწორედ მურისციხეს გულისხმობდეს (იხ. ზემოთ).

მურისციხე, ფაქტიურად, ორი „ხევის“ (მთისა და ბარის) საზღვარზე დგას, როგორც სხვა ბევრი ადრეფეოდალური ციხეც. მეორე მხრივ, იგი იცავს გზას მომავალს ორბელიდან, ე. ი. ლაჯანურის ხეობიდან. ორბელის ციხეც, მდებარეობის თვალსაზრისით, მურისციხის სრული ანალოგიაა, თუმცა ეს უკანასკნელი უფრო მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო თვით ცხენისწყლის გზის მეტი მნიშვნელობისდა კვალად.

ამავე მაგისტრალზე მდებარეობს ზუბის ციხეც. იგი ცხენისწყლის პირას, ჭალაში ამართულ კლდოვან დიდ ბორცვზეა მოთავსებული ცაგერის სამხრეთით, დაახლოებით 14 კმ-ზე. სოფ. წიფერჩიდან იწყება ცხენისწყლის ვიწროები სამხრეთისკენ. სოფ. ზუბთან, რომელიც ხეობის მარჯვენა მაღალ ტერასზეა, ეს ვიწროები ოდნავ გაშლილ ტაფობს ქმნიან და სწორედ ამ ტაფობის შუაგულში დგას ციხესიმაგრე. იგი დიდი და რთული ნაგებობაა, სულ ცოტა, სამ ტერასად განლაგებული. პირველ (ქვედა) ბაქანს, რომელიც ბორცვს W და S მხრიდან შემოუყვება, შემოსდევს კლდის დიდრონი კვადრების ჰორიზონტალური წყობით ნაგები საყრდენი კედელი: კედლის ეს სარტყელი, თავის მხრივ, გარედან მთელ სიგრძეზე თხრილით არის გამაგრებული. N და O მხრიდან ციხის კლდოვან

---

194 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა... გვ. 149.

195 ი ქ ვ ე.

196 იხ. „გეორგიკა“, IV, 56, შენიშვნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბორცვს ცხენისწყალი შემოსდევს. აქედან შვეული ფრიალო სპეციალურ გამაგრებას არ ითხოვს. თხრილში თავის დროზე, შესაძლებელია, წყალიც იყო შემოყვანილი ცხენისწყლიდან. საყრდენ კედელს ალაგ-ალაგ პერანგი აქვს შემორჩენილი და მისი თარაზული წყობა შესანიშნავ შთაბეჭდილებას ახდენს.

მეორე ბაქანი ციხეს W მხრიდან აქვს და სწორკუთხაა. აქაც მხოლოდ მოზრდილი კვადრების თარაზული წყობით ნაგები საყრდენი კედლებია შემორჩენილი. ეჭვი არ არის, ციხე-სიმაგრე ადრეფეოდალური ხანისაა.

მესამე ზედა ბაქანზე ანუ თვით ბორცვის თხემზე — ციტადელია. იგი დიდი მოცულობისაა, მაგრამ მისი კონფიგურაციის წარმოდგენა, ნანგრევებისა და ხშირი ხეების გამო, ჭირს. აქ სხვადასხვა ნაგებობათა ნანგრევები ჩანს, მათ შორის, წყლის რეზერვუარიც.

ზუბის ციხეს, უეჭველია, ცხენისწყალზე მომავალი მაგისტრალის კონტროლი ჰქონდა დაკისრებული. მაგრამ მას არ გააჩნდა, თითქოს, თავისი „შესავალი ქვეყანა". მეორე მხრივ, თვით შემორჩენილი ნაგებობები ეჭვს არ ტოვებენ, რომ აქ საქმე გვაქვს ციხე-დარბაზთან, ფეოდალის რეზიდენციასთან. ამდენად, ცხადი უნდა იყოს, რომ მის „ქუეყანას" შეადგენდა ჩრდილოეთიდან მომდგარი ველი — იგივე მურისციხის „შესავალი" — თუ მთელი ლეჩხუმი არა. ამდენადვე, გასარკვევია ამ ორი ციხის ქრონოლოგიური ურთიერთმიმართება, რაც არქეოლოგიური სამუშაოების გარეშე შეუძლებელია. საერთო შთაბეჭდილებით, ზუბისციხე უფრო ძველი უნდა იყოს. კერძოდ, იგი უნდა ყოფილიყო ლეჩხუმის უმთავრესი ციხე-სიმაგრე, ანუ იგივე „ციხე თაკვერი", რომლის ვახუშტისეული ლოკალიზაცია კარგად, თუმცა არა ზედმიწევნით, უდგება ზუბისციხისას[197].

თვით ციხე-სიმაგრის, მაინცდამაინც, აქ ჩადგმა (და არა მაგალითად, უფრო ჩრდილოეთით, სოფ. წიფერჩის ქვემოთ, საიდანაც ვიწროები იწყება), გარდა თავდაცვისათვის მეტად ხელსაყრელი პირობებისა, იმითაც უნდა ყოფილიყო გამოწვეული, რომ ციხის ჩრდილოეთით დაახლოებით 2—3 კმ-ზე ცხენისწყალს მარჯვნიდან ერთვის პატარა ე. წ. ჯანოულას (თუ ჯანოურის) ხევი, რომელზედაც

---

[197] ვ ა ხ უ შ ტ ი. იქვე, ეგ. 148. თუ ჩვენი იდენტიფიკაცია „ციხე თაკვერისა" სწორია, მაშინ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ზუბისციხე VIII ს-ის ძეგლია, როდესაც ლეჩხუმს თაკვერი უნდა სწოდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზა გადადის, როგორც სამეგრელოში („ჯვრის გადასასვლელი"), აგრეთვე ქვემო სვანეთშიც, ლენტეხში („ახალი ჭალის გადასასვლელი") და ეს ციხე ამ გზასაც აკონტროლებდა.

ჯანოულას ხევზე, სწორედ ზემოხსენებულ გზაზე მდებარეობს სოფ. ჩქუმი, რომელიც ჩვენი აზრით, უნდა ინახავდეს ლეჩხუმის უძველეს სახელწოდებას, დამოწმებულს ბიზანტიელ და სომეხ მწერლებთან — „სკჳმიის" თუ „სკჳმნიის" სახით, თუმცა რაიმე ძველი მატერიალური საბუთი საამისოდ ჩვენ იქ ვერ მოვიძიეთ.

ზუბისციხის სამხრეთით, 3 კმ-ზე, სოფ. ისუნდერის მახლობლად, ოყურეშიდან ჩრდილოეთით 0,5 კმ-ზე, ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირის მაღალი კლდის მასივზე, მის ძირში გამავალი მაგისტრალიდან დაახლ. 150 მ-ის სიმაღლეზე აგებულია კიდევ ერთი ციხე. იგი ისეთივე ტიპისაა, როგორც გორდის ციხე („უქიმერიონი"), მხოლოდ უფრო მარტივია: კოშკი და გალავანი, რომელიც კლდის თხემს შემოსდევს. ზომითაც მეტად მცირეა: 15X6 მ². ალაგ-ალაგ გალავნის მაგივრობას თვით კლდის ლოდები ასრულებენ. ციხე დამხრობილია O—W და მის O ნაწილში (გზას რომ გადაჰყურებს) დიდი ჩაკირული ქვევრის ქვედატანია ჩადგმული მიწაში—ალბათ, წყალსაცავი. ამას გარდა. S ფრიალო ფერდზეც გალავნის ნაშთებია, ნაგები დიდრონი კვადრების თარაზული წყობით. ასევეა ნაგები საერთოდ მთელი ციხე, რაც მის ადრეფეოდალურობას უნდა მოწმობდეს. ისუნდერის ციხის დანიშნულება, უეჭველია, ლეჩხუმში მიმავალი გზის ჩაკეტვაა და სხვა არაფერი. შესაძლებელია იგი „თაკვერის ციხის" ფორპოსტს წარმოადგენდა.

კიდევ ერთი ციხე-სიმაგრე ლეჩხუმში ჩვენ დავამოწმეთ კვლავ ცაგერის მახლობლად, მის დასავლეთით ამართულ მაღალ მთაზე, სოფ. გვესოსთან. აქ ჩვენთვის მოულოდნელად განსაკუთრებულ ძეგლს წავაწყდით: ციხე ისეთივე ტიპისაა, როგორც ზემოაღწერილი ძეგლები ლეჩხუმ-ცხენისწყალზე (გორდის და ისუნდერის ციხეები) — მკვიდრად ნაგები კოშკი და ფართო (25X20 მ²) ეზოს შემომსაზღვრელი გალავანი. უფრო სწორად, კოშკის მხოლოდ ქვედა ყრუ ნაწილია გადარჩენილი (კოშკი ოთხკუთხა ყოფილა) და აგრეთვე ტერასის შემომსაზღვრელი საყრდენი კედელი. თვით გალავანი აღარ არის. მოულოდნელი აქ ის იყო, რომ გალავანში, კოშკის მახლობლად საკმაოდ მოზრდილი, მკვიდრად ნაგები ეკლესია, „სამეკლესიანი ბაზილიკის" ტიპისა (სამხრეთი ეკლესიის აფსიდის კონტური თითქმის მთლიანად წაშლილია).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომპლექსი ერთიანად ნაგებია საშუალო ზომის ქვის კვადრებით, შესანიშნავი თარაზული წყობით. თვით ეკლესიის მთავარი აფსიდის კონტური ნალისებურია. ეჭვი არ არის, რომ აქ ადრეფეოდალურ ძეგლთან გვაქვს საქმე და თან არა გზის ჩამკეტ ციხესთან, როგორიცაა, მაგალითად, ისუნდერის ან გორდის ციხეები, არამედ, უეჭველად, „ქვეყნის“ მფლობელ ცენტრთან. კომპლექსი ციხისა და ეკლესიის გარდა შეიცავს მარნის ნაგებობასაც. ცხადია, ეს არის ფეოდალის რეზიდენცია, რომელიც ფლობს მის წინ გადაშლილ ცხენისწყლის ფართო ხეობას, ან ეგების, მთელ ლეჩხუმსაც.

აქ სხვადასხვა საკითხები წამოიჭრება ამ კომპლექსის, მურისციხის და აგრეთვე ზუბისციხის ურთიერთობისა. საქმის ვითარება ამგვარად წარმოგვიდგება: გვესოს ციხე უძველესი ცენტრია ლეჩხუმისა და იგი ზუბისციხის თანადროულია. ამ ორი ციხე-სიმაგრის ერთდროული არსებობა ერთმანეთს თითქოს არ უშლის. ორივე ერთი პატრონის ხელში უნდა ყოფილიყო. ერთი (ზუბის) წარმოადგენს ხეობის მისასვლელის ჩამკეტს, რომელიც ჩრდილოეთიდან მომდგარ ხეობას იცავს, მეორე — საკუთრივ ამ ხეობის ცენტრია. შესაძლებელია, ამავე დროს ეს უკანასკნელი იგივე ტერიტორიის საეკლესიო ცენტრიცაა ანუ ცაგერის საეპისკოპოსოს თავდაპირველი ცენტრიც[198]. შესაძლებელია ისიც წარმოვიდგინოთ, რომ ზუბისციხე ფეოდალის რეზიდენციაა, ხოლო გვესოს ციხე — სასულიერო იერარქისა. ეს ის ადრეული პერიოდია, როდესაც მთა და ბარი არ არის ჯერ გაერთიანებული ერთ „ქვეყნად“. შემდეგ, როდესაც სამეურნეო და სოციალურმა განვითარებამ მთისა და ბარის მჭიდრო დაკავშირებისათვის შექმნა საფუძველი, საჭირო გახდა ამის რეალიზაცია ისეთი საშუალებით, რომ მთისა და ბარის ყელში ჩადგათ ციხე და სწორედ ამ დროს შენდება მურისციხე (და ორბელის ციხეც). ამ საკითხზე დაწვრილებით სხვაგან შევჩერდებით, აქ კი აღვნიშნავთ, რომ ლეჩხუმ-სვანეთის შემთხვევაში მაინც სურათის ნათლად წარმოდგენა ჩვენ გვიჭირს, მისი საბოლოო გაშუქება საველე ინტენსიური ძიებისა და არქეოლოგიური გათხრის შედეგად შეიძლება მოხერხდეს. აქ კი მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ გვესოს ციხე შესაძლებელია იყოს თეოდოსი განგრელთან მოხსენიებული „თაკვრის ციხე“, რამდენადაც ბიზანტიური ეპოქის ბერძნული ენის მიხედვით ეს უკანასკნელი უფრო „ცაგერის ციხედ“

---

198 ასეთი აზრი გამოთქვეს ექსპედიციის წევრებმა გ. ცქიტიშვილმა და დ. ბერძენიშვილმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა წაიკითხოს[199]. ამდენად, გვესოს, იგივე „ცაგერის ციხე“ VII ს-ის ძეგლად მაინც უნდა მივიჩნიოთ.

საბოლოოდ, უნდა შევეხოთ ვახუშტისეულ დეხვირის ციხეს. ვახუშტი აღნიშნავს: „ლეჩხუმის საშუალს, ცხენისწყლის კიდეზედ არს ციხე კლდესა ზედა შენი, დეხვირი, თავი თაკვერისა, რამეთუ რომელსა უპყრავს იგი, მორჩილებასა მისსა შინა არიან სრულიად“[200].

სოფ. დეხვირში, რომელიც მართლაც „ლეჩხუმის საშუალს“— ლაჯანურას და ცხენისწყლის წყალგამყოფის თხემზეა, ზემოხსენებულთა მსგავსი ციხე-რეზიდენცია არ არის. თვით სოფელში ერთი ოთხკუთხა კოშკის ნანგრევია. ოთხი „ნაციხვარია“ ზედ წყალგამყოფზე დეხვირსა და სოფ. ლესინდს შორის, ერთ ხაზზე, რამდენიმე ათეული მეტრით დაშორებული ერთმანეთისაგან. ერთი მათგანი კოშკის საძირკველიღაა, დანარჩენები წვერწაწვეტებული მცირე გორაკებია, ზოგან ხელოვნური ტერასით. ზედ დულაბის და ფსახური კერამიკის ნატეხები ყრია: ალბათ ძველი „ნაკოშკარი“ ადგილებია. აშკარაა, ეს „ნაციხვარები“ აკონტროლებდნენ ლაჯანურადან ცხენისწყალზე გადმომავალ გზებს. საქმე ის არის, რომ ამ ხეობიდან ერთმანეთში გადასვლა წყალგამყოფზე ისე შეიძლება, რომ სრულიად ასცდე ორბელისა და მურის ციხეებს. ამ წყალგამყოფიდან შესანიშნავად ჩანს ორივე ხეობა, გვესოს, ორბელის და მურის ციხეებიც. ასე რომ, ფაქტიურად ეს ტერიტორია, მართლაც, გაბატონებულია ლეჩხუმზე და ვახუშტის აზრიც გასაგებია.

4. ჯერ კიდევ VII ს-ში, როდესაც ეგრისში მეფობა დიდი ხანია გაუქმებული იყო და ქვეყანა ბიზანტიის ვასალურ სამთავროს წარმოადგენდა, რომლის სათავეშიაც პატრიკიოსები იდგნენ, აფშილეთი, მისიმიანეთი, სვანეთი და ლეჩხუმი ეგრისის სამთავროს უშუალო პროვინციები იყო. ეს გამომდინარეობს თუნდაც ერთი ფაქ-

---

199 იხ. „გეორგიკა“, IV, 53, შენიშვნა. თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ „თაკვრის ციხე“, მაოლაც თაკვერის ე. ი. რაჭის ერთ-ერთი ციხე იყოს, კერძოდ კვარას ციხე, როგორც ეს გიორგი მთაწმინდელის სვინაქსარული რედაქციის A—97 ხელნაწერშია, იხ. К. Кекелидзе, Сведения... 54. შენ. 245.

200 ვ ა ხ უ შ ტ ი, იქვე, გვ. 148—149. XVIII ს-ში რომ აქ ციხე-სიმაგრე, მართლაც, მდგარა, ამას სხვა წყაროებიც ადასტურებენ (იხ. ნ. დაღიანი, ქართველთა ცხოვრება. 1962, გვ.გვ. 173, 191, შ. ბურჯანაძე. ლიხთიმერეთის 1737 წლის რუკა, როგორც ფეოდალური საქართველოს ისტორიის პირველწყარო. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე. 1, 1959, გვ. 193). ლიტერატურაზე მიგვითითა უფრ. მეცნ. თანამშრომელმა თ. ბერაძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიდან: მაქსიმე აღმსარებელს 662 წ. ბიზანტიიდან ეგრისში ანუ ბიზანტიური წყაროების ლაზიკეში. როდესაც იგი თავის მოწაფეებითურთ (ანასტასი აპოკრისიარი და მეორე ანასტასი) ჩამოჰყავთ ამ ქვეყანაში, მათ ამბარებენ „იმ ქვეყნის მაშინდელ მმართველს“, ე. ი. პატრიკიოსს, რომელიც მაშინვე აშორებს ურთიერთს პატიმრებს და ერთს აგზავნის სქიმარის ციხეში — ალანების მახლობლად, მეორეს — სკოტორის ციხეში, აფშილეთში, აფხაზეთის მახლობლად, ხოლო მესამეს — ბუკოლუსის ციხეში, მისიმიანეთში. ამის შემდეგ ორივე ანასტასი გამოჰყავს საპატიმროებიდან, მიჰყავს „მუკორისისში“ (ანუ იგივე „მოხერისისში“ პროკოპი კესარიელისა) და აქედან ერთს აგზავნის სვანეთის ციხეში (და ეს მონაზონი გზაშივე კვდება), ხოლო ანასტასი აპოკრისიარის — ლეჩხუმისაში[201]. ცხადი უნდა იყოს ამის შემდეგ, რომ ეგრისის პატრიკიოსი მთელ ამ ტერიტორიას უშუალოდ ფლობდა. გარდა ამისა, საყურადღებო მოწმობაა ის გარემოება, რომ თვით ლაზიკის პატრიკიოსს თავისი ერთ-ერთი რეზიდენცია „ჯიხახორაში“ აქვს, რომელიც მოქვის მახლობლად ყოფილა და ე. ი. აფშილეთში[202].

ასევე იყო, როგორც ჩანს, უფრო ადრე, პროკოპი კესარიელის დროსაც, როდესაც ჯერ კიდევ არსებობდა ეგრისის სამეფო. თუმცა კი მოკლებული იყო ყოფილ სიძლიერეს. ისტორიკოსი წერს: „აბაზგები ძველთგანვე ლაზების ქვეშევრდომები იყვნენ, ხოლო მუდამ ჰყავდათ ორი თვისტომი მთავარი. ამათგან ერთი დაწესებული იყო დასავლეთ ნაწილში, ხოლო მეორე აღმოსავლეთისაში“.[203]. სწორია, როდესაც აქედან ის დასკვნა გამოაქვთ, რომ აფხაზეთი ეგრისის ვასალური სამთავრო იყო. მაგრამ აფშილთა შესახებ იგივე ისტორიკოსი ამბობს: „აფსილები ლაზების ქვეშევრდომნი არიან და ესენი ძველთაგანვე ქრისტიანები იყვნენ“[204]. ან მეორეგან: „აფსილები ძველთაგანვე ლაზთა ქვეშევრდომები არიან...“[205] შესაძლებელია ნიშანდობლივი იყოს ის გარემოება, რომ განსხვავებით აფხაზთაგან, პროკოპი არ ასახელებს აფშილების მთავარს. გარდა ამისა, პროკოპი მოგვითხრობს, რომ წარჩინებული ლაზი, ტერდეტი, „რომელსაც ეგრეთწოდებული მაგისტროსის ძალაუფლება ეპყრა

---

201 თ ე ო დ ო ს ი გ ა ნ გ რ ე ლ ი „ვეორკიი“. IV, გვ. 41—43

202 იქვე, გვ. 50. შდ. პ. ინგოროყვა, ღასახ. ნაშრ., გვ. 132.

203 პ რ ო კ ო პ ი კ ე ს ა რ ი ე ლ ი. იქვე, გვ. 133.

204 იქვე, გვ. 128.

205 იქვე, გვ. 162.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამ ხალხში (ე. ი. ლაზებში, დ. მ.), უკმაყოფილო იყო თავისი მეფის გუბაზისა და ამიტომ აფსილთა ციხე-სიმაგრე წიბილე გადასცა სპარსელებს"[206]. ამგვარად, ეგრისის მეფის ხელისუფალს, მაგისტროსს ანუ მეფის რაზმების უფროსს[207], როგორც ჩანს, უშუალოდ ემორჩილება აფშილეთის მთავარი ციხე-სიმაგრე და ე. ი. აფშილეთი საერთოდ. ეს იმას უნდა მოწმობდეს, რომ ქვეყანა იყო არა ვასალური ერთეული, არამედ ეგრისის სამეფოში უშუალოდ შემავალი პროვინცია, აღმოსავლურ-ქართული საერისთავოს მსგავსი. ამიტომ სწორი უნდა იყოს მოსაზრება, რომ აფშილეთი თავიდანვე უშუალოდ იქნა შერწყმული ეგრისის სამეფოსთან[208]. რა თქმა უნდა, აქ ჩვენ ვგულისხმობთ აფშილეთის აღმოსავლეთ ნაწილს კოდორამდე. დასავლეთი ნაწილი, როგორც ჩანს, იმთავითვე აფხაზეთის სამთავროს შემადგენლობაში შევიდა.

მსგავსი ვითარება უნდა ყოფილიყო მისიმიანეთის მიმართაც. აგათია სქოლასტიკოსის სიტყვით, „სოტერიქე ჩავიდა ეგრეთწოდებულ მისიმიანთა ქვეყანაში, რომლებიც კოლხთა მეფის ქვეშევრდომნი არიან მ ს გ ა ვ ს ა დ ა ფ ს ი ლ ე ბ ი ს ა..."[209] რადგან ჩვენ გვგონია აფსილეთი ეგრისის სამეფოს ერთ-ერთი „საერისთავო" უნდა ყოფილიყო, ამიტომ აგათიას მითითება, რომ მისიმიანებიც „მსგავსად აფშილებისა" ექვემდებარებიან ეგრისის მეფეს, შესაძლებელია მათი ქვეყნის ეგრისისადმი ურთიერთობაში აფშილეთის მსგავსი სტატუსის მანიშნებელიც იყოს. ასეთი დასკვნა გამომდინარეობს აგრეთვე ბუქლოოსის ანუ ბოკერის ციხის ადგილმდებარეობიდანაც. ზემოთ გვქონდა აღნიშნული, რომ ეს ციხე-სიმაგრე ანასტასი აპოკრისიარის მიხედვით მისიმიანეთში იყო ალანთა საზღვრის მახლობლად. აგათიას მიხედვით კი ეს ციხე-სიმაგრე „ზედ ლაზეთის საზღვრებზეა აღმართული". ამის შემდეგ ცხადი უნდა იყოს, რომ „ლაზეთი" აქ პოლიტიკური მნიშვნელობით არის ნახმარი და მისიმიანეთსაც მოიცავს. ვფიქრობთ, ეს უნდა მოწმობდეს, რომ მისიმიანეთი ეგრისის უშუალო პროვინციას შეადგენდა. საფიქრებელია, რომ მისი შემოერთება აგრეთვე ძველისძველი მოვლენა იყოს. აფშილეთის დამორჩილება, რომელზედაც გადიოდა მისიმიანეთში ეგრი-

---

[206] იქვე, გვ. 162—163.

[207] ა გ ა თ ი ა, „გეორგიკა", III, გვ. 156.

[208] Г. А. М е л и к и ш в и л и, დასახ. ნაშრ., გვ 384, ნ. ლომოური, ეგრისის სამეფოს ისტორია, გვ. 78.

[209] ა გ ა თ ი ა, იქვე, გვ. 86.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიდან მისასვლელი გზები[210], ფაქტიურად, როგორც ჩანს, თვით მისიმიანეთის დამორჩილებასაც ნიშნავდა, რადგან ამიერიდან იგი ბარს მთლიანად მოწყვეტილი რჩებოდა. საამისო მაგალითად, შესაძლებელია, ერთი ეპიზოდი მოვიგონოთ. თეოფანე ქამთააღმწერელი მოგვითხრობს, რომ 717 წელს ლეონ ისაურელი, რომელიც კეისრის მიერ გაგზავნილი იყო ალანთა რაზმების დასაქირავებლად აბაზგების წინააღმდეგ, ლაზიკაში (ფაზისში) ჩავიდა, იქიდან კი „აფსილიაში წავიდა: შემდეგ გადალახა კავკასიის მთები და ალანიაში მივიდა“ (როგორც ჩანს, იმავე „მისიმიანეთის გზით“, იხ. ზემოთ). აფხაზეთთან ურთიერთობის გართულების შემდეგ ამ ქვეყნის გზები მისთვის ჩაკეტილი აღმოჩნდა. ამასობაში არაბები შემოვიდნენ ეგრისში და ლეონს მისიმიანეთის გზაც მოეჭრა, რადგან აქ „რკინის ციხეში“ მცველად იჯდა ვინმე ფარსმანი, სარკინოზთაგან დაყენებული“. ლეონმა სცადა ძალით გაეკაფა გზა და „რკინის ციხეზე“ იერიში მიიტანა, მაგრამ მისი აღება ვერ შესძლო. „მარინემ, აფსილთა შორის უპირველესმა კაცმა“, დახმარება აღმოუჩინა ლეონს და თავისი რაზმით მასთან მივიდა. ამის შემდეგ „ფარსმანიმ რომ დაინახა, თუ რა გარემოცვაში იყო“, დანებება ირჩია. ლეონმა ციხე-სიმაგრე გადასწვა და „დაიძრა იქიდან და ჩავიდა აფსილიაში, თან ახლდა მარინე, აფსილთა შორის უპირველესი“[211]. ამ ეპიზოდის მიხედვით, კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ ეგრის-მისიმიანეთის დამაკავშირებელი მაგისტრალი აფსილეთზე გადიოდა და, შემდეგ, აქედანვე ჩანს, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა აფსილეთის ორიენტაციას მისიმიანეთის პოლიტიკური მდგომარეობისათვის. ასე რომ, ეგრისის სამეფოს მიერ აფშილეთის უშუალო შემოერთებას მალე უნდა მოჰყოლოდა მისიმიანეთის დამორჩილებაც.

ვფიქრობთ, რომ სწორედ მისიმიელების სვანური ტომი უნდა იგულისხმებოდეს პტოლემაიოსის „სუანოკოლხებში“[212] ანუ ფავსტოს ბიზანტიელის „ეგერსუანებში“[213] იმ აზრით, რომ ესენი იყვნენ ეგრისის სამეფოს მიერ დამორჩილებული სვანები იმ სვანებისაგან განსხვავებით, რომლებიც ჯერ არ იყვნენ ეგრისს დაქვემდებარებულნი და რომელთა დამორჩილება მხოლოდ IV ს-ის

---

210 იქვე, გვ. 157, 160.

211 თ ე ო ფ ა ნ ე ქ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, „გეორგიკა“, IV, გვ. 106—113.

212 ნ. ლ ო მ ო უ რ ი, კლავდიოს პტოლემაიოსი..., გვ. 44.

213 История Армении Фавста Бузанда, гв. 15.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასასრულს მოხერხდა[214] (იხ. ზემოთ). ამგვარად, ჩვენი აზრით, აფშილეთი და მისიმიანეთი ეგრისის სამეფოს ვასალური ერთეულები კი არ იყო, არამედ — მისი უშუალო პროვინციები.

საინტერესოა ეგრისის მეფეებისა და სვანთა ურთიერთობის საკითხი. ბიზანტიის სამეფო კარის ოფიციალური თვალსაზრისით, სვანეთი ისეთივე განუყოფელი ნაწილი იყო ეგრისისა, როგორც აფშილეთი ან მისიმიანეთი. ბიზანტია-ერანს შორის საზავო მოლაპარაკების დროს 562 წელს, როდესაც ერანი მზად არის დასთმოს ეგრისი, მაგრამ გადაჭრით უარს აცხადებს სვანეთის დათმობაზე, ბიზანტიის ელჩი პეტრე პატრიკიოსი ამგვარად მიმართავს ერანის წარმომადგენელ ზიქს: „შენ მთელი ლაზიკე კი არ გინდა დაგვიბრუნო, არამედ მისი ერთი ნაწილი“[215]. იმავე პეტრე პატრიკიოსის სიტყვით, სვანეთი ლაზიკისგანაა დამოკიდებული და ამიტომ ლაზიკის მფლობელს სვანეთიც უნდა ეკუთვნოდეს[216]. მაგრამ სვანეთის დამოკიდებულება ეგრისთან მაინც განსხვავდებოდა, მაგალითად, აფშილეთის ასეთსავე ურთიერთობისაგან.

იგივე პროკოპი კესარიელი, რომელმაც აფშილ-მეგრელთა ურთიერთობის შესახებ შემოგვინახა ზემოხსენებული ცნობა, სვანებსა და ლეჩხუმელებზე წერს: „ეს ტომები ლაზთა ქვეშევრდომები არიან. იქაურ მცხოვრებლებს მთავრებად ჰყავთ თვისტომთაგანნი, ხოლო როდესაც მთავარს აღსასრულის დღე მიადგება, მათ ჩვეულებრივ მეორე მთავარი ენიშნება ლაზთა მეფის მიერ“[217]. მეორე თანამედროვე ისტორიკოსს მენანდრე პროტიქტორს კიდევ უფრო ნიშანდობლივი ცნობები მოეპოვება საამისოდ. ერან-ბიზანტიას შორის საზავო მოლაპარაკების გადმოცემისას იგი აღნიშნავს: „არც ლაზები და არც თვით სვანები არ მიიჩნევენ სადავოდ, თითქოს სვანეთი წინათ ლაზთა ქვეშევრდომი არ ყოფილიყოს, არც იმას, რომ სვანეთის მმართველს ლაზთა მეფის გადაწყვეტილებით ენიჭებოდა ძალაუფლება. ეს თქვა პეტრემ და საბუთებით დაუმტკიცა ხოსროს, რომ ლაზთა მეფეები უფრო ძველი იყვნენ და რომ სვანთა განმგებლები ერთი-მეორეზე ინიშნებოდნენ მათგან“[218]. კიდევ

---

214 შდ. პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრ., გვ. 130; З. В. Анчабадзе, დასახ. ნაშრ., გვ. 14—15.

215 მ ე ნ ა ნ დ რ ე პ რ ო ტ ი ქ ტ ო რ ი, „გეორგიკა“, III, გვ. 216.

216 იქვე, გვ. 215.

217 პ რ ო კ ო პ ი კ ე ს ა რ ი ე ლ ი, „გეორგიკა“, II(2), გვ. 126—127.

218 მ ე ნ ა ნ დ რ ე პ რ ო ტ ი ქ ტ ო რ ი, „გეორგიკა“, III, გვ. 219.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო კარგად ჩანს ეს დამოკიდებულება პეტრე პატრიკი[illegible] შემ-
დეგი სიტყვებიდან, რომლითაც ის მიმართავს ერანის შაჰს: „ბა-
ზებში, ბატონო, ძველი წესი იყო, რომ სვანეთის სარდალი ემორ-
ჩილებოდა ლაზს და მასთან აღრიცხული იყო სახარკო სიაში..., ხოლო როდესაც სვანების სარდალი გარდაიცვლებოდა, ლაზების მეთაური ახელისუფლებდა მას, ვისაც უნდა მიეღო და დაეცვა გარდაცვლილის ძალაუფლება. ამავე დროს ის წერილობით აცნობებდა რომაელთა თვითმპყრობელს მომხდარი ამბების შესახებ და ესეც სამაგიერო წერილით უბრძანებდა მას გაეგზავნა სვანთა მთავრობის ნიშნები, ვისთვისაც უნდოდა, მხოლოდ სვანი ყოფილიყო"[219].

სურათი, ვფიქრობთ, ნათელია: სვანებს (და ლეჩხუმელებს) „მთავარი ენიშნება ლაზთა მეფის მიერ" (პროკოპი კესარიელი); „სვანეთის მმართველს ლაზთა მეფის გადაწყვეტილებით ენიჭებოდა ძალაუფლება" (მენანდრე პროტიქტორი); სვანებში „ლაზების მეთაური ახელისუფლებდა მას, ვისაც უნდა მიეღო და დაეცვა გარდაცვლილის ძალაუფლება..."; ლაზთა მეფეს უნდა „გაეგზავნა სვანთა მთავრობის ნიშნები, ვისთვისაც უნდოდა, მხოლოდ სვანი ყოფილიყო" (მენანდრე პროტიქტორი). ვფიქრობთ, ეს მხოლოდ ზოგადი მითითებები ეჭვს არ სტოვებს იმაში, რომ აქ ჩვეულებრივ ვასალიტეტზე კი არ არის საუბარი, რომელიც ხარკით და სამხედრო ვალდებულებით ამოიწურებოდა, არამედ აშკარად ჩანს, რომ ლაზთა მეფე აქტიურად ერევა სვანთა შინაგან ურთიერთობაში, მისი სანქცია ფაქტიურია, მხოლოდ ერთი პირობით, რომ სვანთა მთავარი იყოს სვანი.

ამგვარად, ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ სვანეთიც (და ლეჩხუმიც) ლაზიკის სახელმწიფოში შემავალი ცალკე ადმინისტრაციული ერთეული იყო, მაგრამ მისი სტატუსი განსხვავდებოდა სხვათაგან იმით, რომ თუკი სხვაგან (მაგ. აფშილეთში) შეიძლებოდა გამგებლად მეგრელი დიდმოხელე ყოფილიყო (მაგ., ზემოხსენებული მაგისტროსი), აქ გამგებლად თუ მთავრად თვისტომი უნდა დაენიშნათ.

ჩვენი ასეთი წარმოდგენა სვან-მეგრელთა ურთიერთობაზე მხოლოდ ფორმალური ნიშნით კი არ არის გამართლებული, არამედ ფაქტიური ვითარებიდანაც გამომდინარეობს.

ერან-ბიზანტიის ეგრისის ტერიტორიაზე ბრძოლების შესახებ თხრობისას პროკოპი კესარიელს, ჩვენი თვალსაზრისით, საინტე-

---

219 მ ე ნ ა ნ დ რ ე პ რ ო ტ ი ქ ტ ო რ ი, „გეორგიკა", III, გვ. 224.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესო ეპიზოდი აქვს გადმოცემული: მერმეროემ, სპარსელთა მთავარსარდალმა, ქუთაისის ციხე შეაკეთა და იქ დაბანაკდა. უქიმერიონის ციხეში (ცხენისწყლის ზემო წელზე) ლაზები და რომაელები იდგნენ. მერმეროეს „კოლხიდის საუკეთესო ნაწილი (მოხირისი, დ. მ.) ეპყრა და მოწინააღმდეგეებს დაბრკოლებას უქმნიდა, რომ უქიმერიონის ციხეში სურსათი მიეწოდებინათ, ან სვანიასა და ეგრეთწოდებულ სკვიმნიაში (ლეჩხუმში, დ. მ.) ევლოთ, თუმცა ეს ქვეყანა მათი ქვეშევრდომი იყო. ვინაიდან მოწინააღმდეგე რომ მოხირისში იჯდა, ლაზებსა და რომაელებს ამ ქვეყნისაკენ გზა მოკრილი აღმოაჩნდათ“[220]. აქედან კარგად ჩანს, რომ ვინც ქუთაისში ბატონობდა, ლაზიკის საუკეთესო ნაწილი — მოხირისისი მის ხელში იყო. ხოლო ის, ვინც მოხირისში ბატონობდა, აკონტროლებდა სვანეთისა და ლეჩხუმისაკენ მიმავალ გზებს და, რა თქმა უნდა, ამდენადვე ეკონომიურ და პოლიტიკურ გავლენას ახდენდა იგივე ქვეყნებზე. მაგრამ დავუგდოთ ყური კვლავ პროკოპის: „ჩაიგდეს ხელში სპარსელებმა უქიმერიონის ციხე და მტკიცედ დაეპატრონენ ლაზიკეს. მაგრამ მარტო ეს ლაზიკე კი არ ჩაიგდეს ხელთ სპარსელებმა, არამედ სკვიმნიაცა და სვანიაც და ამრიგად, მოხირისიდან იბერიამდე მთელი მიწა-წყალი გამოეცალათ ხელიდან რომაელებსა და ლაზთა მეფეს“[221]. ისტორიკოსის ამ შესანიშნავი ცნობიდან თვალნათლივ ჩანს, რომ უქიმერიონის და ქუთაისის ხელში ჩაგდება ნიშნავდა ეგრისის აღმოსავლეთი ნაწილის მტკიცედ პატრონობას და არა მხოლოდ ამას, არამედ სვანეთზე და ლეჩხუმზე ბატონობასაც. ტყუილად როდი არის ნახსენები ქართულ წყაროებში „შიდა ეგრისა და სუანეთის“ ერისთავი[222]. ასეთი ადმინისტრაციული ერთეულის რეალურობის დამადასტურებელია სწორედ პროკოპი კესარიელის ზემომოტანილი ცნობები იმ პირობით, რომ „ქართლის ცხოვრების“ ამ ჩვენებაში ასახულია პერიოდი, როდესაც „სუანეთი“ მერმინდელ „ლეჩხუმსაც“ მოიცავდა. უძველეს პერიოდში ეს ასეც უნდა ყოფილიყო. ამ ვარაუდის სრული საფუძველი გვაქვს[223]. მეორე მხრივ, „თაკუერი“ — ლეჩხუმის აგ-

---

220 პ რ ო კ ო პ ი კ ე ს ა რ ი ე ლ ი, „გეორგიკა“. II (2), გვ. 197.

221 იქვე, გვ. 202.

222 ქ ც ა, I, გვ. 185.

223 ბოლოსდაბოლოს, ამისივე მოწმობა შეიძლება იყოს ლეჩხუმში მდებარე ხემონახსენები „სუანთა სოფლის ციხე, რომელ არს მური“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეთვე ძველქართული სახელწოდება, მეორადი უნდა იყოს თავდაპირველად „თაკუერი“ მხოლოდ რაჭას ეწოდებოდა (ამაზე სხვაგან).

ამის შემდეგ, ვფიქრობთ, არ უნდა იყოს სწორი ლაპარაკი სვანეთისა და ლეჩხუმის ეგრისის სამეფოსთან ვასალურ დამოკიდებულებაზე სწორედ მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი ძლიერების ზენიტშია.

ამგვარად, ჩვენი აზრით, პროკოპი კესარიელს აღნიშნული აქვს სამგვარი სტატუსი ეგრისის მეფის ქვეშევრდომებისა: პირველი — ეს არის პროვინციის ჩვეულებრივი მმართველი, აღმოსავლურ-ქართული ერისთავის მსგავსი; მეორე — იგივე ერისთავია, რომელიც მეფის მიერ ინიშნება, მაგრამ აუცილებელია იგი ადგილობრივი ტომის წარმომადგენელი იყოს (უნდა ითქვას, რომ ეს პირობა შემდეგაც, ფეოდალური პერიოდის მთელ მანძილზე, ყოველთვის უფრო მიზანშეწონილი იყო და პრაქტიკულად თითქმის ყოველთვის სრულდებოდა); მესამეა — ვასალური ერთეულის მმართველი, რომლის დანიშვნის ან შეცვლის უფლება ეგრისის მეფეს არ ჰქონდა. ასეთები იყვნენ აფხაზეთის მთავრები. საამისო ცნობა ჩვენ ზემოთ უკვე მოვიტანეთ: „აბაზგები ძველთაგანვე ლაზების ქვეშევრდომები იყვნენ, ხოლო მუდამ ჰყავდათ ორი თვისტომი მთავარი. ამათგან ერთი დაწესებული იყო დასავლეთ ნაწილში, ხოლო მეორე აღმოსავლეთში“. როგორც ვხედავთ, ისტორიკოსი აქ არ ლაპარაკობს სვანთა და ლეჩხუმელთა მსგავსად, რომ გარდაცვალების შემდეგ მათ მთავარს ლაზთა მეფე ნიშნავდეს. ეს, სხვათაშორის, ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინოლოგიითაც უნდა მტკიცდებოდეს. თუკი სხვადასხვა წყაროში „ლაზიკა“ ან „ეგრისი“ შესაძლებელია მოიცავდეს, მაგალითად, მისიმიანეთს ან სვანეთს (საამისო ორიოდე მაგალითი ჩვენ ზემოთ მოვიტანეთ) და, ამდენად, პოლიტიკური თვალსაზრისით, ამ პროვინციებსაც გულისხმობდეს, რამდენადაც ვიცით, აფხაზეთის მიმართ ეს არ დასტურდება, გარდა ერთი შემთხვევისა, როდესაც იგივე პროკოპი კესარიელი ჩამოთვლის რა „ლაზურ ქალაქებს“, მათ შორის ასახელებს სებასტოპოლისსაც და პიტიუნტსაც[224]. მეორეგან პროკოპი კესარიელი ჩამოთვლის იუსტინიანეს მიერ ლაზიკაში აგებულ ქალაქებს და ციხეებს, შემდეგ კი დასძენს „ლაზიკიდან მეოტის ტბის მიმართულებით, რომ მიდიხარ,

---

224 პროკოპი კესარიელი, იქვე, გვ. 101.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი ციხე, სებასტოპოლისი და პიტიუნტი დაანგრიეს რომაელებმა სპარსეთის შიშით[224]. შესაძლებელია ისტორიკოსის ამგვარი კოორდინაცია ამ ქალაქებისა იმას მიუთითებს, რომ მას ისინი ლაზიკაში აღარ ეგულება. ყოველ შემთხვევაში, თეოდოსი განგრელთან[226], VII ს-ის ეკთესისებში[227], თეოფანე ჟამთაღმწერელთან[228] აფხაზეთი და ლაზიკა ორი აშკარად სხვადასხვა ქვეყანაა. ასევე მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრების უძველეს, როგორც ჩანს, სვინაქსარულ რედაქციაში, რომელიც ანონიმურია და იყენებს ანასტასი სინაელის (VII ს-ის ბოლო) თხზულებას მწვალებლობათა და მსოფლიო კრებათა შესახებ, აღნიშნულია, რომ მაქსიმე მოწაფეებითურთ გადასახლებულ იქნა ლაზიკაში, აბაზგიის მახლობლად[229]. ასევეა ქართულ ორიგინალურ და ნათარგმნ ძეგლებში, რისი მაგალითიც ჯუანშერის თხზულებიდან ზემოთ იყო მოტანილი და რომელიც სწორედ V ს-ს შეეხება. აქ „ეგრისი“ და „აფხაზეთი“ აშკარად გამიჯნულია ერთმანეთისაგან. საერთოდ ქართული წყაროების „ეგრისწყალი“ ხომ სწორედ ამის მანიშნებელია. ერთ ფრიად საინტერესო (ამ თვალსაზრისით) ძეგლში, „ორიენტიოსისა და ძმათა მისთა მარტჳლობა“, რომელიც 305—311 წლების ამბავს შეეხება, ასეთი ეპიზოდია დაცული: რომის იმპერატორი მაქსიმიანე მიმართავს თავის მოხელეს, რომ თუ ორიენტიოსი და მისი თანამოაზრეები არ აღიარებენ კერპთმსახურებას „ზღუსკიდისა ქალაქად ტრაპეზუნტად მიმყვანებელმან მათმან და ჴუამალდად შთამსხმელმან. ექსორია-ყვენ სოფელსა აფხაზთასა მუნ მპყრობელისა რიღავდინ(ს) მიმართ და მიუმცენ მას ეპისტოლითა შენითა“[230]. ტრაპეზუნტიდან ისინი, მართლაც, გააგზავნეს ხომალდით აფხაზეთში. წამებულნი გზადაგზა იხოცებიან. ტრაპეზუნტიდან მეოთხე დღეს მივიდნენ აფსაროსს და „მიერ აღდგომილნი მყვანებელნი მათნი წარვიდეს სოფლად აწ ლაზთად წოდებულად, ადგილ ზიღანეოს სახელდებულად“[231]. სვინაქსარული რედაქცია ამავე ძეგლისა ამ ეპიზოდს ასე

---

225 პროკოპი კესარიელი, იქვე, გვ. 222.

226 იხ. „გეორგიკა“, IV, გვ. 45.

227 იხ. იქვე, გვ. 140.

228 იხ. იქვე, გვ. 107.

229 Л. Бриллиантов, დასახ. ნაშრ., გვ. 13, შენ. 5.

230 კ. კეკელიძე, ორიენტიოსისა და ძმათა მისთა მარტვილობა, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, 1937, გვ. 316.

231 იქვე, გვ. 321.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადმოსცემს: „ხოლო წმინდა კჳრიაკოს, მივიდა რა საეგროსა ქუეყანასა, ადგილსა რომელსა ეწოდების ზიღანეოს, ძილი იგი მართალთა დაიძინა“[232]. ამ სტრიქონს გასწვრივ № 97 ხელნაწერში არშიაზე მიწერილია: „გუდაყუასა იტყჳს ზიღანეოსად“[233]. ე. ი. აქედან გამოდის, რომ ტერიტორია დაახლოებით აფსაროსიდან (აიგიუებენ ლ. გონიოსთან, ჭოროხის შესართავთან) ვიდრე გუდაყვამდე (დღ. გუდავა ოჩამჩირის რაიონში, მდ. ერისწყლის შესართავთან) „ლაზთა სოფელი“ ანუ „საეგროა“. ცოცხლად დარჩენილ უკანასკნელ წამებულს და მის მცველებს აფხაზეთისკენ „ზიღანეონით წასრულთა“, გზაში ღელვა მოესწროთ. წამებული გარდაიცვალა და ზღვამ გვამი გარიყა, „სადა იგი გოდოლი მდგომარეობდა ზღუასა ზედა, რომელსა პიტჳონტად სოფლისაშინანი იგი სახელდებდეს“[234]. სვინაქსარით: ზიღანეოსიდან „ნეტარი ლონგინოს განვიდა რაჲ ზღუასა აფხაზეთად... დაეფლა პიტიოტას“[235]. ამგვარად, ამ ძეგლიდანაც სრულიად აშკარაა, რომ პოლიტიკურად „ეგრისი“ სხვაა, ხოლო „აფხაზეთი“ — სხვა და ეს უკანასკნელი უშუალოდ რომის ვასალია. ძნელი სათქმელია, რამდენად შეეფერება ასეთი ვითარება IV ს-ის დასაწყისს, მაგრამ კიმენური რედაქცია ამ თხზულებისა უნდა ჩამოყალიბებულიყო VI—VIII სს-ში[236] და ასეთი პოლიტიკური ურთიერთობა ეგრის-აფხაზეთს შორის სავსებით დასაშვებია სწორედ VII—VIII სს-ში (VIII ს-ის მეორე ნახევრიდან სიტუაცია არსებითად სხვაა).

ამგვარად, როგორც დავინახეთ, ქართული და უცხოური (თანამედროვე და მოგვიანო) წყაროები აშკარად ასხვავებენ „ეგრისს“ ან „ლაზიკეს“ „აფხაზეთისაგან“. ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინოლოგია საერთოდ საკმაოდ მგრძნობიარეა პოლიტიკური ვითარების და განვითარების მიმართ და აქაც ჩვენ არ შეგვიძლია არ დავინახოთ იმ გარკვეული დიფერენციაციის ანარეკლი ტერმინოლოგიაში, რომელიც რეალურად არსებობდა ამ საუკუნეების დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ორგანიზაციაში[237]. ეს შესაძ-

---

232 იხ. „გეორგიკა“, IV, გვ. 415.

233 იქვე, შენ. 2.

234 კ. კეკელიძე, იქვე, გვ. 329.

235 იხ. „გეორგიკა“, IV, გვ. 415.

236 კ. კეკელიძე, იქვე, გვ. 297.

237 ვიწრო ეთნიკური „ლაზიკე“ ზოგჯერ გვხვდება აფშილეთის, სვანეთისა და ლეჩხუმის გვერდით, მაგრამ პოლიტიკური „ლაზიკე“ ამ უკანასკნელთ გულისხმობს, ხოლო აფხაზეთს — არა.

ამ თვალსაზრისი დავუჭერთ ავტორებს!

ლებელია იმის მანიშნებელიც იყოს, რომ VI ს-ის შუა ხანებიდან აფხაზეთი, მართლაც, უშუალოდ დაექვემდებარა ბიზანტიას[238], თუმცა პროკოპი კესარიელის ცნობა, რომელზედაც უნდა იყოს დამყარებული ეს ვარაუდი[239], მაინცდამაინც მტკიცე საბუთი საამისოდ არ ჩანს.

ასეა თუ ისე, აშკარაა, რომ IV—V სს-ში აფხაზეთის სამთავრო ვასალურ ურთიერთობაში იყო ეგრისის სამეფოსთან (შდ. ზემოთ „სომხური გეოგრაფიის“ ცნობა „ავაზოვ“ და „ეგრისის“ შესახებ). აფხაზეთის ასეთი სტატუსი ეგრისთან გაპირობებული უნდა ყოფილიყო იმით, რომ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მთელი ამ ხნის განმავლობაში აფხაზეთის ტერიტორიაზე (სებასტოპოლისში და პიტიუნტში) ბიზანტიის გარნიზონები იდგა, რაც მოწმდება პროკოპი კესარიელის ცნობით და „ქართლის ცხოვრების“ ჩვენებითაც (იხ. ზემოთ).

5. რაც შეეხება ეგრისისა და დასავლეთ საქართველოს დანარჩენი მთიანეთის ურთიერთობის საფუძვლებს, იგი საკმაოდ მყარი და ურთიერთგაპირობებული იყო.

ჯერ ერთი, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აქ პოლიტიკურ ფაქტორს — ჩრდილო კავკასიის მომთაბარე ალან-ჰუნთა საკითხს. ეს უკანასკნელი პირველხარისხოვანი მნიშვნელობისა იყო ბიზანტიისა და ერანისათვის. მათი გაუთავებელი ომიანობის ერთ-ერთი მიზეზიც ეს იყო[240]. 562 წლის ერან-ბიზანტიას შორის დადებული 50-წლიანი საზავო ხელშეკრულების „პირველ დებულებად დაწერილი იყო, რომ სპარსელები ნებას არ აძლევენ არც ჰუნებს, არც ალანებს, არც სხვა ბარბაროსებს ეგრეთწოდებული ჩორისა და კასპიის კარების შესავალი ვიწრობებით გადავიდნენ რომაელთა სამფლობელოს წინააღმდეგ...“[241]. მართალია, აქ აღმოსავლეთ კავკასიონის მთავარი გადასასვლელები იგულისხმება — დარუბანდი და დარიალანი, მაგრამ საკუთრივ დასავლეთ საქართველოს ფარგლებში მოქცეულ ზეკარებსაც საამისოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, შესანიშნავად ესმოდათ, პირველ რიგში, თვით ეგრისელებს. ამიტომაა, რომ როდესაც ისინი ბიზანტიელებს გადაუდგნენ და ხოსრო ანუშირვანთან ელჩები გააგზავნეს, ეს უკა-

---

238 З. В. Анчабадзе, დასახ. ნაშრ., გვ. 21 და 33.

239 პ რ ო კ ო პ ი კ ე ს ა რ ი ე ლ ი, „გეორგიკა“, II(2), გვ. 101.

240 პ რ ო კ ო პ ი კ ე ს ა რ ი ე ლ ი, იქვე, გვ. 58—60, 71—72.

241 მ ე ნ ა ნ დ რ ე პ რ ო ტ ი ქ ტ ო რ ი, „გეორგიკა“, III, გვ. 216—217.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნასკნელნი ეგრისის სპარსთა მიერ მფლობელობის ერთ-ერთ-ერთად სარგებლიანობად ერანისათვის ხოსროს უსახავენ იმას, რომ მასზე „იქნება დამოკიდებული, რომ მოსაზღვრე ბარბაროსებმა ყოველ წელიწადს არბიონ რომაელთა მიწა-წყალი. თქვენ ალბათ იცით, — ეუბნებიან ელჩები შაჰს, — რომ ლაზთა ქვეყანა დღემდე კავკასიის მთების წინააღმდეგ საფარს წარმოადგენდა“[242]. მეორე მხრივ, „აგრეთვე ლაზიკის მეზობლად მოსახლე ჰუნნებისაგანაც სპარსელთა სახელმწიფო სამუდამოდ დაუბრეველი იქნებოდა“[243]. პროკოპი კესარიელს ერთგან საკმაოდ მეტყველად აქვს გამოხატული ეგრისის ასეთი მნიშვნელობა: „კავკასიაში მოსახლე ბარბაროსთათვის ლაზიკე არის მხოლოდ საწინააღმდეგო ტიხრი“[244]. რა თქმა უნდა, ეგრისის სპეციფიკურ გეოგრაფიულ მდებარეობას, პირველ რიგში, თვით ეგრისისთვის ჰქონდა მნიშვნელობა და კავკასიონის ზეკარების დაცვა, პირველ რიგში, მისი საზრუნავი იყო. ასეთი მაგისტრალური გზები, როგორც აღვნიშნეთ, ალანეთიდან მოდიოდა მესამიანეთში (მარუხის, ქლუხორის, ნახარის უღელტეხილები). უღელტეხილებით გზა ჩრდილო კავკასიიდან სვანეთშიც გადმოდიოდა[245].

ცხადია, ამგვარად, რომ ამ გზების დაუფლებას ეგრისის სამეფოს ძლიერებისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა და ეგრისის მეფეებს იმთავითვე უნდა ეზრუნათ ამ საკითხის თავის სასარგებლოდ გადასაჭრელად[246] და ე. ი. ამ გზების უშუალო დაუფლებისათვის. საამისოდ კი, უეჭველია, ის ქვეყნები, რომელზედაც ეს გზები გადმოდიოდა, მათ უშუალო მფლობელობის ქვეშ უნდა ჰყოლოდათ. VI ს-ში ეგრისელები საამისოდ რომაელთა ჯარებსაც იყენებდნენ (სვანეთში რომაული გარნიზონები იდგა)[247], უფრო ადრე კი, IV—V სს-ში, უნდა ვიფიქროთ, ამას თავისი ძალებით ახერხებდნენ. ეს ამოცანა ეგრისის მეფეებს, როგორც ჩანს, თავის დროზე ბრწყინვალედ გადაუჭრიათ, რაც ეგრისელი ელჩების განცხადებიდან ჩანს, რომ მათ ქვეყანას მოსაზღვრე ხალხებიდან,

---

[242] პ რ ო კ ო პ ი კ ე ს ა რ ი ე ლ ი, იქვე, გვ. 81.
[243] ი ქ ვ ე, გვ. 94.
[244] იქვე, გვ. 94.
[245] მ ე ნ ა ნ დ რ ე პ რ ო ტ ი ქ ტ ო რ ი, იქვე, გვ. 221.
[246] З. В. А н ч а б а д з е, დასახ. ნაშრ., გვ. 30.
[247] მ ე ნ ა ნ დ რ ე, იქვე, გვ. 213—214.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერძნებს გარდა, სხვა არავინ აწუხებდა[248]. სვანეთის სტრატეგიული მნიშვნელობას ეგრისის სამეფოსათვის კიდევ ის აპირობებდა, რომ იგი „თავისი მოხერხებული მდებარეობით მეტად სასარგებლო იყო რომაელთა ხელისუფალთათვის (იგულისხმე: ლაზიკის ხელისუფალთათვის, დ. მ.), რათა ამ გზით მოზღვავებულ სპარსელებს კოლხეთის საზღვრები არ აეოხრებინათ“[249].

სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობის გარდა, ზემოხსენებულ გზებს უეჭველია საავჭრო მნიშვნელობაც უნდა ჰქონოდა. 717 წელს ალანები ეუბნებოდნენ ლეონ ისავრელს: „ჩვენ ახლო ურთიერთობა გვაქვს მათთან (აბაზგებთან, დ. მ.), (ჩვენი) ვაჭრები განუწყვეტლივ დადიან იმათ ქვეყანაში“[250]. ეჭვი არ არის, ასეთივე გაცხოველებული ვაჭრობა უნდა ჰქონოდათ იგივე ალანებს ეგრისის სამეფოსთანაც. მაგრამ, როგორც ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, ამ გზების მეშვეობით მხოლოდ მეზობელ ტომთა თუ სახელმწიფოთა აღებ-მიცემა კი არ ხორციელდებოდა, არამედ ბიზანტიას სურდა ეს, კერძოდ, „მისიმიანეთის გზა“, საერთაშორისო სავაჭრო მაგისტრალად ექცია. ცხადია, რომ ამ გზების დაუფლება და ექსპლოატაცია ეგრისის სამეფოსთვის, ამ მხრივაც, უაღრესად დიდი მნიშვნელობისა იყო.

მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობა დასავლეთი საქართველოს ბარისა და მთიანეთის შემტკიცების საქმეში, რა თქმა უნდა, ჰქონდა შინაგან ეკონომიურ კავშირს ამ .ორ მხარეს შორის. საამისოდ ჩვენ, მართალია, ძალიან მწირი, მაგრამ ფრიად ნიშანდობლივი ცნობები გვაქვს. კერძოდ, სვანეთისა და ეგრისის ბარის ურთიერთობის შესახებ. როგორც მენანდრე პროტიქტორი გადმოგვცემს, სვანები სურსათ-სანოვაგეს ეგრისიდან იღებდნენ: „ჩვეულებრივ პური მათ კოლხთა მეფისაგან ეგზავნებოდათ“[251]. თვით ეგრისს თავისი საკუთარი პური არა ჰყოფნიდა. პროკოპი კესარიელს არა ერთხელ აქვს აღნიშნული, რომ ხორბალი და მარილი ლაზებს ბიზანტიასთან ვაჭრობის საშუალებით შემოჰქონდათ[252]. მიუხედავად ამისა, სვანებს, მაშასადამე, გადაკვეთილი ჰქონდათ ყოველწლიური რაოდენობა პურისა. სამაგიეროდ, „სვანეთის სარდალი ემორჩილე-

---

248 პ რ ო კ ო პ ი კ ე ს ა რ ი ე ლ ი, იქვე, გვ. 78—79.

249 მ ე ნ ა ნ დ რ ე, იქვე, გვ. 228—229.

250 თ ე ო ფ ა ნ ე ყ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, „გეორგიკა“, IV, გვ. 108.

251 მ ე ნ ა ნ დ რ ე. იქვე, გვ. 214.

252 პ რ ო კ ო პ ი კ ე ს ა რ ი ე ლ ი, იქვე, გვ. 73—74, 96.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდა ლაზს და მასთან აღრიცხული იყო სახარკო სიაში და ალბათ
კიდევაც იღებდა მისგან ფუტკრების ნაყოფს და ტყავებს და
ზოგ სხვა რამესაც"[253]. ამგვარად, ცხადია, რომ სვან-მეგრელთა
პოლიტიკური ურთიერთობის საფუძველი ეკონომიური ურთიერ-
თობა უნდა ყოფილიყო: ბარი უგზავნიდა მას მიწათმოქმედების
პროდუქციას (პური და, ალბათ, ღვინო და მარილიც); მთა სამა-
გიეროდ ამარაგებდა ბარს მესაქონლეობის, მეფუტკრეობის და
სხვა მისთ. პროდუქციით. მართალია, ეგრისს არ ჰქონია ისეთი
ფართო და ძლიერი სასოფლო-სამეურნეო ბაზა, როგორც, მაგა-
ლითად, ქართლის სამეფოს; პროკოპი კესარიელი მას მწირ და
მოუსავლიან ქვეყნად სახავს, სადაც „არსად არ არის მარილი, არც
ხორბლეული მოდის, არც ღვინო, არც სხვა რამ სიკეთე"[254], მაგ-
რამ ეგრისის ცენტრალური ბარის, მოხირისის შესახებ იგივე ის-
ტორიკოსი სულ სხვაგვარად ლაპარაკობს: მოხირისი „შეიცავს
მრავალს მჭიდროდ დასახლებულ სოფელს. კოლხიდის მიწაწყალ-
ზეც ის საუკეთესო მხარეს წარმოადგენს: ღვინოც კარგი მოდის და
სხვა ნაყოფნიც იქ კარგად ხარობენ, თუმცა ლაზიკის სხვა ადგი-
ლებზე არ შეიძლება იგივე ითქვას"[255]. თუ რამდენად დიდი იყო
სვანეთის ეკონომიური დამოკიდებულება ეგრისზე, ეს იქიდანაც
ჩანს, რომ, როგორც კი ეგრისის მეფემ გუბაზმა შეუწყვიტა სვა-
ნებს სურსათით მომარაგება, ისინი მაშინვე გადაუდგნენ მას და
სპარსელები მოიწვიეს[256]. ამავე ეკონომიურ დამოკიდებულებას
გულისხმობს პროკოპი კესარიელის ერთხელ უკვე მოტანილი ცნო-
ბა უქიმერიონისა და ქუთაისის შესახებ: ამ ორ ციხეზე გამავალი
მაგისტრალებით ხორციელდებოდა, როგორც ჩანს, ეკონომიური ურ-
თიერთობა ლეჩხუმთან და სვანეთთან და ამ ციხეთა მფლობელობა
ნიშნავდა არა მარტო ეგრისის აღმოსავლეთი ნაწილის, არამედ
ლეჩხუმ-სვანეთის პოლიტიკურ მფლობელობასაც[257].

ამ თვალსაზრისით, ფრიად საინტერესოა უფრო გვიანდელი
მასალების მონაცემებიც, პირველ რიგში კი ე. წ. „წიგნი სასისხლო
საქმისა ბელას — ზემო სვანეთისა და თავად ჯაფარიძეთა შორის",

---

253 მ ე ნ ა ნ დ რ ე, იქვე, გვ. 224.

254 პ რ ო კ ო პ ი კ ე ს ა რ ი ე ლ ი, იქვე, გვ. 96; შდ. იქვე, გვ. 51 და 73.

255 იქვე, გვ. 194.

256 მ ე ნ ა ნ დ რ ე, იქვე, გვ. 214—215.

257 პ რ ო კ ო პ ი კ ე ს ა რ ი ე ლ ი, იქვე, გვ. 197 და 203. ეკონომიურ ურ-
თიერთობას მთასა და ბარს შორის მოწმობს ნუმიზმატიკური მასალაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათარიღებული 1490 — 1503 წწ-ით[258]. ამ უნიკალური დოკუმენტიდან თვალნათლივ ჩანს, თუ ზემო სვანეთი რამდენად იყო დამოკიდებული მეზობელ მხარეებზე, კერძოდ კი, დასავლეთ საქართველოს ბარზე და საკომუნიკაციო გზების, კერძოდ, ლეჩხუმის გზის გადაკეტვა რა დიდ ზიანს აყენებდა სვანეთის მოსახლეობას. ირკვევა, რომ სვანები საარსებო სახსრების საშოვნელად ანუ „საჯამაგიროდ", მარილის და ღვინის საყიდლად — „სამუშაოდ" რეგულარულად დადიოდნენ არა მარტო რაჭა-ლეჩხუმში, არამედ გურიაში, სამცხეში და კახეთშიც კი. ამას მოკლებული სვანები ჩივიან: „სრულიად სუანეთის ქუეყანასა საზიარებელს ვეღარ ვიშოვებდით და არც ვის მარილის გემო გუინახავს. მერმე მიგუჭირდა და აღარა ღონე გუქონდა"[259]. როგორც ვხედავთ, არსებითად, ეკონომიური ურთიერთობა დასავლეთ საქართველოს მთასა და ბარს შორის ათასწლეულის მანძილზე არ შეცვლილა! კიდევ უფრო საინტერესოა, რომ არ შეცვლილა ის მაგისტრალური არხი, რომლითაც ეს ურთიერთობა ხორციელდებოდა. კერძოდ, კარგად ჩანს, რომ მაგისტრალური გზა, რომლითაც არა მხოლოდ ქვემო სვანეთი, არამედ ე. წ. ბალს ზემო (ანუ თავისუფალი) სვანეთიც ანუ ენგურის ზემო წელიც, როგორც პროკოპი კესარიელის დროს, ასევე შუა საუკუნეებში, ძირითადად ცხენისწყლის ხეობით (ლეჩხუმით) იყო დაკავშირებული დასავლეთ საქართველოს ბართან.

ამასვე მოწმობს 1969 წ. სვანეთის ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიციის მასალაც. ასე მაგალითად, სოფ. ჩქუმში ჩვენ ჩავწერეთ ცნობა, რომ ძველად არა მარტო ჩქუმის, არამედ მთელი ლეჩხუმის მთავარი სავაჭრო ადგილი ხონი ყოფილა: იქ მიჰქონდათ ღვინო, ხილი და მიჰყავდათ საქონელიც. ყიდულობდნენ მარილს, ფართლეულს, ტანისამოსს.

ქვემო სვანეთიდანაც სავაჭროდ ხონში და ქუთაისში დადიოდნენ. ხონიდან უმთავრესად მარილი ამოჰქონდათ, ქუთაისიდან ტანისამოსი. გასაყიდად საქონელი ჩამოჰყავდათ.

ზემო სვანეთიდან (უშგული და ქვედა თემებიც ლატალ-ლენჯერამდე), რომელიც მრავალი გზით არის დაკავშირებული ქვემო სვანეთთან, სავაჭროდ დადიოდნენ ლეჩხუმში — ცაგერსა (ცხენისწყლის ხეობა) და ლაილაშში (ლაჯანურას ხეობა). ჰყიდდნენ

---

[258] ბ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, II, 1941, გვ. 31—34.

[259] ი ქ ვ ე, გვ. 31.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თ ა ვ ი II

ქართლის სამეფო

ლეონტი მროველის ისტორიულ-გეოგრაფიული კონცეფციის თანახმად, ქართლის სამეფოს სამხრეთი საზღვარი ადრეელინისტურ ხანაში მტკვრისა და არაქსის წყალგამყოფზე გადიოდა. უფრო გვიან შეიმჩნევა ქართლის სამეფოს სამხრეთი საზღვრების შეკვეცის ტენდენცია, რაც გამოწვეული იყო სომხური სამეფოს ზრდით[1]. სტრაბონის ცნობით, როგორც ვიცით, ქართლის სამეფოსაგან II ს-ის ძ. წ. დასაწყისში ანექსირებული იყო სამხრეთ-დასავლეთი პროვინციები, მათ შორის, ტაო-სპერი და აგრეთვე პროვინცია „გოგარენე" ანუ სომხური წყაროების „გუგარქი". ეს უკანასკნელი IV ს-ის ბოლოსათვის, საბოლოოდ, დაუბრუნდა ქართლს. რა ქვეყანაა ეს გოგარენე?

1. საგანგებო განსაზღვრა ამ მხარისა და მასში შემავალი მცირე ერთეულებისა გვაქვს „სომხურ გეოგრაფიაში": „გუგარქი (მდებარეობს) უტიელთა დასავლეთით, შეიცავს ცხრა გავარს: ძოროფორი, კოლბობორი, წობოფორი, ტაშირი, თრელი (-თრიალეთი, დ. მ.), კანგარი, ზემო ჯავახეთი, არტაანი, კლარჯეთი"[2]. ამგვარად, როგორც ვხედავთ ამ წყაროს მიხედვით, სტრაბონისეული გოგარენე მოიცავს თითქმის მთელ სამხრეთ საქართველოს. სხვაგვარი ვითარება გვაქვს სტრაბონთან, რომელიც საერთოდ პირველად ასახელებს ამ ქვეყანას. მისი სიტყვით, სომხებმა ჩამოაჭრეს „იბერებს პარიადრეს კალთები, ხორზენე და გოგარენე, რომელიც მტკვრის გადაღმა არის"[3]. უკანასკნელი განსაზღვრება მტკვრის მარჯვენა

---

[1] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა. შრომები, II, გვ. 250.

[2] Géographie..., გვ. 34. სენ-მარტენის (გვ. 366). და პატკანოვის (გვ. 20) გამოცემაში ასევეა, ოღონდ ზემო ჯავახეთის მაგიერ ჯავახეთია, რაც-არ უნდა იყოს სწორი (იხ. ქვემოთ).

[3] თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი. სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 189.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაპირს, მტკვრის სამხრეთს გულისხმობს[4]. თუ სტრაბონის ცნობაში მტკვარს ჯავახეთის მტკვრად ვივარაუდებთ, მაშინ ქვემო ჯავახეთი, არტაანი და კლარჯეთი გოგარენედან უნდა გამოვრიცხოთ. მაგრამ არტაანის მტკვრის სათავიდანაც რომ ვივარაუდოთ (ძველი ქართული პროვინცია კოლა), მაშინ არტაანის ნაწილი, ერუშეთი და მთელი კლარჯეთი მაინც გამორიცხული იქნება გოგარენეს ცნებიდან.

ჩვენ გვაქვს კიდევ ერთი წყარო გოგარენე-გუგარქის მოცულობის დასადგენად. ეს არის მოსე ხორენელის ისტორია. ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ „გუშარამ, შარაჲს შვილთაგან, დაიმკვიდრა მთა მთინი ანუ კანგარქი, ჯავახეთის ნახევარი ნაწილი, კოლბი, წობი, ძორი ვიდრე ჰნარაკერტის სიმაგრემდე. ხოლო აშოცის საუფლოს და ტაშირის საზეპურეოს უწესებს ვალარშაკი (სომეხთა მეფე, დ. მ.) გუშარა ჰაიკაზუნის შთამომავალთაგანს. ხოლო კავკასიის მთის პირდაპირ ჩრდილოეთის გამგებლად აწესებს დიდ და ძლიერ ტომს და მამამთავრობის სახელს უწოდებს გუგარელთა ბდეშხს“[5]. ჯერ ერთი, აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ გუგარელთა სახელით მოსე ხორენელი, უეჭველია, სომეხთაგან განსხვავებულ მოდგმას გულისხმობს, რომელიც მათგან ჩრდილოეთით, კავკასიონის პირდაპირ ცხოვრობს. ცხადია ამიტომ, რომ ამ ტომს ისტორიკოსი ქართველებად მიიჩნევს, მით უმეტეს, რომ იგივე გუგარელთა ბდეშხი (ანუ პიტიახში), მისივე სიტყვით, ივერიელთა მთავარია[6]. სომეხი ისტორიკოსები გუგარელთა სახელწოდებით სწორედ ქართულ ტომს, ქართველებს რომ გულისხმობენ, ამაზე ქვემოთაც დავრწმუნდებით, აქ კი აღვნიშნავთ, რომ მოსე ხორენელის „გუშარა“, რომელიც მართალია, ჩამომავლობით სომეხია (ჰაიკაზუნი), აშკარად იმავე გუგარელთა ეპონიმი უნდა იყოს[7]. ამგვარად, გუშარას და მისი ჩამომავლის სამფლობელო ანუ გუგარქის მოცულობა მოსე ხორენელის მიხედვით ასეთია: კანგარქი, ჯავახეთის ნახევარი (შდ. „სომხური გეოგრაფიის“ ზემო ჯავახეთი), კოლბი, წობი, ძორი, ტაშირი და აშოცი (ანუ ქართული წყაროების აბოცი). ეს მოცულობა გუგარქისა რომ შევადაროთ „სომხური გეოგრაფიის“ გუგარქს,

---

[4] ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წიგნი 1, 1950 გვ. 24.

[5] მ ო ს ე ხ ო რ ე ნ ე ლ ი, გვ. 108.

[6] იქვე, გვ. 263. შდ. ივ. ჯავახიშვილი, იქვე, გვ. 28 და 32.

[7] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 24—25; Н. Адонц. Армения в эпоху Юстиниана, 424, შენ. 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აშკარა გახდება, რომ ამ უკანასკნელის შინაარსი გაზრდილია ორტა-ანით, კლარჯეთით და თრიალეთით. თრიალეთი სომეხ ისტორიკოს-თან შესაძლებელია გამორჩენილა კიდეც, ხოლო აშოცი, ჩვეულებრივ, დიდი სომხეთის ადმინისტრატის მხარის ერთ-ერთ „ჯევს“ წარმოადგენდა. ამის შემდეგ ცხადი უნდა იყოს, რომ მოსე ხორენელის გუგარქი კარგად შეესატყვისება სტრაბონისეულ „გოგარენეს“, რომელიც მტკვრის სამხრეთით იყო. ამასთანავე, სტრაბონთან მტკვარი ჯავახეთის მტკვრის სათავიდან უნდა ვივარაუდოთ. მართლაც, პროვინცია „კოლა“, საიდანაც სათავეს იღებს არტაანის მტკვარი, „სომხური გეოგრაფიის“ მიხედვით ტაოს (=ხორეზენე, იხ. შესავალი, § 8) შემადგენელი ერთეული იყო და არა გუგარქისა (იხ. ქვემოთ).

რაც შეეხება თვით გოგარენე-გუგარქის შემადგენელი ერთეულების, „ჯევების“ იდენტიფიკაციას, უნდა აღვნიშნოთ, რომ წობი ანუ წოფი არის დღევანდელი ბანუშ-ჩაის ხეობა (მარნეულის რ-ნი), შესაძლებელია, მდ. დებედას ქვემო დინებიანად[8], კოლბი — მდ. ინჯას ხეობა, ხოლო ძორი — მდ. აღსტაფის ხეობა[9] (აზერბაიჯანის სსრ). კანგარქი, რომელიც გუგარქის ყველაზე სამხრეთი თემია[10], უნდა იყოს მდ. დებედას სათავეებში, ბამბაკის ხეობა[11]. საკუთრივ ტაშირი ლორეს ზეგანია, მდ. დებედას მარცხენა შენაკადის მდ. კამენკას ანუ ძოროგეტის ხეობა[12], მაგრამ ტაშირი შუა საუკუნეებში უფრო ფართო ცნებაც იყო და მოიცავდა თითქმის მთელ ქვემო ქართლს[13] (მდ. ხრამის და ალგეთის ხეობები). შესაძლებელია, ამ შემთხვევაში ტაშირი ასეთი მოცულობით იგულისხმებოდეს.

მართლაც, ის ფაქტი, რომ გუგარქის კანტონების ჩამოთვლისას „სომხური გეოგრაფია“ თრიალეთს, ტაშირს და კანგარს ერთად მოიხსენიებს, ხოლო ქართლის აღწერისას მანგლისისხევს, ქვეშისხევს და ბოლნისისხევს — ცალკე და თრიალეთს, ტაშირს და კან-

---

[8] დ. მუსხელიშვილი, ქვემო ქართლის ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიციის საველე სამუშაოთა (1956—1958 წწ.) შედეგები. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, I, გვ. 33—39. გ. ცქიტიშვილი, წოფი, ისტორიულ-გეოგრაფიული ნარკვევი, იქვე, გვ. 93.

[9] H. Hübschmann, Die altarmenischen Ortsnamen. Strassburg. 1904 353 და თანდართული რუკა; Ս. Զալալեանց, Ճանապարհորդութիւն ի մեծ Հայաստան, մասն Բ, 1858, 108.

[10] H. Hübschmann, დასახ. ნაშრ., 366; Н. Адонц. დასახ. ნაშრ., 222.

[11] ი. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 25—26, 29.

[12] დ. მუსხელიშვილი, აღჯაყალა-გაგის ციხე, სიგკ. I, გვ. 127.

[13] იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარს — ცალკე[14], თითქოს იმას უნდა მოწმობდეს, რომ პირველ შემთხვევაში ტაშირი ფართო ცნებაა და მოიცავს ზემოხსენებულ ხევებს (მანგლისს, ქვეშს, ბოლნისს), ხოლო მეორეგან, ქართლის აღწერისას — ვიწრო ცნებაა, მხოლოდ ლორე-ტაშირის მომცველი. ეს ვითარება შესაძლებელია სომხური და ქართული ადმინისტრაციული ორგანიზაციის სხვადასხვაობას გამოხატავდეს[15].

თრიალეთი (დღ. წალკის რაიონი) და ჯავახეთი (დღ. ბოგდანოვკის და ახალქალაქის რაიონები) ცნობილია.

ამგვარად, სტრაბონის „გოგარენე“ და სომხური „გუგარქი“ (მოსე ხორენელთან) მოიცავდა შემდეგ ქართულ პროვინციებს: ზემო ჯავახეთი, თორი (გუჯარეთის ხეობა), თრიალეთი (მდ. იქ მდებარე სოფ. საპიტიახშო), ტაშირი (ალგეთის და ხრამის აუზი, აგრეთვე მდ. კამენკას ხეობა), წოფი (მდ. ბანუშ-ჩაის ხეობა დებედას ქვემო წელამდე), კოლბი (მდ. ინჯას ხეობა), ძორი (მდ. აღსტაფის ხეობა) და კანგარქი (ბამბაკის ხეობა). მაგრამ თვით ასეთი მოცულობითაც გუგარქი, როგორც ჩანს, შემდგომი გაფართოების შედეგად გვევლინება. ასე მაგალითად, ფავსტოს ბიზანტიელი გუგარქის საპიტიახშოს ცალკე ასახელებს, ხოლო კოლბისა და ძორის ჯვებს ცალკე (იხ. ქვემოთ). თრიალეთიც როგორც ვიცით, მოსე ხორენელთან არ ირიცხება გუშარას გვარის სამფლობელოში. შესაძლებელია ჯავახეთ-თორიც გამოსარიცხი იყოს გუგარქის თავდაპირველი და ძირითადი ცნებიდან და ამ ქვეყნის ფარგლები ასეთ შემთხვევაში შემოიისაზღვრება არსებითად ალგეთ-ქციის (ხრამისა) და დებედას აუზების ტერიტორიით. ე. ი. ფაქტიურად, გუგარქის ტერიტორია დაემთხვევა ქართულ-სომხური წყაროების ფართოდ გაგებული ტაშირის ფარგლებს[16]. ასეთ ვითარებაში სავსებით გასაგები იქნება, თუ ერთსა და იმავე პიროვნებას სხვადასხვა წყაროები რატომ უწოდებენ ხან „გუგარქის პიტიახშს“ და ხან „ტაშირის მთავარს“[17].

---

[14] იხ. Géographie, 28. ქვეშისხევი აქ აშკარად გამორჩენილია.

[15] თუმცა ამას კიდევ ჩაფიქრება სჭირდება: მაინცდამაინც, თრიალეთი, რომელიც მოსე ხორენელთან არ იხსენიება გუგარქში შემავალად, შესაძლებელია გვიანდელი ექსპანსიის შედეგად შევიდა მის შემადგენლობაში (იხ. ქვემოთ). ასეთივე ვითარება შეიძლება იყოს მანგლისის, ქვეშის და ბოლნისის ხევების მიმართ და ე. ი. გუგარქ-გოგარენეს ცნებაში არც ესენი შედიოდნენ თავდაპირველად. ასეთ შემთხვევაში „ტაშირი“ ორგანვე „სომხურ გეოგრაფიაში“ ვიწრო ცნება იქნება.

[16] დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, აღჯაყალა — გაგის ციხე. გვ. 127—128.

[17] ასე მაგალითად, V ს-ში ცნობილი ვარსქენ პიტიახშის მამა, არშუშა, მოსე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე მხრივ, თვით სომეხი ისტორიკოსები „გუგარქს“ მიუხედავად იმისა, რომ მას სომხეთის სახელმწიფოს საპიტიახშოდ წარმოიდგენენ, არა სომხურ, არამედ ქართულ პროვინციად თვლიდნენ. ეს აშკარად ჩანს იმ უბრალო ფაქტიდან, რომ ამ მხარის მოსახლეობას, გუგარელებს, ისინი არა სომხებად, არამედ ქართველებად მიიჩნევდნენ. ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ეს გამომდინარეობს თვით მოსე ხორენელის ზემომოტანილი ცნობიდან გუშარასა და გუგარელთა შესახებ და ეს იმისდა მიუხედავად, რომ აშკარა ტენდენციურობის გამო თვით გუგარელთა ეპონიმი გუშარა მას ისევე, როგორც სივნიელთა და ალვანელთა ეპონიმები ჰაიკის, სომეხთა შამამთავრის ჩამომავლად მიაჩნია[18] (იხ. ზემოთ). ფავსტოს ბიზანტიელი IV ს-ის ამბების გადმოცემისას აღნიშნავს, რომ მასქუთთა მეფე სანესანი განრისხდა სომეხთა მეფე ხოსროვზე და შეკრიბა მის საწინააღმდეგოდ ლაშქარი ჰუნებში, ფოხეებში, გუგარებში, ჭიღბებში, ეგერსვანებში და სხვა მომთაბარე ტომებში, გადალახა მტკვარი და შეესია სომეხთა ქვეყანას[19]. ფიქრობენ, რომ აქ შეცდომას უნდა ჰქონდეს ადგილი და გუგართა მაგივრად გარგარელნი უნდა ეწეროს[20]. კორექტივი, როგორც ჩანს, სწორია, რადგან კონტექსტით აქ ლაპარაკია კავკასიის მთიელ ტომებზე, მაგრამ ეს მაინც მოწმობაა და აშკარა მოწმობა იმისა, რომ ფავსტოსს თუ მის წყაროს გუგარელნი არ მიაჩნია სომხებად და ამდენად მათი ქვეყანაც (გუგარქი) არ მიაჩნია სომხეთად. გამოთქმულია მოსაზრება, რომ შესაძლებელია გუგარები იგივე გარგარებიც კი არიან, რომლებიც კავკასიის მთებიდან ოდესღაც ჩამოსახლებულან შემდეგდროინდელი გუგარქ-გოგარენეს ტერიტორიაზე[21]. გუგარელთა გენეზისის საკითხი საკმაოდ რთულია და ამჟამად ჩვენთვის არც არის საინტერესო. ფაქტი ის არის, რომ ადრეულ შუა საუკუნეებში გუგარელნი ეწოდებოდა სომხების მიერვე სომეხთაგან აშკარად განსხვავებულ ტომს, კერძოდ კი, ქვემო ქართლის ტერიტორიაზე

ხორენელთან იწოდება „გუგარელთა ბდეშხად“, რომელიც მთავრობს ტაშირში (იხ. მოსე ხორენელი, გვ. 356), ხოლო კორიუნთან — „ტაშირელთა მთავრად“ (იხ. Պատմութիւն վարուց և մահուան սրբոյն Մեսրոպայ վարդապետի մերոյ թարգմանչի, 1913, 30).

[18] მ ო ს ე ხ ო რ ე ნ ე ლ ი, გვ. 41 და 107—108.

[19] История Армении Фавстоса... 15.

[20] Н. А д о н ц, დასახ. ნაშრ..., გვ. 424, შენ. 2.

[21] იქვე, შენ. 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსახლე ქართულ ტომს. და რომ ეს ასეა, ამას, მოსე ხორენელის გარდა, სრულიად უდაოდ ადასტურებს კიდევ ერთი სომეხი ისტორიკოსი იოანე დრასხანაკერტელი (X ს). ერთგან ეს ისტორიკოსი საგანგებოდ ჩამოთვლის სომეხთა მეზობელ ხალხებს: ბერძნებს, მეგრელებს, გუგარელებს და უტიელებს[22]. ეს უკანასკნელნი იგივე ალვანელები არიან, ხოლო გუგარელნი, ცხადია, ქართველთა სინონიმად იხმარება. ჩვენ აქ არ გავყვებით ყველა იმ საინტერესო დეტალს, რომელიც იოანე დრასხანაკერტელის ამ ტერმინის შესწავლიდან ირკვევა[23], მაგრამ აღვნიშნავთ კიდევ ერთ მის ჩვენებას: X ს-ის დასაწყისში „ეგრისის მეფე კონსტანტინე“ გადასწყვეტს დაიპყროს „გუგართა ქვეყანა“... ქართველთა მეფე ადარნასე მას უშლის ამას, რადგან ეს „ხალხი სუმბატ (სომეხთა, დ. მ.) მეფეს ჰყავდა დამორჩილებული“. კონსტანტინემ არ ისმინა. „მაშინ სუმბატ მეფემ დიდი ჯარით შეუტია“ კონსტანტინეს, რომელიც უკან იხევს[24]. ეს ეპიზოდი შემონახული აქვს „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორსაც: „მას ჟამსა გამოვიდა კონსტანტი, აფხაზთა მეფე, დაიპყრა

---

[22] იოანე დრასხანაკერტელი, სომხეთის ისტორია, 1965, გვ. 177.

[23] აქ აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ იოანე დრასხანაკერტელთან **Վրացիք** და **Գուգարացիք** რომლებიც ზოგჯერ ერთმანეთს ფარავენ, არსებითად, განსხვავებულად იხმარებიან და პირველი აღნიშნავს ტაო-კლარჯებს, უკეთ, ზემო ქართლელებს, ხოლო მეორე — შიდა და ქვემო ქართლელებს. ეს გარემოება ფრიად მნიშვნელოვანი შეიძლება გამოდგეს იბერ-ივერიელთა და ქართლელთა (საკუთრივ „ქართველთა“) ურთიერთმიმართებისათვის. ეს შესაძლებელია იმასაც დაუკავშირდეს, რომ უძველესი ქართული ისტორიულ-გეოგრაფიული ცნება „ზენა სოფელი“ გამორიცხავს მტკვრის ზემო წელს. რამდენადაც ეჭვი არ არის, „ზენა სოფელი“ (და „ქვენა სოფელი“) საკუთრივ ქართული ტერმინებია და საკუთრივ „ქართველთა“ განსახლების ტერიტორიას უნდა აღნიშნავდეს, ამდენად გვიანდელი ზემო ქართლის უძველეს მოსახლეობად სწორედ **Վրացիք** —ივერიელნი უნდა ვიგულისხმოთ. ცხადია, აქ უმალვე წამოიჭრება მესხთა საკითხიც და სხვ. და სხვ. ამჟამად ამ საკითხების კვლევა ჩვენი მიზანი არ არის. რაც შეეხება „გუგარელებს“, რა სახელწოდებითაც სომხები იხსენიებენ „ქართველებს“, თუმცა ამ ტერმინის ეტიმოლოგია სადავოა, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ ჩვენთვის საინტერესო პერიოდისთვის ეს იყო ერთ-ერთი ქართული ტომი, რომელიც უშუალოდ ემეზობლებოდა სომხებს. ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა, რომ 1802 წლისთვის ბამბაკის ხეობაში (მდ. დებედას სათავე, ძველი კანგარქი) აღნიშნულია სოფელი „გოგარანი“ (იხ. Акты собранные Кавказскою Археографическою комиссиею, т. I, 462). სოფ. „გოგორანი“ აღნიშნულია რუსეთის გენერალური შტაბის ხუთვერსიან რუკაზედაც. დღეს სომხეთის სსრ-ში შემავალ ამ სოფელს „გუგარქი“ ეწოდება.

[24] იქვე, გვ. 109—110.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართლი და ემტერა სომეხთა მეფე სუმბატ ტიეზერაკალი; ბრძოლაშჭრა სპითა დიდითა, და მოადგა უფლისციხესა"...[25]. ამ ორი ამონაწერის შედარებით ცხადად ირკვევა, რომ „გუგართა ქვეყანა" არის იგივე „ქართლი" და ე. ი. „გუგარელნი" არიან იგივე „ქართლელნი". ამგვარად, ყველა ზემომოტანილი ცნობა (სტრაბონი, ფავსტოსი, მოსე ხორენელი, იოანე დრასხანაკერტელი) აშკარად მოწმობს, რომ გოგარენე-გუგარქი ეწოდებოდა ქვემო ქართლის ტერიტორიას, იმთავითვე ითვლებოდა ქართულ ქვეყნად, ხოლო მისი ძირითადი მოსახლეობა იყო ქართული[26].

„სომხური გეოგრაფიის" მიხედვით, როგორც იყო უკვე აღნიშნული, გუგარქი დიდი სომხეთის ერთ-ერთი მხარეა. თუმცალა ძეგლის შედგენის დროისათვის იგი ქართველებს უჭირავთ[27] და ის არა თუ მხოლოდ ქვემო ქართლის ტერიტორიას, არამედ ჯავახეთს, არტაანს და კლარჯეთსაც კი მოიცავს. რითი უნდა აიხსნას ასეთი ვითარება? საქმე ის არის, რომ მას შემდეგ, რაც ძვ. წ. II ს-ის დასაწყისში სომხეთმა მიიერთა ქართლიდან გუგართა ქვეყანა, ძვ. წ. 1 ს-ში ტიგრან დიდის დროს, სომხეთის სამეფოს ჩრდილო საზღვრების უზრუნველსაყოფად აქ იქმნება ე. წ. საპიტიახშო, ანუ სასაზღვრო სამთავრო გუგარქისა[28], რომლის მეთაურიც, გუგარქის პიტიახში, ე. წ. „სამხედრო განრიგში" სომხეთის ჩრდილო მხარის მხედრობაში პირველ ადგილზე იხსენიება 4500 მხედრით[29]. თავდაპირველად შედარებით მცირე ტერიტორიის მქონე გუგარქის საპიტიახშო, სომეხთა შემდგომი ექსპანსიის შედეგად ჩრდილოეთისაკენ შესაძლებელია გაფართოებულიყო, რამდენადაც, ბუნებრივია, თუ სომეხთა მიერ ანექსირებული ქვეყნები სწორედ ამ საპიტიახშოს მიეთვლებოდა. „ქართლის ცხოვრებაში" გვაქვს სათანადო ცნობაც, რომელიც 1 ს-ეს უნდა მიეკუთვნებოდეს: სომხეთის მეფე იარავანდი „ემძლავრა ფარსმანს არმაზელსა (ქართლის მეფეს, დ. მ.), და მიუღო საზღვარსა ქართლისასა ქალაქი წუნდა და არტანი მტკვრამდე"[30]. ამ ცნობაში კიდევ ის არის საინტერესო, რომ წუნდის აღნიშვნა, შესაძლებელია, არტაანის მსგავსად ჯავახეთსაც მტკვ-

---

[25] ქ"ცა, 262.

[26] შდ. H. Hübschmann, დასახ. ნაშრ. 276.

[27] იხ. მაგ., Géographie, გვ. 34—35.

[28] I. Marquart, Ērānsahr nach der Geographie der Ps. Moses Xorenaçi, Berlin, 1901, 95.

[29] Н. Адонц, დასახ. ნაშრ., გვ. 251.

[30] ქ"ცა, I, გვ. 44. შდ. C. Toumanoff, Studies..., 471—472.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდე გულისხმობდეს (წუნდა მტკვრის მარჯვენა ნაპირზეა) დანად ჯავახეთის ეს ტერიტორია სწორედ „სომხური გეოგრაფიის“ „ზემო ჯავახეთს“ ან მოსე ხორენელის „ჯავახეთის ნახევარს“ შეესატყვისებოდეს. ასეა თუ ისე, „ქართლის ცხოვრების“ ცნობა, ეფიქრობთ, კარგად გვიჩვენებს, თუ რა გზით მიმდინარეობდა გუგარქის საპატიახშოს ტერიტორიის გაფართოება და როგორ მოხდა, რომ „სომხური გეოგრაფიის“ გუგარქი დასავლეთით კლარჯეთამდე გაიზარდა, ჩრდილოეთით მტკვრამდე[31], ხოლო აღმოსავლეთით—ძოროფორამდე[32].

2. ძორის ან ძორიფორის ტერიტორიაზე მდებარეობდა ციხესიმაგრე ჰნარაკერტი, რომელიც მოსე ხორენელით სასაზღვრო ციხეა არანის და გუშარას სამკვიდროთა შორის[33] ანუ ქართლისა და ალვანეთის სამეფოთა შორის. მეორე მხრივ, ჩვენ ვიცით, რომ ქართლის სამეფოს უკიდურესი პუნქტი სამხრეთ-აღმოსავლეთით იყო ხუნანი, რომელიც მიჯნავდა ქართლოსის წილს ბარდოსის წილისაგან ანუ კვლავ ქართლის სამეფოს ალვანეთის სამეფოსაგან. აქედან სავარაუდოა, რომ ქართული წყაროების ხუნანი არის ჰნარაკერტი სომხური წყაროებისა[34].

მართლაც, „სომხური გეოგრაფიის“ მიხედვით, გუგარქში შედიოდა სხვათაშორის, „ძოროფორი, ამავე სახელწოდების მდინარით ვიდრე ქალაქ ჰნარაკერტამდე“[35]. აქაც ჰნარაკერტი, მაშასადამე, ქართლის საზღვარზე მდებარეობს. რომ აქ სწორედ ქართული ხუნანი ივარაუდება, ეს მით უფრო სარწმუნოა, რომ მოსე ხორენელისა და „სომხური გეოგრაფიის“ „ჰნარაკერტი“ იოანე დრასხანაკერტელთან „ჰუნარაკერტის“ ფორმითა გვაქვს მოცემული[36], ხოლო „ეპისტო-

---

[31] История Армении Фавсса. 162—163. თუმცა ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ გუგარქის მთელი ტერიტორია მტკვრამდე გადიოდა.

[32] უნდა აღინიშნოს, რომ ეს ცნობა იარავანდის შესახებ გ. მამულიას მიხედვით აქემენიდურ ხანას, კერძოდ IV ს-ს განეკუთვნება (იხ. მისი „არიან-ქართლის“ საკითხისათვის, კრებ. „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები“. 1968, გვ. 212—218). შეიძლება ეს ასეა, მაგრამ შესაძლებელია ისიც, რომ ქართულ წყაროში გვიანდელ ფაქტში ადრეული პერსონაჟები მოხვედრილიყვნენ, ყოველ შემთხვევაში, ეს ცნობა მიგვითითებს გუგარქის ტერიტორიის გაფართოების შესაძლებელ მიზეზებზე.

[33] მ ო ს ე ხ ო რ ე ნ ე ლ ი, გვ. 107—108.

[34] იხ. დ. მუსხელიშვილი, უჯარმა, გვ. 10, შენ. 21.

[35] Géographie, გვ. 28.

[36] ი ო ა ნ ე დ რ ა ს ხ ა ნ ა კ ე რ ტ ე ლ ი, გვ. 64.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეთა წიგნში“ კი „ქუნანაკერტის“ სახით[37]. ძნელია დაეჭვდე, რომ აქ ერთსა და იმავე პუნქტთან და, კერძოდ კი, ქართულ ხუნანთან გვაქვს საქმე. იდენტიფიკაცია მოწმდება კიდევ იმით, რომ „სომხური გეოგრაფიის“ სენ-მარტენისეულ რედაქციაში ძოროფორის შემდეგ დასახელებულია „ხანციხ“-ი[38], რომლის შესაბამის პატკანოვ-სეულ რედაქციაში არის „ხანიცხ“-ი[39]. ორივე ეს ფორმა უნდა შერყვნილი იყოს და გულისხმობდეს „ხ(უნ)ანი(ს) ციხ(ე)“-ს[40].

მიუხედავად იმისა, რომ ხუნანი, გარდა „ქართლის ცხოვრებისა“ და სომხური წყაროებისა, იხსენიება გვიანდელ ქართულ წყაროებშიც, აგრეთვე არაბულ და სპარსულენოვან ისტორიკოსებთან, მისი ლოკალიზაციის საკითხი, ჯერჯერობით, არ არის გადაწყვეტილი. აქაც საბოლოო სიტყვა, როგორც ჩანს, ინტენსიურ საველე ისტორიულ-გეოგრაფიულ ძიებას ეკუთვნის. მაგრამ ვიდრე ასეთი ძიება ჩატარებული არ არის, განვიხილოთ XII—XIII საუკუნეების ქართველი და სომეხი ისტორიკოსების ცნობები, რომელთა მიხედვით თითქოს შესაძლებელი ხდება ამ პუნქტის ლოკალიზაცია.

ყამთააღმწერელი, მოგვითხრობს რა მონღოლთა პირველი შემოსევის შესახებ, აღნიშნავს, რომ ისინი „მოიწივნეს საზღვართა საქართველოსათა, იწყეს დარბევად ქუეყანა გაგისა“... გიორგი ლაშა ქართული მხედრობით გაემართა „თათართა კერძ, გაგის ბოლოსა მდგომთა“... ამ დროს თათრები დაბანაკებულნი იყვნენ „წყალსა ზედა ბერდუჯსა და აწ საგიმად წოდებულსა“[41]. მდინარე ბერდუჯი, როგორც ჩვენ ზემოთ გვქონდა აღნიშნული, ქართული წყაროების მიხედვით, ქართლის სამეფოს სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვარია. ამგვარად, ყამთააღმწერლის მიხედვით, ეს საზღვარი გადიოდა მდ. საგიმზე ანუ დღ. ძეგამ-ჩაიზე (აზერბაიჯანის სსრ). მეორე მხრივ, ჩვენ

---

37 ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 98.

38 J. Sain-Martin, გვ. 358.

39 Армянская география ... 17.

40 შდ. ს. კაკაბაძე ქართული სახელმწიფოებრიობის... გვ. 42. მით უმეტეს, რომ ქუნანაკერტს უხტანესთან ენაცვლება „ჰნარაკერტი“ (იქვე, გვ. 51). ქართული ხუნანის იდენტურობას სომხურ ჰუნარაკერტთან აღნიშნავს აგრეთვე ი. მარკვარტი, იხ. I. Markwart, Skizzen zur historischen Topographie und Geschichte von Kaukasien. Das Itinerar von Artaxata nach Armastica auf der römischen Weltkarte. ჟურნ. **“Հանդէս Ամսօրեայ“**, № 11—12, 1927, სვ. 841.

41 ქ-ცა, II, გვ. 164.

ვიცით, რომ გაგის სანაპირო პროვინცია გადაჭიმული იყო „ქუთაისიდან ვაჭრითა განძამდის“ ე. ი. დღევანდელ მდ. დებედადან ვიდრე ქალაქ განჯამდე, კერძოდ კი, შამქორის ხეობამდე, რომელიც განჯის დასავლეთით ჩამოდის[42]. ამგვარად, ყამთააღმწერლის ჩვენება, რომ ბრძოლა საგიმის ველზე უნდა მომხდარიყო, კიდევ ერთხელ მოწმდება იმით, რომ მდ. ძეგამი მართლაც გაგის ბოლოს ანუ ამ პროვინციის აღმოსავლეთ საზღვართან მიედინება.

რომ ბრძოლა მართლაც მდ. საგიმის (ძეგამის) ველზე მომხდარა, ამას ამოწმებს სომეხი ისტორიკოსი გრიგოლ აკანელი, რომლის სიტყვით, „აივსო საგამის ველი ამოწყვეტილი თათრებით“[43]. მაგრამ აქ ერთი რამაა აღსანიშნავი.

გრიგოლ აკანელი წერს, რომ გიორგი ლაშას ლაშქარი, რომელშიც ვარამ გაგელის მხედრობაც შედიოდა, მონღოლებს შეხვდა „დიდ ველზე, რომელსაც ეწოდება კოდმანი“[44]. ვარდან დიდის მიხედვითაც ქართველ-მონღოლთა ლაშქარი ერთმანეთს შეებრძოლა „მდინარე კოდმანთან“[45], ხოლო კირაკოზ განძაკელის მიხედვით — „ვაკე ადგილას, რომელსაც ეწოდება ხუნანი“[46].

აქედან სავარაუდოა, რომ „კოდმანის ველი“ იგივე „ხუნანის ველია“. ახლა, თუ მოვიგონებთ ყამთააღმწერლის ცნობას, ცხადი გახდება, რომ იგი სწორია, როდესაც ბერდუჯის მდინარეს საგიმთან აიგივებს, რამდენადაც ხუნანი ქართული წყაროებით მდ. ბერდუჯის მახლობლადაა, ხოლო ბრძოლა სომხური წყაროებითაც მოხდა „ხუნანის ველზე“ მდ. საგიმის მახლობლად.

კოდმანის ანუ ხუნანის ველზე ქართველთა ლაშქრის ნაწილი ივანე ათაბაგის მეთაურობით დამარცხდა, მაგრამ მარჯვენა ფრთაზე ვარამ გაგელმა გაიმარჯვა. იგი, გრიგოლ აკანელის სიტყვით, „საღამომდის მიდიოდა და დაუზოგავი შეტევით სპობდა თათრებს, სანამ საერთოდ არ აივსო საგამის ველი ამოწყვეტილი თათრებით“[47] (შდ. მსგავსი ცნობა ვარდანთან, სადაც ვარამი „გარდმანამდე“ მისდევს თათრებს)[48].

---

42 დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, აღჯაყალა — გაგის ციხე, გვ. 132—135.

43 გ რ ი გ ო ლ ა კ ა ნ ე ლ ი, მოისართა ტომის ისტორია, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით და კომენტარით გამოსცა ნ. შოშიაშვილმა, 1961, გვ. 10.

44 იქვე, გვ. 9.

45 **Մեծին Վարդանայ Պատմութիւն Տիեզերական, Մ.** 1861, 186 (ქვემოთ: ვარდანი).

46 **Պատմութիւն հայոց աբարեալ Կիրակոսի վարդապետի Գանձակեցւոյ, Թ** 1909, 191.

47 **գ ր ի գ ո ր ա კ ա ნ ე ლ ი**, გვ. 10.

48 **ვ ა რ დ ა ნ ი**, გვ. 187.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზემოთქმულიდან ცხადი უნდა იყოს, რომ ან მდ. კოტმანი ან
ვე მდ. საგიმია ანუ დღ. ძეგამი, ანდა, უფრო სწორად, ისინი ერთი-
მეორის მახლობლად მიედინებიან. მართლაც, არც ჟამთააღმწერელი
ამბობს, რომ პირველი შეტაკება საგიმის ველზე მოხდა. იგი წერს
მხოლოდ, რომ მონღოლები იყვნენ „დაბანაკებულნი წყალსა ზედა
ბურდუჯსა და აწ საგიმად წოდებულსა“ და როდესაც ქართველ-
თა ლაშქრის მოსვლა გაიგეს (როგორც ჩანს, კოდმანის ანუ ხუნანის
ველზე) „მყის ამჯედრდეს (მონღოლნი) და ეწყვნეს ურთიერთას“[49].

რომ ხუნანი, მართლაც, აქ უნდა ყოფილიყო, ამას ადასტურებს
აგრეთვე მასუდ იბნ-ნამდარის (XII ს-ის დასაწყისში) ცნობა, რომ-
ლის მიხედვით ხუნანი წარმოადგენს არანის (განძის საამიროს)
საზღვარზე მდებარე პუნქტს[50]. ხოლო, როგორც ცნობილია, განძის
საამიროს უკიდურესი დასავლეთის სასაზღვრო პუნქტი (თაღრი),
ჩვეულებრივ, შამქორი იყო[51]. ე. ი. აქედანაც სავარაუდოა, რომ
ხუნან-ს ველი მდ. ძეგამის (ძველი: საგიმი ანუ ბერდუჯი) ქვემო
წელის ველი უნდა იყოს, ან მის მახლობლად უნდა მდებარეობ-
დეს.

საინტერესოა ხუნანის ადგილმდებარეობის გასარკვევად „ქა-
რთლის ცხოვრების“ ერთი ცნობა: ბარტომ მეფის დროს, ტახტის
პრეტენდენტი მირვანი მოდის ქართლში სპარსთა ლაშქრითურთ.
„ხოლო მეფემან ბარტომ შემოკრიბნა ყოველნი სპანი ქართლისანი,
და მოირთო ძალი სომხითით, და მიეგება იგი ხუნანს და იპყრა
იგი ზურგად ქალაქი ხუნანი. მოვიდა მირვან და დადგა მდინარესა
ბერდუჯისასა“[52]. აქედან, ჯერ ერთი, ცხადი ხდება, რომ მდ. ბერ-

---

[49] ქცა, II, გვ. 164.

[50] V. Minorsky, Studies in Caucasian History, London, 1953, 211, შენ. 11(c)

[51] იქვე, გვ. 26, შენ. 8. ხუნანს არანის საზღვარზე იცნობს ჰამდალაჰ ყაზვინი და ჰოდუდ-ალ-ალემიც (იხ. ისთახარი, ჰოდუდ-ალ-ალემი, ჰამდალაჰ ყაზვინი, თარგმანი შენიშვნებითა და საძიებლითურთ ვ. ფუთურიძისა, 1937, გვ. 15 და 23). ხუნანს გვიან საუკუნეებში (ვახუშტი, სეხნია ჩხეიძე) ქცია-მტკვრის შესართავთან მდებარე ციხეს—ყიზ-ყალას უწოდებდნენ. მაგრამ ეს აშკარა შეცდომაა და ძველი და ახალი ისტორიული ვითარების კონტამინაციის შედეგი უნდა იყოს. არაბული წყაროების (ისთახრი, იბნ-ჰაუკალი და სხვ.) იტინერარიუმების მიხედვით, სხვადასხვა სპეციალისტი ხუნანს მდ. აღსტაფის შესართავთან ათავსებს (იხ. ამ საკითხზე, ლ. ჭილაშვილი, ქალაქი რუსთავი, 1958, გვ. 185—204), რაც აგრეთვე არ უნდა იყოს სწორი.

[52] ქცა, 1, გვ. 31.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლუჯი ხუნანის აღმოსავლეთით ჩამოედინება (ბარტომი მოდის მცხეთიდან, ე. ი. დასავლეთიდან, ხოლო მირვანი — ერანიდან, ე. ი. სამხრეთ-აღმოსავლეთიდან); შემდეგ ხუნანი არ მდებარეობს უშუალოდ მდ. ბერდუჯის ნაპირზე, არამედ ხუნანსა და ამ მდინარეს შორის საკმაო მანძილია (ბარტომმა ხუნანი „იპყრა ზურგად", ე. ი. თავისი ლაშქრით დადგა ხუნანსა და მდ. ბერდუჯს შორის. ამ უკანასკნელზე კი იდგა მირვანი თავისი ლაშქრით). მეორე მხრივ, არაბულენოვანი ავტორების იტინერარიუმების მიხედვით, საკვირველია, რომ ხუნანი მდებარეობდა დაახლოებით შუა გზაზე შამქორსა და გარდაბანს (ყალა იბნ-ქანდამანს) შორის[53]. ხოლო რამდენადაც ქართული წყაროების გარდაბნის შესატყვისი არაბული წყაროების იბნ-ქანდამანი უნდა მდებარეობდეს მდ. ქციასა და მტკვრის შესართავში[54], ამიტომ მათ შორის შუა მანძილზე მდებარე ხუნანი მდ. აღსტაფის შესართავთან კი არ უნდა ვეძიოთ და, მით უმეტეს ამ შესართავის აღმოსავლეთით (რადგან ასეთი ლოკალიზაციისას მდ. ბერდუჯად დღევანდელი აღსტაფა-ჩაი უნდა ჩაგვეთვალა[55], და ხუნანის დასავლეთით მომდინარედ გვევარაუდა, რაც როგორც ვიცით, გამორიცხულია), არამედ მისგან გაცილებით უფრო აღმოსავლეთით.

ხუნანის ლოკალიზაციისათვის სომხური წყარო კიდევ ერთ დეტალს გვაწვდის. გრიგოლ აკანელის მიხედვით, კოტმანის (ანუ იგივე ხუნანის) ველი მდებარეობს ციხე ტერუნაკანის წინ[56]. ტერუნაკანის ციხეს შამქორის სანახებში ათავსებენ. უფრო სწორად, ამ ციხე სიმაგრის ნანგრევები, რომელსაც დღეს „ტრკიან"-ს უწოდებენ, მდებარეობს მდ. თაუზ-ჩაის ქვემო წელზე, სოფ. ოქსუზლუს მახლობლად მაღალ მთაზე[57]. ამგვარად ცხადი ხდება, რომ ძველი წყაროების მდ. კოტმანი დღევანდელი თაუზ-ჩაია, ძეგამჩაის დასავლეთით და მის პარალელურად მიმდინარე, ხოლო კოტმანის ველი ანუ იგივე ხუნანის ველი კი—თაუზ-ჩაის და ძეგამჩაის ქვემო დინებათა ველი. სადღაც აქ მტკვრის პირას[58] უნდა

---

53 ამის შესახებ იხ. ლ. ჭილაშვილი, დასახ. ნაშრ., იქვე.

54 იქვე, გვ. 193.

55 იქვე, გვ. 199—202 და თანდართული რუკა.

56 გ რ ი გ ო ლ ა კ ა ნ ე ლ ი, გვ. 9.

57 Всеобщая история Вардана Великого, перевел Н. Эмин, 1861, 158, прим. 593; N. Բարխուդարեան, Աղբախ. Բագու, 1895.

58 იხ. დ. მუსხელიშვილი, ციხე-ქალაქი უჯარმა, გვ. 10.

ყოფილიყო ხუნანიც. შესაძლებელია იქ, სადაც მტკვრის პირისპირ-მთა — „თოფრახ-კალა“, რომლის სახელწოდებაც, აქვე დაეძენთ, ზუსტი თურქული შესატყვისია ხუნანის მეორე სახელწოდებისა— „მტუერის ციხე[59], რაც უნდა ნიშნავდეს „ალიზით ნაგებ ციხეს“[60].

ამგვარად, ზემოხსენებული წყაროების მიხედვით, სავარაუდოა, რომ „ქართლის ცხოვრების“ მდ. ბერდუჯი არის იგივე დღევანდელი მდ. ძეგამი და ე. ი. უძველესი საზღვარი ქართლისა და ალვანეთის სამეფოთა შორის ამ მდინარეზე უნდა გასულიყო. რომ კერძოდ, ჩვენთვის საინტერესო ხანაში (IV—V სს-ები) ეს საზღვარი, მართლაც, აქ გადიოდა, ამას გვიმოწმებენ თანამედროვე სომხური წყაროებიც. ელიშე ვარდაპეტი, V ს-ის მწერალი, გადმოგვცემს რა სპარსელთა წინააღმდეგ სომეხი ხალხის 451 წლის აჯანყების შესახებ, აღნიშნავს, რომ მარზპანი სებუხტი სპარსელთა ლაშქრით გამოემართა ვარდან მამიკონიანის წინააღმდეგ ჭორადან (ე. ი. დარუბანდიდან) „და გადავიდა დიდ მდინარეზე, (რომელსაც) სახელად მტკვარი (ეწოდება), და შეხვდა მას (ვარდანს, დ. მ.) ქართლის საზღვრის მახლობლად, ქალაქ ხალხალის პირისპირ, რომელიც ალვანეთის მეფეთა საზამთრო (საჯდომი) იყო“[61]. ამავე ამბავს ვკითხულობთ ლაზარე ფარპელთან, რომელიც მიუთითებს, რომ „სოფელი ხალხალი ალვანეთის მიწაზეა“[62]. ალიშანის მიხედვით, ხალხალი არის აწინდელი სოფ. ხალხანალი მდ. ზაკამზე[63]. ნ. ადონცის აზრითაც, აწინდელი თათრული სოფელი ხილხილა მდ. ზეგამზე უნდა იყოს ძველი ხალხალი[64]. მართლაც, რუსეთის გენ. შტაბის ხუთვერსიან რუკაზე მდ. ძეგამის ქვემო წელზე, მის მარჯვენა (ერთგან მარცხენა) მხარეს რამდენიმე ადგილას ნაჩვენებია სოფლები და საზამთრო ადგილები სახელით „ხეილიხანა“, რომელიც უნდა იყოს სომ-

---

[59] ქცა, I, გვ. 8.

[60] ასე უწოდებს ხუნანს „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი (ი. აბულაძის გამოც., 1955, გვ. 11).

[61] Եղիշեի Պատմութիւն Վարդանանց, Մ 1892, 70; ამასვე იმეორებს მოსე კალანკატუელი, იხ. Մովսէսի Կաղանկատուացւոյ Պատմութիւն Աղուանից Աշխարհի, Թ., 1913, 128.

[62] Ղազար Փարպեցւոյ Պատմութիւն Հայոց, Տ., 1904, 65; მოსე კალანკატუელით ხალხალა უტიქის მხარეშია, იხ. მისი ისტორია, გვ. 109.

[63] ელიშე: გვ. 205, შენ. 90 და 98 (გამომცემლის შენიშვნები).

[64] Н. Адонц, დასახ. ნაშრ., გვ. 223, შდ. V. Minorsky, Transcaucasica. Journal Asiatque. Juillet-Septembre, 1930, 85; სოფ. ხილხინა არის აგრეთვე მდ. აღსტაფის ქვემო წელზეც.

ხური წყაროების ხალხალი. ამის მიხედვითაც, მდ. ძეგამი (საგამოვანელი ბერდუჯი) ქართლისა და ალვანეთის საზღვარია V ს-ში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სომეხ ისტორიკოსს ფავტოს ბიზანტიელს (V ს.) დაცული აქვს საინტერესო ცნობა, რომელიც IV ს-ის 40-იანი წლების ბოლოს შეეხება. იგი გადმოგვცემს, რომ ამ დროს სომეხთა მეფეს არშაკს აუჯანყდნენ და გადაუდგნენ გუგარელთა პიტიახში, ძორის ჯევის უფალი, კოლბის ჯევის უფალი და მათთან ერთად გარდამანისჯევის უფალი[65]. როგორც ირკვევა, პირველი სამი ქართლს შეერთებია, ხოლო გარდამანისჯეველნი — ალვანეთს. ამავე საუკუნის 60-იანი წლების მიწურულს სომეხთა სპარაპეტი მუშეღ მამიკონიანი ლაშქრობს ქართლში და გუგარქს (ძორსაც და კოლბსაც?) დროებით კვლავ სომხეთს უერთებს[66]. მაგრამ 387 წელს გუგარქი საბოლოოდ ისევ ქართლის სამეფოს დაუბრუნდა[67].

3. რამდენადაც იმავე „სომხური გეოგრაფიით", როგორც ვიცით, ჯავახეთ-არტაან-კლარჯეთი გუგარქში ითვლებოდა, ხოლო ქართული წყაროებითაც ეს პროვინციები ქართლის სამეფოს ორგანული ნაწილები იყო, ამდენად უნდა დავასკვნათ, რომ IV ს-ის მეორე ნახევარში ივერიის სამხრეთი საზღვარი დაახლოებით იმავე ხაზს გაჰყვებოდა, რომელიც ლეონტი მროველის მიხედვით მისი თავდაპირველი საზღვარი იყო სომხეთთან, ე. ი. სომხეთისა და ქართლის სამეფოთა სამიჯნო ზონა იყო არაქსისა და მტკვრის აუზების წყალგამყოფი ქედი, დაწყებული მდ. ძეგამის სათავეებიდან, ვიდრე კლარჯეთამდე, შემდეგ კი კლარჯეთ-ტაოს გამყოფი მთები, ვიდრე ეგრისის სამეფოს ტერიტორიამდე ჭოროხზე (იხ. ზემოთ).

გასარკვევია მხოლოდ ძველი ქართული პროვინციის კოლას ვითარება ამ პერიოდში, რამდენადაც იგი უშუალოდ მტკვრის სათავეებს მოიცავს (არტაანის სამხრეთით და არსიანის ქედის აღმოსავლეთით), და ამდენად, ლეონტის მიხედვით, იმთავითვე ქართლს მიეკუთვნებოდა, მაგრამ „სომხური გეოგრაფიით" კი ტაოს შემადგენლობაში შედის და ე. ი. ამ დროს სომხეთში იგულისხმება.

„სომხური გეოგრაფიის" ვრცელი რედაქცია გადმოგვცემს, რომ ტაო შეიცავდა რვა ჯევს (გავარს), რომელთაგან „კოლი აღმოსავლე-

---

[65] История Армении Фавстоса, 123.

[66] იქვე, გვ. 162—163.

[67] I. Marquart, დასახ. ნაშრ., გვ. 116; H. Hübschmann, დასახ. ნაშრ., გვ. 275.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თის მხარესაა, საიდანაც გამოედინება მდ. მტკვრის ნაკადულ[illegible] ი. სათავეები, დ. მ.), სოფლიდან, რომელსაც ეწოდება კრიაკუნქი (ე. ი. მტკვრის წყაროსთვალი ანუ მტკვრისსათავე, დ. მ.); ხოლო მიდის (მტკვარი) დასავლეთით ფართოდ გაშლილი ხეობით და უხვევს ჩრდილოეთით არტაჰანისკენ" (ან არტაჰანთან, დ. მ.)[68].

ქართული წყაროებით კოლა დაკავშირებულია არა ტაოსთან, არამედ სწორედ არტაანთან და ამიტომ არის, რომ ეს ორი პროვინცია ხშირად ერთად ისხენიება, გარკვეული აზრით, ერთ ისტორიულ-გეოგრაფიულ ცნობას აღნიშნავს — „კოლა—არტაანი"[69]. ამის გამო, შესაძლებელია, მართლაც, ვიფიქროთ, რომ ზოგ შემთხვევაში ქართული „არტაანის" ცნება ფარავს „კოლას"[70]: რომ ამ ეარაუდს აქვს საფუძველი, ეს ჩანს ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანის მიერ ხმარებული ტერმინოლოგიიდან. მემატიანე ერთგან იხსენიებს „ქუენა არტანს და (ზენა) არტანს"[71]. რამდენადაც ორივე ეს პროვინცია მტკვრის სათავეებშია, ხოლო არტაანი ჩრდილოეთიდან უშუალოდ მოსდგამს კოლას, ამდენად შესაძლებელია „ზენა არტანი" კოლას შეესატყვისებოდეს[72]. საამისო საბუთის მოტანა შეიძლება უფრო გვიანი ხანიდანაც. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის" (XVI ს.) მიხედვით, ამ ვილაიეთის ერთ-ერთ პროვინციას შეადგენდა „დიდი არტაანის ლივა", რომელიც ტერიტორიული მოცულობით შეესატყვისება ქართულ არტაანს ერუშეთიანად. ცხადია, „დიდი არტაანი" გულისხმობს „პატარა არტაანის" არსებობასაც. მართლაც, XVII ს-ის თურქულივე წყარო ასახელებს პატარა თუ მცირე არტაანს, რომელიც უნდა შეესატყვისებოდეს სწორედ ქართული წყაროების კოლას. საინტერესოა, რომ ერთ, ახალციხური წარმოშობის ხელნაწერში მოხსენიებულია „ორნივე არტაანნი"[73].

ამგვარად, როგორც ვხედავთ, გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ადრეულ შუა საუკუნეებშიც ცნება არტაანისა ზოგ

---

68 Géographie, გვ. 35.

69 ქცა. I, გვ. 24, 38 (სქოლიო), 288.

70 პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრ., გვ. 494, 502.

71 ქცა, I, გვ. 365.

72 თუმცა შესაძლებელია „ზენა არტანი" ურუშეთს ნიშნავდეს, რადგან ეს არსიანისა და ერუშეთის მთის მომიჯნავე ტერიტორია ადრე შუა საუკუნეებში არტაანს მიეკუთვნებოდა (იხ. ქცა, გვ. 198).

73 ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი III, 1958, გვ. 498—511.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემთხვევაში ფართო მნიშვნელობით იხმარებოდა და ფარავდა კოლას, რომელიც, ქართული წყაროების მიხედვით, მჭიდროდ იყო დაკავშირებული (გეოგრაფიულად და, ალბათ, პოლიტიკურადაც) არტაანის პროვინციასთან. მაგრამ „სომხური გეოგრაფიის“ კოლა ტაოს ერთ-ერთ კანტონს წარმოადგენს. რომ ამ წყაროს მკაფიო მითითება სიმართლეს უნდა შეეფერებოდეს, ეს მოწმდება, ჯერ ერთი, თქმულებით იერუსალიმის სომხური მონასტრების შესახებ, რომელშიც სომეხ დიდგვაროვანთაგან მოხსენიებულნი არიან, გუგარელთა და ტაშირელთა გვერდით, კოლაელნიც[74] და, შემდეგ, იმ უეჭველი ფაქტით, რომ კოლას ტერიტორიაზე დასტურდება ტოპონიმი „ყარატაოხი“ (ანუ შავ-ტაოხი). საინტერესოა, როდინდელ ვითარებას ასახავს „სომხური გეოგრაფიის“ ეს ცნობა?

VIII ს-ის სომეხი ისტორიკოსი ლევონდი ამ საუკუნის 80-იანი წლების ამბების თხრობისას აღნიშნავს, რომ სომეხმა ნახარარებმა ვერ გაუძლეს არაბთა უღელს და წავიდნენ საბერძნეთში. მტერი მათ უკან დაედევნა და „მიეწია ქართლის ტერიტორიაზე კოლას ჰევში (გავარში)“. აქედან ცხადია, რომ VIII ს-ის ისტორიკოსისათვის კოლა ქართლის სამეფოს ტერიტორიაა და, როგორც ჩანს, — ეს უკვე დიდი ხნის მომხდარი ფაქტია[75]. რომ ეს, მართლაც, ასე უნდა ყოფილიყო, ამას, შესაძლებელია, ამოწმებდეს ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლი „წამებაჲ ყრმათა წმიდათაჲ რიცხჳთ ცხრათაჲ“, რომლის მიხედვით კოლა ორგანულ ქართულ პროვინციას წარმოადგენს[76]. თავის დროზე ნათლად იყო ნაჩვენები, რომ ძეგლი, როგორც ჩანს, რამდენიმეჯერ გადააკეთეს და შეამოკლეს. მისი დღემდე მოღწეული რედაქცია, თუმცა შეიძლება არც იყოს IX ს-ზე უფრო ძველი, მაგრამ ძველი დედანი ქართლში ქრისტიანობის გავრცელების უძველეს ხანაში უნდა შექმნილიყო იმ დროს, როდესაც წარმართობა ჩვენში ჯერ კიდევ ძლიერ იყო გავრცელებული

---

[74] Н. Адонц, დასახ. ნაშრ., გვ. 260, შენ. 1; აღსანიშნავია, რომ კოლა სომხეთში ეგულება ძვ. წ. II ს-ში მოსე ხორენელსაც, იხ. მისი დასახ. გამოცემა, გვ. 102 და 114.

[75] **Պատմութիւն Ղեւոնդեայ մեծի վարդապետի Հայոց, Ս-Պբ.**, 1887, 168. შდ. C. Toumanoff, Studies ... გვ. 457, შენ. 85. ამ ფაქტის თარიღად ავტორი 791 წ. დებს.

[76] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I, 1964, გვ. 183.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ფრიად ანგარიშგასაწევ ძალასაც წარმოადგენდა[77]. მარა, ...
კოლა ქართლის სამხრეთი მთიანეთის პროვინციაა, მაგრამ მისი შედარება კავკასიონის „მიყრუებულ კუთხეებთან“ (ლოპოტა, ფხოვი) და აქედან იმ დასკვნის გამოტანა, რომ კოლაშიც წარმართობას შესაძლებელია დიდი ხნის განმავლობაში შემოენახა თავი[78], არ უნდა იყოს სწორი, რადგან კოლა კულტურულ სამყაროსკენ (რომი-ბიზანტია, წინა აზია, სომხეთი) პირშექცეული პროვინცია იყო და ამასთანავე ერთ-ერთ მთავარ მაგისტრალზე იდო, რომელიც ქართლის შიდა მხარეებს ამ სამყაროსთან აკავშირებდა. ამგვარად, ძეგლის შექმნის თარიღი არ უნდა გადმოსცდებოდეს ქართლში ქრისტიანობის ოფიციალურ სარწმუნოებად გამოცხადების პირველ საუკუნეებს და, კერძოდ, V—VI საუკუნეებს[79]. ამის მიხედვით კი სავარაუდო ხდება, რომ კოლას პროვინცია არა თუ ეთნიკურად, პოლიტიკურადაც ამ პერიოდში უკვე ქართლში შემოდიოდა[79ა].

„ქართლის ცხოვრებაში“, ჯუანშერთან, დაცული გვაქვს ცნობა, რომ ვახტანგ გორგასალმა თავისი ცნობილი საეკლესიო რეფორმების შედეგად ერთ-ერთი საეპისკოპოსო დააარსა არტაანში, კერძოდ კი — ერუშეთში[80]. აქ, როგორც ვხედავთ, არტაანი ფართო ცნებას გამოხატავს და იგი ერუშეთსაც მოიცავს. შესაძლებელია ერუშეთთან ერთად არტაანი ამ შემთხვევაში კოლასაც (-მცირე არტაანი) მოიცავდეს. ვახტანგ გორგასლის დროს ეს ძველი ქართული პროვინცია რომ ქართლის სამეფოს მიეკუთვნებოდა, შესაძლებელია, ჩანდეს იმავე ჯუანშერის კიდევ ერთი ჩვენებიდან: ვახტანგ გორგასლის სიცოცხლის ბოლოს ბერძენთა კეისარი „გამოვიდა სპერად, გამოსლვად ქართლს... დაადგრა კარნუქალაქსა. და მივიდა მუნ ხუასრო (სპარსეთის შაჰი, დ. მ.), და შეიბნეს ხუასრო და კეისარი კარნიფორასს... და ვერ სძლეს ერთმანეთსა, რამეთუ სპანი ორთანივე დაიკოცნეს, და შეიქცა ხუასრო გზასა ქართლისასა“[81]. ის რომ კარნიფორადან „შეიქცა ხუასრო გზასა ქართლისასა“ შესაძლებელია მოწმობდეს, რომ პროვინცია კოლა ქართლში ეგულე-

---

[77] ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, წიგნი I. 1921, გვ. 32—39.

[78] იქვე, გვ. 33—34.

[79] ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, წიგნი I. გვ. 33, პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრომი, გვ. 500—505.

[79ა] შდ. C. Toumanoff. Studies... 456.

[80] ქცა. I. გვ. 198.

[81] იქვე, გვ. 203.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა ამ დროს მემატიანეს. საქმე ის არის, რომ კარნიფორა (სომხურიდან) კარმირფორიდან ან კარმირფორაკიდან) ეწოდებოდა მთიანეთს, რომელიც ტაოს აღმოსავლეთიდან საზღვრავდა, გამოჰყოფდა მას ვანანდისაგან (ქალაქ კარის პროვინციისაგან) და გადაჭიმული იყო კოლადან ბასიანამდე, ე. ი. მტკვრის სათავეებიდან არაქსის სათავეებამდე[82]. კოლაზე და კარნიფორაზე გადიოდა არაერთი მთავარი მაგისტრალი, რომელიც ქართლის შიდა პროვინციებს ბასიან-სპერთან აკავშირებდა[83]. ამიტომ სავარაუდო ხდება, რომ ხოსროს სწორედ ეს მაგისტრალი უნდა გამოეყენებინა და რადგან კარნიფორაზე იდო „გზა ქართლისა", ეს უნდა მოწმობდეს, რომ ამ დროს ქართლი უშუალოდ ესაზღვრებოდა კარნიფორას. კარნიფორას მოსაზღვრე ქართლის პროვინცია კი V ს-ის მეორე ნახევარში შესაძლებელია ყოფილიყო მხოლოდ კოლა. ამგვარად, სავარაუდოა, რომ ვახტანგ გორგასლის დროს კოლა ქართლის სამეფოს ერთ-ერთ ჰევს წარმოადგენდა, ხოლო მისი უკან დაბრუნება კი უნდა მომხდარიყო ამაზე უწინარეს, ე. ი. V ს-ის პირველ ნახევარში. ამგვარად, „სომხური გეოგრაფიის" ცნობა იმის შესახებ, რომ კოლა ტაოს კანტონია, უნდა ასახავდეს IV ს-ის მეორე ნახევრის ან V ს-ის დასაწყის პერიოდს. უფრო გვიან რომ მომხდარიყო ეს ფაქტი (ქართლის მიერ კოლას პროვინციის უკან დაბრუნება), როგორც ზემოთ ვნახეთ, თითქოს გამორიცხულია, ხოლო ამაზე უადრეს პერიოდში რომ ჰქონოდა ამას ადგილი, უეჭველია, მაშინ ავტორი საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ მისი დროისთვის კოლა ქართლშია, ისევე, როგორც ეს აქვს აღნიშნული, მაგალითად, გუგარქის მიმართ.

4. ორიოდე სიტყვით კვლავ გუგარქის ვითარებას უნდა შეეხოთ. როგორც ზემო იყო აღნიშნული, IV ს-ის მეორე ნახევარში

---

[82] დავით აღმაშენებელი გადაწყვეტს ტაოში ჩამომდგარი თურქების გაძევებას. იგი კლარჯეთში საიდუმლოდ ჰკრებს ჯარს და ამის შემდეგ უტევს თურქებს „უშიშრად გულდებითა მსხდომარეთა (ტაოში, დ. მ.) ბასიანამდე და მთად კარნიფორისად" (ქ^{ცა}, გვ. 333): ბასიანი ტაოს სამხრეთითაა, დავითი უტევს ჩრდილოეთიდან (კლარჯეთი); საფიქრებელია კარნიფორა ტაოს აღმოსავლეთითაა. იგივე დავით „წარემართა ლაშქრითა, განვლო ჯავახეთი, კოლა, კარნიფორა, ბასიანნი სპერამდის ... (შემდეგ უკან მობრუნდა) ... ჩამოვლო ბუღთა—ყური და დაწუნა ოლთისნი" (იქვე, გვ. 344) კარნიფორა კოლა — ბასიანს შორისაა და ტაოს (ბუღთა-ყური, ოლთისი), ცხადია, აღმოსავლეთით. შდ. ჰ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრ., გვ. 493, 529.

[83] იხ. წინა სქოლიო (ქ^{ცა}, 1, გვ. 344). აგრეთვე, დ. მუსხელიშვილი, „მთა ქართლის" ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლისათვის, კრებ. „კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები", 1966, გვ. 182.

ეს ტერიტორია კვლავ დაუბრუნდა ქართლის სამეფოს, მაგრამ V ს-ის პირველ ნახევარში მდგომარეობა, ჩანს, ისევ იცვლება. საქმე ის არის, რომ V ს-ის სომეხი ისტორიკოსები (ელიშე ვარდაპეტი, ლაზარე ფარპელი) ამ საუკუნის 50-იანი წლებისათვის იხსენიებენ ტაშირის თუ ტაშირელთა მთავარს ვრენს, უეჭველია, როგორც სომეხ წარჩინებულთა წარმომადგენელს[84]. ამავე დროს იგივე ლაზარე ფარპელი აღნიშნავს, რომ ამავე ხანებში ქართველთა პიტიახში იყო აშუშა[85]. იგივე აშუშას იცნობენ მოსე ხორენელი და კორიუნი (V ს.). პირველის სიტყვით, როდესაც მესროპ-მაშტოცი ხურსი გარდმანელთან იყო, იგი „იქიდან მოპატიჟებული იქნა გუგარელთა პიტიახშ აშუშას მიერ... თავის სამთავრო ტაშირის ჟევში (გავარში)"[86]. კორიუნის სიტყვით, რომელიც ამავე ეპიზოდს ეხება, ქართლში არჩილის მეფობის დროს (დაახლოებით V ს-ის 20-იანი წლები) მეორედ მოდის მაშტოცი და ქადაგებს ჭეშმარიტ სარწმუნოებას. „მაშინ ტაშირელთა მთავარმა, პატიოსანმა და ღმრთისმოყვარე კაცმა, რომელსაც ეწოდებოდა აშუშა, მას ჩააბარა თავისი თავი თავისი ქვეყნითურთ (გავარითურთ)... (ხოლო მაშტოცმა) მიანდო ისინი წმიდა ეპისკოპოს სამუელს, იმას, რომელიც ზემოთ მივუთითეთ, თვით (მაშტოცი) კი მობრუნდა დიდი სომხეთის მხარეებში და მოვიდა ჩვეულ ადგილებში"[87].

კორიუნის, ჩვენი თვალსაზრისით საინტერესო, ცნობიდან ცხადია, რომ იგი ტაშირს არ თვლის „დიდი სომხეთის" მხარედ და მიიჩნევს სწორედ ქართლის ქვეყნად, რაც, გარდა კონტექსტში გადმოცემული რეალური ვითარებისა (არჩილ მეფესთან მოღვაწეობა, შემდეგ—ტაშირში და შემდეგ—სომხეთში), დასტურდება აგრეთვე იმითაც, რომ ეპისკოპოსი სამუელი, რომელსაც მაშტოცმა მიანდო ტაშირელები, არის „ზემოხსენებული" ქართლის სამეფო კარის (ამ დროს მეფედ ბაკურია) ეპისკოპოსი სამუელი[88]. რომ მოსე ხორენელის გუგართა პიტიახში და ტაშირის მთავარი აშუშა ანუ კორიუნის ტაშირელთა მთავარი აშუშა (V ს-ის ოციანი წლები) არის იგივე ლაზარე ფარპელის ქართველთა პიტიახში ანუ ქართველთა მთავარი

---

[84] ლ ა ზ ა რ ე ფ ა რ პ ე ლ ი, გვ. 75 და 86 ელიშე, გვ. 92 და 173.

[85] ლ ა ზ ა რ ე ფ ა რ პ ე ლ ი, გვ. 52 და 107: აქ აშუშა ქართველთა მთავრად არის მოხსენებული.

[86] მ ო ს ე ხ ო რ ე ნ ე ლ ი, გვ. 356—357.

[87] კ ო რ ი უ ნ ი, 30.

[88] იქვე, გვ. 23. შდ. ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტ. შესავალი, I, გვ. 27.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აშუშა (V ს-ის 50-იანი წლები), ეს მოწმდება ალვანთა ისტორიკოსის მოსე კალანკატუელის ცნობით: გარდმანიდან მაშტოცი მოდის იმავე „აშუშა (შეცდომით წერია: ჰაშტუშტ) ქართველთა პიტიახშთან“[89]. ეს აშუშა ანუ არშუშა ქართული წყაროებითაც კარგადაა ცნობილი. იაკობ ცურტაველი თავის ცნობილ თხზულებაში „მარტვლობაჲ შუშანიკისი“ პირველი სტრიქონებიდან გვამცნობს, რომ „ვარსქენ პიტიახში ძჱ არშუშაჲსი“ იყო[90]. კიდევ უფრო ცხადჰყოფს ამას ამავე თხზულების სომხური ტექსტი, სადაც ვკითხულობთ: „და იყო მას ჟამსა მეფობისა სპარსთაჲსასა პიტიახში ვინმე სოფლისა მის ქართლისა, რომლისა სახელი ვაზგენ, ძჱ აშუშა პიტიახშისაჲ“[91]. ვარსქენ პიტიახშის რეზიდენცია იყო დაბა ცურტავში, რომელიც სომეხი ისტორიკოსის უხტანესის მიხედვით, ვრაც-დაშტში მდებარეობდა[92]. ვრაც-დაშტი კი ეწოდებოდა მდ. ქციის (ხრამის) ქვემო წელის ვაკეს, რომელიც ამავე დროს ფართოდ გაგებულ ტაშირში შედიოდა[93]. ე. ი. ფაქტიურად, ვარსქენიც ტაშირის მთავარი იყო, რაც თავისთავად ემოწმება იმ სომეხი ისტორიკოსების ჩვენებას, რომლის მიხედვით, მისი მამა არშუშა პიტიახში ტაშირის თუ ტაშირელთა მთავარია (მოსე ხორენელი, კორიუნი).

ამგვარად, სურათი თითქოს ნათელია: V ს-ის ოციან-ორმოცდაათიან წლებში ქართლის პიტიახშია არშუშა, რომელიც ამავე დროს არის ტაშირის მთავარიც. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ამავე საუკუნის 50-იან წლებში ცნობილია ვრენ ტაშირელთა მთავარიც. როგორ შევათანხმოთ ეს ორი თითქოს ურთიერთგამომრიცხველი ფაქტი? ამის იმით ახსნა, რომ კორიუნის ცნობა მაშტოცის ქართლში მოღვაწეობაზე გვიანდელი ჩანართია[94], არ უნდა იყოს დამაკმაყოფილებელი: გარდა იმისა, რომ საამისო ცნობა მოსე ხორენელთანაც არის დაცული, როგორც ზემოთ ვნახეთ, თანადროული ქართული

---

[89] მ. კ ა ლ ა ნ კ ა ტ უ ე ლ ი, 192.

[90] ი ა კ ო ბ ც უ რ ტ ა ვ ე ლ ი, მარტვლობაჲ შუშანიკისი, ქართული და სომხური ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა, ვარიანტები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ილია აბულაძემ: 1938 , გვ. 3.

[91] იქვე.

[92] Deux historiens. arméniens Kiracos de Gantzac, XIIIe s. Histoire d'Arménie; Oukhtanès d'Ourha, Xe s., Histoire en trois parties. Traduit par M. Brosset, 2e livraison. St. Petersbougr, 1871, 295—296.

[93] დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, აღჯაყალა — გაგის ციხე, გვ. 128.

[94] ლ. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, ლაზარე ფარპელის ცნობები საქართველოს შესახებ, 1962, გვ. 189.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წყაროდანაც სავარაუდოა, რომ არშუშა ტაშირის მთავარი იყო. მართალია, ლაზარე ფარპელთან, რომელიც სარგებლობდა კორჟუნის თხზულებით, არაფერია ნათქვამი მესროპ მაშტოცის ქართლში მოღვაწეობის შესახებ; მართალია ისიც, რომ კორჟუნთან დაცული ცნობა მაშტოცის მიერ ქართული ანბანის შექმნის შესახებ გვიანდელი ინტერპოლაციაა[95], მაგრამ არაა გამორიცხული, რომ მაშტოცის მიერ ქრისტიანობის ქადაგება ქართლში, და კერძოდ, ტაშირში რეალური ამბავი იყოს. ამას გვავარაუდებინებს ისეთი კონკრეტული რეალიები ამ ცნობაში, როგორიცაა არჩილ ქართლის მეფის ან სამოელ სამეფო კარის ეპისკოპოსის ხსენება. ყოველ შემთხვევაში VII ს-ის დამდეგს ქართლის კათალიკოსისთვის საკამათო არ ყოფილა მაშტოცის ქართლში მოღვაწეობა[96], რაც ამ თვალსაზრისით უმნიშვნელო ფაქტი არ არის. თუ ეს სწორია, მაშინ სრულიად რეალურ ხასიათს იღებს კორჟუნისა და მოსე ხორენელის მიერ V ს-ის ოციანი წლებისათვის გადმოცემული ისტორიულ-გეოგრაფიული ვითარება. მაინც როგორ უნდა აიხსნას ერთდროულად ორი, ქართველი და სომეხი მთავრის არსებობა ტაშირში?

ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი იმის შესახებ, რომ ტაშირი ქართულ და სომხურ წყაროებში ორნაირი, ფართო და ვიწრო, მნიშვნელობით იხმარებოდა[97]. პირველ შემთხვევაში ეს იყო ტერიტორია „სკვრეთისა მდინარითგან (დღ. ვერის ხეობა, დ. მ.) ვიდრე მთამდე, რომელ არს ტაშირი და აბოცი“[98]. მეორე შემთხვევაში — ლორე-ტაშირის ზეგანი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სწორედ ამ უკანასკნელი ერთეულის მთავარი უნდა ყოფილიყო V ს-ის 50-იან წლებში ვრენი, ხოლო არშუშა იყო დანარჩენი ტაშირის (და გუგარქის) მთავარი და პიტიახში[99].

ამგვარად, უნდა ვიფიქროთ, რომ მას შემდეგ, რაც IV ს-ის ბოლოსთვის გუგარქი, კოლბის და ძორის ხევებით ქართლს შეუერთდა, მისი ერთი ნაწილი, უკიდურესი სამხრეთი პროვინციები — საკუთ-

---

95 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი სომხური საისტორიო მწერლობა, 1935, გვ. 160; ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 030—041.

96 ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 038, 048 და 93.

97 დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 127—128.

98 ქ-ცა, I, I, გვ. 24.

99 ფსევდო-გაჰნამაკში სომეხ წარჩინებულთა შორის დასახელებული არიან: „ტაშირელნი“, „ქართველნი“ და „კლარჯნი“ (იხ. Н. Адонц, დასახ. ნაშრ., გვ. 257—259). მაგრამ ეს ნატყუარი ძეგლია, თვით გაჰნამაკიც VII ს-შია შექმნილი სიძველისმოყვარეთა მიერ (იქვე, გვ. 277 და 295).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რივ ტაშირი (ლორე-ტაშირის ზეგანი), ალბათ მის სამხრეთით, მდებარე კანგარქითურთ, კვლავ სომხეთს მიუერთებია. მაგრამ V ს-ის მეორე ნახევარში ქართლს ლორე-ტაშირის ზეგანი ისევ უკან დაუბრუნებია. მხედველობაში გვაქვს ლაზარე ფარპელის მიერ დაცული ერთი ეპიზოდი: ვახტანგ გორგასალი ატყობინებს სომეხთა სპარაპეტს, ვაჰან მამიკონიანს, რომ ქართლში შემოიჭრა სპარსელთა დიდი ლაშქარი და რადგან შეუძლებელი იყო მასთან გამკლავება, ამიტომ ვახტანგი გაეცალა სპარსელებს „სომხეთის მთებში, ქართლის საზღვრების მახლობლად“ და აქ უცდიდა სომხებს. ესენიც ვაჰანის მეთაურობით „სასწრაფოდ მივიდნენ ქართლის მეფესთან და დაიბანაკეს ცოტა ხნით კანგარის ჯევში (გავარში)“[100]. აქედან შესაძლებელია ივარაუდო, რომ ის მთები, სადაც ვახტანგი იყო გაჩერებული, კანგარში მდებარეობდა და თვით კანგარი წარმოადგენდა საზღვრო ზონას ქართლსა და სომხეთს შორის. ხოლო რამდენადაც ეს მხარე, როგორც ვიცით, გუგარქის უკიდურესი სამხრეთი თემი იყო და მას ჩრდილოეთიდან უშუალოდ ეკრა ლორე-ტაშირის ზეგანი, ამდენად უეჭველია, რომ V ს-ის 80-იან წლებში, რა დროსაც ხდება აწერილი ამბავი, ეს ტერიტორია ქართლის სამეფოში იგულისხმება. არ არის გამორიცხული, რომ თვით კანგარიც ქართლში შემოდიოდა[101].

ზემოთქმულის შედეგად უნდა დავასკვნათ, რომ V ს-ის მეორე ნახევარში ქართლის სამეფოს საზღვარი სომხეთთან გადიოდა სწორედ იმ ხაზზე, მტკვრისა და არაქსის წყალგამყოფ ქედზე, რომელიც ლეონტი მროველის მიერ ნაჩვენებია, როგორც ქართლის სამეფოს თავდაპირველი სამხრეთი საზღვარი[102]

5. ჩრდილოეთით თავდაპირველი საზღვარი, როგორც ვვარაუდობდით, კავკასიონის ქედის მთავარ შტოზე უნდა გასულიყო და ზოგიერთი პროვინცია, რომელიც შუა საუკუნეებში ქართლის სამეფოს ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა, იმ დროს, ფაქტიურად,

---

100 ლ ა ზ ა რ ე ფ ა რ პ ე ლ ი, გვ. 132.

101 შდ. Н. Адонц. დასახ. ნაშრ., გვ. 222. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წ. I, გვ. 29.

102 რაც შეეხება აშოცს, მდ. ახურიანის სათავეებში, რომელიც ფაქტიურად არაქსის აუზს მიეკუთვნება, როგორც აღვნიშნეთ, ლეონტი მროველის მიხედვით, ფარნავაზის დროს ქართლში შემოდის. არც ეს ცნობაა მოკლებული რეალურ ისტორიულ ღირებულებას, რადგანაც ჩვენ ვიცით, რომ მოსე ხორენელის მიხედვითაც ეს მხარე გუშარას ჩამომავალს ეძლევა საგამგეოდ (შდ. ლ.—ნ. ჯანაშია, დასახ. ნაშრ., გვ. 188).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის გარეთ უნდა ყოფილიყო (დვალეთი, თრუსო, ხევი, პირველ ... ხევსურეთი, თუშეთი). მაგრამ მთის ამ პროვინციების შემომტკიცების პროცესი უძველესი ხანიდანვე დაიწყო და IV ს-თვის უკვე გარკვეული ცვლილებებია ამ მხრივ მომხდარი. კერძოდ, უკვე ძველი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში, თუ უფრო ადრე არა, ხევი დარიალის ხეობით ქართლის სამეფოს საზღვრებშია[103], ხოლო ჩვ. წ-ის პირველ საუკუნეში კი აქ უკვე გზის ჩამკეტი ციხესიმაგრეა დადასტურებული, რის გამოც ქართველთა ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული ჩრდილო-კავკასიელ მომთაბარეთა შემოშვება ამიერკავკასიაში[104]. ამიტომაც ამ ვიწრო გასასვლელს ძველ წყაროებში ხშირად „იბერიის კარი“ ეწოდება, ხან კიდევ „კავკასიის“ ან „კასპიის კარი“. ქართველები მას „ოვსთა კარს“ უწოდებდნენ, რადგან აქედან უშუალოდ ოსეთ-ალანეთი ემიჯნებოდა მათ, ხოლო სპარსელები კი — „დარიალანს“ (-იგივე ოვსთაკარს). ეს უკანასკნელი სახელი შემორჩა მას დღემდე (დარიელა, დარიალი).

ამგვარად, უკვე ძველი წ-ის 1 საუკუნეში ქართლის სამეფოს ჩრდილო საზღვარი შორს არის ჩრდილოეთით გაზიდული კავკასიონის მთავარ ქედს იქით. მაგრამ ეს არ უნდა ნიშნავდეს, რომ ასეთი ვითარებაა მთელი საზღვრის სიგრძეზე. ასე მაგალითად, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ მოგვითხრობს ნინოს მიერ ქართლის მთიელთა „მოქცევის“ შესახებ: ნინო „გარდავიდა: ერწოდ და დადგა: ჟალეთს. დაბასა ედემს. და ნათელსცა ერწუთიანელთა: და ყუარელთა: ესმა ესე და გარდაკრბეს თოშეთა: რᲬნი უკუანაჲსკნელ იპოვნეს. თრდატ მეფემან მოიყვანნა: და მონათლნა“[105]. აქედან თითქოს სავარაუდო ხდება, რომ ჯერ კიდევ IV ს-ის ნახევარში თუშეთი ქართლის პოლიტიკური გავლენის გარეშე რჩებოდა. მაგრამ მთის ათვისების პროცესი ამ დროისათვის, რა თქმა უნდა, შორს წასულია და უკვე, ყოველ შემთხვევაში, V ს-ის მეორე ნახევარში, ვახტანგ გორგასლის დროს ქართლის მთიანეთი პოლიტიკურად ქართლის სამეფოში შემოდის (ამის შესახებ ქვემოთ).

დასავლეთის საზღვარზე, რომლითაც ქართლი ეგრისს ემიჯნებოდა, უკვე გვქონდა ლაპარაკი: იგი IV ს-ის ბოლოსთვის და V ს-ის პირველ ნახევარში გადიოდა ლიხის მთაზე, რომელსაც „სომხური

---

[103] თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 129; ს. ჯანაშია, შრომები, II, გვ. 251.

[104] ს. ჯანაშია, იქვე, გვ. 251—252.

[105] OP, გვ. 716—717.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეოგრაფიის“ ვრცელი რედაქცია „არგვეთის მთებს“ უწოდებს[106] შემდეგ — აჭარა-ახალციხის ქედზე და შიდა-ქართლს, სამცხე, აჭარას გამოჰყოფდა არგვეთისა და ლაზეთისაგან.

ცვლილებებია ამ დროისთვის მომხდარი ქართლის სამეფოს აღმოსავლეთ საზღვარზე. თუ სამხრეთის ტერიტორიას სომეხთა ექსპანსიის შედეგად უძველესი დროიდანვე ახასიათებდა შეკუმშვის ტენდენცია, აღმოსავლეთის საზღვარს, პირუკუ, გაფართოების ტენდენციას ვამჩნევთ და ეს ერთგვარი კომპენსაცია უნდა ყოფილიყო სამხრეთის დროებით წაღებული ტერიტორიისა. თუკი უძველეს დროს საზღვარი ქართლისა და ალვანეთის სამეფოებს შორის დაახლოებით რუსთავ-გომბორის ხაზზე და შემდეგ თურდოს და შტორისხევის ხაზზე გადიოდა (იხ. ზემოთ), ჩვ. წ-ის პირველ საუკუნეში ეს მიჯნა ალაზნის ქვემო წელზე იყო გაწეული, ხოლო IV ს-ის მეორე ნახევარში დღევანდელი ყარაიის ველი, გარეჯის მონასტრების კომპლექსის ტერიტორია, მდ. იორის ქვემო დინების მარცხენა სანაპირო სოფ. ბოდბემდე, შიგნიკახეთის და ალაზნის გაღმა მხრის ნაწილი უშუალოდ ქართლის სამეფოში შემოდიოდა. ალვანეთის სამეფოს დასავლეთი ნაწილი (კამბეჩანი — ალაზნის ქვემო დინების მარჯვენა ნაპირი, ივრის ქვემო დინების ველი მტკვრამდე, ე. ი. დაახლოებით დღ. ქიზიყი; საკუთრივ ჰერეთი — შიგნიკახეთის აღმოსავლეთი ნაწილი, გაღმამხრის აღმოსავლეთი ნაწილი, დაწყებული სოფ. ყვარლიდან საინგილოს ჩათვლით) ვასალურ დამოკიდებულებაში დარჩა ქართლთან[107].

6. ამ პერიოდის ქართლის სამეფოს შინაგანი ტერიტორიული დანაწილებისათვის შესანიშნავ წყაროს წარმოადგენს „სომხური გეოგრაფია“. სათანადო ჩვენებებს იძლევა „ქართლის ცხოვრებაც“ და „მოქცევაჲ ქართლისაჲ“.

„სომხური გეოგრაფიის“ ანუ „აშხარაცუიცის“ შედგენის თარიღი დღემდე სადავოა და V—X საუკუნეთა ფარგლებში მერყეობს[108]. როგორც არ უნდა გადაწყდეს მისი საბოლოო რედაქციის თარიღის საკითხი, ერთი რამ ჩვენთვის ცხადია: არსებითად იგი არ შეიძლება ასახავდეს VII ს-ის პირველ ნახევარზე გვიანდელ ვითარებას, რამდენადაც ამიერკავკასიის და, კერძოდ, საქართველოს ტე-

---

106 Géographie, გვ. 28.

107 იხ. დ. მუსხელიშვილი, ციხე-ქალაქი უჯარმა, გვ. 31—46, 58—61.

108 ამის შესახებ იხ. Я. А. Манандян, Когда и кем была составлена «Армянская География» приписываемая Моисею Хоренскому, ВВ, т. I, 1947, 127—143.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორიტორიის ისტორიული გეოგრაფია VII ს-ის შუახანებიდან და, მით უმეტეს, უფრო გვიან სრულიად სხვაგვარ სურათს იძლევა, რაზედაც სხვაგან დავრწმუნდებით.

ზემოთ უკვე აღნიშნული იყო მოსაზრება, რომ ამ ძეგლის მონაცემები საქართველოს შესახებ სავარაუდოდ IV ს-ს უნდა ეკუთვნოდეს. ჩვენი მხრით შევეცადეთ კიდეც გვეჩვენებინა, რომ კონკრეტული ისტორიულ-გეოგრაფიული რეალიები გვიდასტურებენ, რომ „სომხური გეოგრაფიის“ მიერ წარმოდგენილი სურათი ეგრისისა სწორედ IV ს-ის მეორე და V ს-ის პირველ ნახევარზე მიუთითებს. ასეთივე კვლევა, ვფიქრობთ, იმაზეც დაგვარწმუნებს, რომ ქართლის მიმართაც ანალოგიური ვითარებაა.

უკანასკნელ ხანში გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ თუმცა ამ ძეგლის საბოლოო რედაქცია VI—VII საუკუნეთა მიჯნას ეკუთვნის, მაგრამ ამიერკავკასიის მიმართ აქ გამოყენებულია აგრეთვე IV ს-ის, კერძოდ, მისი პირველი ნახევრის ვითარების ამსახველი მასალები.[109]

ჩვენი თვალსაზრისის დასაბუთებას გზადაგზა შევეცდებით, აქ კი ორიოდე სიტყვით უნდა შევეხოთ „სომხური გეოგრაფიის“ სხვადასხვა რედაქციების ურთიერთმიმართების საკითხს.

ცნობილია, რომ ჩვენთვის საინტერესო ძეგლი ორი რედაქციით არის ჩვენამდე მოღწეული: ვრცელი, რომელიც გამოცემულია ვენეტიკში[110] და მოკლე — გამოცემული პეტერბურგში[111]. ამათ გარდა, კიდევ არსებობს ერთი მოკლე რედაქცია, გამოცემული პარიზში, რომელიც ოდნავ უფრო ვრცელია პეტერბურგისეულისაზე და ამიტომ სიმოკლისათვის ჩვენ შემოკლებულ რედაქციას ვუწოდებთ[112]. თუმცა არც ერთი მათგანი უშუალოდ ერთიმეორისაგან არ უნდა მომდინარეობდეს[113], მაგრამ ვრცელი რედაქცია, ჩვენი აზრით, უძველესი უნდა იყოს და სწორედ მისი მსგავსი რედაქციისაგან უნდა იყვნენ დამოკიდებულნი დანარჩენნი. ამას ცხადყოფს ტექსტების ურთიერთშედარება.

ასე მაგალითად, ქართლის „ხევების“ („გავარების“) ჩამოთვლისას ვრცელ რედაქციაში, სხვათაშორის, აღნიშნულია: (№ 12) „Դւան և

---

[109] Ս. Տ. Երեմյան, Հայաստան ըստ „Աշխարհացույց“-ի, Երևան, 1963, 14 და შემდ.

[110] Géographie, ა. სუქრიანის გამოცემა.

[111] Армянская география, კ. პატკანოვის გამოცემა.

[112] J. Saint-Martin, Mémoires historique... т. II.

[113] Я. А. Манандян, დასახ. ნაშრ., გვ. 128.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(№ 13) *Աչէւէխսխ և*"—[114] ანუ დვანი და აჩაბეთისხევი. ამის ფარ-
დად შემოკლებულ რედაქციაშია: (№ 16) „*Խաչաւ և* (№ 17) *Դուան*
(№ 18) *Էտիմխ*"[115]. ხოლო მოკლეში: (№ 15) „*Աչալի և* (№ 16)
Գուան (№ 17) *Երիսխք*".[116] შედარებიდან აშკარაა, რომ მოკლე
რედაქციის №№ 15 და 17 და შემოკლებულის №№ 16 და 18
მომდინარეობს ვრცელის № 13-დან. ამავე დროს აშკარაა, რომ შე-
მოკლებული და მოკლე რედაქციები ურთიერთდამოკიდებულია, რა-
საც მოწმობს „დვანის" პოზიცია და კავშირი (*և*) მის წინ.

მეორეგან ვრცელ რედაქციაში აღნიშნულია ქართლის ერთერ-
თი ხევი, რიგით № 14: *Քորդիթիրիկոսխև*. ამის შესატყვისი შემოკ-
ლებულში გვაქვს: (№ 19) *Քոդիթ* (№ 20) *Կրիզխ*, (№ 21) *Կոսխ*.
მოკლეში: (№ 18) *Քուդիդ*, (№ 19) *Կոսխ*. აქედანაც აშკარა უნდა
იყოს, რომ შემოკლებული რედაქციის №№ 19—21 მიღებულია
ვრცელის № 14-ის დაშლის შედეგად: (№ 14_1) *Քորդիթ* (№ 14_2)
Իրի [>*Կրիզխ*<] (№ 14_3) *Կոսխ* [-*և*]. მხოლოდ ამგვარი დაშლის
შემდეგ შესაძლებელია ამოვარდნილიყო შუა ნაწილი [*Իրի—Կրիզխ*]
და მიგვეღო მოკლე რედაქციის №№ 18—19.

ზემოთქმული გვიჩვენებს, რომ „სომხური გეოგრაფიის" თავ-
დაპირველი ტექსტი ყველაზეე უკეთ შემონახულია ვრცელ რედაქ-
ციაში, რომლის მსგავსისაგანაც უნდა იყოს დამოკიდებული შემოკ-
ლებული და მოკლე რედაქციები. ეს, რა თქმა უნდა, არ გამორიც-
ხავს იმას, რომ, როგორიც არ უნდა იყოს ამ რედაქციათა გენეალო-
გია, თითოეულში შესაძლებელია კიდევ უფრო გვიანდელი ინტერ-
პოლაცია შეგვხვდეს[117].

ზემოხსენებულის გამო ჩვენ საფუძვლად ავიღებთ „სომხური
გეოგრაფიის" ვრცელ რედაქციას და თან ვუჩვენებთ იმ ვარიან-
ტულ კითხვასხვაობებს თუ დამატებებს, რომლებსაც ამ წყაროს
შემოკლებული თუ მოკლე რედაქციები იძლევა.

ვრცელი რედაქცია ქართულში შემავალი პროვინციების ანუ
„ჰევების" ჩამოთვლას იწყებს ჭოროხის მდინარიდან ტაოს ჩრდი-
ლოეთით და მოჰყვება აღმოსავლეთისაკენ:

---

114 Géographie, 28.

115 J. Saint-Martin, 358.

116 Армянская география, 17.

117 ერთ-ერთი ასეთი ინტერპოლაცია უნდა იყოს ცნობა თბილისის დედაქალა-ქობის შესახებ. შდ. ს. კაკაბაძე, ქართული სახელმწიფოებრიობის... გვ. 44—45.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. კლარჯეთი (სენ-მარტ.: კლარჯეთი; პატკ.: კლარჯეთი)
2. შავშეთი (პატკ.: შავშედი)
3. არტაანი
4. ჯავახეთი
5. სამცხე
6 გოროთისხევი (სენ-მარტ: თურგავათისხ(ევი); პატკ.; გორ-გოვათის(ხევი)
7. ტუნისხევი (სენ-მარტ.: ტარნესხ(ევი); პატკ.: ტორნისხევი)
8. მანგლიაცფორი (სენ-მარტ.: მანკლიაცფორი)
9. ბოლნოფორი (სენ-მარტ.: ფოლნაფორი)
10. პარუარი, რომელიც თბილისს გარს აკრავს (პატკ.: აკლია)
11. თარი (სხვა რედაქციებში არ არის)
12. დვანი (სენ-მარტ.; დუანი; პატკ.: გუანი)
13. აჩვეტისხევი (სენ-მარტ.: ხაჩავ+ეტიმხ; პატკ.; აჩაჲ+ერისხ).
14. ქორდითირიკოსხევი (სენ-მარტ.: ქოდით+კრიზხ+კოსხ; პატკ.: ქუდიდ+კოსხ).
15. საცხუმეთი კავკასის ძირობაზე (სენ-მარტ.: საწხუმეთი)
16. ხარნისხევი (სენ-მარტ.: კანისხ(ევი); პატკ.: აკლია)
17. ცხრასძმაჲ (სენ-მარტ., ცხნასძმაჲ; პატკ.: აკლია)
18. წოფოფორი (სენ-მარტ.: წორბაფორი: პატკ.: აკლია)
19. კოლბოფორი (სხვა რედაქციებში არ არის)
20. ძოროფორი ჰნარაკერტამდე (სენ-მარტ.: ძორაფორი+ხან-ციხი; პატკ.: ხანიცხი)
21. თრელი (ასევეა სხვა რედაქციებშიც)
22. ტაშირი („ „ „)
23. განკარქა (სენ-მარტ. და პატკ.: კანგარქი)
24. ხვეთი (სენ-მარტ.: კრუეთი; პატკ.: აკლია)
25. ხერკი (სენ-მარტ.: ასევე; პატკ.: აკლია)
26. ერწვოჲ (სენ-მარტ.: ერწაჲ; პატკ:. აკლია)
27. თიანეთი (სენ-მარტ.: ასევე; პატკ.: აკლია)
28. წობენორი (სენ-მარტ.: წაფანი; პატკ.: აკლია)

ამას გარდა სენ-მარტენისეული და პატკანოვისეული რედაქციები უმატებენ:

29. აჭარა — დასახელებულია სამცხის შემდეგ
30. ქავეშფორი (სენ-მარტ.) ანუ ქუეშაფორი (პატკ.) — დასახელებულია მანგლიაცფორის შემდეგ და ბოლნოფორის წინ (ვრცელში შემთხვევითაა გამორჩენილი).

ხოლო სენ-მარტენისეული რედაქცია კიდევ უმატებს:

31. ბაზალეთი
32. ქეთი
33. ჩელთი
34. ველიცხე
35. ქუშედა
36. შალქი[118].

ჯერ აღვადგინოთ დამახინჯებულ სახელთა თავდაპირველი ფორმები.

პირველი ხუთი კანტონის რაობა სავსებით ნათელია. მეექვსე— შესაძლებელია იყოს ქართული „გუჯარეთისხევი“ ან, თუ შემოკლებული რედაქციის ვარიანტს გავითვალისწინებთ — კომპოზიტი „თორ-გუჯარეთის ხევი“, რაც ნუსხაში მისი რიგითაც სავარაუდოა: სამცხის შემდეგ და ტანისხევის წინ[119] (სახელის დამახინჯება ნაწილობრივ შეიძლება აიხსნას სომხური დამწერლობის კერძოდ, **ч** და **ц** ასოების მსგავსების ნიადაგზე).

ტუნისხევი, ცხადია, მართლწერის ნიადაგზე გადამახინჯებული ტანისხევია ანუ ატენის ხეობა.

მანგლიაცფორი ზუსტი თარგმანია ქართული მანგლისისხევისა.

პარუარი — თბილისის კანტონია, სხვაგნით უცნობი.

ბოლნოფორი ზუსტი თარგმანია ქართული ბოლნისისხევისა.

თარი უნდა იყოს იგივე ქართული თორი.

დვანი — დვანისწყლის (ფრონეს) ხევი შიდაქართლში.

აჩევეტისხევი — აჩაბეთისხევი, ლიახვის ზემო დინება.

საცხუმეთი — საცხენეთი, პატარა ლიახვზე.

ხარნისხევი||კანისხევი — ქსნისხევი.

ცხრაძმაჲ — ცხრაზმისხევი ქსანზე.

კოლბოფორი, წობოფორი და ძოროფორი ჰნარაკერტამდე ჩვენთვის უკვე ცნობილია.

ქორდითირიკოსხევი შესაძლებელია, მართლაც, ძლიერ დამახინჯებული ვახუშტისეული „გვერდისძირი“ იყოს[120], ხოლო მისი ბოლო ნაწილი (შემოკლებულ და მოკლე რედაქციებში ცალკე კან-

---

118 Géographie, 28; J. S. Martin, 356—358; Армянская география, 17.

119 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე აქ ვახუშტისეულ „გორათისხევს“ ვარაუდობს, იხ. მისი დასახ. ნაშრ.,გვ. 41.

120 ზემოხსენებულ „ხევთა“ იდენტიფიკაციისათვის იხ. ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრ., იქვე.

ტონად წარმოდგენილი კოსხ) კი კვლავ მართლწერის ნიადაგზე ამოგდებული ყვნილი „კასპი“ (Կոսխ<Կասպ)[121], რაც თითქოს გამართლებულია მისი რიგითაც ნუსხაში და აგრეთვე იმით, რომ ქართულ წყაროებში იგი უძველეს ქალაქად და აგრეთვე ცალკე ერთეულის ცენტრად ითვლება (იხ. შესავალი, § 8)[122].

თრელი — თრიალეთია. ტაშირის და კანგარქის ლოკალიზაცია ჩვენთვის აგრეთვე ცნობილია.

ერწვოდ და თიანეთი დღევანდელი ერწო და თიანეთია, ხერკი — საგურამო, ხოლო წობენორი — ქართული წყაროების წობენი; საგურამოს ჩრდილოეთით, — არაგვის მარცხენა სანაპირო[123].

სენ-მარტენისეული და პატკანოვისეული რედაქციები ზემოხსენებულ ნუსხას უმატებენ, როგორც ვთქვით, აჭარას და „ქავეშფორს“ ანუ „ქუიშაფორს“, რომელიც იქ რიგით მოსდევს მანგლისისხევს და ბოლნისისხევის წინაა ჩართული. ამდენად უნდა გულისხმობდეს მაშავრის ხეობას, სადაც დღესაცაა ქვეშის ციხის ნანგრევები[124] და რომელსაც, ამდენად, ძველად ქვეშისჯევი ეწოდებოდა (ეს კანტონი, ალბათ, შემთხვევითაა გამოტოვებული ვრცელ რედაქციაში)[125]. რაც შეეხება აჭარას, შესაძლებელია, ესეც შემთხვევით გამორჩენილია[126], მაგრამ, როგორც ზემოთ, ეგრისთან დაკავშირებით აღვნიშნეთ, არსებობს იმის საფუძველი, რომ IV ს-ის მეორე ნახევარში იგი ეგრისის ფარგლებში ვიგულისხმოთ და ამდენად მოკლე რედაქციებში მისი გაჩენა გვიანდელი ვითარების ანარეკლად ჩავთვალოთ.

სენ-მარტენისეული შემოკლებული რედაქციის დანართ კანტონებს (ბაზალეთი, ქეთი, ჩელთი, ველიცხე, ქუშედა, შალქი) გვიანდელ ინტერპოლაციად თვლიან[127]. სინამდვილეში მთლად ასე არ უნდა იყოს. მართალია, ბაზალეთი IV—VI სს-ის წყაროებში არსად გვხვდება, მაგრამ გვიანდელ ქართულ წყაროებზე რომ არაფერი

---

121 Ա. Ա. Երեմյան, დასახ. ნაშრ., გვ. 60.

122 თუმცა ასეთი დაშვებისას ერთი შეუსაბამობა ჩნდება: კონტექსტით გამოდის, რომ „კასპი საცხუმეთამდეა“ (იხ. Géographie, 28), მაშინ, როდესაც კასპსა და საცხენეთს შორის არის გვერდისძირი. მაგრამ, ეგების, აქ ტექსტი შერყვნილია.

123 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 42.

124 ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური ექსკურსიები მაშავრის ხეობაში, 1941, გვ. 34—35.

125 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 43.

126 იქვე

127 ი ქ ვ ე, გვ. 45—46.

ვთქვათ[128], იგი დამოწმებულია, როგორც ცალკე ადმინისტრაციული ერთეული VII ს-ის არაბულ წყაროში (იხ. ქვემოთ) და, რა თქმა უნდა, ბაზალეთის ცალკე ერთეულად არსებობა სწორედ არქაული ვითარებისთვის უფრო დამახასიათებელია და მისი წარმოქმნა შეუძლებელია შუა საუკუნეებში ვივარაუდოთ. ამის დასადასტურებლად ისიც გამოდგება, რომ ლეონტი მროველს ბაზალეთი, როგორც ცალკე ადმინისტრაციული ერთეული, დასახელებული აქვს ქართლის მესამე მეფის, მირვანის დროს[129]. უნდა ვიფიქროთ ისტორიკოსს საამისო საფუძველიც ჰქონდა. ამიტომ სავსებით შესაძლებელია, რომ სენ-მარტენისეული რედაქცია ამ შემთხვევაში სწორედ ძველი, ე. ი. IV ს-ის მეორე ნახევრის ვითარებას ასახავდეს.

დანართის მეორე კანტონი — „ქეთ"-ი, — რომელიც „კახეთ"-ის დამახინჯებად მიაჩნიათ[130], სინამდვილეში უნდა იყოს ქართული წყაროების „ბერი — პირველშენებული კახეთისა"[131], ანუ კახეთის უძველესი ცენტრი[132]. სომხური დამწერლობის ნიადაგზე (ՔԵԹ<ԲԵՐ) ასეთი დამახინჯება ადვილი წარმოსადგენია. ეს ცნობაც, ამგვარად, სავსებით ნდობის ღირსია.

რაც შეეხება დანარჩენ ოთხ კანტონს (ჩელთი, ველიცხე, ქუშედა, შალქი), ესენი, მართლაც, ჩამატებული უნდა იყოს და, ჩვენი აზრით, შეიძლება ამ დანართის წყაროც დავასახელოთ.

ლევონდ ვარდაპეტი (VIII ს.) მოგვითხრობს, რომ 764 წელს ხაზარებმა დაარბიეს ამიერკავკასია და, კერძოდ, ქართლში შემდეგი შვიდი „ჯევი" (გავარი): „შუჩქი, ქვეშკაფორი, ჩელთდი, წუქეთი, ველისციხე, თიანეთი და ერკი"[133].

ერკს (-ხერკს)[134], ქვეშკაფორს (-ქვეშისჯევს) და თიანეთს რომ თავი დავანებოთ, დანარჩენი ოთხიც, ვფიქრობთ, შეესატყვისება სწორედ სენ-მარტენისეული რედაქციის ოთხ ზემოხსენებულ კანტონს. კერძოდ, ლევონდის შუჩქი უნდა იყოს „გეოგრაფიის" შალქი. განსხვავება სავსებით გასაგებია სომხური დამწერლობის ნიადაგზე (Շաչք < Շալք). ეს იგივეა, რაც ქართული წყაროების სუჯეთი.

---

128 ქ^{ᲪᲐ}, 1, გვ. 270.

129 იქვე, გვ. 28.

130 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 46.

131 ქ^{ᲪᲐ}, 1, გვ. 9.

132 ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 24—25.

133 ლ ე ვ ო ნ დ ი, გვ. 132.

134 იხ. ს. ჯანაშია, შრომები, II, გვ. 317.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩელთდ-ჩელთისა და ველისციხე-ველიცხის იდენტურობა თავად ცხადია. „გეოგრაფიისეული“ „ქუშედა“ კი უნდა იყოს ლევონდის „წუქეთი“. ვფიქრობთ, რომ შემოკლებული რედაქციის ნუსხაში თავდაპირველად უნდა წერებულიყო „წუქეთი“, რომელიც სომხური ასომთავრული *Շ* და *Ս* მსგავსების გამო უნდა შერყვნილიყო „შუქეთ“-ად, ხოლო შემდეგ შეცდომით ასოთა გადანაცვლების გზით „ქუშეთ“ — „ქუშედა“.

რომ „სომხური გეოგრაფიის“ შემოკლებული რედაქციის ეს, ჩვენი აზრით, დანართი კანტონები ლევონდის თხზულებიდან არის გადმოტანილი, ამას ისიც უნდა მოწმობდეს, რომ ისინი ერთ ჯგუფად არიან მოხსენებულნი, ისევე როგორც თვით პირველწყაროში, თუმცა კი შიგნით თანმიმდევრობა დარღვეულია. უნდა ვიფიქროთ, რომ გვიანდელ გადამწერს თუ რედაქტორს, რომელიც იცნობდა ლევონდის ისტორიას, ხელთ ჰქონდა შემოკლებული რედაქციის ისეთი ნუსხა, რომელშიც უკვე შეტანილი იყო ქვეშისხევი, თიანეთი ხერკი, დანარჩენი ოთხი კი თვით მან დაუმატა. მაშასადამე, ამ ინტერპოლაციას ადგილი უნდა ჰქონოდა, მართლაც, IX ან X საუკუნეში. მეორე მხრივ, თუ ჩვენი იდენტიფიკაცია — ქუშედა||წუქეთი სწორია, მაშინ უეჭველი ხდება, რომ აქ გვიანდელ ინტერპოლაციასთან გვაქვს საქმე, რადგან წუქეთს მხოლოდ V ს-ის მეორე ნახევრიდან იერთებს ქართლის სამეფო (იხ. ქვემოთ). მაგრამ ყველაფერი ეს კიდევ არ მოწმობს იმას, რომ აქ გვიანდელი ტერმინოლოგიაა და, შესაბამისად, გვიან წარმოქმნილ ერთეულებთან გვაქვს საქმე.

ჩელეთი, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, კახეთის უძველესი ცენტრის ბერის მეორე სახელწოდებაა. ჩელეთს ადრე „ბერ ერქუა პირველშენებულსა კახეთისასა“[135]. მისი ლოკალიზაცია ივრის ზემო წელზეა სავარაუდო, ჟალეთთან[136]. ველისციხეც უკვე V ს-ის მეორე ნახევრის ამბებთან დაკავშირებით იხსენიება, როგორც ქართლის მიერ შემოერთებული ჰერეთის ერთ-ერთი ცენტრი[137]. რაც შეეხება სუჯეთს, რომლის ლოკალიზაცია ხერხდება ივრის მარცხენა სანაპიროზე, დაახლოებით დღევანდელ სოფელ ხაშმიდან ბოდბემ-

---

135 ქ-ცა, I, გვ. 9.

136 დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 24—27.

137 ქ-ცა, I, გვ. 201. დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 62—64;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დე (სიღნაღთან)[138], იგი „მოქცევაჲ ქართლისა“-ს მატიანეშია მოხსენებული, IV ს-ის მეორე ნახევრისთვის, როგორც ქართლის ერთ-ერთი საერისთაო, რომელიც, თავის მხრივ, კახეთ-კუხეთის საუფლისწულოში შედიოდა[139].

დაბოლოს, ჩვენ უნდა დავუბრუნდეთ ქართლის „ჴევთა“ ნუსხის ერთ აღუდგენელ ტერმინს — „ხვეთ“ (№ 24). ამ სიტყვას უკავშირებდნენ მოკლე რედაქციების „კოსხ“-ს და ამ ორი ნაწილის შეერთებით ასკვნიდნენ, რომ აქ „კუხეთი“ იგულისხმება. არსებითად სწორი იყო, როდესაც „სომხური გეოგრაფიის“ ამ ნუსხაში ეძებდნენ კუხეთს[140]. მართლაც, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ შეიძლება არც უნდა მოველოდეთ აქ ქართლის უკლებლივ ყველა „ჴევის“ ჩამოთვლას, მაინც სრულიად დაუჯერებელია, რომ სამივე რედაქციის ნუსხებში გამორჩენილიყო ქართლის ისეთი მნიშვნელოვანი პროვინციები, როგორიც იყო კახეთი და კუხეთი. მაგრამ ზემომოტანილი აღდგენის ცდა არ უნდა იყოს სწორი, რადგან მოკლე რედაქციების „კოსხ“, როგორც აღვნიშნეთ, უნდა უკავშირდებოდეს ნუსხებში მის წინ მყოფ სიტყვებს (ქოდიდ და კრისხ) და სამივე ერთად უნდა ეთანაბრებოდეს ვრცელი რედაქციის „ქორდითირიკოსხევს“.

ვრცელი რედაქციის „ხვეთ“ რომ უნდა კახეთს ან კუხეთს უკავშირდებოდეს, ეს ჩანს მისი ადგილიდან ნუსხაში. ავტორი ამთავრებს რა ზემო, ქვემო და შიდაქართლის აღწერას, ბოლოს დასძენს: თრიალეთის, ტაშირისა და კანგარქის პირდაპირ, მტკვრის ჩრდილოეთით მდებარეობს ხვეთი, ხერკი, ერწო, თიანეთი და წობენი[141]. ცხადია, რომ აქ სწორედ მანამდე აღუწერელი კახეთ-კუხეთის ცალკეული პროვინციებია დასახელებული და საკუთრივ კახეთის ან კუხეთის მოხსენიებაც აქ არის მოსალოდნელი.

სენ-მარტენისეულ რედაქციაში, მართალია, „ჴევთა“ ჩამოთვლისას სავსებით ისეთი თანმიმდევრობა, როგორც ვრცელშია, არ არის დაცული, მაგრამ ნიშანდობლივია, რომ საცხენეთის შემდეგ

---

138 იხ. თ. პაპუაშვილი. ჰერეთ-ალბანეთის ისტორიიდან (ქართულ-სომხური წყაროების მიხედვით), მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 35, გვ. 42—45.

139 დ. მუსხელიშვილი, კახეთ-ჰერეთის პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები XII—XIII სს-ში, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, III, 1966, გვ. 60—61 და 112.

140 ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 42.

141 Géographie, 28.

ერთად არის დასახელებული: კრუეთ, ერწო, ხერკი, თიანეთი. ცხადია, რომ აქაც კახეთ-კუხეთის მხარეებია ჩამოთვლილი და ამდენად „ხვეთ“-ის შესატყვისი აქ გვაქვს — „კრუეთ“-ი. ეჭვი არ არის, რომ ამ ორ შერყვნილ სიტყვაში კახეთი ან კუხეთი უნდა იგულისხმებოდეს. ვიდრე გადავწყვეტდეთ, თუ რომელი ამათგანის აღდგენაა უფრო მიზანშეწონილი, განვიხილოთ ქართული წყაროების სათანადო ჩვენებანი.

კუხეთის ტერიტორიას ვახუშტი ბატონიშვილი ასე განსაზღვრავს: „აღმოსავლით მთა კახეთისა; სამჴრით საზღვარი ჰერეთისა, რომელ არს ხუნანის გამოსწვრივ გულგულამდე; დასავლით მტკვარი და არაგვი; ჩრდილოთ იგივე მთა კახეთისა და ამათ შორის ქვეყანას ეწოდა კუხეთი, კუხოსის სახელის გამო, არამედ აწ უწოდებენ თიანეთს, საგურამოს ანუ თეძმის—ჯევს (რომელსა ეწოდებოდა ხერკი...), კვალად გრდანი, მარტყოფი, ლილო, დიდუბე, სამგორი, ჩადივარი, ომანისჯევი, ყარაღაჯი და ნაგები და ყარაია“[143]. კუხეთის საზღვრების ლოკალიზაციის საკითხი ჩვენ სხვაგან გვაქვს განხილული[144], აქ კი აღვნიშნავთ, რომ ვახუშტის მიხედვით, რომელიც არსებითად „ქართლის ცხოვრების“ სათანადო მონაცემებიდან გამოდის, კუხეთში შედიოდა თიანეთი, ე. ი. არაგვისპირის თიანეთი (და არა ივრის ხეობისა, დღესაც რომ ასე იწოდება) ანუ „თიანეთი არაგვის კერძო ყინვანამდე“[145] ანუ იგივე ძველი წობენი; ხერკი ანუ დღევანდელი საგურამო და ტერიტორია მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ზედაზნის (დღ. იალნოს) ქედამდე (ჩრდილოეთიდან), დაწყებული არაგვის შესართავიდან რუსთავამდე. ასეთად წარმოგვიდგება შუა საუკუნეებში კუხეთის საერისთაო[146]. კუხეთის ეს ტერიტორია, რა თქმა უნდა, არის შედეგი ხანგრძლივი ევოლუციისა და ისტორიულ-გეოგრაფიული შესაბამისი ცვლილებებისა. ჩვენ გვაინტერესებს, როგორი უნდა ყოფილიყო კუხეთის თავდაპირველი, ე. ი. საკუთრივ კუხეთის მოცულობა. რამდენადაც ვიცით, „სომხური გეოგრაფიისა“ და „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ (იხ. ქვემოთ) მიხედვით, რომ წობენი ძველად ცალკე ერთეულს წარმოადგენდა (არაგვის მარცხენა სანაპირო საგურამოს ჩრდილოეთით ყინ-

---

[142] J. S.-Martin, 358.

[143] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 86.

[144] დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ციხე-ქალაქი უჯარმა, გვ. 6—21. იხ. აგრეთვე, ლ. ჭილაშვილი, ქალაქი რუსთავი, 1958, გვ. 5—14.

[145] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, 1913, გვ. 151.

[146] იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანიშნებელი უნდა იყოს, ვიდრე პოლიტიკური ვითარების ამსახველი.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, „სომხური გეოგრაფია“ იძლევა შესანიშნავ სურათს IV ს-ის მეორე ნახევრისა და V ს-ის პირველი ნახევრის ქართლის სამეფოს ტერიტორიის ისტორიული გეოგრაფიის წარმოსადგენად. რა თქმა უნდა, არ არის საფიქრებელი, თითქოს აქ ქართლის სამეფოს შემადგენელ კანტონთა სრული ნუსხა გვქონდეს. პირუკუ, ჩვენ უკვე ვიცით, რომ ცალკეული ჩვენამდე მოღწეული რედაქცია ნაკლულია და მხოლოდ მათი მონაცემების შეჯერებით შეიძლება უფრო სრული სურათის წარმოდგენა, მაგრამ მაინც, როგორც ჩანს, ძირითადი ერთეულები ყველა გვაქვს. ამ ნუსხის შესწავლა მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა.

როგორც ამ ნუსხიდან ჩანს, მთელი შიდა და ქვემო ქართლისათვის დამახასიათებელია ქართულ წყაროებში დამოწმებულ უძველეს ადმინისტრაციულ ერთეულებად, „ხევებად“ დაყოფა: გოროთისხევი (გუჯარეთის ხევი?) ტანისხევი, მანგლისის ხევი, ქვეშისხევი, ბოლნისის ხევი, წოფის ხევი, კოლბისხევი, ძორისხევი, აჩაბეთისხევი, გვერდისძირისხევი, ქსნისხევი და ცხრაზმის ხევი[189]. გამონაკლისია: დვანი, საცხუმეთი, ბაზალეთი და თრიალეთი შიდა ქართლისათვის; ტაშირი და კანგარი — ქვემო ქართლისათვის. ამას შესაძლებელია თავისი ახსნაც აქვს, მაგრამ ამჟამად მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ „სომხური გეოგრაფიის“ ეს ჩვენება უნდა მოწმობდეს იმას, რომ საკუთრივ ეთნოგრაფიული ქართლისათვის მის ავტორს გაცილებით უფრო მეტი და სანდო ცნობები ჰქონდა, ვიდრე ქართლის სამეფოს სხვა მხარეებისათვის. მართლაც, „ხევებად“ დაყოფა დამახასიათებელია არა მხოლოდ ეთნოგრაფიული ქართლისათვის, არამედ მთელი აღმოსავლეთი საქართველოსათვის[190] და, ეჭვი არ არის, რომელიმე კლარჯეთი ან სამცხე ისევე წარმოადგენდა

---

189 ის რომ ქვემო ქართლის ხევები სომხური დაბოლოებით გვხვდება: მანგლიაცფორი, ბოლნოფორი და სხვ., რაც ქართული მანგლისისხევის და ბოლნისისხევის სრული შესატყვისია, ადვილი ასახსნელია: რამდენადაც ეს მხარე (ქვემო ქართლი), აღრე კარგახნის განმავლობაში სომხეთის სამეფოში შედიოდა გუგარქის საპიტიახშოს სახით, ცხადია, აქ სომხური ადმინისტრაციული ტერმინოლოგია იქნებოდა შემოღებული და „სომხური გეოგრაფიის“ ავტორი ძველ ტერმინოლოგიას ინარჩუნებს. შდ. დ. ბერძენიშვილი, ბოლნისის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, 11, 1964, გვ. 19.

190 ივ. ჯავახიშვილი, ქართ. სამართ. ისტორია, წ. II, ნ. 1, 1928, გვ. 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ხევთა“ ერთობლიობას, როგორც, მაგალითად, ტაო ან ე. წ. „დიდ სომხეთში“ შემავალი სხვა რომელიმე კანტონი, რომელთა შესახებაც ავტორს დაწვრილებითი ცნობები აქვს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ძეგლი ამის შესახებ არაფერს გვეუბნება.

შემდეგ აღსანიშნავია, რომ „სომხური გეოგრაფიის“ მიერ ჩამოთვლილი „ხევები“, ეპონიმური ხევის გეოგრაფიულ ჩარჩოებს გამცდარია და უფრო ფართო საზღვრებს მოიცავს, რომელიც, ფაქტიურად, რამდენიმე გეოგრაფიული ხევის შემცველია. ასე მაგალითად, ტანისხევი. რომელშიც დეკიხე, ალბათ, როგორც მისი ცენტრი, მდებარეობს, ცხადია, მხოლოდ მდ. ტანას ანუ ატენის ხეობას კი არ გულისხმობს, არამედ თეძმის ხეობასაც, რადგან დეკიხე, მისი ნანგრევები სწორედ მდ. თეძამის ზემო დინებაზეა[191]. კიდევ მეტი, თუკი გოროთისხევსთურგოვათისხევს თორ-გუჯარეთად ჩავთვლიდით (მაინცდამაინც, ეს ხევი მტკვრის მარჯვენა მხარეს უნდა იყოს სამცხესა და ატენისხევს შორის), მაშინ ისიც ცხადია, რომ ტანისხევი დასავლეთისაკენაც ყოფილა გაზიდული და, შესაძლებელია, ძამის ხეობასაც მოიცავდა. ეს მით უფრო მოსალოდნელია, რომ ძამისა და ტანას ხეობა თრიალეთის ქედზე ერთი მთიდან, ჯამჯამადან გამოდიან და აქვე გადადის მოკლე გზა ერთი ხეობიდან მეორეში. მაგრამ თუ ტექსტს ამ ადგილას არაფერი აკლია, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ტანასხევი და მანგლისისხევიც კი მომიჯნავე ერთეულებია და ე. ი. გამოდის, რომ ტანასხევი მთელი შიდაქართლის გალმამხარს მოიცავდა. ასეთი ვითარება არ არის მოულოდნელი. ფართო ცნებაა აგრეთვე „ბოლნისისხევი“, „წოფისხევი“[192].

ასეთივე ვითარება ჩანს შიდა ქართლშიც, მაგალითად, „საცხუმეთის“ მიმართ[193]. საინტერესო გარემოება მყღავნდება „ქსნისხევთან“ დაკავშირებით. „სომხური გეოგრაფიის“ ვრცელ რედაქციაში ვკითხულობთ: ლიახვთან ახლოს მდებარეობს „ქსნისხევი, ცხრაძმადან ვიდრე არაგვამდე“[194]. თუ აქ ტექსტი შერყვნილი არ

---

[191] დ. ბერძენიშვილი, ციხეთა შესწავლის ზოგიერთი საკითხი, ჟურნ. „ძეგლის მეგობარი“, № 14, 1968, გვ. 58.

[192] დ. ბერძენიშვილი, ბოლნისის... 20—21.

[193] ს. კაკაბაძე, დასახ ნაშრ., გვ. 41.

[194] Géographie, გვ. 28.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის[195], მაშინ გამოდის, რომ ქსნისხევი ვრცელდებოდა ცხრაზმისხევიდან (ჩრდილოეთით) არაგვამდე და ე. ი. უნდა ვიგულისხმოთ, რომ მთელი მუხრანის ველი (ბაზალეთი გამორიცხულია) ქსნისხევში შედიოდა, რაც თავისთავად ადვილი წარმოსადგენია.

ყველაფერი ეს მოწმობს უკვე განვლილი ხანგრძლივი ეკონომიური და სოციალური განვითარების პროცესს, რისი შედეგიც არის ცალკეულ „ხევთა“ შერწყმა და უფრო დიდი ერთეულების წარმოქმნა, რომელთაც ძველი ტრადიციით კვლავ „ხევები“ ეწოდებოდა. ეს არის ქვეყნის აღმავალი განვითარების კანონზომიერება გამოხატული ცვლილებებით მის ისტორიულ გეოგრაფიაში.

მეორე მხრივ, „სომხური გეოგრაფიის“ მონაცემები და ქართული წყაროებიც იმას მოწმობენ, რომ, მაინცდამაინც, საკუთრივ ქართლის ტერიტორია მთისა და ბარის „ხევებადაა“ დაყოფილი. ასე მაგალითად, მთის ხევებია: საცხუმეთი, ცხრაზმისხევი, მთიულეთი, ჭართალი და სხვ. შიდა ქართლში: ტაშირი და კანგარქი — ქვემო ქართლში; თიანეთი, ერწო, ყვარელნი, ცხავატი და ფხოვი — კახეთში და სხვ. ეს იმის მაჩვენებელია, რომ მთა და ბარი ჯერ არ არის გაერთიანებული არამც თუ ეკონომიური თვალსაზრისით, არამედ ზოგ შემთხვევაში (მაგ. თუშეთი) პოლიტიკური თვალსაზრისითაც. ეს პროცესი — მთისა და ბარის გაერთიანება — აგრეთვე ხანგრძლივი და რთულია და ამის შემდეგაც კარგა ხანმა გაიარა, ვიდრე მთის და ბარის „ხევები“ ერთ ერთეულად, ერთ „ქვეყნად“ ჩამოყალიბდებოდა.

7. ამ დროისათვის, ე. ი. ჩვენი თვალსაზრისით, IV ს-ის მეორე ნახევრისათვის „სომხური გეოგრაფია“ ქართლში ასახელებს სამ ქალაქს: თბილისი, სამშვილდე და მცხეთა (ორი უკანასკნელი მხოლოდ შემოკლებულ და მოკლე რედაქციებში). ცნობა თბილისის დედაქალაქობის შესახებ (ვრცელი რედაქცია) როგორც ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, გვიანდელი რედაქტორის ინტერპოლაციას წარმოადგენს, ხოლო სხვაფრივ ამ ქალაქზე ცნობები ქართულ წყაროებშიც სწორედ IV ს-ის მეორე ნახევრიდან ჩნდება, რაც იმის მანიშნებელია, რომ ამ პერიოდიდან იწყება თბილისის აღზევება. ქალაქს თავისი კუთვნილი ტერიტორია, ალბათ, ეკონომიური რაიო-

---

[195] ტექსტში წერია: „**ხარნიხსუს ჩ ჯარხიაბმაია მინჯს ყარაგ გეთ**“. შესაძლებელია თავიდან ეწერა: **ხარნიხსუსი, ჯარაბმაია მინჯს ყარაგ გეთ.** მაშინ არაგვამდე **ცხრაზმისხევი** უნდა გვევარაუდა (ასე აქვს ს. კაკაბაძეს, იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 41), მაგრამ ეს ნაკლებ სავარაუდოა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი ჰქონია, რომელსაც პარუარი ეწოდებოდა. უნდა ვიგულისხმოთ, რომ სხვა ქალაქების შემთხვევაშიც ასეთივე ვითარება გვაქვს. ამას ზოგადი მოსაზრებებისა და უფრო ადრინდელი ან გვიანდელი ანალოგიების გარდა, ისიც უნდა მოწმობდეს, რომ კასპი ქართული წყაროების მიხედვით აგრეთვე მთელი კანტონის („კასპის სასპასალარო") ცენტრი ყოფილა. მნიშვნელოვანი ქალაქები იყო ამ დროს ურბნისი, რასაც აქ წარმოებული არქეოლოგიური გათხრებიც გვიჩვენებს[196]; აგრეთვე რუსთავი, უჯარმა (კახეთში და კუხეთში), წუნდა (ჯავახეთში), ოძრჯე (სამცხეში) და სხვ[197].

ქართლის მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრეებიდან „სომხური გეოგრაფია" ასახელებს დეკციხეს, ხუნანს (ჰნარაკერტს) და თუხარისს, რომელიც კლარჯეთისა და ტაოს საზღვარზე იდგა[198]. რა თქმა უნდა, ისეთი „ხევების" ჩამოთვლაც, როგორიცაა ქვეშისხევი, წოფისხევი, კოლბისხევი ან აჩაბეთისხევი, დვანი ან ბერ-ჩელეთი, ეელისციხე, გულისხმობს მათ ცენტრებად მნიშვნელოვან ციხე-სიმაგრეებს, ან ციხე-ქალაქებს ან დაბა-ქალაქებს. რაც შეეხება მანგლისისა და ბოლნისის ხევებს, ისინი მთავარი საეკლესიო ცენტრების მიხედვით უნდა იყვნენ დასახელებულნი. მართლაც, როგორც „მოქცევაჲ ქართლისაჲ" გვარწმუნებს, უკვე IV ს-ის პირველ ნახევარში, მირიან მეფის დროს შენდება ერუშეთის და მანგლისის ეკლესიები, ხოლო ამავე საუკუნის მეორე ნახევარში ბოლნისის და წილკნის ეკლესიები[199]. ჰერეთის შემოერთებულ ნაწილში მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული და საკულტო პუნქტები იყო ქალაქი ნეკრესი და ბოდბე. ფრიად საინტერესოა ქართველი მემატიანის ცნობათა სანდოობის მხრივ ის ფაქტი, რომ ნეკრესში და ბოდბეში და აგრეთვე ჭერემშიც დღემდეა შემონახული უძველესი ქართული საკულტო ნაგებობანი, რომლებიც სწორედ IV ს-ით თარიღდებიან.

ამ დროისათვის საქართველოს ტერიტორია დასერილი იყო საგაჭრო გზების ფართო ქსელით, რომელთა საშუალებით ურთიერთობა იყო დამყარებული არა მარტო მის ცალკეულ კუთხეებს შორის, არამედ მეზობელ თუ შორეულ სხვა ქვეყნებთანაც. საამისო

---

196 OP, გვ. 750. ლ. ჭილაშვილის მიხედვით, IV ს-ის ბოლოს და V ს-ში აქ საქალაქო ცხოვრება ერთგვარად ეცემა (იხ. მისი ნაქალაქარი ურბნისი, 1964, გვ. 153—154).

197 ქ^{ცა}, 1, გვ. 57, 117 დ სხვ. ლ. ჭილაშვილი, ქალაქი რუსთავი, 1958, გვ. 52—55. დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 46—61.

198 Géographie, გვ. 35.

199 OP, გვ. 714, 720—721.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონაცემებს შეიცავენ როგორც ქართული, ასევე უცხოური წყაროები.

უნდა ვიფიქროთ, რომ ამ დროს უკვე არსებობდა ის ძირითადი მაგისტრალი, რომელიც მთელ აღმოსავლეთ საქართველოს ჰკვეთდა შუა საუკუნეებში, და მის უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთს (ჰერეთს) სამხრეთ-დასავლეთთან (ტაო) აერთიანებდა, ხოლო მათი საშუალებით ქვეყანას ალვანეთ-ერანთან და სომხეთ-ბიზანტიასთან აკავშირებდა[200]. ამის პირდაპირი მოწმობა გვაქვს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მატიანესა და „ნინოს ცხოვრების“ ჭელიშურ რედაქციაში. პირველ მათგანში მოთხრობილია, რომ ბიზანტიიდან წამოსულნი „ქვისა მთლელნი და კირით ხურონი... წარმოვიდეს ერუშეთს და დადვეს საძირკუ[Ჭ]ᲚᲘ ეკლესიისა... და ესრეთ მოვიდეს მცხეთას“[201]. ამ ორიენტირების შემაკავშირებელი რგოლია „მთანი ჯავახეთისანი“, კერძოდ, ფარავნის გზა, სადაც წმ. ნინოს, სომხეთიდან წამოსულს, შეხვდნენ მეცხვარეები აქ მოსულნი „ზოგნი დაბით და ზოგი საფორცლით და ზოგი ქინჯარელნი, და რაბატელნი დიდისა ქალაქისა მცხეთისანი“[202]. ამგვარად, აქ ჩვენ დამოწმებული გვაქვს ბიზანტია-ქართლის დამაკავშირებელი ერთ-ერთი მაგისტრალი, რომელიც ბიზანტიის პროვინციებიდან მოდიოდა ჯერ ტაოზე, შემდეგ — კოლაზე — არტაანზე (ერუშეთი) — ჯავახეთზე — თრიალეთზე — მანგლისზე — მცხეთაში. აქედან კი კახეთ-ჰერეთისაკენ გზა მიდიოდა, თუკი მოვიგონებთ იგივე წმ. ნინოს საგამანათლებლო მისიის მარშრუტს — არაგვის გაღმა წობენში — ჟალეთში — კაწარეთში — გომბორის უღელტეხილით — ქცელ დაბაში (დიდი კახეთი). ალაზნის ველით კი გზა ამოდიოდა ბოდბეში (სიღნაღთან) და შემდეგ ივრის მარცხენა სანაპიროთი — მცხეთაში[203].

სპეციალურად ამიერკავკასიის, და კერძოდ, საქართველოს ტერიტორიაზე გამავალ გზებს ასახავს ე. წ. Tabula Peutingeriana-ს X—XII სეგმენტები. IV ს-ის მეორე ნახევრის ეს საგზაო რუკა ბევრი მკვლევარის მსჯელობის საგანი გამხდარა[204]. როგორც ამ რუ-

---

200 დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, „მთაქართლის“ ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლისათვის.

201 OP, გვ. 714.

202 იქვე, გვ. 748.

203 იქვე, გვ. 716—717.

204 იხ. ნ. ლომოური, ძველი საქართველოს სავაჭრო გზების საკითხისათვის. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, IV, 1. 1958. იქვეა სათანადო ლიტერატურა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კის მონაცემებისა და სხვა სათანადო წყაროების შეჯერება ცხადჰყოფს, აქ გამოსახული ყოფილა რამდენიმე მაგისტრალური სავაჭრო გზა, რომლითაც ამიერკავკასია დაკავშირებული იყო ბიზანტიასთან და მახლობელ აღმოსავლეთთან.

ერთ-ერთი ასეთი გზა, როგორც უკვე იყო აღნიშნული, ბიზანტიიდან შავი ზღვის სანაპიროს შემოსდევდა და ჩვენთვის უკვე ცნობილ ტრაპეზუნტ-რიზე-ათინა-არქაბის-აფსაროს-ბათომ-ფაზის (ფოთის) — ზიღანეოსის (სინკაბე) გზით სებასტოპოლისს ადგებოდა. აქედან კი გზა, ერთი მხრივ, გრძელდებოდა ჩრდილოეთისაკენ, ხოლო მეორე მხრივ, ბრუნდებოდა სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ და ციხე-გოჯზე (არქეოპოლისზე) და ვარდციხეზე (როდოპოლისზე) გავლით გადიოდა ზეკარის უღელტეხილზე, ჩადიოდა სამცხეში; აქედან კვლავ მტკვრის ზემო წელს აუყვებოდა, ასპინძა-წუნდის მიმართულებით, უხვევდა ფარავნის ტბისკენ და აბოცით სომხეთში გადიოდა[205]. ეს უკანასკნელი მონაკვეთი ამ გზისა, როგორც ვიცით, „წმ. ნინოს ცხოვრებიდანაც“ მოწმდება. უეჭველია, გზა ჯავახეთიდან ზურტაკეტის ხეობით ქალაქ სამშვილდეში ჩადიოდა[206]. არც ის უნდა იყოს საცილობელი, რომ გზა ვარდციხიდან შორაპანზე გავლით ეგრისს ქართლთან აკავშირებდა[207]. ამავე გზაზე უნდა ყოფილიყო ქუთაისიც.

აღმოსავლეთ საქართველოზე Tabula Peutingeriana-ს მიხედვით ორი ძირითადი მაგისტრალი გადიოდა. ერთი მათგანი უშუალოდ სომხეთიდან, როგორც ჩანს, აღსტაფის ან დებედას ხეობებს (ტაშირი ან ძოროფორი) ჩამოჰყვებოდა და თბილისის გავლით მცხეთას ადგებოდა[208]. რაც შეეხება მეორე, ე. წ. „შემოვლით გზას“, იგი, ჩვენი აზრით, ალაზნის ველზე, გაღმამხარზე (ჰერეთზე) იდო, გომბორის უღელტეხილით უჯარმაზე გადიოდა და კვლავ თბილისში თავდებოდა[209]. საინტერესოა ის გარემოება, რომ ამ საგზაო

---

[205] იქვე, გვ. 102—110;

[206] შდ. იქვე, გვ. 116. ამ გზას ქართულ წყაროებში ეწოდებოდა „გზაჲ აბოცისაჲ“ (იხ. ქ<ცა, 1, გვ. 48).

[207] იქვე, გვ. 109-110.

[208] იქვე, გვ. 111—112.

[209] დ. მუსხელიშვილი, უჯარმა, გვ. 51—55.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რუკაზე ნახსენებია თბილისი[210], რომელიც ამ რუკისავე მონაცემებით გზაჯვარედინზე მდებარეობს[211].

ეჭვი არ არის, რომ ამ დროსაც ისევე, როგორც უფრო ადრე (სტრაბონი, პლინიუსი) და უფრო გვიან (ბიზანტიური წყაროები), უაღრესად დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა დარიალის ხეობით ჩრდილო კავკასიასთან დამაკავშირებელ გზას, რომელსაც ქართლის სამეფო აკონტროლებდა. რაც შეეხება ეგრისისა და ჩრდილო კავკასიის (ალანები) დამაკავშირებელ გზებს, ამის შესახებ ზემოთ უკვე ვილაპარაკეთ.

სავაჭრო მაგისტრალი ჰკვეთდა აგრეთვე შიდა ქართლსაც. ამისი პირდაპირი მოწმობა კვლავ „წმ. ნინოს ცხოვრების“ მატიანეშია: მას შემდეგ, რაც წმ. ნინო ჯავახეთში, ფარავნის ტბასთან შეხვდა მწყემსებს, იგი მიდის მცხეთისაკენ მტკვრის ხეობით: „და იყო დინებაჲ მისი (მტკვრისა, დ. მ.) დასავლით კერძო: და მიუდეგ გზასა ძნელსა: და ფიცხელსა: და ვიხილენ დიდნი ჭირნი: გზათაგან: და შიშნი მჴეცთაგან: ვიდრე მოვიწიე აქა: ვინაჲ იგი წყალმან, აღმოსავლით. იწყო დინებად: მიერითგან იყო ლხინება ჩემი: და ვპოვენ: მოგზაურნი: და მოვიწიე: სანახებსა ქართლისასა: ქალაქსა ურბნისისასა“[212]. ე. ი. წმ. ნინოს ფარავნიდან ვიდრე იმ ადგილამდე, საიდანაც მტკვარმა აღმოსავლეთით შემოუხვია (ე. ი. სამცხეში, ახალციხის მახლობლად), იგივე გზა გაუვლია, რომელიც Tabula Peutingeriana-ზეა აღნიშნული; აქედან კი მტკვრის გაყოლებით ურბნისში მოსულა. რამდენიმე ხნის შემდეგ ურბნისში „დღესა ერთსა აღიძრნეს: ერნი ძლიერნი და ურიცხუნი სიმრავლითა: მით ქალაქით: (ე. ი. ურბნისიდან, დ. მ.) წარმავალნი: დიდად ქალაქად მცხეთად: რომელი იყო საჯდომელი დიდთა მეფეთაჲ: ვაჭრობად და ლოცვად: არმაზ ღმრთისა მათისა“[213]. ამ მრავალმხრივ საინტერესო ცნობაში პირდაპირი მითითება გვაქვს, რომ მცხეთა-ურბნისის დამაკავშირებელი გზა, მაინცდამაინც, სავაჭრო მაგისტრალს წარმოადგენდა. ცხადია, ეს გზის მხოლოდ ამ მონაკვეთს არ გულისხმობს.

აქ ერთ დეტალს უნდა მივაქციოთ ყურადღება: წმ. ნინო (თხრობა, როგორც ვხედავთ, პირველ პირში მიმდინარეობს) გაჰ-

---

210 С. Т. Еремян, Торговые пути Армении в эпоху сасанидов, ВДИ, 1939, № 1, 87.

211 ნ. ლომოური, დასახ. ნაშრ., გვ. 116.

212 OP, გვ. 749—750.

213 იქვე, 750.

ყოლია მცხეთაში ურბნისიდან სავაჭროდ წასულ ხალხს „დავიწიენინთ: ქალაქად: მცხეთად: წიაღით მოგუთას ჯიდსა ზედა: დავდეგით მუნ“ (ჭელიშ.: „მივიწიენით მცხეთად ქალაქად წიაღ კერძო. მოგუთასა. ჯიდსა ზედა დავდეგით)“[214]. ეს ამონაწერი, ვფიქრობთ, იმას მოწმობს, რომ მცხეთას გალმა მხრიდან („წიაღკერძო“), მტკვრის მარჯვენა ნაპირიდან მისდგომიან ურბნისიდან წამოსულები და ე. ი. გზა ურბნისიდან მცხეთაში მტკვრის მარჯვენა ნაპირით მოდიოდა. მაშასადამე, ურბნისიდან მცხეთას წამოსულები სადღაც მტკვარს უნდა გადასულიყვნენ ან თვით ურბნისში, სადაც მტკვარზე ძველი ხიდის ბურჯის ნანგრევია, ანდა უფრო ქვემოთ, ბორთან (ხიდისთავთან), სადაც ძველად ხიდი უნდა არსებულიყო და შემდეგ მტკვრის მარჯვენა ნაპირს გამოჰყოლოდნენ ხიდისთავ-სასირეთ-ნიჩბის-ძეგვის დღესაც არსებული გზით.

ზემოაღნიშნულ წყაროთა ჩვენებანი, რა თქმა უნდა, მხოლოდ არასრული სურათის წარმოდგენის საშუალებას იძლევა, მაგრამ სურათი მაინც მნიშვნელოვანია და გასაგები ხდება ჩვენთვის უკვე ცნობილი სამხედრო-ადმინისტრაციული და სავაჭრო ცენტრების ტოპოგრაფიაც და ნაწილობრივ მათი აღზევების საფუძვლებიც: ყველა ჩვენთვის ცნობილი ქალაქი სწორედ ამ მაგისტრალებზე მდებარეობს — ხუნანი, უჯარმა, რუსთავი, თბილისი, მცხეთა, ურბნისი, წუნდა, ოძრჯე და სხვ. ასეთივე სურათია, რა თქმა უნდა, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზეც[215].

8. წყაროები საშუალებას გვაძლევენ დავაკვირდეთ ამდროინდელი ქართლის ისტორიული გეოგრაფიის კიდევ ერთ ასპექტს, კერძოდ, სოციალურ გეოგრაფიას. თავისთავად ქვეყნის დანაწილება მთისა და ბარის „ხევებად“, რა თქმა უნდა, უკვე გარკვეული დიფერენციაციის მაჩვენებელია სწორედ ამ თვალსაზრისითაც, თუმცა ჩვენ მწირი, მაგრამ, ვფიქრობთ, კონკრეტული მონაცემებიც გაგვაჩნია საამისოდ.

მხედველობაში გვაქვს კვლავ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობა, რომელიც ზემოთ არაერთხელ მოვიტანეთ: წმ. ნინომ ქრისტიანულ სარწმუნოებაზე უნდა მოაქციოს ქართლის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი. ამისათვის იგი „დადგა: წობენს და მოუწოდა

---

214 OP, გვ. 749—750,

215 ზემოთ წარმოდგენილ სურათს რამდენადმე ავსებს V—VII სს-ის ნუმიზმატიკური მასალის ტოპოგრაფია, რომლის ანალიზი ჩვენ სპეციალურ წერილში გვაქვს მოცემული, იხ. ფეოდალური ხანის საქართველოს და ამერკავკასიის მნიშვნელობა საერთაშორისო ვაჭრობაში, „ცისკარი“, № 11, 1970 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთეულთა: ჭართალელთა: და ფხოელთა და წილკანელთა... გარდავიდა: ერწუდ და დადგა: ჟალეთს. დაბასა ედემს, და ნათელსცა ერწუთიანელთა: და ყუარელთა: ეპმა ესე და გარდაკრბეს თოშეთა ... და ნინო შთავიდა კხოეთა და დადგა კაწარეთს: და მონათლნა კხოელნი და სოჯნი ერითურთ მათით: და გარდავიდა კახეთა: და დადგა ქცელ დაბას: და მოიყვანნა კაცნი მთავარნი (ჭელიშ.: + ამათვე მეფეთა — ე. ი. ქართლის მეფეთა, დ. მ. — ნათესავნი) და მონათლნა". ჭელიშური რედაქცია „წმ. ნინოს ცხოვრებისა" ერთგან აღნიშნავს, რომ „მოინათლა სუჯი დედოფალი და მისთანა მთავარნი მრავალნი. ჯელსა შინა ნინოსას ბოდს შინა"[216].

ძნელი არ არის შევამჩნიოთ, რომ მემატიანე დიფერენცირებულად უდგება ნინოს მიერ ხალხის მონათვლის ორგანიზაციის აღწერას. ერთ შემთხვევაში ნინო ნათლავს „მთეულთა, ჭართალელთა, და ფხოელთა და წილკანელთა", აგრეთვე „ერწუთიანელთა და ყუარელთა", ხოლო მეორეგან სულ სხვა ვითარებაა: კახეთს ინათლებიან „კაცნი მთავარნი", ბოდბეს „სუჯი დედოფალი და მისთანა მთავარნი მრავალნი". ცხადია, ამიტომ კაწარეთშიც მემატიანეს მხედველობაში ჰყავს „(მთავარნი) კხოელნი და სოჯნი ერითურთ მათით". ე. ი. კახეთში, კუხეთში და სუჯეთში ინათლებიან „მთავარნი" თავისი „ერით", ხოლო სხვაგან — მთელი ხალხი. ცხადია, ეს უნდა იყოს მოწმობა სოციალური განვითარების დონის დიფერენციაციისა ქართლის სხვადასხვა მხარეში. კერძოდ, კახეთ-კუხეთსა და სუჯეთში უკვე კლასობრივ საზოგადოებასთან გვაქვს საქმე. ეს, რა თქმა უნდა, სრულიად გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ესენია ბარის ერთეულები, ბარის „ხეები". ხოლო რაც შეეხება მთას (ერწო-თიანეთი, ყვარა, ფხოვი, ჭართალი, წილკანი, გუდამაყარი), აქ ჯერ კლასობრივი ურთიერთობა არ არის შეჭრილი[217] (მირიან მეფე სწორედ ამის განხორციელებას ცდილობს).

ამგვარად გვესახება ჩვენ საქართველოს ტერიტორიის ისტორიულ-გეოგრაფიული ვითარება IV ს-ის მეორე ნახევარსა და V ს-ის პირველ ნახევარში. V ს-ის მეორე ნახევარში, ამ მხრივ, გარკვეული ცვლილებები შეიმჩნევა მთელი საქართველოს ტერიტორიაზე. ეს პერიოდი აღნიშნულია ისეთი ენერგიული პიროვნების მოღვაწეობით, როგორიც იყო ვახტანგ გორგასალი — საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი ფიგურა.

---

216 OP, 728.

217 შდ. ს. ჯანაშია, შრომები, II, გვ. 206 და 210.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი III

ვახტანგ გორგასლის ეპოქა

1. ვახტანგ გორგასლის მეფობის დასაწყისში ქართლის სამეფო სავალალო მდგომარეობაში იყო. ჯერ ერთი, უკვე კარგა ხანია, რაც ჩვენი ქვეყანა სასანური ერანის მიერ იყო დაპყრობილი და მის ვასალურ სახელმწიფოდ ქცეული. თბილისში შაჰანშაჰის მოხელე მარზპანი იჯდა და მცხეთაში მყოფი ქართლის მეფის პოლიტიკას აკონტროლებდა. მეორე მხრივ, V ს-ის მეორე ნახევრის დასაწყისში, ქართული წყაროების მიხედვით, ბიზანტიის გააქტიურება შეიმჩნევა ეგრისისა და ქართლის მიმართაც: „მასვე ჟამსა გამოვიდეს ბერძენნი აფხაზეთით, რამეთუ ბერძენთა ჰქონდა ეგრისწყალს ქუემოთი კერძი ყოველი, და დაიპყრეს ეგრის-წყლითგან ვიდრე ციხე-გოჯამდე“[1]. რადგან ჩვენ ვიცით, რომ IV ს-ის მეორე ნახევრიდან საზღვარი ეგრისის სამეფოსა და აფხაზეთს[2] შორის მდ. კოდორზე გადიოდა, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ამაზე ცოტახნით ადრე ბიზანტიელებს კოდორსა და ღალიძგას (ეგრისწყალს) შორის ტერიტორიის ანექსიაც მოუხერხებიათ.

საინტერესოა, რომ ქართული წყაროს ამ ცნობას ბერძნული წყაროც ამოწმებს. პრისკე პანიონელი მოგვითხრობს ბიზანტიელთა შეჭრაზე ეგრისში და ლაზებთან ომზე. მაგრამ ბიზანტიელ თანამედროვე ისტორიკოსს ერთი დეტალი აქვს დაცული, რომელიც შესაძლებელია საინტერესო იყოს ჩვენთვის. იგი აღნიშნავს, რომ ლაზებთან ომის შემდეგ ბიზანტიელთა ჯარი უკან გამობრუნებულა და „ვარისკაცები შეუდგნენ ახალი ომისათვის მზადებას. ისინი იმის ბჭობაში იყვნენ, თუ რა გზით ელაშქრათ: იმავე გზით, თუ სპარსეთის მეზობელი ქვეყნის, არმენიის, გზით დაეწყოთ ომი და წინდა-

---

[1] ქ-ცა, I, გვ. 146.

[2] როგორც ზემოთ ვვარაუდობდით, სებასტოპოლისსა და პიტიუნტში ბერძენთა გარნიზონები V ს-შიც უნდა მდგარიყო და ამიტომ აფხაზეთის ტერიტორია „საბერძნეთი“ იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინ პართელების მეფე მიემხროთ. ზღვით, მათი აზრით, შეუძლებელი იყო ცურვა ძნელსავალი ადგილების გასწვრივ, რადგან კოლხიდა უნავსადგურო იყო"[3]. ვფიქრობთ, აქედან შესაძლებელია იმ დასკვნის გაკეთება, რომ პირველი ლაშქრობის დროს ბიზანტიას სწორედ ზღვის გზა აურჩევია, აფხაზეთში გადაუსხია ლაშქარი და იქიდან შეუტევია ეგრისისთვის, ხოლო მეორე ლაშქრობის დაგეგმვის დროს ზღვის გზა უარუყვიათ და სახმელეთო აურჩევიათ. ეს კარგად შეეწყობოდა ქართული წყაროს ცნობას ბერძენთა აფხაზეთიდან გამოსვლის შესახებ. ასევე თუ ისე, საერთოდაც ბიზანტიელი ისტორიკოსის ცნობა მხარს უჭერს „ქართლის ცხოვრებას". ბერძენთა გააქტივება აღმოსავლეთის საზღვრებზე ატილას სიკვდილის (453 წ.) შემდეგ არის შესაძლებელი. მართლაც, ლაზიკის დაპყრობას (?) ბიზანტიელთა მიერ 456 წლით ათარიღებენ[4].

ბერძნებს IV ს-ის მეორე ნახევარშივე ქართლისაგან სამხრეთ საქართველოს ტერიტორია, კლარჯეთი, წაუღიათ: „განდგეს კლარჯნი ვარაზ-ბაქარისაგან და მიერთნეს ბერძენთა. და დაიპყრეს ბერძენთა თუხარისი და ყოველი კლარჯეთი ზღუთგან არსიანთამდე"[5]. მართალია, მემატიანე აქ ტრადიციულად კლარჯეთს „ზღუთგან არსიანთამდე" გულისხმობს, მაგრამ სინამდვილეში ჩვენ ვიცით, რომ ამ პერიოდში ქართლი ზღვაზე არ გადიოდა. კლარჯეთის ზღვისპირა მხარე (ნიგალი, მურღული, მერედიდი) ეგრისის სამეფოში შედიოდა. მეორე მხრივ, ბერძნებს, როგორც ქვემოთ ვნახავთ, მხოლოდ კლარჯეთი კი არ წაუღიათ, არამედ, ამას გარდა, „ჯევნი, რომელნი მოსდგმანან ღადოთა"[6]. ღადო ეწოდებოდა აწინდელ აჭარა-ახალციხის ქედს[7] და მისი სამხრეთიდან მიმდგომი „ჯევები", პირველ რიგში, სამცხე და აჭარა უნდა ყოფილიყო. „ქართლის ცხოვრების" ამ ცნობის დადასტურებას ვპოულობთ ამიანე მარცელინის ისტორიაში, სადაც წერია, რომ 368 წ. ახლოს რომაელებმა ქართლის ერთ ნა-

---

[3] პ რ ი ს კ ე პ ა ნ ი ო ნ ე ლ ი, „გეორგიკა", I, გვ. 254.

[4] М. И. А р т а м о н о в, История Хазар. Л. 1962. 62.

[5] ქ^رცა, I, გვ. 136—137.

[6] იქვე, გვ. 177. მემატიანის მიერ ყრუდ ნათქვამი ეს ფრაზა, რომ ვახტანგ გორგასალმა დაიბრუნა კლარჯეთის გარდა ეს ტერიტორიაც, იმის გათვალისწინებით, რომ ვარაზბაკურის დროს არაფერს ამბობს მის მიტაცებაზე ბერძნების მიერ, შეიძლება იმას მოწმობდეს, რომ „ჯევნი რომელნი მოსდგმანან ღადოთა" (აჭარა-სამცხე) ეგრისის სამეფოს ჰქონდა წაღებული ან რომაელთაგან გადაცემული.

[7] ქ^رცა, I, გვ. 4—5. შდ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, გვ. 13—14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წილში თავისი კანდიდატი, ქართლის უფლისწული საურმაგი (ურმაგი) დასვეს, ხოლო მეორე ნაწილში ერანელთა კანდიდატი ასფაგური (იგივე ვარაზბაკური) იჯდა. ქართლის ამ ორ ნაწილს ერთმანეთისგან ჰყოფდა მდ. მტკვარი იმგვარად, რომ „საურმაკს არმენიისა და ლაზების მოსაზღვრე (მხარე) ერგო, ასფაგურს კი ალბანიისა და სპარსელების მომიჯნავე"[8]. თვით ამ ცნობას კი აკონკრეტებს ზემომოტანილი ჩვენება „ქართლის ცხოვრებისა", რის მიხედვითაც მტკვარი საზღვრად მცხეთამდე კი არ უნდა ვივარაუდოთ, არამედ მხოლოდ მის ზემო დინებაში, ალბათ არტაან-სამცხის ტერიტორიაზე. ამდენად, კლარჯეთისა და. როგორც ჩვენ ვვარაუდობდით, სამცხე-აჭარის გარდა, რომაელებს არტაან-ჯავახეთის ნაწილიც მტკვრამდე მიუტანიათ[9]. ასეთი კონიექტურა უფრო ეთანხმება კიდეც რომაელი ისტორიკოსის იმ მითითებას, რომ საურმაგის წილი ეგრისსა და სომხეთს ემიჯნებოდა (ე. ი. ფაქტიურად ლაზეთს და ტაოს), ხოლო ვარაზბაკურისა — ალვანეთს და სპარსეთს[10]. რამდენადაც აღმოსავლეთი სომხეთი ამ დროს შაბურ II-ს უკვე დაპყრობილი ჰქონდა[11], ამდენად მემატიანისთვის ეს მხარე სპარსეთი იყო.

ამგვარად დასტურდება, რომ IV ს-ის მეორე ნახევრიდან, ვიდრე V ს-ის მეორე ნახევრამდე სამხრეთ-დასავლეთი ქართლი ბიზანტიელთა ორიენტაციას დასდგომია. ბიზანტიის ეს აქტივიზაცია ამიერკავკასიის მიმართ იმითაც უნდა გამოხატულიყო, რომ V ს-ში ბერძენი ანონიმი ეგრისის სამეფოს „დიოსკურიიდან (რომელსაც აგრეთვე სებასტუპოლი ეწოდება) ვიდრე აფსარის წყლამდე" საზღვრავს[12]. რამდენადაც აფსარს, ჩვეულებრივ, ჭოროხთან აიგივებენ, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ V ს-ში, ალბათ მისი შუა ხანებისათვის, ბიზანტიას ეგრისისაგან ეს ტერიტორიაც (ჭანეთი) მიუტაცია.

---

[8] ამიანე მარცელინე, „გეორგიკა", I, გვ. 130; შდ. C. Toumanoff, Studies, გვ. 461—462, შენ. 113.

[9] შდ. ს. კაკაბაძე, ძიებანი... გვ. 13.

[10] თუ ლაზოს მთას მხოლოდ ფერსათის მთებად ანუ სამცხის მთებად ჩავთვლით და ე. ი. მემატიანის ცნობიდან აჭარას გამოვრიცხავდით, მაშინ უნდა გვევარაუდა, რომ აჭარა ეგრისის სამეფოს ხელშია, რადგან, ამიანეს ცნობით, საურმაგის წილი ქართლი ლაზების მოსაზღვრე იყო.

[11] A. Christensen, L'Iran sous les Sassanides, Copenhague, 1944, 236—238; M. L. Chaumont, Les rois sassanides d'Arménie (III éme siècle ap. J.-C.). „Iranica Antiqua», vol. VIII, Leiden, 1968, 92.

[12] V ს-ის ანონიმი, „გეორგიკა", II (2), გვ. 61.

ამას ყველაფერს ისიც ემატებოდა, რომ „მაშინ ვითარ იქმნა ვახტანგ წლისა ათის, გარდამოვიდეს ოვსნი სპანი ურიცხუნი, მოტყუენეს ქართლი თავითგან მტკურისათ ვიდრე ხუნანამდე, და მოაოჯრნეს ველნი, არამედ ციხე-ქალაქნი დაურჩეს, თჳნიერ კასპისა, ხოლო კასპი ქალაქი შემუსრეს“[13], ალან-ოსთა შემოსევას ჰუნ-სარაგურთა მიერ ქართლის (და სომხეთის) დარბევა მოჰყვა[14]. ამგვარად, ახალგაზრდა ვახტანგ გორგასალი იმთავითვე მძიმე ამოცანის წინაშე იდგა.

2. ჩვენ ერთგან უკვე აღვნიშნავდით, რომ მიუხედავად სადევგმირო ელემენტებით გადატვირთულობისა, მემატიანე ჯუანშერის თხზულებიდან სრულიად აშკარად ჩანს ვახტანგ გორგასლის პოლიტიკური კურსის ძირითადი მიზანი: ქვეყნის კონსოლიდაცია და დამოუკიდებლობის აღდგენა. ფრიად სერიოზული ძალა, რომელიც ქართლის დამოუკიდებელ არსებობას ემუქრებოდა, იყო, რა თქმა უნდა, სასანური ერანი. ამიტომ მეფის მთავარ საზრუნავს ერანთან ბრძოლა შეადგენდა. საამისოდ კი მას ჯერ ნიადაგი ჰქონდა მოსამზადებელი. პირველ რიგში, საჭირო იყო ძალთა მოკრება და ზურგის გამაგრება, ე. ი. მთიელთა, და კერძოდ, „ოვსთა“ და „ჰონთა“ დამორჩილება. ვახტანგ გორგასალმაც ამით დაიწყო.

რამდენადაც კავკასიის მთის დამორჩილება, ჩრდილო კავკასიიდან ამიერკავკასიაში გადმოსასვლელი ზეკარების ხელში ჩაგდება და კონტროლი თვით ერანის ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავი იყო, ამიტომ ქართლის მეფე თავის სასარგებლოდ იყენებს ამ გარემოებას და ერანის ლაშქრის ნაწილსაც თავის მოკავშირედ იხდის[15]. „წარვიდა ვახტანგ და დადგა თიანეთს. და მუნ მიერთნეს ყოველნი მეფენი კავკასიანნი“[16]. ამ უკანასკნელთა შორის, პირველ რიგში, იგულისხმებიან ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის მთიანეთის, კერძოდ, ქრისტურ-ბაცბური მოსახლეობის, მაგრამ, ნაწილობრივ, შესაძლებელია, დაღესტნურ ტომთა ბელადებიც. ყოველ შემთხვევაში, ცხადია, რომ ვახტანგ გორგასალი უკვე ფლობს ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიონს. ამ შეერთებული ლაშქრით იგი იმორჩილებს „ოვსეთს“: „ხოლო დაიმორჩილნა ოვსნი და ყივჩაყნი, და შექმნა კარნი ოვსეთისანი, რომელთა ჩუენ დარიანისად უწოდთ. და აღა-

---

[13] ქ-ცა, I, გვ. 145.
[14] იხ. „გეორგიკა“, I, გვ. 259.
[15] ქ-ცა, I, გვ. 150.
[16] იქვე, გვ. 151.

შენნა მას ზედა გოდოლნი მაღალნი, და დაადგინნა მცველად ბრ-
ლობელნი იგი მთეულნი: არა ჴელეწიფების გამოსლვად დიდთა მათ
ნათესავთა ოვსთა და ყივჩაყთა თჳნიერ ბრძანებისა ქართველთა მე-
ფისა"[17]. ყივჩაყთა დასახელება, მართალია, გვიანდელი მემატიანის
ინტერპოლაციაა და შეცდომაა, მაგრამ მათი სახით ჩვენ უნდა ვიგუ-
ლისხმოთ ჩრდილო-კავკასიის სხვადასხვა მომთაბარე ტომები და,
პირველ რიგში, ალბათ, ჰუნები.

რომ „ქართლის ცხოვრების" ზემოხსენებული ჩვენება სწორი
უნდა იყოს, ამას ამოწმებს მეორე ქართული ძეგლი, „მოქცევაჲ
ქართლისაჲ", რომლის ჭელიშურმა რედაქციამ შემოგვინახა ამ
მხრივ შესანიშნავი ცნობა. იგი უნდა ეხებოდეს VI ს-ის 30—40-იან
წლებს: „ვითა მეფობაჲ დაესრულა. ქართლსა შინა სპარსნი განძლი-
ერდეს და ერეთი და სომხითი დაიპყრეს. ხოლო ქართლი უმეტესად
დაიპყრეს და კავკასიანთა შევიდეს და კარნი უვსეთისნი აიგნეს.
და ერთი დიდი კარი უვსეთისვე და ორნი დვალეთს. და ერთი პარ-
ჭუანს დორძოკეთისსა. და იგი მთიულნი. გომარ[illegible]დად დაადგინნეს,
და სხუაჲ ვინმე კაცი დაიდგინეს მთავრად. წანარეთისა ჴევსა და
მორჩილებაჲ დასდვეს მისი"[18]. კონტექსტი, ვფიქრობთ, იძლევა
იმის უფლებას, კავკასიონის ზემოხსენებული ზეკარები, რომლე-
ბიც, რა თქმა უნდა, ცენტრალურ კავკასიონში უნდა მდებარეობდ-
ნენ (დარიალანი, ლიახვ-არდონის წყალგასაყარი და ფშავ-ხევსუ-
რეთიდან ქისტებში მიმავალი გზა)[19], საკუთრივ ქართლის ტერი-
ტორიაზე ვიგულისხმოთ („წანარეთის ჴევი", ანუ დღევანდელი
ხევი, ხომ ადრევე ქართლში შემოდიოდა). დვალეთის ორი „კარი",
რომელიც არდონის და ფიაგდონის ვიწროებს ხერგავდა ჩრდილოე-
თის მხრიდან, ამ უკანასკნელ ხანებში იქნა მიგნებული („კასრის
კარი" და „ხევხილაკას კარი") და ისინი გამაგრებათა მთელ სისტე-
მას წარმოადგენენ[20]. კარი „პარჭუანს დორძოკეთისსა" — მისაგ-
ნებია. თუნდაც რომ სწორი იყოს მემატიანის ჩვენება, თითქოს ამ
სიმაგრეთა პირველად აგება სასანელებს მიეწერება[21], მაინც ვფიქ-

---

17 იქვე, გვ. 156.

18 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. OP, გვ. 723—724.

19 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, I, გვ. 4.

20 ვ ა ხ ტ ა ნ გ გ ა მ რ ე კ ე ლ ი, დვალეთის კარნი ცენტრალურ კავკასიონზე, ჟურნ. „ძეგლის მეგობარი", № 5, 1965.

21 ჩვენს ამ ეჭვს ის საფუძველი აქვს, რომ დარიალის ციხე უკვე დიდი ხნის აგებული იყო და ვახტანგს იგი განუახლებია (იხ. ზემოთ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობთ, რომ ქართლის ტერიტორია ამ დროისათვის უკვე კავკასიონის მთავარ ქედს ჩრდილოეთით იგულისხმებოდა და ე. ი. დვალეთი, პირიქითი ხევსურეთი და თუშეთი პოლიტიკურად ქართლში შემოდიოდა. რომ, კერძოდ, ასე უნდა ყოფილიყო უკვე ვახტანგ გორგასლის მეფობისას, ეს, გარდა ზემოხსენებული ცნობისა „კავკასიანთა“ მისდამი მორჩილების შესახებ, მოწმდება სრულიად სხვა წყაროთი.

ვახტანგ გორგასლის თანამედროვე სომეხი ისტორიკოსის, ლაზარე ფარპელის თხზულებიდან ნათლად ჩანს, რომ ქართლის მეფე ფლობს ჩრდილო კავკასიიდან ამიერკავკასიაში გადმომავალ ზეკარებს და, რომ მის ნებასურვილზეა დამოკიდებული ჰონთა ტომის ქართლში გადმოყვანა. ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ სომხებმა „სასწრაფოდ გაგზავნეს დესპანი მეფე ვახტანგთან, რათა თავისი დაპირებისამებრ მიეცა მათთვის ჰონები. ის კი დროისგამყვანი სიტყვებით აჭიანურებდა თავისი ნათქვამის (ასრულებას). შემდეგ საიდანღაც შეკრიბა სამასი ჰონი და გამოგზავნა სომხეთში. მაგრამ ჯერ კიდევ ზამთრის ერთი თვეც არ გასულიყო, რომ სასწრაფო მომიზეზებით, ისევ თავისთან გაიხმო“... მეორეგან ვახტანგი დესპანის პირით უთვლის სომხებს: „ჰონთა ჯარს ვუბრძანე მოსულიყო, მაგრამ ჯერ არ მოსულა... უზომო სიმრავლეს ვუბრძანე მოსვლა“... და კიდევ ერთგან ვახტანგი სომხებს პირადად ეუბნება ვითომც ჰონებს მისთვის ეთქვათ: „რის გაკეთებასაც გვიბრძანებ, ყველაფერს შევასრულებთ“[22].

სომეხი ისტორიკოსის ზემოხსენებული სიტყვები, ჯერ ერთი, აშკარად მოწმობს, რომ ვახტანგ გორგასალს ჰუნებზე სუვერენული უფლება თუ არა, ყოველ შემთხვევაში, საკმაო გავლენა აქვს (შდ. ქ“ცა-ს ჩანართი ყივჩაყთა შესახებ), რამდენადაც მას შეუძლია მათ უბრძანოს, ხოლო ისინი, თავის მხრივ, მისი ბრძანების მორჩილნი არიან. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ლაზარე ფარპელი, გარკვეული მიზეზების გამო, არასიმპატიურადაა განწყობილი ქართლის მეფის მიმართ, მაშინ უნდა ვირწმუნოთ, რომ მის მიერ დახასიათებული ურთიერთობა ვახტანგსა და ჰუნთა შორის სრული ჭეშმარიტებაა. მეორე მხრივ, ეს მოწმობს აგრეთვე, რომ ვახტანგი ფლობს კავკასიონის ზეკარებს, საიდანაც მისი ბრძანებით უნდა გადმოსულიყო ჰუნთა „უზომო სიმრავლე“. ვფიქრობთ, არ არის აუცილებელი აქ მხოლოდ დარიალის კარი ვიგულისხმოთ. აქ,

---

[22] ლ.-ნ. ჯ ა ნ ა შ ი ა, ლაზარ ფარპეცის ცნობები... გვ. 248—250.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალბათ, საერთოდ კავკასიონის გადასასვლელები, და კერძოდ, უმუალოდ ჰუნებთან დაკავშირებული „კარები“ („პარჭუანს დორძოკეთისსა“?) უნდა იგულისხმებოდეს. ამგვარად, ყველა ამ წყაროთა მონაცემებით დასტურდება, რომ ვახტანგ გორგასალს კავკასიის მთიანეთი დაუმორჩილებია და თავისი გავლენა ჩრდილო კავკასიაზე გაუვრცელებია[23].

3. ამის შემდეგ, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, „მეფემან განუტევნა ნიჯადნი (დამხმარე ლაშქარი, დ. მ.) იგი სპარსთანი და მეფენი კავკასიანთანი ნიჭითა დიდითა... გზასა დარიალისასა, და თჳთ სპითა დიდითა ქართლისათა წარმოვიდა გზასა აფხაზეთისასა[24]. სულგრძელად და უშიშრად იწყო ბრძოლად ციხეთა აფხაზეთისათა... და სამ წელ წარტყუენნა ყოველნი ციხენი აფხაზეთისანი ვიდრე ციხე-გოჯამდე“...[25] ე. ი. ვახტანგს ბიზანტიის მიერ მიტაცებული ტერიტორია კვლავ გაუნთავისუფლებია

ვახტანგ გორგასალი დაუყოვნებლივ შეუდგა დასახული გეგმის მეორე ეტაპის განხოციელებას. იგი სპარსთა დახმარებით ებრძვის ბიზანტიელებს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, რის შედეგადაც „უკუმოსცა კეისარმან საზღვარი ქართლისა, ციხე თუხარისი და კლარჯეთი ყოველი, ზღჳთგან ვიდრე არსიანთამდე, და ჴევნი რომელნი მოსდგმანან ღადოთა“...[26] მემატიანეს საქმე ისე აქვს წარმოდგენილი, თითქოს ერანის შაჰს გაელაშქროს ბიზანტიის წინააღმდეგ და ვახტანგისთვის, როგორც მისი ვასალისთვის, მოეთხოვოს დახმარების აღმოჩენა. სინამდვილეში სხვაგვარი ვითარება უნდა ყოფილიყო, რადგან V ს-ის მეორე ნახევარში (502 წლამდე) ბიზანტიასა და ერანს შორის არავითარი საომარი მოქმედება არ ყოფილა[27] და, ამდენად, ჯუანშერის ცნობა არ უნდა იყოს სწორი. მაგრამ, თავისთავად, ვახტანგ გორგასლის ბრძოლა ბერძნებთან შესაძლებელია სრულიად რეალური ამბავი იყოს. ჯუანშერს, როგორც ჩანს, სურს ერთგვარი რეაბილიტაცია გაუკეთოს ქართველთა მეფეს, როგორც ქრისტიანს, რომელიც ებრძვის ერთმორწმუნე ბიზანტიას, მაშინ როდესაც, მისი წარმოდგენით, ქრის-

---

23 ამას ამოწმებს აგრეთვე ფოლკლორული გადმოცემა, რომლის მიხედვით ვახტანგმა „იალბუზზე ფეხი შიდგა, დიდმა მთებმა იწყეს დრეკა“.

24 უნდა იყოს იგივე „მისიმიანეთის გზა“, ქლუხორზე (იხ. З. В. Анчабадзе, დასახ. ნაშრ., გვ. 12—13).

25 ქ-ცა. I, გვ. 157.

26 იქვე, გვ. 177.

27 A. Christensen, დასახ. ნაშრ., 283—316, 336—352.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიანი მეფის უპირველესი მოვალეობა იყო ბრძოლა მაზდეანურ ერანთან. ეს ტენდენცია მემატიანისა უკვე შენიშნულია ჩვენს ისტორიოგრაფიაში[28].

ამგვარად, ვახტანგ გორგასალს კლარჯეთი კვლავ დაუბრუნებია საქართველოსთვის. რაც შეეხება აფხაზეთის საკითხს, მემატიანის სიტყვით, კეისარი და ქართლის მეფე აქაც მორიგებულან. კეისარი ეუბნება ვახტანგს: „ეგრის-წყლითგან ვიდრე მდინარედმდე მცირისა ხაზარეთისა — ესე საზღვარი არს საბერძნეთისა ალექსანდრობითგან, რომელი აწ შენ მიგიღია მკლავითა ჩუენგან, აწ იგი უკუმოგუეც... და დაუწერა (კეისარმა ვახტანგს, დ. მ.) ეგრის-წყალსა და კლისურას შუა ქუეყანა ზითვად, და სხუა აფხაზეთი უკუსცა ვახტანგ ბერძენთა“[29]. ე. ი. ფაქტიურად, აქ ლაპარაკია საზღვარზე აფხაზეთსა და ეგრისს შორის. V ს-ის მეორე ნახევარში ეს საზღვარი, რომელიც ადრე კოდორზე გადიოდა, ახლა უფრო ჩრდილოეთით გადაწეულა მდ. კელასურზე.

რომ აქ, ამ მხრივ, რეალური ვითარება უნდა იყოს გადმოცემული, ეს, ჯერ ერთი, ჩანს სრულიად კონკრეტული, არაერთგზისი მითითებებით ქართულ წყაროებში, რომ ამის შემდეგაც, კერძოდ, VIII ს-ში საზღვარი ეგრისსა და აფხაზეთს შორის კლისურა||კელასურზე გადიოდა. გარდა ამისა, ჯუანშერის ცნობის რეალურობას უნდა მოწმობდეს მისი მითითება, რომ კლისურასა და ეგრის-წყალს შორის მოქცეულ ტერიტორიას თითქოს „შუა ქუეყანა“ ეწოდებოდა: რომ ასეთი ინტერპრეტაცია კონტექსტისა სწორი ჩანს. ამის დამადასტურებელი საბუთია ის, რომ ტერიტორიას „შვა-სოფლად წოდებულს აყუს (დღ. სოხუმის, დ. მ.) საზღვრიდამ ვიდრე ღალიძგამდე“[30] XIX ს-ის დასაწყისშიაც იცნობენ, ხოლო რომ ჯუანშერისეული ქრონოლოგიაც ამ მოვლენისა სწორი უნდა იყოს, ამას თვით ტერმინი „სოფელი“ მოწმობს, რომელიც ამ ფაქტს, მანცდამაინც, VIII ს-ზე ძველი დროით ათარიღებს. ამის შესახებ ზემოთ უკვე ვილაპარაკეთ.

ყველაფერი ზემოთ თქმული, ვფიქრობთ, გვაძლევს საფუძველს, „ქართლის ცხოვრების“ ცნობებს მეტი ნდობით მოვეკიდოთ

---

[28] ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობაში, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I, 1955, გვ. 163.

[29] ქ-ცა, I, გვ. 177.

[30] ნ. დ ა დ ი ა ნ ი, ქართველთა ცხოვრება, გვ. 209.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და უცხო წყაროებთან შეთანაპირებით გამოვიყენოთ საქართველოს ისტორიის ბუნდოვანი პერიოდების აღსადგენად. კერძოდ, როგორც დასაწყისშივე აღვნიშნავდით, ჩვენ სწორი გვგონია ის ტენდენცია ქართულ ისტორიოგრაფიაში, რომელიც ქართული წყაროების ჩვენებას ქართლ-ეგრისის პოლიტიკური დამოკიდებულებისა და ურთიერთობის შესახებ არსებითად ისტორიულ სინამდვილედ აღიარებს[31].

მართლაც, ძნელია ბიზანტიური წყაროებით დამოწმებული შესუსტება ეგრისის სამეფოსი V ს-ის 60—70-იანი წლებიდან არ დავუკავშიროთ „ქართლის ცხოვრების“ ცნობებს ვახტანგ გორგასლის საქმიანობის შესახებ ეგრისში. როგორც ვიცით, მენანდრე პროტიქტორის ცნობით ჩანს, რომ ამ ხანებში სვანეთი გამოეყო ეგრისის სამეფოს[32] და, სავარაუდოა, ქართლის გავლენას დაექვემდებარა. რომ ეს ცნობა სწორი უნდა იყოს და რომ ამაში, მაინცდამაინც, ქართლის ხელიც ერია, ამაზე უნდა მიგვითითებდეს პრისკე პანიონელის ერთი, მართალია, ბუნდოვანი, მაგრამ, ჩვენი თვალსაზრისით, მაინც ნიშანდობლივი ცნობა. ბიზანტიელი ისტორიკოსი გადმოგვცემს, რომ სწორედ ამ ხანებში, V ს-ის 60-70-იან წლებში (პრისკეს ისტორია 474 წლამდე იყო მოყვანილი) „დიდი უთანხმოება ჰქონდათ სვანთა ტომთან რომაელებსა და ლაზებს, და სვანებმა სასტიკი ბრძოლა გააჩაღეს სემატის (? ლაზთა სარდლის) წინააღმდეგ. სპარსელებს უნდოდათ მის (ე. ი. ლაზთა სარდლის თუ მეფის, დ. მ.) წინააღმდეგ ეომათ იმ სიმაგრეების გულისათვის, რომლებიც სვანებს წაერთვა“[33]. ამ ცნობიდან, ჯერ ერთი, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მანამდე ეგრისის მეფის ქვეშევრდომ სვანთა ტომს „დიდი უთანხმოება“ მასთან უნდა მოსვლოდა იმ ნიადაგზე, რომ სვანეთი გადაუდგა ეგრისს. შემდეგ, ამას ის მოწმობს, რომ ეგრისელებს სვანებისთვის რომელიღაც ციხეები წაურთმევიათ, ცხადია, უკვე მას შემდეგ, რაც ქვეშევრდომი სვანეთი მათ გადაუდგა. სვანებმა „სასტიკი ბრძოლა გააჩაღეს“ ეგრისელთა წინააღმდეგ და ამ ბრძოლაში მათი მხარდამჭერია სპარსეთი. ეს უკვე მიგვითითებს, რომ სპარსეთს რაღაც პრეტენზია აქვს სვანეთის მიმართ და ამ პრეტენზიას ის საფუძველი უნდა ჰქონდეს, რომ ეგრისს გამდგარი სვანები სპარ-

---

[31] იხ. ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 17; Г. А. Меликишвили, დასახ. ნაშრ., გვ. 132 და 386.

[32] იხ. „გეორგიკა“, III, გვ. 224—225.

[33] იხ. „გეორგიკა“, I, გვ. 261.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სელებს მიუვიდნენ. ეს კი თავისთავად უნდა გულისხმობდეს ეგრისის მეზობელი და სპარსეთის ვასალი ქართლის მონაწილეობასაც ამ აქციაში.

რომ ჩვენი ვარაუდი სწორია, ამას იგივე ისტორიკოსი მოწმობს. მოგვითხრობს რა ამ ბრძოლის გამო ეგრისის მეფის მიერ რომაული ლაშქრის მოწვევის შესახებ, იგი დასძენს: „სპარსელებმა და იბერებმა, რომლებიც მას (ლაზთა მეფეს) ეომებოდნენ, სხვა ტომების წინააღმდეგ გაილაშქრეს, და ამიტომ მან (ლაზთა მეფემ) მოკავშირე ჯარი უკან გაგზავნა“[34]. ამგვარად, აშკარაა V ს-ის 60—70-იან წლებში მომხდარ ეგრისელ-სვანთა დიდ კონფლიქტში ქართლის მონაწილეობაც. რით დამთავრდა ეს კონფლიქტი ამჯერად, კვლავ დაიმორჩილეს თუ არა ეგრისელებმა სვანები, სამწუხაროდ, არ ჩანს, მაგრამ მენანდრეს ზემოხსენებული ცნობა და „ქართლის ცხოვრების“ ჩვენება იმას მიუთითებს, რომ, საბოლოო ჯამში, სვანეთი გამოეთიშა ეგრისს და ქართლს შეუერთდა.

მაგრამ არა თუ მხოლოდ სვანეთი, არამედ საერთოდ მთელი ეგრისის სამეფო ამ დროს ქართლს უნდა შეერთებოდა. „ქართლის ცხოვრება“ ვახტანგ გორგასლის ერისთავთა შორის ასახელებს „სამნალირს, ერისთავს შიდა ეგრისა და სუანეთისა და ბაკურს, ერისთავს მარგვასა და თაკუერისა“[35]. არ გვაქვს საფუძველი არ ვერწმუნოთ „ქართლის ცხოვრების“ ამ ცნობას. და რომ იგი რეალურ ვითარებას უნდა ასახავდეს და ქრონოლოგიურადაც სწორი უნდა იყოს, ამაზე კვლავ ბიზანტიელი ისტორიკოსები გვარწმუნებენ.

პროკოპი კესარიელი გადმოგვცემს, რომ VI ს-ის ოციან წლებში ერანის შაჰის კავადის და იუსტინე კეისრის ელჩები დავობენ ლაზიკის შესახებ. სპარსელები ამბობდნენ, „რომ კოლხიდა, რომელსაც ახლა ლაზიკე ეწოდება, ძველითგანვე რომ სპარსელთა ქვეშევრდომი იყო, რომაელებს ძალით უჭირავთ, უსამართლოდ. რომაელები აღშფოთებით ისმენდნენ სპარსელთა ამ სიტყვებს“[36]. ცხადია, რომაელთა აღშფოთება გასაგებია: სწორედ ისინი თვლიდნენ ეგრისს ძველთაგანვე თავის ვასალად და, როგორც ვიცით, სრული საფუძვლითაც. მაგრამ სპარსელებსაც საამისოდ რაღაც საფუძველი ჰქონდათ. ეს მტკიცდება მეორე ბიზანტიელი ისტორიკოსის იოანე მალალას ცნობით. ერთგან იგი აღნიშნავს, რომ „იუსტინეს

---

34 იხ. „გეორგიკა“, I, გვ. 262.

35 ქ-ცა, I, გვ. 185.

36 პ რ ო კ ო პ ი კ ე ს ა რ ი ე ლ ი, „გეორგიკა“. II (2). გვ. 47—48.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეფობის დროს (518—527 წწ. დ. მ.) ლაზთა მეფე წათი გაჯავრდა და ჩამოშორდა სპარსეთს. სპარსელთა მეფე იყო კოადი, რომელიც ოდესღაც წათის, ლაზთა მეფის მეგობრად ითვლებოდა და ამ კოადის სამეფოს ქვეშევრდომი იყო; ამიტომაც იყო, რომ როდესაც ლაზთა მეფე გარდაიცვლებოდა, სპარსელთა მეფე ნიშნავდა და აგვირგვინებდა (ახალ მეფეს), მაგრამ უთუოდ ლაზთა ტომიდან"[37]. სპარსელთაგან გადამდგარი წათი, ლაზთა მეფე, მიდის კონსტანტინეპოლში იუსტინესთან და იქ ეკურთხება ქრისტიანული წესით. კავადი უთვლის იუსტინეს: „ჩემი ქვეშევრდომი მეფე ლაზებისა შენ აკურთხე, თუმცა ის რომაელთა ხელქვეითი კი არ ყოფილა, არამედ იმთავითვე სპარსელთა ძალაუფლების ქვეშ იყო"[38]. იოანე მალალას ეს ცნობა გამეორებული (?) აქვს „პასქალური ქრონიკის" ავტორს[39] და თეოფანე ყამთააღმწერელსაც[40].

ეჭვი არ არის, ეს ცნობები რეალური ვითარების ამსახველია. მით უმეტეს, რომ ისინი ბიზანტიელ ისტორიკოსებთან არის დაცული, რომლებიც არ შეიძლება ტენდენციურები არ ყოფილიყვნენ (მაგრამ, რა თქმა უნდა, არა სპარსელთა სასარგებლოდ) VI ს-ში სპარსეთ-ბიზანტიას შორის ატეხილი გაუთავებელი ომისა და დავის საკითხში სწორედ ეგრისის გამოისობით. ნიშანდობლივია ამ მხრივ თვით იუსტინეს პასუხიც კავადისადმი, სადაც იგი თავის უფლებას ლაზთა მეფის ქრისტიანული წესით კურთხევის შესახებ ასაბუთებს არა იმით, რომ ეს უკანასკნელი მისი ძველისძველი ქვეშევრდომია, არამედ იმით, რომ წათი თავისი ნებით მისულა მასთან[41].

ცხადია რომ, მაინცდამაინც, კავადის დროს (488—523 წწ.) ეგრისი ერანის ქვეშევრდომია. მაგრამ ასეთი ვითარება კიდევ უფრო ძველი უნდა ყოფილიყო, რასაც მოწმობს იოანე მალალას ზემომოტანილი სიტყვები: „როდესაც ლაზთა მეფე გარდაიცვლებოდა, სპარსელთა მეფე ნიშნავდა და აგვირგვინებდა (ახალ მეფეს)". ცხადია, ეს ნიშნავს, რომ ასეთი პრეცედენტი წათემდეც ყოფილა და ე. ი. მაინცდამაინც, მამამისის ზამანაქსეს დროს.

---

37 იოანე მალალა, „გეორგიკა", III, გვ. 263.

38 იქვე, გვ. 266.

39 „პასქალური ქრონიკა". „გეორგიკა", IV, გვ. 11—13.

40 თეოფანე ყამთააღმწერელი, „გეორგიკა", IV, გვ. 77—78. თეოფანე ამ ამბავს 523 წლით ათარიღებს.

41 ი ო ა ნ ე მ ა ლ ა ლ ა, იქვე, გვ. 266—267; „პასქალური ქრონიკა", იქვე, გვ. 13—14; თეოფანე ყამთააღმწერელი, იქვე, გვ. 78—79.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვფიქრობთ, ყველაფერი ეს დადასტურებას პოულობს „ქართლის ცხოვრების“ (ჯუანშერის) იმ მითითებით, რომ ვახტანგ გორგასალი ეგრისს უშუალოდ ფლობდა, რასაც, თავის მხრივ, როგორც ვნახეთ, მხარს უჭერს პრისკე პანიონელისა და მენანდრე პროტიქტორის ცნობები ეგრის-სვანეთ-ქართლის ურთიერთობის შესახებ. ის რომ VI ს-ის ბიზანტიელ ისტორიკოსებთან საუბარია სპარსელებზე და არა ივერიელებზე, გასაგებია, რადგან ქართლის მეფე ერანის ვასალი იყო და მისი მოქმედება განხილული უნდა ყოფილიყო, როგორც მისი სიუზერენის, ერანის აქცია, მით უმეტეს, თუ სპარსელების ლაშქარიც უშუალოდ მონაწილეობას იღებდა ქართლის მეფის ლაშქრის გვერდით: ჩვენ რომ არ გვქონდა პრისკე პანიონელის უთუმცაო ცნობა სვანთა და ეგრისელთა კონფლიქტში ივერიელთა მონაწილეობის შესახებ, იქაც ხომ მხოლოდ სპარსელთა ლაშქრის მონაწილეობას ვიგულისხმებდით!

ამგვარად, ჩვენი შეხედულება ამ საკითხზე ასეთია: V ს-ის 60—70-იან წლებში, პეროზ შაჰის დროს, ერანი იმორჩილებს ეგრისის სამეფოს მთლიანად (აფხაზეთს გარდა). ეს ხდება ქართლის მეფის, ვახტანგ გორგასლის უშუალო მონაწილეობით თუ ინიციატივით. დამორჩილებული ეგრისის სამეფო შეუერთდა ქართლს და ამ უკანასკნელის საგამგეო ერთეულებად, საერისთავოებად დანაწილდა: მარგჳსა და თაკუერის და შიდა ეგრისა და სუანეთის საერისთავოებად. პირველი, რამდენადაც ტრადიციულად (ფარნავაზის დროიდან) იმთავითვე ქართლის ნაწილად და IV ს-ის ბოლოსათვის ეგრისის მიერ ქართლისაგან წაღებულად ითვლებოდა, ჩვეულებრივ ქართლის საერისთავოებში ჩაირიცხა, ხოლო შიდა ეგრისა და სუანეთის გამგებელი (ალბათ ეგრისელთა სამეფო დინასტიიდანვე), თუმცა კი ქართლის ერისთავად ითვლებოდა, მაგრამ მის დანიშვნაზე სანქციას თვით ერანის შაჰი იძლეოდა. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა „ქართლის ცხოვრებაში“ გატარებული კონცეფცია ეგრის-ქართლის ურთიერთობის შესახებ, რომელზეც ზემოთ უკვე გვქონდა მითითებული და რომელიც ლეონტი მროველთან არის დამოწმებული: ეგრისის მმართველი, თუმცა კი ქართლის ერთ-ერთ ერისთავად ითვლება, მაგრამ მაინც აშკარაა, რომ მისი სტატუსი, ამ მხრივ, განსხვავდება სხვათაგან[42].

მოსაზრება, რომ ეგრისის სამეფო უშუალოდ იქნა შეერთებუ-

---

[42] იხ. ეწცა, I, 22—24.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლი ქართლის მიერ, საყრდენს პოულობს VI ს-სავე კიდევ ერთი ბიზანტიელი ისტორიკოსის, მენანდრე პროტიქტორის ცნობით.

VI ს-ის 60-იანი წლებისათვის ეგრისში ერან-ბიზანტიელთა განუწყვეტელი ბრძოლის შედეგად ერანელებმა ხელში ჩაიგდეს ეგრისიც და სვანეთიც. მაინც, საბოლოო ჯამში, ისინი იძულებულნი არიან ეგრისი დაცალონ, მაგრამ ცდილობენ სვანეთის შენარჩუნებას. 562 წელს მიმდინარეობს საზავო მოლაპარაკება პეტრე პატრიკოსსა (ბიზანტიელთაგან) და ზიქს (ერანელთაგან) შორის. პეტრე ასე მიმართავს ზიქს: „თუ არ გსურს, ზიქ, რომ საზავო ხელშეკრულებაში სვანეთის სახელი აღბეჭდო, აღნიშნე, რომ მიბრუნებ ლაზიკეს მისდამი დაქვემდებარებულ ტომებითურთ“. ზიქმა უთხრა: „მე რომ ეს ვქნა, შენ საშუალება მოგეცემა იბერიის შესახებაც იდავო. უფლების ძალით ილაპარაკებ, რომ ისიც ლაზთა ქვეშევრდომი იყო“[43]. რითი უნდა აიხსნას ეს, ერთი შეხედვით, ფრიად უცნაური ცნობა? იმით, რომ აქ ვითომც I ს-სთვის „ქართლის ცხოვრებაში“ დაცულ დინასტიურ ურთიერთობაზეა მინიშნება, არა გვგონია სწორი იყოს[44]. საქმე ის არის, რომ, როგორც უკვე აღვნიშნავდით, ბიზანტიური წყაროები აშკარად ტენდენციურად გადმოგვცემენ VI ს-ში ერან-ბიზანტიას შორის წარმოებულ დიპლომატიურ ურთიერთობას. ისინი აშკარად ჩქმალავენ ერანელთა არგუმენტაციას იმავე საკითხზე — ლაზიკისა და სვანეთის ურთიერთდამოკიდებულებაზე — და მაშინ, როდესაც პეტრე პატრიკიოზი სვანეთის ლაზიკისადმი კუთვნილებას საიმპერატორო არქივის დოკუმენტებითაც კი ამაგრებს, ხოსრო ანუშირვანის საამისო პასუხს, უეჭველია, ამახინჯებს და აქ რაღაცას ფარავს. ეს კარგად ჩანს მენანდრეს ტექსტიდან[45]. თუკი ბიზანტიელები თავის პრეტენზიას სვანეთის მიმართ იმით ასაბუთებენ, სვანები ძველი დროიდანვე ლაზთა ქვეშევრდომნი არიანო, საფიქრებელია, ერანელთა არგუმენტაციაც იმაზე იქნებოდა აგებული, რომ არამც თუ სვანეთი, არამედ თვით ეგრისი წარმოადგენდა ერანის ქვეშევრდომს[46]. ამის საფუძველი, როგორც ვიცით, სპარსელებს ჰქონდათ. სპარსელების თვალსაზრისით, შეიძლება ვივარაუდოთ, ქართლი, ეგრისი და სვანეთი, სამი-

---

43 იხ. „გეორგიკა“, III, 215.

44 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 25.

45 იხ. „გეორგიკა“, III, გვ. 225—226; შდ. გ. გოზალიშვილი, დავა სვანეთის გამო ბიზანტიასა და ირანს შორის, ტფილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, III, 1936, 220.

46 შდ. Г. А. М е л и к и ш в и л и, დასახ. ნაშრ., გვ. 132.

ვენი ერთნაირად ერანის ქვეშევრდომები იყვნენ (მით უმეტეს, რომ ისინი მენანდრეს სიტყვით, ამტკიცებდნენ, თითქოს „სვანები თავდნი იყვნენ და არასდროს კოლხების ძალაუფლებას არ ექვემდებარებოდნენ“[47]), თუმცა კი ერთ საგამგეო ერთეულად გაერთიანებულნი, ე. ი., ფაქტიურად, ქართლის სამეფოში შემავალნი („ქართლის ცხოვრება“). ასეთ შემთხვევაში ზიქის ირონიაც სავსებით გასაგები ხდება: თუკი ამ ვითარებაში ბიზანტია სვანეთს ეგრისის ქვეშევრდომად თვლის, ასეთივე წარმატებით მას შეუძლია ქართლიც ეგრისის ქვეშევრდომად მიიჩნიოს.

დაბოლოს, ეგრისის სამეფო რომ უშუალოდ ქართლს შეუერთდა, ამას გვიმოწმებს ვახტანგ გორგასლის თანამედროვე სომეხი ისტორიკოსი ლაზარე ფარპელი. იგი მოგვითხრობს, რომ V ს-ის 80-იან წლებში ერანის წინააღმდეგ აჯანყებული ქართველები და სომხები დამარცხდნენ. ამის გამო, „როდესაც ვახტანგ მეფემ დაინახა, რომ თავისიანებმა იგი მოატყუეს, მიატოვეს და ჰაზარავუხტთან (სპარსელთა მხედართმთავართან, დ. მ.) მივიდნენ, ხოლო სომხები კი თვითონაც ჯერ კიდევ უმწეონი იყვნენ და გაჭირვებულნი, გაეცალა ქართლის ქვეყანას და ცოტა ხნით მივიდა ეგრისის ქვეყნის მხარეებში“[48]. თავისთავად ეს ცნობა ბევრი არაფრის მთქმელია, რადგან ქართლის მეფეების ეგრისში გადასვლა გაჭირვების ჟამს არაერთხელაა დამოწმებული. მაგრამ თუკი გავიხსენებთ, რომ ბიზანტიური წყაროების მიხედვით, როგორც ზემოთ უნდა დავრწმუნებულიყავით, სწორედ ამ დროს, V ს-ის 80-იან წლებში ეგრისი სპარსელთა ქვეშევრდომია, მაშინ ეს ცნობა ჩვენ სხვაგვარად წარმოგვიდგება. მართლაც, ეგრისი რომ უშუალოდ სპარსელთა ხელში ყოფილიყო და ე. ი. იქ მთავარ ციხესიმაგრეებში სპარსული გარნიზონები მდგარიყო, ძნელი დასაჯერებელია ერანის წინააღმდეგ აჯანყებული ვახტანგ გორგასალი იქ გახიზნულიყო ერანელთაგანვე თავდაცვის მიზნით. ე. ი. უნდა ვიფიქროთ, რომ ეგრისი უშუალოდ ვახტანგ გორგასლის სამეფოში შემოდიოდა და, ამდენად, ითვლებოდა ერანის ვასალადაც[49].

---

47 მ ე ნ ა ნ დ რ ე პ რ ო ტ ი ქ ტ ო რ ი, „გეორგიკა“, III, გვ. 215.

48 ლ ა ზ ა რ ე ფ ა რ პ ე ლ ი, გვ. 264.

49 ამგვარად, ზემოთქმულის შემდეგ ცხადი უნდა იყოს, რომ ივერიის მონარქიის კ. თუმანოვისეულ „კოსმოკრატიზმს“ სავსებით რეალურ-ისტორიული საფუძველი აქვს V ს-დან მაინც. სრულიადაც არ არის გამორიცხული, ასეთი ვითარება ფარნავაზის დროსაც ვიგულისხმოთ, მით უმეტეს, რომ ეროვნულ ტრადიციას, აშკარად მხარს უჭერს არქეოლოგიური მასალაც, იხ. ოთ. ლორთქიფანიძე, ძველი კოლხეთის კულტურა, 1972, გვ. 73—75.

4. ვახტანგ გორგასლის ასე ფართო ასპარეზზე გამოტანილ პოლიტიკა ქართლის აღმოსავლეთ პერიფერიასაც შეეხო. თუ აქამდე, როგორც აღვნიშნავდით, ქართლის აღმოსავლეთით მომიჯნავე ჰერეთი (დასავლეთი ალვანეთი), სავარაუდოა, ვასალურ დამოკიდებულებაში იყო ქართლის სამეფოსთან, მის დროს ეს მხარე უშუალოდ იქნა შემოერთებული და ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად, ჰერეთის საერისთავოდ ჩამოყალიბდა[50]. ეს უნდა ყოფილიყო სწორედ ის ტერიტორია (ალაზნის გაღმამხარი საინგილოთურთ), რომელიც სომხურ წყაროებში ეხნი||ხენის და ბეხ||ბუხის სახელწოდებით არის ცნობილი. V ს-ის ბოლოსთვის შემოერთებული იქნა აგრეთვე კამბეჩანის ტერიტორია. თუ IV ს-ში კახეთ-კუხეთი წარმოადგენდა ქართველი უფლისწულის საგამგეოს, ახლა ვახტანგმა თავის შვილს „დაჩის მისცა ქალაქი ჰერემისა და ნეკრესისა, და ქალაქი კამბეჩოვანისა, რომელ არს ხორნაბუჯი; და ყოველი ქუეყანა მტკუარს აღმოსავლით“[51]. ე. ი. საუფლისწულოდ ამ დროს ალაზნის გაღმამხარი საინგილოთურთ, კამბეჩან-კამბეჩოვანი და შიგნიკახეთის ნაწილი, ფაქტიურად, მაშასადამე, ახლახან უშუალოდ შემოერთებული ჰერეთი გვევლინება. კიდევ მეტი, ვახტანგ გორგასალს ქართლისთვის დაღესტნის მთიანეთის ნაწილიც, სამურის სათავეებში, წუქეთი ანუ შემდეგდროინდელი წახეთი-წახური შემოუერთებია: „ქართლის ცხოვრების“ ცნობით, იყვნენ „წუქეთს მთავარნი, რომელთადა მიებოძა ვახტანგ მეფესა წუქეთი“[52].

ამგვარად, ვახტანგ გორგასლის დროს ქართლის სამეფო, ფაქტიურად, თითქმის მთელ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს აერთიანებდა (იხ. რუკა 4) და გადაჭიმული იყო სამურის სათავეებიდან ვიდრე „ზღუადმდე სპერისა“ და ხუნანიდან ვიდრე კლისურამდე (დღ. კელასური). მთელი ქვეყანა დაყოფილი იყო რვა საერისთავოდ და ერთ სასპასპეტოდ. ჯუანშერს ჩამოთვლილი ჰყავს კიდეც ვახტანგ გორგასლის ეს დიდმოხელენი: „პირველად ჯუანშერ სპასპეტი, მპყრობელი შიდა ქართლისა და მფლობელი ყოველთა ერისთავთა: და დემეტრე, ერისთავი კახეთისა და კუხეთისა: და გრიგოლი, ერისთავი ჰერეთისა; და ნერსარან, ერისთავი ხუნანისა; და ადარნასე, ერისთავი სამშვილდისა; და სამნაღირ, ერის-

---

[50] დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ციხე-ქალაქი უჯარმა, გვ. 62—65.

[51] ქ“ცა, I, გვ. 199.

[52] იქვე, გვ. 243.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი შიდა ეგრისა და სუანეთისა; და ბაკურ, ერისთავი მარგვასა და თაკუერისა... არტავაზ, ერისთავი კლარჯეთისა; და ნასარ, ერისთავი წუნდისა; და ბივრიტიან, ერისთავი ოძრჯისა"[53]. ეს სია თავისი კონკრეტული ხასიათით თითქოს იმაზე მიუთითებს, რომ იგი რეალური უნდა იყოს, თუმცა აქ მაინც ეჭვს ბადებს ის გარემოება, რომ, როგორც ცნობილია, 60—80-იან წლებში ქართლის პიტიახში (რომელიც ამ სიის სამშვილდის ერისთავს უნდა შეესატყვისებოდეს) ცნობილი ვარსქენია, ხოლო მის წინ, 30—50-იან წლებში მისივე მამა არშუშა ჩანს. მაგრამ ჩვენ რომ ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობის დეტალური თარიღები ვიცოდეთ, შესაძლებელია ეს შეუსაბამობაც მოხსნილიყო.

ყოველ შემთხვევაში, უეჭველი უნდა იყოს, რომ ვახტანგ გორგასლის მიერ ორი ახალი საერისთავო იქნა დაარსებული: ჰერეთისა და წუქეთის. ცხადია, რომ საერისთავოები, მათი დიდი ნაწილი, ძველ ადმინისტრაციულ ერთეულზე „ხევზე" („ხეობაზე") უფრო დიდი ერთეულები იყო. ამის ცხადსაყოფად ისიც საკმარისია გავითვალისწინოთ, რომ „სომხურ გეოგრაფიაში" შიდა ქართლისა და ქვემო ქართლის ტერიტორიაზე აღნუსხული ცალკეული ხევები ვახტანგ გორგასლის დროს სამ დიდ ერთეულში (სასპასპეტო, სამშვილდის საერისთავო, ხუნანის საერისთავო) უნდა ყოფილიყვნენ გაერთიანებული. ასევე კახეთ-კუხეთის საერისთავოში, სუჯეთს გარდა, არაგვის მთელი მარცხენა სანაპირო (ხერკი, წობენი) და წობენიდან და ჟალეთიდან ნინოს მიერ მოქცეული მთელი მთიანეთი (ან მისი ნაწილი მაინც) უნდა შესულიყო[54]. მაგრამ, თუ უფრო გვიან, როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე ფეოდალური სამეფო-სამთავროები წარმოიქმნა და აგრეთვე გაერთიანებული საქართველოს ფეოდალური მონარქიის დროსაც, საერისთავოები, როგორც წესი, ეთნიკურ პრინციპზე ყალიბდებოდნენ, ამის თქმა V ს-ის მეორე ნახევრისათვის ჯერ კიდევ ნაადრევი ჩანს. ვახტანგ გორგასლის საერისთავოები, ძირითადად, სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულები იყო დამყარებული ლაშქრის ორგანიზაციის პრინციპზე[55], რასაც ცხადყოფს ის გარემოება, რომ ერისთავობის თავდაპირველი შინაარსი და დანიშნულება, როგორც თვით ტერმი-

---

[53] ქცა, I, გვ. 185.

[54] შდ. ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 55.

[55] Г. А. Меликишвили, დასახ. ნაშრ., გვ. 459 და 463.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიდან ჩანს, ლაშქრის უფრისობა იყო[56]. საერისთავო რომ „ხევის“ გაერთიანებას წარმოადგენდა, ეს კარგად ჩანს თვით ქართული წყაროების მიხედვით, რომელთა მოწმობითაც ერისთავის კომპეტენცია იყო „მთავრობა... მათ ჴევთა“ და მას ეძლეოდა „ესე ჴევნი განსაგებლად“[57]. ცალკეულ „ხევთა“ შორის, მთასა და ბარს შორის ჯერ კიდევ სუსტი ეკონომიური და სოციალური ურთიერთობის გამო ეს საერისთავოები შემდგომშიც არაერთხელ იშლებოდნენ და ნაწილდებოდნენ ცალკეულ „ხევებად“.

მაგრამ ვახტანგ გორგასლის საერთო პოლიტიკური კურსი, მიმართული ქვეყნის გაერთიანებისა და კონსოლიდაციისაკენ, ამ მხრივაც გარკვეული წარმატებებითაა აღნიშნული. ჯერ ერთი, თვით ასეთი ცალკეული მსხვილი ერთეულების არსებობა მოწმობა და შედეგი იყო ცალკეულ ხევთა ურთიერთშერწყმის და გაერთიანების ტენდენციისა, რასაც, თავის მხრივ, საფუძველს უქმნიდა ქვეყნის აღმავალი განვითარების დროს საერთო სამეურნეო განვითარება და ცალკეულ მხარეთა შორის ეკონომიური ურთიერთობის გაცხოველება. კონკრეტული მასალები ამის საილუსტრაციოდ, მართალია, ჯერჯერობით, ძლიერ ფრაგმენტულია, მაგრამ მაინც შესაძლებელი ხდება ნიშანდობლივი რეალიების მითითება.

დასავლეთი საქართველოს, კერძოდ, ეგრისის ბარსა და სვანეთს შორის, ურთიერთობის შესახებ ამ ასპექტით ჩვენ ზემოთ ვილაპარაკეთ. აღმოსავლეთ საქართველოში, რა თქმა უნდა, ანალოგიური ვითარება დასტურდება, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ აქ ეს ტენდენცია მთისა და ბარის შერწყმისა კიდევ უფრო ძლიერად უნდა ყოფილიყო გამოხატული, იმდენად, რამდენადაც ქართლის ბარის სოფლის მეურნეობა გაცილებით უფრო ძლიერი და მრავალფეროვანი იყო, ხოლო მთის სპეციფიკური ეკონომიური განვითარების გამო გარკვეული დროიდან ეს უკანასკნელი უფრო მჭიდროდ დამოკიდებული ხდება ბარზე.

საქმე ის არის, რომ, როგორც ჩვენ აღვნიშნავდით[58], აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მეურნეობაში უძველესი დროიდან

---

[56] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკ. I, გვ. 202—203.

[57] ძეგლი ერისთავთა, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო შ. მესხიამ, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 30, 1954, გვ. 346.

[58] იხ. დ. მუსხელიშვილი, ციხე-ქალაქი უჯარმა, გვ. 48 და შემდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა მესაქონლეობას და, კერძოდ, მეცხვარეობის განვითარებას. გვიანდელი ეთნოგრაფიული მასალა ამაში ეჭვს არ იწვევს, ხოლო ადრეფეოდალური ხანიდან მაინც ჩვენ საამისო უტყუარი მონაცემები გვაქვს ისტორიულ წყაროებში (მაგ.: არაბულენოვან ავტორებთან)[59]. მაგრამ მესაქონლეობის, კერძოდ, მეცხვარეობის განვითარებისათვის საჭირო იყო არა მარტო იალაღების ქონება, არამედ საკმარისი ფართობიც საზამთრო საძოვრებისათვის ,რაც, რა თქმა უნდა, მხოლოდ ბარში მოიპოვება. ეს ეკონომიური ფაქტორი მნიშვნელოვანწილად აპირობებდა ქართლის ბარისა და მთიანეთის ურთიერთობას და, საბოლოო ჯამში, ამ ორი კუთხის ერთ ეკონომიურ და ეთნოკულტურულ ორგანიზმად ჩამოყალიბებას. ასე რომ, ქართლის მეფეების მთიანეთის მიმართ მიზანდასახული პოლიტიკური კურსი, რომლის თვალის მიდევნებაც უძველესი დროიდანვე შეიძლება[60], გაპირობებული იყო არა მხოლოდ სტრატეგიული და პოლიტიკური ფაქტორებით (კავკასიონის ზეკარების კონტროლი და, ამდენადვე, პოლიტიკური გავლენა კავკასიის და ჩრდილო კავკასიის მთიელებზე თუ მომთაბარეებზე), არამედ ეკონომიური აუცილებლობითაც: თვით ბარის სამეურნეო განვითარებისათვის საჭირო იყო მთის მეურნეობის მოქცევა საკუთარ ორბიტაში. მაგრამ, რამდენადაც ქართლის სამეფოს ეკონომიკა დაინტერესებული იყო მთიელთა ეკონომიურ განვითარებაზე კონტროლით, ამდენადვე თვით მთა დამოკიდებული იყო ბარზე. ეს გარემოება შესანიშნავად ესმოდათ ქართლის სამეფოს მესვეურებს. კარგად ჰქონდათ ეს შეგნებული, რა თქმა უნდა, უფრო გვიანაც. ვახუშტი, მაგალითად, ნათლად აყალიბებს მთისა და ბარის ურთიერთდამოკიდებულებას, როდესაც ფშავ-ხევსურების შესახებ აღნიშნავს, რომ მიწის „სიმწირისათვის მონებენ ვისცა უპყრავსთ თიანეთი, რამეთუ იზრდებიან მუნიდამ“[61]. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ მოგვაგონდეს წმ. ნინოს საგანმანათლებლო მისიის ერთი ეპიზოდი, როდესაც მან ჟალეთიდან „ნათელსცა ერწუთიანელთა და ყუარელთა“ და ეს არ გავიაზროთ, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი ბარის მცდელობისა მთაზე პოლიტიკური და ეკონომიური გავლენის დამყარებისათვის. ამ კონტექსტში ნიშანდობლივია ისიც, რომ ალან-ჰუნთა წინა-

---

[59] იხ. იქვე, გვ. 110—111.

[60] იქვე, გვ. 48—49; შდ. Г. А. Меликишвили, დასახ. ნაშრ., გვ. 292—296.

[61] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 92.

ომდეგ ლაშქრობის წინ „წარვიდა ვახტანგ და დადგა თიანეთსა. ესე მუნ მოერთნეს ყოველნი მეფენი კავკასიანნი ორმოცდაათი ათასი მჯედარი“, რაც უკვე მიგვითითებს, რომ V ს-ის მეორე ნახევრისთვის დიდი ხნის პროცესი მთის დამორჩილებისა განხორციელებულია. მეორეგან იგივე ვახუშტი ლევან კახთა მეფის შესახებ მოგვითხრობს: „არამედ ამას წინათთა კახთა მეფეთა არღა-რა მორჩილებდნენ ფშავ-ხევსურნი და თუშნი და ამან ლევან დაიპყრა არა ძალითა, არამედ აღუთქვა, რათა ცხოვარნი მათნი უვნოდ მძოვარ-იყუნენ კახეთს და მისცა შეწირულობა ლაშას ჯუარსა თიანეთს შინა და მიერითგან მოსცემდენ ლაშქარსა და ბეგარასა“[62]. ამგვარად, სრულებით ნათელია, რომ მიწის სიმცირე და სიმწირე, ერთი მხრივ, ხოლო საქონლის, კერძოდ, ცხვრის სიჭარბე და ზამთრის საძოვრების უქონლობა, მეორე მხრივ, არის ის ძირითადი ეკონომიური ფაქტორი, რაზედაც იყო დამყარებული მთისა და ბარის ურთიერთობა. ნათელი უნდა იყოს ისიც, რომ ქართლის მმართველებს ეს იმთავითვე ჰქონდათ შეგნებული და საამისოდ წარმართავდნენ კიდეც მთიანეთთან დამოკიდებულებაში თავის პოლიტიკურ კურსს, რომლის თანდათანობითი განხორციელების შედეგადაც მთის წინააღმდეგობა, რომელიც ხშირად ბარის დარბევითაც გამოიხატებოდა და ჯერ კიდევ მირიანის დროს საკმაოდ ძლიერი იყო, უნდა დაეძლიათ და მთაც საბოლოოდ დაემორჩილებინათ. ეს მისიაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, ვახტანგ გორგასალს ხვდა წილად. ამის შემდეგ გასაგებია, რომ „ვახტანგ გორგასალი“ კონდენსირებული „ბარია“ და ეპოქალური ჩვენებაა მთის შემოტევის დასასრულისა“[63].

ქართლის ბარისა და მთის ზემოაღნიშნული ურთიერთდამოკიდებულების ისტორიულ პროცესს მეორე მხარეც ჰქონდა. როგორც აღვნიშნეთ, თვით მთისთვის, მისი ეკონომიკის განვითარებისთვის აუცილებელი იყო ბარი მისი საზამთრო საძოვრებით. ქართლს კი საამისო ტერიტორია ნაკლებად გააჩნდა. ამიტომ საჭირო იყო მთის მეურნეობის უზრუნველყოფა საზამთრო საძოვრებით. ეს გარემოება აპირობებდა, ნაწილობრივ, ქართლის მეფეების პოლიტიკურ ურთიერთობას ალვანეთთან, რომლის დასავლეთი პროვინციები (კამბეჩანი, ჰერეთი) მოიცავდა საზამთრო საძოვრების ზონას. ეს იწვევდა ქართლის პოლიტიკურ ექსპანსიას აღ-

---

[62] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 163.

[63] ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი I, ისტორიული გეოგრაფია, 1964; გვ. 241.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსავლეთისაკენ, რაც აგრეთვე დამოწმებულია უძველესი დროიდან ვიდანვე და მთის ათვისების პარალელური მოვლენაა[64]. ფაქტიურად, ეს ურთიერთობა ალვანეთის დასავლეთ პროვინციებთან აგრეთვე ორმხრივ იყო გაპირობებული. უეჭველია, ჰერეთ-კამბეჩანის მოსახლეობაც დაინტერესებული იქნებოდა ქართლის სამეფოს საზაფხულო იალაღების ექსპლოატაციით.

მეორე მხრივ, მნიშვნელობას არ იყო მოკლებული ის ფაქტიც, რომ ჰერეთის ტერიტორიაზე სავაჭრო მაგისტრალი გადიოდა, რომელიც ქართლის შიდა მხარეებს ალვანეთთან და ახლო აღმოსავლეთთან აკავშირებდა და, ცხადია, ამ გზის ექსპლოატაციაც ქართლის სამეფოსათვის უაღრესად მნიშვნელოვანი იყო[65]. ყველაფერი ეს იწვევდა ქართლისა და ჰერეთის ურთიერთდაახლოების ტენდენციას, რაც საბოლოოდ, როგორც ვიცით, იმით დამთავრდა, რომ ვახტანგ გორგასლის დროს ჰერეთ-კამბეჩანი ქართლს უშუალოდ შეერწყა.

მთისა და ბარის ურთიერთობას ამ ასპექტით ვახტანგ გორგასლის საშინაო პოლიტიკაში, როგორც ჩანს, ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. ამას მოწმობს თუნდაც მის მიერ ქალაქ უჯარმის გაშენება, მახლობლად ციხე-დარბაზის აგება და დროებით აქ სამეფო რეზიდენციის გადმოტანა. ეს ფაქტი სწორედ მთისა და ბარის ერთდროული კონტროლისა და ექსპლოატაციის მომასწავლებელია. მთის პოლიტიკური მორჩილების მტკიცედ შენარჩუნებისათვის საჭირო იყო საამისო საყრდენი პუნქტის შექმნა. უჯარმაც სწორედ იმ ერთ-ერთ მაგისტრალზეა, რომელიც თიანეთს (!) ივრის ხეობით ბართან აკავშირებს, ხოლო ჩვენ კი ვიცით, რომ თიანეთის ფლობა კავკასიის მთიანეთის დიდი ნაწილის ფლობას გულისხმობდა. მაგრამ ქალაქი უჯარმა არა მხოლოდ მთასთან დამაკავშირებელ გზაზე მდებარეობდა, არამედ იმ ერთ-ერთ მთავარ სავაჭრო მაგისტრალზე, რომელიც ჰერეთიდან მოდიოდა (საკუთრივ ჰერეთიდან და, ალბათ, კამბეჩანიდანაც) გომბორის უღელტეხილზე და უჯარმაზე გავლით მცხეთისაკენ მიემართებოდა. სწორედ ეს გარემოება, რომ ვახტანგ გორგასალმა სამეფო რეზიდენცია ამ გზათა გადაკვეთის კვანძზე ააგო, იმის მოწმობაა, რომ აქ მნიშვნელობა მხოლოდ მთის ექსპლოატაციას კა არ ჰქონდა, არამედ ქართლის იმ

---

[64] დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 28 და შემდ.

[65] იქვე, გვ. 48 და შემდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმოსავლეთ პროვინციებისაც, რომლებიც უკვე შემოერთებული იყო ან ამ დროს იერთებდა თვით ვახტანგი. სწორედ ამით იყო გაპირობებული ივრის ხეობის ცენტრების გადმონაცვლება ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ[66] და ის ზემოაღნიშნული ფაქტიც რომ თვით ქალაქი დიდი საგამგეო ერთეულის ცენტრი იყო უკვე IV ს-დან და ამ ერთეულში, მაინცდამაინც, ჰერეთის ერთი ნაწილი, სუჯეთი, შემოდიოდა.

ამ აღმოსავლეთი მხარეებისაკენ მიმართული პოლიტიკის შედეგი იყო აგრეთვე ვახტანგ გორგასლის მიერ ქალაქ ჭერემის აგება. „ქართლის ცხოვრება" მოგვითხრობს, რომ მან ჭერემში „ქმნა ქალაქი ერთი შორის ორთავე ეკლესიათა, რომელ — იგი მანვე აღაშენა".[67] ამის დამადასტურებელი უნდა იყოს ზემოთ ერთხელ უკვე მოტანილი ჩვენება იმავე ჯუანშერისა, რომ ახლადშემოერთებული დასავლეთ ალვანეთის ტერიტორიას ვახტანგ გორგასალი საუფლისწულოდ იხდის რომლის ცენტრებია „ქალაქი ჭერემისა და ნეკრესისა, და ქალაქი კამბეჩოვანისა, რომელ არს ხორნაბუჯი"[68].

5. დაბოლოს, ამავე რიგის მოვლენაა ის უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტი საქართველოს ისტორიაში, რომ ვახტანგ გორგასალს სახელმწიფოს ცენტრი მცხეთიდან აღმოსავლეთით, თბილისში გადმოაქვს. როგორც უკვე აღვნიშნავდით, IV და განსაკუთრებით V ს-ში ინტენსიური ფეოდალიზაციის გზაზე შემდგარი ქართლის სამეფოს სამეურნეო და სოციალურმა ვითარებამ დღის წესრიგში დააყენა ალვანეთის დასავლეთი მხარეების (ჰერეთი, სუჯეთი, კამბეჩანი) მასთან გაერთიანების საკითხი, რაც წარმატებით გადაჭრა კიდეც ვახტანგ გორგასალმა[69]. იგი ამავე დროს აპირებდა ქართლის სამეფოს აღმოსავლეთი პროვინციების გადაქცევას აგრესიული ერანის საწინააღმდეგო სამხედრო-სტრატეგიულ ბაზად. ქართლის სამეფოს ტერიტორიის ზრდამ აღმოსავლეთისაკენ, აგრეთვე იმან, რომ თბილისი გეოგრაფიულად და ეკონომიურად უფრო მჭიდროდ იყო დაკავშირებული კახეთ-ჰერეთთან, ვიდრე მცხეთა, მნიშვნელოვანწილად განაპირობა ის უაღრესად დიდი მნიშვნელობის ფაქტი,

---

[66] დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 58.

[67] ქ ცა, I, გვ. 199.

[68] იქვე, ამავე აზრისაა ლ. ჭილაშვილი, იხ. მისი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, II, 1970, გვ. 35—48.

[69] იხ. დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომის II და III თავები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ქართლის სამეფოს ცენტრმა მცხეთიდან თბილისში გადმოინაცვლა[70].

მეორე მხრივ, თბილისი უჯარმასთან შედარებით გაცილებით უფრო მოსახერხებელ ადგილზე იყო სტრატეგიული თვალსაზრისით. იგი გარდა თავდაცვისათვის ხელსაყრელი მდებარეობისა მტკვრის ვიწროებში, ქვეყნის შუაგულში იყო და ადვილად წვდებოდა არა მარტო აღმოსავლეთ პროვინციებს, არამედ სამხრეთსაც (ქვემო ქართლი), ჩრდილოეთსაც (შიდა ქართლი) და დასავლეთსაც (ზემო ქართლი, ეგრისი). გარდა ამისა, თბილისი, როგორც ვიცით, დიდი მნიშვნელობის მაგისტრალურ გზაჯვარედინზე მდებარეობდა და აკონტროლებდა არა მხოლოდ მცხეთას, არამედ ხუნანის პროვინციაზე მომავალ გზას და იმ გზასაც, რომელზედაც უჯარმა იყო (Tabula Peutingeriana). ამან განაპირობა ის ფაქტი, რომ უჯარმა არ გადაიქცა სახელმწიფოს ცენტრად[71].

შემთხვევითი როდია ის გარემოებაც , რომ ამ ისტორიული მოვლენის, თბილისის გადედაქალაქების ინიციატორი იგივე ვახტანგ გორგასალი იყო — ქართლის სამეფოს „აღმოსავლური პოლიტიკის“ ყველაზე უფრო ენერგიული განმახორციელებელი. მისი გენიალური გამჭრიახობის ისტორიული აუცილებლობა საქართველოს მთელმა შემდგომმა ისტორიამ დაადასტურა. ამ თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ თბილისის გადაქცევა ქართლის (ივერიის) დედაქალაქად (და შემდეგ მთელი საქართველოს დედაქალაქად) გაპირობებული იყო ქვეყნის შინაგანი სოციალურ-ეკონომიური ანუ ახალი, ფეოდალური ურთიერთობის განვითარებით.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, V ს-ის მეორე ნახევარში აშკარად ჩანს ქართლის სამეფოს სხვადასხვა „ხევების“, მთისა და ბარის ურთიერთშერწყმის ტენდენცია, რისთვისაც მყარ საფუძველს წარმოადგენდა ვახტანგ გორგასლის მიერ მთისა და ბარის, დასავლეთისა და აღმოსავლეთის პოლიტიკური გაერთიანება. სამეფოს სხვადასხვა პროვინციებს შორის ამის ნიადაგზე გაცხოველებულ ურთიერთობას ქართლის მეფე, როგორც ჩანს, ხელს უწყობდა და აწესრიგებდა. სამეურნეო და სოციალური განვითარების შედეგად

---

[70] Д. Мусхелишвили. Древние сведения о Тбилиси. «Заря Востока», 1958, 6.VII, № 156. მისივე, ფეოდალური ხანის საქართველოს და ამიერკავკასიის მნიშვნელობა საერთაშორისო ვაჭრობაში, „ცისკარი“, 11, 1970, გვ. 132—133; შდ. ლ. ჭილაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 48—55.

[71] დ. მუსხელიშვილი, ციხე-ქალაქი უჯარმა, გვ. 63—69.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქმნებოდა საფუძვლები ცალკეულ „ხევთა“ შერწყმისა, მთისა და ბარის გაერთიანებისა. ამავე ფაქტორებმა განაპირობეს სამეფოს ცენტრის აღმოსავლეთით, თბილისში გადმოტანა.

რა თქმა უნდა, ის ტენდენცია, რომლის დახასიათება ზემოთ ვცადეთ და რომელიც ქართლის აღმოსავლეთ ნაწილში გარკვევით შეინიშნება, მთელი საქართველოსთვის საერთო მოვლენა უნდა ყოფილიყო და მხოლოდ მასალის უქონლობის გამო არ ვიცით ჩვენ, რა კონკრეტულ პირობებში და რა სპეციფიური ნიშნებით მიმდინარეობდა იგივე პროცესი ქართლის სხვა პროვინციებში.

6. ქვეყნის კონსოლიდაციის საქმეში აქტიურ როლს თამაშობდა ქრისტიანული ეკლესიაც. სათანადო მაგალითები მირიანის მეფობის პერიოდიდან ჩვენ ზემოთ მოვიტანეთ. ვახტანგ გორგასალმა ქართული ეკლესიაც თავის ნება-სურვილს დაუქვემდებარა. „დიოფიზიტიზმის ბურჯი“ ეპისკოპოსი მიქაელი ქართლიდან გააძევა, ეკლესიას ავტოკეფალობა მოუპოვა, მის სათავეში თავისივე ამორჩეული კათალიკოსი დაადგინა, ხოლო მთელი ქვეყანა საეპისკოპოსოებად დაჰყო და ეპისკოპოსები კათალიკოსს დაუმორჩილა[72].

ჯუანშერს თორმეტი საეპისკოპოსო აქვს ჩამოთვლილი, რომლებიც ვითომც ვახტანგს ჩამოუყალიბებია: ახიზისა (კლარჯეთში), ერუშეთისა (არტაანს), წუნდისა (ჯავახეთს), მანგლისის და ბოლნისის (ქვემო ქართლში), რუსთავისა (კუხეთში), ნინოწმინდისა (სუჯეთში), ჭერემისა (ჰერეთში), ჩელეთისა (კახეთში), ხორნაბუჯისა (კამბეჩანში), აგარაკისა (გარდაბანში) და მცხეთაში, სამთავროში (შიდა ქართლი). მცხეთაშივე იჯდა, რა თქმა უნდა, კათალიკოსი. ამის შემდეგ ვახტანგს კიდევ ერთი საეპისკოპოსო შეუმატებია ნიქოზში (შიდა ქართლი)[73]. შესაძლებელია ამ შემთხვევაში მემატიანე მართალია[74], ან არ არის მართალი[75], მაგრამ შესაძლებელია ისიც, რომ ეს თორმეტი ეპისკოპოსი და ერთი კათალიკოსი სიმბოლურ რიცხვს წარმოადგენდნენ. ასეა თუ ისე, ერთი რამ ცხადია, რომ 506 წლისათვის ქართლში 33 საეპისკოპოსოა, რომელთაგან 24-ის სახელი შერყვნილი სახით დადასტურებულია „ეპისტოლეთა წიგნში“: მცხეთის, სამეფო სახლის, სამთავროს, დმანისის, ბოლნისის, ცურტავის, რუსთავის, თბილისის, მანგლისის, რუისის, სამთავისის,

---

[72] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. I, გვ. 332 და შემდ.

[73] ქცა. I, გვ. 198—199.

[74] იხ. კ. კეკელიძე, კანონიკური წყობილება ძველ საქართველოში, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე. X, გვ. 319—321.

[75] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 337.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აწყურის, წყاროსთავის, კუმურდოს, წილკნის, ბოდბის, ნინოწმინდის, კაწარეთის, ჭერემის, ხუნანის, ბერთას (ჩელეთის?), ხორნაბუჯის[76]. ის, რომ „ეპისტოლეთა წიგნის“ კისდად-ს აღაღგენენ ციმად ანუ გიმად[77], ჩვენ სამართლიანი გვეჩვენება, რამდენადაც გიში საკუთრივ ჰერეთში მდებარეობდა და აქ ერთი საეპისკოპოსო, ალბათ კიდევაც უნდა დაეარსებინა ვახტანგს. დანარჩენ ეპისკოპოსთაგან ჩვენ არავის ვიცნობთ, მხოლოდ ერთი რამ ცხადია, რომ ჯუანშერისეულ სიასაც და „ეპისტოლეთა წიგნის“ ნუსხებსაც აკლია ნეკრესის ეპისკოპოსი, რომელიც, ეჭვი არ არის, ვახტანგ გორგასლის დროსვე იქნებოდა. ამგვარად, როგორც ვხედავთ, მთელი ქართლის სამეფო, კლარჯეთიდან ვიდრე ჰერეთამდე V ს-ის მიწურულისთვის მაინც საეპისკოპოებით არის დაფარული.

ცხადია, ქართლის მეფის ინიციატივით შექმნილი საეკლესიო წესწყობილება მასვე სჭირდებოდა, როგორც იდეოლოგიური და პოლიტიკური იარაღი სამეფოს კონსოლიდაციისათვის. კერძოდ, ქრისტიანობის გავრცელება მთაში, როგორც ვთქვით, უკვე მირიანის დროს, რა თქმა უნდა, იგივე მიზნებს ემსახურებოდა. ვახტანგ გორგასლის დროს ეს პროცესი კიდევ უფრო ინტენსიური უნდა გამხდარიყო, რასაც თვით საეპისკოპოსო კათედრათა სიმრავლე მოწმობს. ჩვენ რომ ზოგიერთი საეპისკოპოსოს სამწყსოს ფარგლები გავითვალისწინოთ, კიდევ უფრო ნათელი გახდება სურათი. ასე მაგალითად, გიშის ეპისკოპოსის სამწყსო იყო ელისენი, წუქეთი და შაკიხი[76]; ნეკრესელის — გაღმამხარი დიდოეთითურთ[79]; ნიქოზელისა — კავკასიანნი, დვალნი და მთის რაჭა[80]; წილკნელისა — მუხრან-ბაზალეთის გარდა მთიულეთ-გუდამაყარი და ხევი[81]. მართალია, თვით სამწყსოთა გაფართოება დროთა ვითარებაში ხდებოდა, მაგრამ ნიშანდობლივია, ვახტანგ გორგასლის ეპოქაში არსებობდა სრული პირობები იმისა, რომ ქართლის ეკლესიური გავლენა ცენტრალური კავკასიონის ქედს იქით გადასულიყო. თვით

---

[76] აღდგენილია ძირითადად ს. კაკაბაძის მიხედვით (იხ. საისტორიო მოამბე, № 1, 1924, გვ. 50—53) შდ. აგრეთვე, კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 320 და ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 302, შენ. 3:

[77] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, იქვე.

[78] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 96.

[79] იქვე, გვ. 99.

[80] იქვე, გვ. 76.

[81] იქვე, გვ. 63; შ. ჩხეტია, წილკნელის სარგოს გარიგების წიგნი, საისტორიო მოამბე, № 2, 1925, გვ. 9—26.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საეკლესიო ეპარქიათა კონტურები დაახლოებით იგივე უნდა ყოფილიყო ძველადაც, როგორც — შემდეგ. ამას ზოგადი მოსაზრების გარდა, რომ ეკლესიური დანაწევრება ქვეყნის ტერიტორიისა საერთოდ კონსერვატიული ხასიათისა იყო[82], კონკრეტული ფაქტებიც მოწმობს. ასე მაგალითად, ვახუშტის მიხედვით, ჩელეთის სამწყსოს შეადგენდა ერწო-თიანეთი, ფშავ-ხევსურეთი და ხერკი, ხოლო ხარჭაშნელისა, სადაც უფრო გვიან გადაუტანიათ ჩელეთიდან საეპისკოპოსო ცენტრი — ერწო-თიანეთი, ფშავ-ხევსურეთი და თუშეთი[83]. ეს მონაცემები რომ შევადაროთ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ცნობებს, ვნახავთ, რომ ჯერ კიდევ IV ს-ში წმ. ნინომ ჟალეთიდან (ანუ იგივე ჩელეთიდან) „ნათელსცა ერწუთიანელთა: და ყუარელთა: ესმა ესე და გარდაკრბეს თოშეთა: რომელნი უკუანაჲსკნელ იპოვნეს. თრდატ მეფემან მოიყვანნა: და მონათლნა“[84]: „ქართლის ცხოვრება“ „ყუარელთა“ მაგივრად აქ „ფხოელთა“ ხმარობს[85] და ეს სრულიად გასაგებია, რადგან იგი, როგორც ჩანს, „ყუარელთა“-ს თავისი დროისთვის უფრო გასაგებ „ფხოელთა“-თი გადმოსცემს, რადენადაც „ყუარელნი“, თავისი ადგილმდებარეობით ივრის სათავეში, სავარაუდოა იგივე დღევანდელი ფშაველების წინაპრები და ალბათ იგივე „ფხოელთა“ განაყოფი იყვნენ. ამგვარად, თუშებსა და ხერკს რომ თავი გავანებოთ, რომელთა შემოსვლა ჩელეთ-ხარჭაშოს სამწყსოში უფრო გვიანდელი ამბავი უნდა იყოს, წმ. ნინოს მიერ ჟალეთიდან მოქცეულ ტომთა ტერიტორია და ჟალეთ-ჩელეთ-შივე დაარსებული საეპისკოპოსოს ეპარქია დაახლოებით თანხვდებიან ერთმანეთს.

კაწარეთის მიმართაც დაახლოებით ანალოგიური ვითარებაა. ამ ადგილიდან წმ. ნინო ნათლავს „კხოელთა და სოჯთა“ ერს, ე. ი. ივრის ხეობაზე ერწოს ქვემოთ ვიდრე დაახლ. ბოდბემდე მდებარე ტერიტორიის მოსახლეობას. ეს ტერიტორია უფრო გვიან ორი საეპისკოპოსოს — კაწარეთსა და ნინოწმინდას შორის არის განაწილებული[86]. ეს უკანასკნელი, როგორც ვიცით, თვით ვახტანგის მიერ არის შექმნილი. ეს მაგალითები, ვფიქრობთ, კარგად ადასტურებენ მოსაზრებას საეკლესიო ეპარქიათა შედარებითი ტერიტორიული

---

82 შდ. Н. Адонц, დასახ. ნაშრ., გვ. 89—90.

83 ვახუშტი, აღწერა..., გვ. 91

84 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, OP, გვ. 716—717.

85 ქ-ცა, I, გვ. 126.

86 ვ ა ხ უ შ ტ ი, იქვე, გვ. 90.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდგრადობისა და კონსერვატულობის შესახებ. ამდენადვე, გვაქვს უფლება ვივარაუდოთ, რომ ვახტანგ გორგასლის დროს დაარსებული საეპისკოპოსო ცენტრები არსებითად ისეთივე მოცულობის ეპარქიების ცენტრები იყო, როგორც უფრო გვიან. ეს კიდევ ერთი დამატებითი საბუთია იმ მოსაზრებისათვის, რომ ვახტანგ გორგასლმა კავკასიის მთიანეთი დაიმორჩილა და ქართლის გავლენა ჩრდილო კავკასიაშიც გაავრცელა (დვალეთი, ოვსეთი, დურძუკეთი, დიდოეთი, წუქეთი).

ქრისტიანობის გავრცელება ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე, კერძოდ კი, ახლად შემოერთებულ მხარეებში (ჰერეთი, კამბეჩანი, კავკასიონის მთიანეთი) უაღრესად დიდი მნიშვნელობისაა, რამდენადაც, როგორც ცნობილია, ქართლის ეკლესია, განსხვავებით, მაგალითად, ეგრისისაგან, იმთავითვე ქართულენოვანი იყო[87]. ეს კი ნიშნავს, რომ იმ ტერიტორიაზე, რომელზედაც ქართლიდან ვრცელდებოდა ქრისტიანობა, საეკლესიო და ლიტერატურული ენაც ქართული იყო[88]. ეს, რა თქმა უნდა, გულისხმობდა შესაბამისი კულტურის გავრცელებას და, საბოლოო ჯამში, ამ ტერიტორიაზე მოსახლე არაქართველი ტომების გაქართველებას.

ეს პროცესი ხანგრძლივი იყო და, ალბათ, სხვადასხვა გარემოებათა გამო (შინაგანის თუ გარეგანის) დროდადრო ფერხდებოდა კიდეც, მაგრამ რომ არსებითად იგი ამ მიმართულებით ვითარდებოდა, ეს კი ცხადია.

7. ცნობილია, რომ აღმოსავლეთ კავკასიის მთიანეთი (არა მარტო ჩრდილოეთი კალთები, არამედ სამხრეთიც) უძველესი დროიდანვე დასახლებული იყო ქართულთან ერთად არაქართული მოსახლეობით. ამას, პირველ რიგში, მოწმობს სტრაბონის „გეოგრაფიის“ ცნობილი ადგილი: „დაბლობზე ცხოვრობენ იბერთაგან უფრო მეტად მიწათმოქმედნი, ესენი მშვიდობიანად არიან განწყობილნი, არმენიელთა და მიდიელთა მსგავსად ეწყობიან. უფრო დიდ ნაწილს, რომელიც მებრძოლი ბუნების არის, უჭირავს მთიანი მხარე და ცხოვრობს სკვითებისა და სარმატების ყაიდაზე, რომელთა მეზობლებიც და ნათესავებიც არიან“[89]. ამგვარად, ქართლის მთიანეთის მოსახლეობა ძვ. წ-ის I ს-ში განსხვავდება ბარის მოსახლეობისაგან არა მარტო სოციალ-ეკონომიურად, არამედ ეთნიკურადაც[90]. უფრო

---

87 იხ. ს. ჯანაშია, შრომები, I, გვ. 244.

88 შდ. Н. Адонц, დასახ. ნაშრ., გვ. 202.

89 თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 128.

90 იხ. Г. А. Меликишвили, დასახ. ნაშრ., გვ. 119 და 294.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვიან „სომხური გეოგრაფია“, როგორც ვიცით, ქართლის მთიელებს (წანარნი, წილკნელნი, ცხავატნი, გუდამაყარნი, თუშნი და სხვ.) სარმატიაში მოსახლედ და ე. ი. სარმატებად გულისმობს. ჩვენ ზემოთ აღვნიშნავდით, რომ მთიელთა ცხოვრება „სარმატიაში“ და, ამდენად, მათი სარმატებად წარმოდგენა უნდა ასახავდეს არა რეალურ პოლიტიკურ ვითარებას იმ დროს, არამედ ეთნიკურ და, შესაძლებელია აგრეთვე, სოციალურ განსხვავებას ბარისა და მთის მოსახლეობას შორის. თვით ქართული წყაროებიც იცნობენ ქართლის მთიანეთში კავკასიანებს (ამ შემთხვევაში — ქისტურ-ბაცბურ მოსახლეობას) ანუ ჭართალელებს[91].

რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში უძველეს ხანაში არაქართული მოსახლეობაც ბინადრობდა, ეს კარგად ჩანს ამ კუთხის ტოპონიმიკის შესწავლითაც. ჯერ კიდევ 1939 წელს აღმოსავლეთ საქართველოს ტოპონიმიკის ანალიზის შედეგად გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ ამ მხარის აღმოსავლეთი პროვინციები ოდესღაც დასახლებული იყო ჩეჩნური და დაღესტნური ტომებით[92].

დაბოლოს, ამას ამოწმებს ქართველ მთიელებში დაცული ეთნოგრაფიული მასალა, კერძოდ, გადმოცემები ძველი მოსახლეობის არსებობის შესახებ მათ დღევანდელ საბინადრო ტერიტორიაზე — გუდამაყარში, ხევსურეთში (პირიქითი მთლიანად! შდ. ჩვენს დასკვნას „ცროლის მთის“ ლოკალიზაციის მიხედვით), ივრის და არაგვის ფშავში. აქ, ამ ტერიტორიაზე, დღევანდელი მოსახლეობის მოსვლამდე დევ-კერპებს უცხოვრიათ, რომელთანაც დღევანდელ მოსახლეობას ხანგრძლივი ბრძოლა ჰქონია[93]. დღემდე დაცული გადმოცემა, რომ პირიქითი ხევსურეთი (არხოტი და შატილ-მიღმახევი) ადრე ქისტებით ყოფილა დასახლებული[94] ან რომ თუშეთს „დიდი დიდოეთი“ ეწოდებოდა[95], აგრეთვე დაკვირვებები ამა თუ იმ ხატის თუ გვარის წარმომავლობის შესახებ, მატერიალური კულტურის მსგავსება და სხვ. უეჭველს ხდის, რომ თქმულებებში ასახული უძველესი მოსახლეობა დევ-კერპების სახელით არის ქისტურ-ბაც-

---

[91] ჭ ე ლ ა, I, გვ. 27; Г. А. Меликишвили, იქვე, გვ. 294—295.

[92] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, გვ. 248. შდ. П. Н. Макалатиа, Топонимика Пшави Арагвского ущелья, Автореферат, 1971, 15.

[93] თ. ო ჩ ი ა უ რ ი, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, 1967, გვ. 21—23, 39—67, 130—135.

[94] იქვე, გვ. 72.

[95] იქვე, გვ. 60.

ბური და დაღესტნური ჯგუფის ტომები, რომლებიც ამჟამადაც ემეზობლებიან ქართველ მთიელებს[96].

კიდევ უფრო საინტერესოა ის, რომ ხევსურეთში დაცულია გადმოცემა ე. წ. კავკაზაურთა შესახებ, რომლებიც აგრეთვე უფრო ძველი მოსახლენი ყოფილან. ცხადია, რომ ეს კავკაზაურები იგივე ჩვენი წყაროების კავკასიანნი არიან[97].

ყველაფერი ზემოთქმული მიუთითებს იმ დიდ ხვედრით წონაზე, რომელიც ჰქონდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში არაქართულ მოსახლეობას. რა თქმა უნდა, ამ მოსახლეობის „მოსაქცევად“ მხოლოდ საომარი მოქმედება არ გამოდგებოდა და ასეთ ვითარებაში გასაგებია, თუ რა დიდი მისია ეკისრებოდა ქართულ ეკლესიას.

ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში ქართლის მიერ ქრისტიანობის გავრცელებას, სხვათა შორის, ამოწმებს მოსე ხორენელიც. იგი, შესაძლებელია, სწორედ V ს-ის მეორე ნახევრის ვითარებას ასახავს, როდესაც აგათანგელოსზე მითითებით წერს, რომ წმინდა ნინომ „იქადაგა კლარჯეთიდან დაწყებული დარიალისა და კასპიის კართა მახლობლად ვიდრე მასქუთთა საზღვრებამდე“[98]. მასქუთები, რომელთაც, სხვათა შორის, ჰუნთა ერთ-ერთ ტომთან აიგივებენ, ცხოვრობდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთ დაღესტანში, სწორედ კასპიის კარის ანუ დარუბანდის მიმდგომ მხარეში[99] და მათი მეზობლობა ქართლის სამეფოსთან ვახტანგ გორგასალზე უფრო ადრე, წუქეთის შემოერთებამდე, სავარაუდო არ არის.

რაც შეეხება ქართლის სამეფოს მიერ შემოერთებულ დასავლეთ ალვანეთს, აქ გაქართველების პროცესი იმითაც იყო გაღრმავებული და გაძლიერებული, რომ უძველესი ხანებიდანვე ხდებოდა ქართული მოსახლეობის მიგრაცია აქეთ. ეს უაღრესად საინტერესო გარემოება ასევე დასტურდება ისტორიული წყაროების, ტოპონიმიკისა და ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე[100]. ეს იყო ქართლის სამეფოს პოლიტიკური ექსპანსიის პარალელური მოვლენა და გაპირობებული იყო იგივე მიზეზებით. ქართული მოსახლეობის გადაადგილებას დროთა ვითარებაში არ შეიძლება

---

96 თ. ოჩიაური, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, 1967, გვ. 134.

97 გ. ჩიტაია, ეთნონიმიკური ხალხური გადმოცემები, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I, გვ. 391—4.

98 მოსე ხორენელი, გვ. 239.

99 Géographie, 27; К. Тревер, Очерки по истории и культуре древней Албании, 1959, 192—194.

100 იხ. დ. მუსხელიშვილი, ციხე-ქალაქი უჯარმა, გვ. 38 და შემდ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არ გამოეწვია აქ მოსახლე არაქართული (ჰერული) მოსახლეობის თანდათანობითი ასიმილაცია, რაც განსაკუთრებით ინტენსიური უნდა გამხდარიყო IV ს-დან, როდესაც ქართლის სამეფოს აღმოსავლეთ პერიფერიაზე იქმნება პოლიტიკური ერთეული კულტურით ერთიანი, მაგრამ ეთნიკურად ჯერ კიდევ ნარევი მოსახლეობით[101]. ვახტანგ გორგასლის დროს, ამ მხრივ, უფრო მეტი წარმატება შეიმჩნევა. ამის მოწმობაა თუნდაც ის ფაქტი, რომ ჰერეთი, რომელიც ადრე ვასალურ დამოკიდებულებაში იყო ქართლთან, ახლა უშუალოდ საერისთავოს სახით იქნა შემოერთებული. ეს ერთეულიც, ფაქტიურად, ნარევი, ქართულ-ალვანური მოსახლეობით უნდა ყოფილიყო.

ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ ქართლის გავლენა ვრცელდებოდა დასავლეთ საქართველოზეც, სადაც უძველესი დროიდანვე დაწყებულიყო აღმოსავლურ ქართული ეთნიკური ელემენტის ინფილტრაცია არგვეთიდან და სამცხიდან[102]. რა ვითარებაა აქ საეკლესიო წესწყობილების თვალსაზრისით ვახტანგ გორგასლის დროს, არ ჩანს. უფრო გვიან, VII ს-ში დასავლეთი საქართველო ეკლესიურად ბიზანტიას ემორჩილებოდა. აქ იყო შექმნილი ფასიდის (ფოთის) სამიტროპოლიტო, რომელიც მოიცავდა ოთხ საეპისკოპოსოს: როდოპოლისის (ვარდციხის), ცაიშის, პეტრას და ზიგანევთა (გუდაყვის). თავის მხრივ, ფოთის სამიტროპოლიტო იერარქიულად კონსტანტინეპოლის პატრიარქს ექვემდებარებოდა[103]. მაგრამ სწორედ ამ დროს, VI ს-ის ბოლოს და VII ს-ის დასაწყისში, ქართლის ეკლესიასაც აქ თავისი საკუთარი სამწყსო უნდა ჰქონოდა. ეს მოწმდება სომეხი ისტორიკოსის იოანე დრასხანაკერტელის ცნობით, რომ კირიონი ხელდასხმული იქნა „ქართლის სამწყსოს, გუგარეთისა და ეგრისის არქიეპისკოპოსად წინანდელ წესთა მაგალითისამებრ“[104]. თუკი ეს ცნობა სწორია, მაშინ გამოდის, რომ VI—VII საუკუნეთა მიჯნაზე ქართლის კათალიკოსს ხელი მიუწვდებოდა დასავლეთ საქართველოს გარკვეულ ნაწილზე მაინც[105] და რადგან ეს ხელდასხმა „წინანდელ წესთა მაგალითისამებრ“ ყოფილა და ე. ი. ძველი ვითარების ამსახველია, მაშინ, გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ამისთვის პირობები არსებობდა, რა თქმა უნდა, არა VI ს-ში, როდესაც ეგრისი ბიზანტია-ერანის განუწყვეტელი ომის

---

101 იქვე, გვ. 61.

102 იხ. Г. А. Меликишвили, დასახ. ნაშრ., გვ. 68—69 და 131.

103 ბ ა ს ი ლ ი ს ო ფ ე ნ ე ლ ი, „გეორგიკა“, IV, გვ. 140.

104 ი ო ა ნ ე დ რ ა ს ხ ა ნ ა კ ე რ ტ ე ლ ი. ილ. აბულაძის გამოც., გვ. 9.

105 შდ. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 303.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარბიელი იყო, არამედ მხოლოდ V ს-ის მეორე ნახევარში. მაშასადამე, ვახტანგ გორგასალს დასავლეთ საქართველო, ან, ყოველ შემთხვევაში, მისი ნაწილი, ეკლესიურადაც ქართლის კათალიკოსისთვის დაუქვემდებარებია[106].

ამგვარად, თუ გავიზიარებთ ზემოთქმულს V ს-ის მეორე ნახევრის ვითარების შესახებ, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ ვახტანგ გორგასალი პირველი ქართველი მეფეა (თუ ნახევრად ლეგენდარულ ფარნავაზს არ ჩავთვლით), რომელმაც შესძლო მთელი საქართველოს, დასავლეთის და აღმოსავლეთის ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება და კავკასიის მთიანეთის დამორჩილებაც. ამის შემდეგ საუკუნეთა განმავლობაში, გასაგებია ის დიდი სახელი, რომელიც მან დატოვა შთამომავლობაში, გასაგებია თუ ქართული ფეოდალური ისტორიოგრაფია რატომ აყენებდა მას დავით აღმაშენებლის გვერდით, როდესაც ქართულ ეროვნულ დროშას „გორგასლიანის“ და „დავითიანის“ ეპითეტებით ამკობდა. მაგრამ ვახტანგ გორგასალი, როგორც დიდი სახელმწიფო მოღვაწე, ამავე დროს ტრაგიკული პიროვნება იყო. მისი დროის ქართლის სამეფოს საგარეო პოლიტიკური ვითარება მას აიძულებდა რთული დიპლომატიის საშუალებით, ბიზანტიის დაპირისპირებით ერანთან და პირუკუ, მოეპოვებინა სამეფოსთვის ფაქტიური დამოუკიდებლობა, ხოლო, მეორე მხრივ, ქვეყნის შინაგანი სოციალური განვითარების შედეგად შექმნილ ვითარებაში იგი ცდილობდა წარჩინებულთა სეპარატისტული ტენდენციები შეეგუებინა თავის ცენტრალისტურ პოლიტიკასთან. რამდენადაც ეს საგარეო და შინაგანი ფაქტორები ერთმანეთთან, იმდროინდელი ისტორიული აუცილებლობის შედეგად, მჭიდრო კავშირში აღმოჩნდა, ამდენადვე ვახტანგ გორგასლის პროგრესული პოლიტიკური მიზნები წინასწარ განწირული იყო. სიმბოლურია მისი სიკვდილიც: იგი შინაგანი ოპოზიციისა და გარეპოლიტიკური ძალის ერთობლივი კავშირის მსხვერპლი გახდა.

შინაგანი სოციალური განვითარებისა და გარეპოლიტიკური ვითარების შედეგად შექმნილი ძალთა განწყობილების გამო ვახტანგ გორგასლის დიდი წამოწყება ნაადრევი აღმოჩნდა და, ფაქტიურად, მასვე გადაჰყვა.

---

106 მით უმეტეს, რომ წინააღმდეგ აქამდე გავრცელებული აზრისა, ვითომ ქრისტიანობა ოფიციალურ კულტად მხოლოდ 523 წ. იქცევა ლაზიკაში, როგორც ირკვევა, ლაზიკის ქრისტიანიზაცია IV ს-ის 30-იან წლებიდანვე სავარაუდოა (იხ. ნ. ლომოური, ეგრისის სამეფოს ისტორია, გვ. 112—120). 523 წ., ეგების, სწორედ კონსტანტინეპოლისადმი დაქვემდებარების აღმნიშვნელი თარიღია?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ОСНОВНЫЕ ВОПРОСЫ ИСТОРИЧЕСКОЙ ГЕОГРАФИИ ГРУЗИИ

Резюме

Настоящее исследование является частью обширной монографии, в которой трактуются проблемы исторической географии Грузии, начиная с древнейших времен до начала XI века, когда возникает единое феодальное государство Грузии. В публикуемой работе исследование доведено до начала VI века.

Древнейшая эпоха, с которой мы можем воссоздать определенную картину исторической географии Грузии, — это эпоха энеолита и ранней бронзы. Топография поселений, расположенных на искусственных холмах (называемых по-грузински — «го́ра»), показывает, что в эпоху энеолита (V—IV тысячелетия до н. э.) населением освоены долины рек и горные возвышенности, однако если на низменности поселения расположены небольшими группами, то уже на высоте 800—900 м над уровнем моря — встречаются реже.

В эпоху ранней бронзы (III тысячелетие до н. э.) население продолжает жить на древних холмах, основываются новые поселения. Горные районы осваиваются более интенсивно. В речных долинах го́ра расположены уже не группами, а сплошной цепью. Каждое поселение является местом жительства одного патриархального родового коллектива, владеющего, несомненно, своей родовой территорией, судя по смежному расположению жилых холмов, не очень обширной. Экономической базой населения является поливное земледелие, скотоводство и осознанная металлургия.

С точки зрения исторической географии культурно-хронологический период энеолита — ранней бронзы мы можем назвать «периодом го́ра». В социальном же аспекте — это эпоха радо-племенных объединений.

С конца раннебронзовой эпохи, судя по культурным слоям, жизнь на жилых холмах в пределах определенной территории Восточной Грузии прекращается. Лакуна охватывает, примерно, эпоху средней бронзы, прекрасно представленную знаменитой курганной «Триалетской культурой». Предполагают, что это важное явление связано или с разви-

тием отгонного скотоводства и металлургии или же — с кризисом примитивного (неполивного) хозяйства.

В Западной Грузии, в Колхидской низменности, где ирригация не имела никакого значения и не было также условий для развития отгонного скотоводства, жизнь на жилых холмах не прекращается и в эпоху средней бронзы.

Процесс «вторичного» освоения определенных земледельческих районов Восточной Грузии начинается в эпоху поздней бронзы, со второй половины II тысячелетия до н. э. Количество позднебронзовых го́ра по сравнению с раннебронзовой эпохой увеличивается в три-четыре раза, что указывает на интенсификацию сельского хозяйства, в частности ирригационного земледелия. Прослеживается при этом процесс социального развития. Параллельно с этим некоторые го́ра приобретают главенствующее положение над другими близлежащими поселениями и постепенно превращаются в экономический и политический центр определенной территории. Так как в силу специфики физической географии территории Грузии и вытекающей отсюда специфики экономического развития вышеотмеченные группы поселений локализуются в пределах определенных ущелий, эти древнейшие территориальные объединения получили название «хеви» (букв. «ущелье»). С точки зрения социального развития хеви являлось территориально-экономическим объединением общества, сельское хозяйство которого было основано на одной ирригационной системе. Именно в пределах этих хеви протекал процесс дальнейшего экономического развития и углубления социальной дифференциации общества.

С точки зрения исторической географии эпоха поздней бронзы и раннего железа является переломной — начинается «период хеви». В социальном аспекте — это эпоха военной демократии.

Археологическая документация древних «го́ра» Грузии совершенно недвусмысленно свидетельствует о том, что к началу раннеантичного периода (VI—V вв. до н. э.) экономическое развитие и социальная дифференциация поселений достигает кульминации, и если не образовалось еще повсеместно общество классовое, то, во всяком случае, оно стоит на грани великого исторического переломного явления.

В Зап. Грузии к этому времени уже существовало Колхидское царство от р. Апсара (Чорохи) до г. Диоскурии (Сухуми), с центром в Кутайа (Кутаиси). На территории же Вост. Грузии к середине I тысячелетия до н. э. существо-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

вали независимо друг от друга мелкие государственные образования и племенные объединения («хеви»).

Позднее, на рубеже IV—III вв. до н. э., глава одного из таких мелких «царств» с центром в Мцхета, Парнаваз, объединяет разрозненные государственные образования Вост. Грузии в единое царство — Иверию (Картли). По национальному преданию, это царство включало также всю Западную Грузию, кроме Абхазии.

Собственно восточногрузинское царство охватывало бассейн среднего и верхнего течения р. Куры, а также весь бассейн р. Чорохи. Граница с Арменией проходила по водораздельному хребту Чорохи и Куры, с одной стороны, и Евфрата и Аракса — с другой. На севере Иверию окаймлял Кавказский хребет. На востоке граница с Алванией проходила по линии где-то в зоне городов Рустави и Телави, на западе же — с собственно Колхидой — в зоне г. Шорапани.

«Летопись Грузии» сохранила предание, что Парнаваз, первый царь единой Иверии, подразделил всю страну на военно-административные единицы — «саэриставо». Однако, как показывает отмеченная выше историко-географическая ситуация, в III в. до н. э., да и гораздо позднее, реальной историко-географической единицей оставалось хеви, что подтверждается и древнегрузинскими источниками, согласно которым «страна Картли» представляет собой объединение множества «Картлийских хеви».

Начиная с II в. до н. э., южная территория Иверии начала постепенно сокращаться. Во времена Страбона провинция Гогарена и отчасти Мосхике находились под властью армян. И позднее эти лимитрофные земли были «яблоком раздора» между Арменией и Картли. Такое положение дел продолжалось до второй половины IV века н. э.

К I в. до н. э. Колхидское царство распалось на мелкие области («скептухии»). Еще в начале II в. н. э. на территории древней Колхиды существовало несколько маленьких царств, подвластных Римской империи. Однако, во второй половине II в. картина меняется, и сведения Птолемея дают основание предполагать к этому времени возникновение в Зап. Грузии Лазского или Эгрисского царства, объединившего более древние мелкие государственные образования. Расцвет Эгрисского царства датируется периодом с конца IV в. до конца V, когда оно охватывало всю Зап. Грузию, включая ее горную часть (в частности, Сванети) и юго-западное побережье Понтийского моря (Чанети). В этих пределах Эгриси включала несколько провинций: Чанети, Лазика, Шида Эгри, Аргвети, Таквери, Апшилети и Мисси-

мианию. Апхазети же (Абазгия) являлась вассальным княжеством Эгрисского царства. Это было обусловлено тем, что в важных экономических и политических центрах Абазгии находились византийские гарнизины.

Весьма устойчивыми были взаимоотношения низинных и горных зон Эгрисского царства. Во-первых, в этой связи важное значение имел политический фактор — вопрос северокавказских кочевников, аланов и гуннов. Опасность их набегов вынуждала эгрисцев к заботе о защите и контроле важных перевалов Большого Кавказа. Контроль магистральных дорог, соединяющих Эгриси с Северным Кавказом, преследовал не только военно-стратегические, но и торговые цели.

Однако, решающим фактором прочности взаимоотношений низинных и горных районов Зап. Грузии следует считать внутренние экономические связи между этими двумя областями. С этой точки зрения мы располагаем, правда, скудными, но весьма знаменательными сведениями.

Экономически самым развитым и богатым сельскохозяйственным районом Эгрисского царства был т. н. Мохирис — область, обнимающая в основном долины рек Риони и Цхенисцкали. Политическим же центром в интересующий нас период (IV—V вв.) являлся Археополь (ныне сел. Нокалакеви).

В 70-х годах V в. в Эгрисском царстве произошли значительные, с точки зрения исторической географии, изменения, обусловленные политическим развитием Иверийского царства.

Во второй половине IV в. Иверия занимает почти всю ту территорию, в пределах которой она возникла в эллинистическую эпоху. Однако произошли, конечно, и значительные перемены. Во-первых, самое верхнее течение р. Чорохи оставалось под властью армянского царства. Во-вторых, значительные изменения произошли к этому времени на восточной периферии: граница царства расширилась в сторону Алвании, самая западная часть которой была непосредственно присоединена к Иверии; часть же (зона нижних течений рек Алазани и Иори) остается в вассальной от нее зависимости. Это явление обусловливалось совершенно определенными экономическими факторами.

На севере пограничной крепостью с древнейших времен были известные Иверийские или Кавказские ворота. Однако некоторые горные области, органические части грузинского царства (Давлети, часть Хевсурети, Тушети и др.), еще оставались за пределами Иверии.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Изучение данных источников показывает, что для Вост. Грузии в эту эпоху характерно было деление на древнегрузинские административные единицы — хеви, причем они являются более обширными территориальными единицами, чем те ущелья, от которых они получили название, т. е. то или иное хеви фактически охватывает несколько ущелий. Это указывает на пройденный уже длительный процесс социального и экономического развития общества, в результате которого происходит слияние мелких единиц хеви в более крупные территориально-общественные единицы, именуемые по традиции опять-таки хеви.

С другой стороны, источники свидетельствуют, что Восточная Грузия разделена на горные и низинные хеви. Это, со своей стороны, означает, что низинные и горные области еще не объединились с экономической точки зрения. Длительный и сложный процесс объединения низинных и горных районов завершится позднее.

Общий экономический подъем вызывает тенденцию сближения отдельных частей территории Грузии. Во второй половине V в. царю Иверии, Вахтангу Горгасалу, вследствие энергичных мероприятий удается объединить Восточную и Западную Грузию в одно царство. Апхазети, в силу указанных выше обстоятельств, остается в вассальной зависимости от Византии. Западная Алвания также непосредственно присоединяется к царству Картли в виде отдельной военно-административной единицы — саэриставо. Непосредственно присоединяется к нему и южная часть северо-кавказских районов (юго-западный Дагестан, Тушети, Двалети и др.). Усиливается тенденция слияния отдельных хеви, обусловленная восходящим хозяйственным развитием страны и активизацией экономических взаимоотношений между отдельными областями.

Из-за специфики экономического развития Восточной Грузии здесь тенденция слияния горных и низинных областей проявлялась ярче, чем в Западной Грузии. Царствование Вахтанга Горгасала явилось определенной вехой и в этом отношении, так как именно он добился полного подчинения непокорных обитателей Кавказских гор. Указанными факторами определялась активная политика царя на восточной периферии Иверии.

Явлением того же порядка следует считать перенос Вахтангом Горгасалом политического центра государства из Мцхета в Тбилиси.

В этом общем процессе консолидации страны активную роль играла христианская грузинская церковь, получившая

при Вахтанге автокефалию. Так как языком христианской церкви царства Картли был грузинский, то на той территории, где христианство распространялось по инициативе Картли, литературным и церковным языком был грузинский. Это вело также к распространению соответствующей культуры и, в конечном итоге, к постепенной ассимиляции аборигенов.

Дело в том, что Восточный Кавказ в пределах Иверийского царства был населен в древнюю эпоху не только грузинскими племенами. Грузинская церковь большое значение имела именно для их культурной и этнической ассимиляции. В этой связи важную роль играл факт этнической инфильтрации грузинских племен в негрузинскую среду.

Восточногрузинские племена активно проникали также в Западную Грузию. Происходил интенсивный процесс консолидации восточно- и западногрузинских племен, что ко второй половине V в. привело к господству восточногрузинской церкви в восточных районах Эгриси. Остальная часть Зап. Грузии в церковном отношении оставалась зависимой от Византии.

Таким образом, правление Вахтанга Горгасала является важным этапом в процессе историко-географического развития Грузии: Восточная и Западная Грузия были объединены в одно царство, в которое были включены также смежные провинции Алвании и некоторые горные области Северного Кавказа. На основе развития экономических взаимоотношений протекал интенсивный процесс интеграции грузинских и ассимиляции негрузинских племен. Создавались предпосылки для создания единого грузинского национального государства.

Однако, расположение сил, создавшееся вследствие переплетения внутрисоциальных и внешнеполитических конфликтов тормозило развитие прогрессивных тенденций, и миссия Вахтанга Горгасала, в данной ситуации оказалась неосуществимой.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შემოკლებათა სია

აკს 1969 — არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1969 წელს. თბილისი, 1971 წ.

გმმ — გურჯაანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის და ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის გაერთიანებული პირველი სამეცნიერო სესიის სამუშაო გეგმა და მოხსენებათა თეზისები. თბილისი, 1965 წ.

იიშ — ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები.

მსკა — მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის.

სამ — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე.

სიგკ — საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული.

სმმ — ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე.

II სამეცნიერო სესია — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. საქართველოს ისტორიის კათედრა. II სამეცნიერო სესია მიძღვნილი შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი, ოქტომბერი 1966 წელი. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. 1966 წ.

XV სამეცნიერო სესია — ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. XV სამეცნიერო სესია მიძღვნილი საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი. მოხსენებათა ანოტაციები. 1966 წ.

XVI სამეცნიერო სესია — „ „ 1967 წ.

XVII „ „ „

XXI სამეცნიერო სესია — ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის XXI სამეცნიერო სესია, სესიის მუშაობის გეგმა, მოხსენებათა თეზისები, ანოტაციები. 1972 წ.

სსმაე — საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები (=АЭГМГ).

АЗГМГ — Археологические экспедиции государственного музея Грузии (-სსმუ).

ВДИ — Вестник Древней Истории.

КСИИМК — Краткие сообщения института истории материальной культуры.

СА — Советская Археология.

ТД — Тезисы докладов, посвященных итогам полевых археологических исследований в 1970 году в СССР (археологические секции). Тбилиси, 1971.

ТКАЭ — Труды Кахетской археологической экспедиции, I, Тбилиси, 1969.

ОР — Описание рукописей «Общества распространения грамотности среди грузинского населения», Тифлис, 1906—1912.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საძიებელი

პირთა სახელები

აბრამიშვილი რ. 36, 45
აბულაძე ილ. 62, 158, 165, 228
აგათანგელოსი 227
აგათია სქოლასტიკოსი 102, 103, 115, 118, 122, 131, 144
ადარნასე, სამშვილდის ერისთავი 214
ადარნასე ქართველთა მეფე 151
ადრიანე იმპერატორი 82
ავალიშვილი გ. 23, 28
აზო 70
აიეტი 48
ალექსანდრე მაკედონელი 51, 110
ალექსიძე ზ. 78
ალიშანი 158
ამიანე მარცელინე 91, 95, 201, 202
ანასტასი აპოკრისიარი 107—110, 118, 122, 123, 125, 130, 131
ანასტასი მონაზონი 130
ანასტასი სინაელი 137
ანქიალე, მაკრინ-ჰერიოხთა მეფე 82
აპიანე 55, 56
აპოლოდორე 56, 60
აპოლონიოს როდოსელი 48
არსუკი 51
არტავაზი 215
არშაკი 159
არშუშა (აშუშა) 164, 165, 166, 215
არჩილი 164, 166
ასფაგური 202
ატილა 201
აფაქიძე ა. 19, 42

ბაკურ ერისთავი 215
ბაკურ ქართლის მეფე 164
ბარამიძე მ. 28, 33, 35, 42, 115
ბარდოსი 153
ბარტომი 156, 157
ბასილი სოფენელი 228
ბაჰრამ IV (ერანის შაჰი) 96
ბერაძე თ. 88, 106, 129
ბერძენიშვილი დ. 128, 191, 192
ბერძენიშვილი ნ. 19, 33, 39, 50, 71, 74, 188, 207, 218
ბივრიტიანი 215
ბუგიანაშვილი თ. 35, 37
ბუზმიჰრ პიტიახში 90
ბურჯანაძე შ. 129

გაგოშიძე ი. 45, 49
გამრეკელი ვ. 204
გელაშვილი გ. 189
გეხტმანი გ. 8
გვასალია ჯ. 33, 155, 157, 181, 190
გიორგი მთაწმინდელი 129
გიულდენშტედტი 189
გობეჯიშვილი გ. 66, 67
გოგაძე გ. 22, 24, 25, 27, 29, 34, 37, 63
გოზალიშვილი გ. 212
გრიგოლ აკანელი 155, 157
გრიგოლ ერისთავი 204
გრიგოლ პატრიკიოსი და მაგისტროსი ლაზიკისა 109
გრიგოლია გ. 17, 28, 42, 45, 66
გუბაზ მეფე 131, 142
გუშარა 147, 149, 153, 167

დადიანი ნ.
დავით აღმაშენებელი 163, 229
დაჩი 110, 111, 214
დედაბრიშვილი შ. 16, 22, 25, 26, 35, 37

ეროვნული ბიბლიოთეკა

დემეტრე ერისთავი 214
დიაკონოვი ი. მ. 50
დიონისიოს პერიეგეტი 85
დრეპანიუსი 75

ეგნატაშვილი ბერი 89
ეგროსი 77
ევსები კესარიელი 67
ელიავა გ. 45
ელიშე ვარდაპეტი 158, 164

ვაზგენი — იხ. ვარსქენ პიტიახში
ვაღარშაკი 147
ვარაზ-ბაკური, ვაზარ-ბაქარი 201, 202
ვარამ გაგელი 155, 156
ვარდან დიდი 155, 156
ვარდან მამიკონიანი 158
ვარსქენ პიტიახში 165, 215
ვახტანგ გორგასალი 110, 111—113, 162, 163, 167, 168, 186, 199, 200, 201—209, 211, 213—216, 208—225, 227—229
ვახუშტი ბაგრატიონი 9, 10, 76, 87, 88, 96, 101, 107, 119, 126, 12, 173—178, 179, 181, 182, 185, 187 — 190, 217, 218, 223, 224
ვაჰან მამიკონიანი 167
ვრენ ტაშირელი 164, 165, 166

ზამანაქსე 210
ზაქარაია ნ. 104
ზიქი 133, 212, 213

თაყაიშვილი ე. 51, 187, 204 ,224
თეოდოსი განგრელი 108, 109, 118, 119, 121, 122, 123, 128, 130, 137.
თეოდორიტე კვირელი 100
თეოდოსი I (იმპერატორი) 96
თეოფანე ქამთააღმწერელი 123, 132, 137, 141, 210
თოლორდავა ვ. 68
თრდატ ქართლის მეფე 168, 182, 224

იაკობ მღვდელი 181
იაკობ ცურტაველი 62, 165
იარავანდი 152
ივანე ათაბაგი 155
ინაძე მ. 90
ინგოროყვა პ. 43, 59, 60, 112, 117, 120—122, 130, 133, 143, 162
იოანე დრასხანასკერტელი 151, 152, 153, 228
იოანე მალალა 209, 210
იოსებ აფლავიუსი 56
იულიანე აფსილთა მეფე 83
იუსტინე კეისარი 209, 210
იუსტინიანე კეისარი 102, 112, 136

კავადი 209, 210
კაკაბაძე ს. 78, 88, 94, 171, 173, 175, 177, 192, 193, 202, 208, 212, 215, 223
კეკელიძე კ. 109, 122, 137, 138, 223
კეპაღმაძე ნ. 83
კვიქინაძე კ. 67
კიკვიძე ი. 17, 18, 23, 28, 31, 33, 50
კირაკოს განძაკელი 155
კირიონი 228
კირკე 85
კლავდიოს პტოლემაიოსი 59, 85—88, 90, 93, 97, 98, 132, 189
კორიუნი 164, 165, 166
კონსტანტინე აფხაზთა მეფე 151
კონსტანტინე აფხაზთა მეფე 151
კუხოსი 178
კჳრიაკოსი 138

ლაზარე ფარპელი 92, 158, 164, 166, 167, 205, 213
ლაშა გიორგი 154, 155, 160
ლებარნიკოს პატრიკიოსი ლაზიკისა 109
ლევან კახთა მეფე 218
ლევონდი 161, 175, 176, 187
ლევანი 77
ლეონ I (იმპერატორი) 96
ლეონ ისავრელი 132, 140
ლეონტი მროველი 53, 61, 74, 75, 77, 78, 80, 81, 84, 146, 159, 167, 174, 185, 211
ლომოური ნ. 47, 51, 60, 79, 82; 83,

ეროვნული ბიბლიოთეკა

84—88, 91, 96—98 111, 114, 131, 132, 189, 195, 197, 224
ლონგინოსი 138
ლორთქიფანიძე გ. 28, 55, 56
ლორთქიფანიძე მ. 189
ლორთქიფანიძე ო. 46, 47, 50, 51, 53, 61

მაკალათია ს. 31
მალასა ლაზების მეფე 83
მამულია გ. 153
მარინე 132
მარუაშვილი ლ. 8, 52
მარტინე 102
მასუდ იბნ-ნამდარი 156
მაქსიმე აღმსარებელი 122, 130, 137
მაქსიმიანე 137
მაშტოცი 164, 165, 166
მეგასთენე 67, 70, 71
მელიქიშვილი გ. 46, 47, 51, 56, 61, 63, 64, 69, 78, 82, 84, 88—89, 90, 91, 92, 96
მენანდრე პროტიქტორი 96, 120—123, 133, 134, 139—142, 208, 209, 211 — 213
მერმეროე 102, 103, 135
მესხია შ. 216
მითრიდატე პონტოელი 55, 56
მირდატი ქართლის მეფე 90
მირდატ ვახტანგის ძე 111
მირვანი 156, 157, 175
მირიანი ქართლის მეფე 51, 52, 110, 181, 199, 218, 222, 223
მიქაელი 222
მიქელაძე თ. 45, 46, 47
მოსე კალანკატუელი 158, 165
მოსე ხორენელი 67, 147—153, 161, 164—167, 227
მუსხელიშვილი დ. 13, 14, 17, 19, 23, 24, 27, 32, 33, 34, 40, 43,—45, 49, 52 54, 66, 72, 74—76, 79, 114, 115, 148, 153, 155, 163, 165, 166, 175, 177—181, 183, 186, 188, 189, 194 — 196, 214, 216, 219—221, 227
მუშეღ მამიკონიანი 159

ნაბუქოდონოსორი 67
ნასრ ერისთავი 215
ნერსარან ერისთავი 214
ნიორაძე გ. 72

ორიენტიოსი 137
ოქროპირიძე ნ. 33, 42
ოჩიაური თ. 226, 227

პაპი ალექსანდრიელი 93
პაპი სომეხთა მეფე 91
პიატკანოვი კ. პ. 93, 146, 154, 188
პაპუაშვილი თ. 177
პევტინგერი კ. 114
პეროზი 96, 211
პეტრე პატრიკიოსი 133, 134, 212
პლინიუსი 75, 197
პომპონიუს მელა 57
პრისკე პანიონელი 200, 201, 208, 211
პროკოფი კესარიელი 88, 89, 95, 98, 102, 103, 103—108, 111, 112, 114—115, 117—121, 130, 133—137, 139—144, 209

ჟამთააღმწერელი 154, 155, 156

რამიშვილი რ. 35, 49
რევი 181
რესმაგა, აბასკთა მეფე 83
რიღავდინი 137
რობაქიძე ა. 43

სავრომაკი, საურმაგი 202
სამნაღირ ერისთავი 209, 214
სამუელ ეპისკოპოსი 164, 166
სანესანი 150
სებუხტი 152
სემატა 208
სიხარულიძე ი. 89, 116, 117
სოტერიქე 131
სპადაგა სანიგთა მეფე 83
სტებნიცკი გ. 58
სტრაბონი 54—60, 70, 146—149, 152, 197, 225

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულხან-საბა ორბელიანი 39, 43
სუმბატ ტიეზერაკალი 151—152
სუქრი ა. 93
სუჯი დედოფალი 199

ტატიშვილი თ. 17, 66
ტერდეტი 130
ტიგრან დიდი 152

უზუნაშვილი მ. 35
ურუშაძე ა. 48
უხტანესი 165

ფავსტოს ბიზანტიელი 92, 132, 149, 159, 152, 159
ფარნავაზი 50, 53, 60, 77, 105, 106, 167, 211, 213, 223
ფარსმან არმაზელი 152
ფარსმან II, ქართლის მეფე 82, 84, 89, 90
ფარსმანი, „რკინის ციხის“ პატრონი 132
ფიცხელაური კ. 26, 32, 35, 36, 72, 73, 74
ფლავიუს არიანე 82—86, 88, 90, 92, 98, 99, 100, 108, 111, 112
ფსევდოსკილაქსი 47
ფხაკაძე გ. 28

ქართლოსი 77, 153
ქორიძე დ. 29, 72
ქსენოფონტი 82
ქუჯი 77

ღლონტი ლ. 17, 18,

ყაუხჩიშვილი თ. 55—60, 85, 105, 146, 168, 225
ყაუხჩიშვილი ს. 53, 77, 121, 122

შაბურ II 91, 202
შარაი 147
შატბერაშვილი ზ. 34, 35, 37
შუშანიკი 165

ჩაკვეტაძე ვ. 48
ჩიკოიძე ც. 35
ჩიტაია გ. 227
ჩუბინიშვილი ტ. 11, 13, 14, 16, 17, 20, 21, 24, 24, 30, 31, 34, 35, 37
ჩხეტია შ. 223

ცქიტიშვილი გ. 14, 17, 23, 24, 27, 32, 33, 34, 38, 39, 43, 44, 49, 60, 90, 101, 105, 106, 128, 148

წათი 210
წმინდა ნინო 51, 52, 168, 181, 183, 195—199, 215, 217, 224, 227

ჭილაშვილი ლ. 33, 39, 49, 68, 178, 194, 220, 221

ხაზარაძე ნ. 59
ხარაძე რ. 43
ხახუტაიშვილი დ. 49, 50, 51, 68
ხოსრო ანუშირვანი 133, 139, 140, 186, 212
ხოსროვი სომეხთა მეფე 150
ხუასრო 162, 163
ხურსი გარდმანელი 164

ჯავახიშვილი ა. 12—15, 17, 18
ჯავახიშვილი გ. 29
ჯავახიშვილი ი. 9, 39, 52, 61, 67, 78, 83, 87, 112, 147, 148, 162, 164, 166, 190—191, 201, 216, 222, 223, 226, 228
ჯანაშვილი მოსე 76
ჯანაშია ლ. — ნ. 165, 167, 205
ჯანაშია ს. 54—56, 58, 78, 82,85, 87, 91, 96, 105, 115, 145, 145, 168, 175, 199, 204, 225
ჯაფარიძე ვ. 42
ჯაფარიძე ო. 12, 13—16, 21, 23—28, 34, 62, 63, 64
ჯაფარიძენი 142
ჯუანშერი 81, 137, 186, 206, 207, 162, 211, 214, 220, 222, 223

ჯუანშერ სპასპეტი 214
ჯლამაია ჯ. 42

ჰაზარავუხტი 213
ჰაიკი 150
ჰაშტუშტი იხ. არშუშა
ჰეროდოტე 69, 71
ჰეროსი 77

Адонц Н. 55, 147, 158, 161, 166, 224—225.
Анчабадзе З. В. 98—99, 108, 113, 117, 119—121, 133, 139—140, 206.
Артамонов М—И. 201.

Бриллиантов А. 109, 122—123, 137.

Вахтанг Горгасали 234—235.

Гвоздецкий Н. А. 8.
Гехтман Г. И. 8.

Дедабришвили Ш. Ш. იხ. დედაბრიოშვილი შ.
Джавахишвили А. И. იხ. ჯავახიშვილი ა.
Джапаридзе О. იხ. ჯაფარიძე ო.
Дубенский М. М. 8.

Еремян С. Т. 197.

Закарая П. Н. იხ. ზაქარაია პ.

Какабадзе С. И. (იხ. კაკაბაძე ს.) 189—190.
Кекелидзе К. (იხ. კეკელიძე კ.) 118—119, 122, 129.
Куфтин Б. А. 23—24, 27, 29, 35, 37, 42—43, 45.
Кушнарева К. Х. 11.

Леквинадзе В. А. 104, 119, 144.

Манандян Я. А. 169—170.
Меликишвили Г. А. (იხ. მელიქიშვილი გ.) 99, 101, 111, 131, 208, 212, 215, 217, 225—226, 228.
Микеладзе Т. К. იხ. მიქელაძე თ.
Мусхелишвили Д. Л. იხ. მუსხელიშვილი დ.

Парнаваз 232.
Патканов К. 170, 172, 174.
Пиотровский Б. Б. 21—22, 27, 34.
Пицхелаури К. Н. იხ. ფიცხელაური კ.
Птолемей 232.

Такайшвили Е. იხ. თაყაიშვილი ე.
Тревер К. 227.

Фавстос Бузанд 92. 132.

Чубинишвили Т. Н. იხ. ჩუბინიშვილი ტ.

Chaumont M. 202.
Christensen A. 202, 206.

Hübschmann H. 148.

Minorsky V. 158.

Reinach Th. 55.

Saint—Martin J. 39, 93—94, 97, 146, 154, 170—175, 178, 186, 188.
Soukry A. 93

Toumanoff C. 58, 78, 162, 202.

Ալիշան, იხ. ალიშანი.

Գրիգոր Ականեցի, იხ. გრიგოლ აკანელი.

Եղիշե, იხ. ელიშე ვარდაპეტი
Երեմյան Ա. Տ. 95.

Կորիւն, იხ. კორიუნი.

Ղազար Փարպեցի, იხ. ლაზარე ფარპელი.
Ղևոնդ, იხ. ლევონდი.

Մանանդյան Հ. 56.
Մովսես Կաղանկատուացի, იხ. მოსე კალანკატუელი.
Մովսես Խորենացի, იხ. მოსე ხორენელი.

Յովհաննես Դրասխանակերտցի, იხ. იოანე დრასხანაკერტელი

Ուխտանես, იხ. უხტანესი.

Վարդան, იხ. ვარდან დიდი.
Փաւստոս Բուզանդ, იხ. ფავსტოს ბიზანტიელი.

გეოგრაფიული სახელები

აბაზგია 119, 137
აბასკი მდ. 99
აბაშა მდ. 115
აბოცი 196
აბოცის გზა 196
ავარაკი 222
ავრივიკე 93
აეაზოვი 97, 99, 100, 139
ავკეთი 110
ავნევი 67
ავრანლო 37
აზანთა 119
აზერბაიჯანის სსრ 148, 155
აზია 93, 97, 108
ათინა 83, 92—94, 101, 196
აკამფსისი მდ. 93
აკაურთა 71
ალაზანი 7, 21 ,26, 28, 54, 62, 79, 169, 195, 214
ალაზანი თუშეთის მდ. 7
ალაზანი პირიქითა 7
ალაზნის ველი 183—185, 188, 195, 196
ალანეთი, ალანია 121, 132, 140
ალანი 97, 98
ალანთა კარი 189
ალბანია 202
ალგეთი 7, 148, 149
ალვანეთი 56, 76, 78, 79, 158, 159, 180, 185, 187, 195, 202, 218—220, 227
ალვანეთის სამეფო 153, 169
ალვანი (ალონი) 179, 184, 185
ალვანი მდ. 185
ალვანის ველი 184
ალონი — იხ. ალვანი
ალპანა 117, 124
ამიერკავკასია 6, 12, 26, 62, 67, 168—170, 175, 195, 196, 198, 202, 203, 205
ამტყელი მდ. 118—120
ამტყელის ტბა 119
ამტყელის ხევი 118
ანაკლია 29
ანაკოფია 98, 108, 107, 117, 119
ანატოლია 6
ანგარა მდ. — იხ. ჩხალთა
ანდიის ყოისუ მდ. 7
ანტიკავკასიონი 6, 7, 8
არაგვი 7, 174, 178, 179, 181—183, 190, 193, 195, 215, 216
არანი 153, 156
არაქსი 15, 55, 56, 60, 63, 64, 79, 146, 159, 163, 167
არგვეთი 88, 89—91, 94, 96, 101, 104, 105, 169, 228
არგვეთის მთები 169
არდონი 7, 204
არიან-ქართლი 70
არმაზი 90, 197
არმენია 55, 57, 59, 200, 202
არმხი 190
არსიანის ქედი 159, 201, 206
არტაანი (არტანი, არტაჰანი) 7, 56, 59, 61, 146—148, 152, 153, 159—162, 172, 195, 202, 222
152, 153, 159—162, 172, 195, 202, 222
არტაან-ჯავახეთი 58, 59
არტაშატი 114
არუხლო 11, 13—15, 17
არქაბისი მდ. (არხავე მდ.) 83, 84, 196
არქეოპოლისი 103, 114, 115, 144, 196

არღუნი 7
არხოტი 7, 226
ასა მდ. 7
ასპინძა 196
ატენის ხეობა 173, 192
აფსაროსი მდ. 47, 55, 100, 101, 137, 138, 196, 202
აფსარუნტი 107,
აფსილია 109, 110, 118, 119
აფსტა 117—119
აფუსტა 118, 119
აფშარას მთა 118, 119
აფშილეთი (აფსილეთი, აფსილია) 97, 100, 110, 111, 112, 118, 119, 120, 129—134, 138
აფხაზეთი 7, 81, 97, 98, 100, 106, 110, 111, 112, 114, 117—123, 130, 132, 136—201, 206, 207, 211
აფხაზეთის აფშილეთი 120
აფხაზეთის სამთავრო 130, 131, 139
აქეუნტი 99
აღსტაფა 157, 158, 196
აღსტაფის ხეობა 148, 149
აყუ 207
აშურიანი 35, 37
აჩაბეთი 67, 171, 173, 191, 194
აჩაბეთის ხევი 171, 173, 191, 194
აწყური 223
აჭარა 57—59, 84, 96, 97, 102, 169, 172, 174, 201, 202
აჭარა-ახალციხის ქედი 96, 101, 169, 201
აჭარა-გურიის ქედი 89, 101
აჭარა-თრიალეთის მთიანეთი 6
აჭარა-იმერეთის ქედი 6, 57, 60
ახალი ათონი 108
ახალი ჭალის უღელტეხილი 127
ახალქალაქი 149
ახალციხე 11, 197
ახმეტა 184
ახურიანი 167
აირარატი 148
ახიზა 222
ახჩია 21, 35

ბაზალეთი 173—175, 191, 194
ბათომი 196
ბაიბურთი 35
ბაკლანოვკა 107, 117
ბალსზემო სვანეთი, ბელას ზემო სვანეთი 142, 143
ბამბაკის ხეობა 148, 149
ბანუშ-ჩაი 38, 148, 149
ბასიანი 173
ბაღდათი 106
ბახტრიონი 79
ბედენი 6, 21, 28
ბელაქანის წყალი 188
ბერდუჯი 55, 78, 79, 154—159
ბერთა 223
ბერი 75, 175, 176, 194
ბეშთაშენი 36
ბეხი 180, 183, 186—188, 214
ბზიფი მდ. 7, 98, 99, 119, 120
ბიზანტია 82, 96, 105, 112, 114, 123, 129—134, 139, 141, 162, 195, 196, 200—202, 206, 210, 212, 228, 229
ბიზანტიონი 83
ბიჭვინტა 97, 98, 100, 111
ბიხი 185
ბოგდანოვკა 149
ბოდავის მთა 181
ბოდბე 169, 176, 194, 195, 199, 223, 224
ბოდი 199
ბოკერის ციხე (ბუკოლუსი, ბუქლოოსი) 121, 122, 123, 131
ბოლნისი 11, 71, 149, 194, 222
ბოლნისის ხევი 148, 173, 174, 191, 194
ბოლნოფორი 172, 173, 191
ბორი 90
ბორჩხა 95
ბუღთა-ყური 163
ბუხი 186, 188, 214
ბუხოიდერე 188

გალი 113
გაგი 154, 155
განძა, განჯა 155

ეროვნული ბიბლიოთეკა

განძის საამირო 156
გარდაბანი 79, 157, 192, 196, 198, 222
გარდმანი 156, 165
გარდმანის ხევი 159
გარეკახეთი 32
გარეჯა 169
გარეჯის მთა 79
გაღმა მახრი 192, 196, 198, 223
გევგავი 185
გეინუკი 188
გეტარუ 185
გვანდრა მდ. 122
გვერდისძირი 173, 191
გვესო 127
გვესოს ციხე 123, 127, 128, 129
გიენოსი 47
გირესუნის ქედი 58
გიში 223
გოგარენე 54, 55, 80, 146—150, 152, 153, 159, 163, 166, 167, 191
გომარეთი 6, 17
გომბორი 79, 169, 180, 195, 196, 219
გონიო 107, 138
გორგოვათის ხევი 172
გორდი 116, 117
გორდის ციხე 117, 127, 128
გორი 198
გოროთის ხევი 172, 191
გრაკალი 37
გრდანი 178
გრემი 16
გუგარქის საპიტიახშო 149, 153, 191
გუგარქის სამთავრო 152
გუგარეთი, გუგართა, ქვეყანა 151, 152, 164, 228
გუდავა 138
გუდამაყარი 199, 223, 226
გუდაყვა, იხ. ზიგანევი
გულგულა 178
გუმისთა 117, 118
გუმუშანეს ქედი 58
გურია 7, 89, 102, 104, 143
გუძუბე 29
გუჯარეთის ხევი 149, 173, 191
დაბა 195
დაბა ედემი 199
დაბლაგომი 28, 42, 47, 88, 104, 114
დამასტის მთა 184
დამასტური 184
დარიალანი (დარიალი) 121, 139, 203—206, 227
დარიალის ციხე 204
დარიალის ხეობა 189, 190, 197
დარინის გზა 120, 121
დარუბანდი 139, 158, 227
დაღესტანი 15, 214, 227
დებედა 7, 65, 148, 149, 155, 196
დეკციხე 191, 194
დეხვირი 129
დეხვირის ციხე 129
დვალეთი 7, 77, 168, 204, 205, 225
დვანი (დუანი) 171, 172, 173, 191, 194
დვანის წყალი 173
დიდი არტაანის ლივა 160
დიდი ახალსოფელი 24, 25, 26
დიდი კავკასიონი 6—8
დიდი კახეთი 183, 184, 195
დიდი სომხეთი 93, 148, 152, 164, 191
დოდოეთი 223, 225, 226
დიდუბე 17, 178
დიდღვაბუნა 116, 117
დიმი 106
დიმნა 106
დიოსკურია 47, 83, 85, 86, 98, 99, 100, 202
დიოსკურიდა 100
დიღომი 67
დიხაგუძუბა 28, 29
დმანისი 6, 222
დოკონოსი (ტეხური) 115
დორძოკეთი (დურძუკეთი) 204, 225
დოღლაური 33
დრაკონი მდ. 93, 97, 98, 117, 119
დურძუკეთი იხ. დორძოკეთი

ეგრეკი (ეგრეკა) 93, 94
ეგრე—სუ 89, 92, 107
ეგრი (ეგური) იხ. ეგრისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეგრისი, ეგრი, ეგური 61, 77—79, 81, 87, 89—100, 105,107, 109—118, 120—123, 129, 130—142, 144, 168, 170, 174, 189, 196, 197, 200—202, 207—213, 216, 225, 228, 229
ეგრისის აფშილეთი 120
ეგრისის სამეფო 82, 86, 88, 90—92, 95, 96, 99, 100, 101, 104—106, 114, 115, 117, 120, 123, 136, 139, 140, 144, 149, 159, 200—202, 208, 209, 211, 213, 229
ეგრისის სამთავრო 129
ეგრისწყალი 76, 77, 89, 106, 107, 110, 111—114, 117, 119, 137, 200, 207
ეგური მდ. 87, 107
ედემი (ედომი) 168, 182
ევროპა 108,
ევფრატი 55, 56, 59, 60
ევქსინის პონტი 85, 107
ეკრიტიკე 87, 94
ელისენი 223
ენგური 7, 45, 77, 87, 88, 106, 107, 113, 118, 119, 120, 143, 144
ენგურის ხეობა 144
ერანი 91, 96, 102, 105, 123, 133, 134, 139, 140, 157, 195, 200, 203, 206, 207, 210—212, 220, 228, 224
ერგე 89
ერგეტა 87
ერისწყალი 138
ერკეთი 89
ერკი იხ. ხერკი
ეროი 186, 188
ერუშეთი 6, 147, 160, 161, 194, 195, 222
ერწო (ერწაი, ერწვოი) 172, 174, 178—180, 193, 199
ერწო-თიანეთი (ერწუთიანეთი) 168, 179, 180, 181, 199, 224
ესპანეთი 75
ეხნი 185, 186, 214

ვანადი 163
ვანი 46, 47
ვარაზმანავარის ციხე 185
ვარციხე (ვარდციხე) 104, 196
ვაჩნაძიანი 68
ველისციხე, ველიცხი 173—176, 186, 194
ვერის ხეობა 166
ვრაც-დაშტი 165

ზაქათალა 188
ზედაზნის მთა 178
ზედაზნის ციხე 179
ზეკარის უღელტეხილი 196
ზემო ალვანი 184
ზემო ბოდბე 16, 37
ზემო სვანეთი 142, 143
ზემო ქართლი 177, 221
ზემო ჯავახეთი 146, 147, 149, 153
ზენა არტაანი 160
ზიგანევი (ზიღანეოსი) 111, 137, 138, 196, 228
ზუბი 125
ზუბის ციხე 123, 125—128,
ზუგდიდი 113
ზურტაკეტი 6, 7, 22, 23, 27, 28, 35, 196

თაკვერი 91, 105, 118, 126, 129, 135, 136, 209, 211, 215
თაკვერის ციხე, (თაკვრის ციხე, თაკვირის ციხე, თაკვრიის ციხე) 118, 123, 126—129
თაკვრია იხ. თაკვერი
თამარისი 16
თარი, იხ. თორი
თაუზ-ჩაი 157
თაქქილისა 37
თბილისი 171—173, 193, 196—198, 200, 220, 222
თეთრი წყარო 17, 71
თერგი 7
თეძამი 7, 178
თეძმის ხეობა 192
თიანეთი 172, 174—176, 178—182, 193, 203, 215, 217—219
თიანეთი არაგვისპირის 178
თორი 149, 172, 173

ეროვნული ბიბლიოთეკა

თორ-გუჯარეთის ხევი 173
თოფრახ-კალა 158
თრელი, იხ. აგრ. თრიალეთი 146, 148, 149, 172, 174
თრიალეთი 17, 18, 22—24, 27, 31, 35, 37, 43, 146, 148, 149, 174, 177, 191, 195
თრიალეთის ქედი 192
თრუსო 7, 168, 189
თურგავათის ხევი 172
თურდო 79, 169, 179
თურდოს ხევი 187
თურქეთი 7, 27, 83, 89
თუსუმის ციხე 109
თუშეთი (თოშეთი) 7, 77, 168, 182, 184, 185, 193, 199, 205, 224, 226
თუხარისი 95, 194, 201
თუხარისის ციხე 206
თხოთი 52
თხოთის მთები 52, 53

იალბუზი 206
იალნო 178
იალოილუ თაფა 68
იანი 93
იბერი მდ. 75
იბერია იხ. ივერია
იბერიის კარი 168
იერუსალიმი 161
იეშილ-ირმაკი 58
ივერია 6, 8, 48, 50, 56, 57, 59, 62, 63, 74, 76, 78, 79, 80, 88, 93, 104, 105, 135, 159, 189, 212, 221
ივრის ფშავი 183
ივრის ხეობა 183, 219, 220, 224, 226
ითხვისი 47
ილტო 24, 25, 26, 184
იმერეთი 7, 124
იმერხევი 95
იმიერ-კავკასია 6
იმირი 11, 13, 14,
ინგუშეთი 190
ინჯას ხეობა 148, 149
ირო-ალაზნის ველი 27
ირორი 7, 75, 79, 169, 176, 183, 186, 195
ოიჰი მდ. 93, 95
იპპისი 114
ირანი იხ. ერანი
ირტოს ხევი 179
ისულეთი 115
ისუნდერი 127
ისუნდერის ციხე 123, 127, 128

კავკასი, იხ. კავკასიონი
კავკასია 39, 70, 76, 93, 99, 109, 114, 116, 120, 121 123, 140, 172, 179, 203, 206, 217, 219, 223, 225, 227, 229
კავკასიის კარი 168
კავკასიონი 6, 7, 54, 57, 76, 79, 85, 96, 97, 101, 108, 118, 120, 121, 132, 147, 162, 167, 168, 179, 185, 188, 189, 203—206
კავთისხევი 49, 61, 68
კათარი მდ. (აბაშა) 115
კამარახევი 49, 68
კამბეჩოვანი (კამბეჩანი) 169, 186, 187, 214, 218—220
კამენკა 148
კამენკას ხეობა 149
კანგარი (კანგარქი, კანგარქა) 146, 149, 169, 172, 174, 177, 191, 193
კანგარის ხევი 167
კანისხევი (ქსანი) 172, 173
კარალეთი 33, 67
კარი 163
კარი პარჭუანს დორძოკეთისა 204, 206
კარმირფორი (კარმირფორაკი) 183
კარნიფორი, იხ. აგრ. კარმირფორი 162, 163
კარნი ოვსეთისანი 203, 204
კარნუ ქალაქი 162
კასპი 33, 51—53, 174, 194, 203
კასპიის კარი (დარიალი) 121, 139, 168, 227
კასპიას სასპასალარო 194
კასრის კარი 204
კატარძენე 60
კატეხი 187, 188

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კაუხეთი 183
კაწარეთი 183, 195, 199, 223, 224
კახაბრის ველი 112
კახეთი 7, 18, 22, 25, 26, 32, 34, 37, 60, 61, 68, 72, 74, 75, 78, 79, 116, 143, 175—181, 183—187, 193—195, 199, 214, 218, 220
კახეთის მთა 52, 53, 179
კახეთის საუფლისწულო 185
კახეთის ხევი 187
კახეთ-კუხეთი 181
კახთუბანი 107
კახი 188
კელასური 112, 119, 120, 214
კენჭიყარა 40, 41
კვარას ციხე 129
კვეტერას საერისთავო 179
კიკეთი 16, 17
კიროვაკანი 27
კიროსი იხ. მტკვარი
კისისხევი 61
კისდადი, იხ. გიში
კიში, იხ. გიში
კლარჯეთი 58, 78, 61, 79, 80, 84, 92, 95, 101, 107, 146—148, 152, 153, 159, 163, 172, 191, 194, 196, 197, 201, 202, 215, 222
კლისურა იხ. აგრეთვე კელასური 110, 111, 112, 207
კლიჩი 122
კობი 180
კოდმანი (კოტმანი) 155, 156, 157
კოდმანის ველი (კოტმანის ველი) 155, 157
კოდორი 7, 98, 100, 101, 106, 117, 118, 119, 121, 122, 131,. 200, 207
კოდორის ხეობა 118, 119
კოლა 7, 58, 59, 79, 147, 148, 159—163, 195
კოლას ხევი 161
კოლბი 147, 148, 148, 149, 159, 166
კოლბის ხევი 159, 191, 194
კოლბოფორი 146, 159, 166, 172, 173
კოლხეთი 46, 47, 48, 54, 55, 57, 58, 59, 60, 64, 69, 85, 86, 87, 88, 92, 105, 120, 121, 141
კოლხეთის დაბლობი 6, 7, 8, 29, 45
კოლხეთის სამეფო 64
კოლხიდა 57, 100, 114, 142, 201, 209
კონსტანტინეპოლი 210, 228, 229
კორაკოსი 97
კორაძენე იხ. კატარძენე
კოსხი 174, 177
კოტა (ქუთაისი) 93
კოტორის ციხე (სკოტორის ციხე) 119, 130
კრიაკუნქი 160
კრისხი 177
კრუეთი 172, 178
კუდრათი 185
კუმურდო 223
კუხეთი 73, 74, 79, 177—179, 183, 185, 194, 199, 214, 215, 222
კუხეთის საერისთაო 178
კხოეთი 183, 199

ლაზეთი (ლაზიკე, ლაზიკა) 86, 88, 89, 91, 92, 101, 102, 104, 105, 109, 114, 117, 122, 130—138, 140—142, 169, 202, 212, 219, 229
ლაზივი იხ. აგრ. ლაზეთი 93, 94
ლაზისტანი 56
ლაზისტანის ქედი 55, 56, 58
ლაილაში 143
ლატალი 143
ლაშას ჯვარი 218
ლაშხეთი 129
ლაჯანურა 124, 125, 129, 143
ლენინაკანი 63
ლენტეხი 127
ლენჯერი 143
ლესინდი 129
ლეჩხუმი 7, 106, 113, 115, 122, 123, 124, 126—130, 134—136, 138, 142—144
ლეჩხუმის ციხე 130
ლიახვი 7, 90, 173, 204
ლილო 178
ლიხის ქედი 6, 96, 101, 104, 105, 108
ლომთაგორა 71, 72
ლოპოტა 162

ლოპოტის ხევი 61
ლორე 148, 149
ლორ-ტაშირი 7, 166, 167

მადია 87
მათხოჯი 117
მანგლიაცფორი, მანკლიაცფორი 172, 173, 191,
მანგლისი 149, 194, 195, 222
მანგლისის ხევი 148, 173 174, 191, 192, 194
მარადიდი 95
მარალინ დერესი 37
მარგვი 60, 88, 90, 94, 104, 105, 204, 209, 211
მარგვისი იხ. მარგვი
მარნელიტი 93
მარნეული 11, 71, 148
მარტყოფი 178, 179
მარუხის უღელტეხილი 120, 123, 140
მაშავერი 7
მაშავრის ხეობა 174
მაჭარეული 79
მაჭახელი 95
მეგალოპოტამია 93
მელიგორი 71, 72
მელიების გორა 71
მეოტის ტბა 136
მერედიდი 201
მერეთი 95
მესხეთი 11, 23, 57, 58, 60
მესხეთ-ჯავახეთი 18
მესხეთის ქედი 57, 58, 60
მეხლესოსი (მეხრესოსი) 87, 88
მეჯვრისხევი (მეჯუდისხევი) 61
მთინი 147
მთიულეთი 190, 193, 199, 223
მიდია 69
მილიონი 190
მილიონის მთა 190
მირვეთი 95
მისიმიანი იხ. მისიმიანეთი
მისიმიანეთი 118, 120—123, 129—133, 136, 140
მისიმიანთა გზა 120, 121, 132, 133, 206
მისიმიეთი იხ. მისიმიანეთი
მიღმახევი 226
მიჯნისწყალი 112
მლეთი 189
მოგვთა ხიდი 198
მოვაკანი 110
მოსხების მთები იხ. მოსხური მთები
მოსხიკე იხ. მესხეთი
მოსხური მთები 56—60
მოქვი 109, 110
მოხირისი 88, 114, 115, 130, 135, 142, 144
მოხირისი (ქალაქი) 104
მოხორა 111
მრიტი 95
მრუღი იხ. მურღული
მტკვარი 6, 5, 51, 54—56, 58—60, 70, 75, 89, 146—148, 150, 152, 153, 157, 160, 163, 169, 177, 178, 185—187, 196—198, 202, 203, 214, 221
მტკვარი არტაანისა 7, 28, 148
მტკვარი ჯავახეთისა 7, 148
მტკვრის წყაროს თვალი 160
მტუერის ციხე 158
მურის ციხე 123—126, 128, 129, 135
მურღული 89, 92, 101, 107, 201
მუხრანი 33, 193, 223
მუხურა იხ. მუხური
მუხური 113, 115
მუხურის ციხე 88, 114
მუხურას მთა 117, 119
მცირე არტაანი 160, 162
მცირე კავკასიონი 6,7
მცირე კახეთი 183, 184
მცირე ხაზარეთი 207
მცხეთა 52, 54 ,68, 70, 71, 75, 90, 157, 193, 195—198, 200, 202, 219—222

ნაგები 178
ნაოხვამუ 42, 45
ნარეკვავი 33, 190
ნასტაკისი 49, 68
ნაქერალას ქედი 79

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახარის უღელტეხილი 120, 123, 140
ნეკრესი 187, 194, 214, 220, 223
ნესოსი 115
ნიგალი 61, 95, 101, 201
ნინოწმინდა 222—224
ნიქოზი 222
ნიჩბისი 198
ნოსირი 29, 42
ნოქალაქევი 115, 144
ნოღები 117
ნული 23, 24, 25, 26, 28, 36
ნუხი (ნუხა) 186, 188

ოვსეთი 203 ,225
ოვსთა კარი 168
ოლთისი 163
ომანის ხევი 178
ონოგურისის ციხე 103, 115
ორბელი 125
ორბელის ციხე 123—125, 128, 129
ორხოფი 84
ორჯოხის ქედი 92, 95
ოსეთ-ალანეთი 168
ოსტანი 186
ოფი 83, 84
ოფისი (ოფიუნტი) 83
ოქსუზლუ 157
ოქუმის წყალი 77, 106, 113
ოყურეში 127
ოჩამჩირე 47, 138
ოძრხე (ოძრახე) 51, 61, 194, 198, 215
ოხვირი 116
ოხოჯე 106

პალური 42, 45
პანკისის ხეობა 179, 184
პარიადრე 54, 55, 59, 60, 116
პარიზი 170
პარუარი 172, 173, 194
პარჭუანი 204
პარხალი 92
პარხალის მთები 55, 58
პატარა არტაანი 160
პატარა ლიახვი 173
პეტრა 102, 104, 107, 108, 228
პითიე III
პირიქითი ხევსურეთი 168, 205
პისინუნი იხ. ბიჭვინტა
პიტიუნტი 111, 112, 136—139, 200
პონტო კაპადოკიისა 83, 93, 100, 101
პონტო პოლემონის 111
პონტოს ზღვა 83, 93, 95, 97, 109
პონტოს მთაგრეხილი 58

ჟალეთი 168, 176, 180, 182—184, 195, 199, 215, 217, 224
ჟალური 184
ჟინვანი 178, 179, 181

რაბატი 195
რანი 79, 110
რაჭა 96, 104, 106, 114, 124, 129, 136, 143, 223
რაჭა-ლეჩხუმი 96
რეონი იხ. რიონი
რეხა 90
რეხულა 52
რიზე (რიზონი) 92, 93, 94, 101, 196
რიონი 6, 77, 84, 85, 88, 94, 101, 102, 103, 104, 106, 113, 115, 117, 124, 144
რიონ-მტკვრის დეპრესია 6, 7
რკინის ციხე (ჩხალთის ციხე) 121, 132
როდოპოლისი 93, 104, 196, 222
რომი 82, 83, 85, 86, 90, 91, 92, 100, 101, 138
რუისი 222
რუსთავი 54, 79, 169, 178, 194, 195, 198, 222

საბერძნეთი 110, 111, 161, 181, 200, 207
საგომი (საგამი, ზეგამი, ზაკამი, ძეგამ-ჩაი) 154—156, 158, 159
საგომის ველი 155, 156
საგურამო 174, 178, 179, 182
სადახლო 11
საეგრო 138
საზანო 105, 107, 113

ეროვნული ბიბლიოთეკა

Საინგილო 169, 187, 214
Საკენი მდ. (საკენრა) 120, 122
Სალოკი ხევი 37
Სამადლო 49, 68
Სამგორი 21, 79, 178
Სამების ხევი 79
Სამეგრელო 7, 89, 124, 127, 144
Სამთავისი 222
Სამთავრო 33, 35, 36, 49, 67, 68, 70, 222
Სამტრედია 88
Სამური 214
Სამშვილდე 17, 60, 193, 196, 214, 215
Სამცხე 57—59, 61, 143, 169, 172, 173, 191, 194, 196, 197, 201, 202, 228
Სამცხის მთები 202
Სანა 189
Სანარია 190
Სანიკე 100
Საპიტიახშო (საბიდ-ახჩა) 21, 149, 152
Სარაკე 87, 88
Სარკინე 51
Სარკინეთი 49
Სარმატია 93, 97, 98, 99, 100, 184, 226
Სასირეთი 198
Საფორცლე 195
Საქართველო 6—13, 15, 18, 22, 23, 26—29, 32, 35, 38, 39, 40, 45, 46, 48, 50, 57, 60, 62, 63, 65, 66, 70, 71—73, 76, 77, 78, 81, 82, 85, 88, 96, 106, 114, 116, 154, 169, 170, 194, 195, 198, 199, 207, 208, 215, 220, 222, 229
Საყდრიონი 179
Საჩინო 102, 113
Საჩხერე 21, 47, 88
Საცხენეთი 173
Საცხუმეთი 172, 173, 191, 192, 193
Საძეგური 44
Საწხუმეთი 172
Საჯავახო 102
Სგიმარი 122
Სებასტოპოლისი 83, 86, 97, 98, 99, 100 108, 111, 112, 114, 119, 136, 137, 139, 196, 200, 202
Სებოჯი 185
Სევანის ტბა 63
Სევასტუპოლი იხ. Სებასტოპოლისი
Სვანეთი 7, 77, 81, 91, 96, 106, 113—117, 120, 122—124, 128, 129, 133—136, 138, 140, 144, 208, 209, 211—213, 215, 216
Სვანეთის ციხე 123, 125, 130, 135
Სვირი 88
Სიონი 180
Სიღნაღი 178—195
Სკანდა 54, 105, 113
Სკვიმია (სკვიმნია) 117, 127, 135, 144
Სკიდისის ქედი 58
Სკვირეთი 166
Სომხეთი 6, 7, 22, 27, 55, 57, 58—60 76, 79, 91, 92, 95, 101, 114, 146, 150, 159, 162, 164, 167, 185, 191, 195, 202, 203—205
Სომხითი იხ. Სომხეთი
Სომხეთის მთები 167
Სომხეთის სამეფო 152
Სოჭი 99
Სოხუმი 47, 83, 86, 98, 112, 207
Სპარსეთი 69, 137, 162, 163, 200, 202, 208, 210
Სპერი 55, 58, 59, 60, 69, 79, 80, 95, 146, 162, 163
Სპერის ზღვა 214
Სტეფანწმინდა 189
Სურამის ქედი 6
Სურიონი 87, 88
Სუფსა 7, 89
Სუჯეთი 176, 183, 185, 199, 215, 220, 222
Სქიომარის ციხე იხ. Სხემარის ციხე
Სხემარის ციხე 109, 122, 123
Სხიმარის ციხე იხ. Სხემარის ციხე

Ტანა 173, 191, 192
Ტაო 55, 58, 59, 79, 80, 92, 95, 101, 146, 148, 159, 160, 163, 171, 191, 194, 195, 202
Ტარნეს ხევი 172
Ტასისკარი 110

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტაშირი 146—149, 164—167, 172, 174, 177, 191, 193, 196
ტელეფისი 102, 103, 104
ტერუნაკანი 157
ტეხური 7, 29, 115
ტიბარანია 100
ტოლები 104
ტორნის ხევი 172
ტრაბზონის ქედი 58
ტრაპეზუნტი 83, 101, 111, 114, 137, 196
ტრაპიზონი 93, 111
ტრაქეა 117, 119
ტრკიანი 157
ტუნისხევი 172, 173
ტყვარჩელი 119
ტყვიავი 31

ურარტუ 69
ურბნისი 14, 17, 33, 49, 51, 68, 71, 72, 104, 197, 198
უტიქი 158
უტო 184
უფლისციხე 49, 51, 68, 152
უქიმერიონის ციხე 115—117, 127, 135, 142, 144
უშგული 143
უჯარმა 153, 179, 180, 181, 183, 185, 194, 196, 198
უჯარმის ხევი 61

ფასიდი (ფოთი) 228
ფაზისი 47, 86, 93, 103, 114, 115, 132, 196
ფაზისი მდ. (ფასისი მდ.) 84, 85, 93, 102, 103
ფანავის ქედი 119
ფარავნის გზა 195
ფარავნის ტბა 21, 111, 196, 197
ფასანაური 182, 189
ფერსათის ქედი 101, 104, 202
ფიაგდონი 7, 204
ფოთი 47, 103, 115, 196
ფოლნაფორი 172
ფრინევი 25
ფრონე 173
ფსირცხა 117, 118
ფსიუქროსი 97
ფსოუ 99, 101
ფუსტა იხ. აფუსტა
ფუსტას ციხე 118
ფშავი 179, 180, 181, 204, 226
ფშავის ხევი 40
ფშავ-ხევსურეთი 180, 189, 224
ფხოვი 162, 179, 193, 199

ქავალაკი 185
ქავეშფორი (ქვეშის ხევი) 172, 174
ქამბეჭანი (იხ. კამბეჩანი) 185, 186
ქანბიჭანი (იხ. კამბეჩანი) 186
ქართლი (ივერია) 50, 51, 54, 55, 58—62, 77—80, 90, 91, 101, 105, 110, 112, 113, 114
ქართლი 27, 31, 48, 67, 146, 148, 149, 152, 153, 156, 158, 159, 161—171, 175—177, 180, 181, 185, 186, 188—191, 193—209, 211—219, 222, 225, 226, 228, 229
ქართლ-იმერეთის ქედი 6
ქართლის გზა 162, 163
ქართლის სამეფო 48, 50, 51, 53, 54, 55, 56, 60, 62, 76, 77, 78, 80, 81, 88—90, 96, 97, 100, 101, 110, 114, 142, 145, 146, 153, 159, 161—164, 167—169, 176, 181, 190, 191, 197, 200, 213, 214, 217, 219—221, 223, 225, 227—229
ქართლის ქედი 179, 181
ქეთი 173—175
ქვაბთა თავის მთა 52
ქვასათალი 24, 28, 36, 67
ქვახიდის მთა 92
ქვემო ალვანი 184
ქვემო იმერეთი 89
ქვემო სვანეთი 124, 125, 127, 143
ქვემო ქართლი 6, 11, 15, 14, 17, 18, 23, 27, 32, 33, 38, 44, 55, 66, 67, 148, 150, 152, 177, 191, 193, 215, 221, 222
ქვემო ჯავახეთი 147
ქვეში 149

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქვეშის ციხე 174
ქვეშის ხევი 148, 174—176, 191, 194
ქიშკაფორი (ქვეშის ხევი) 175
ქიზიყი 169
ქინჯარა 195
ქიტროპოლია 103
ქლუხორის უღელტეხილი 120, 123, 140, 206
ქობულეთი 102
ქოდითირიკოსხევი 172, 173
ქორდითირიკოს ხევი 177
ქსანი 7, 52, 173
ქსნის ხევი 173, 191, 193
ქუენა არტაანი 160
ქუიშაფორი (ქუეშის ხევი) 172
ქუიშაფორი (ქუეშის ხევი) 174
ქუთათისი იხ. ქუთაისი
ქუთაისი 47, 48, 115, 117, 135, 142, 143, 144, 196
ქუთაისის ციხე 115, 135, 142, 144
ქუნანაკირტი 154
ქურდვაჭარი 155
ქურთა 71
ქუშეთი 173, 174, 175, 176
ქცელდაბა 183, 195, 199
ქცია 149, 157, 165

ღადო 201, 201, 206
ღალიძგა 77, 106, 108, 110, 112, 113, 117, 118, 119, 200, 207
ღანუხი (ღანუყი) 188

ყაზბეგი 45
ყალა იბნ-ქანდამანი 157
ყანჩაეთი 44
ყარაიას ველი 169, 178
ყარა-სუ 7
ყარატაოხი 161
ყარაღაჯი 26, 178
ყარსი 27
ყვარა 183, 193 199
ყვარას მთა 183
ყვარელი 168, 169, 187
ყვარისთავის მთა 183, 184, 185
ყვირილა 7, 104

ყორანთა 71, 72
ყორნისი 71

შავი ზღვა 56, 69, 79, 82, 83, 85, 108, 196
შავშეთი 61
შავშეთ-კლარჯეთი 59
შალქი 173, 174, 175
შამქორი 156, 157
შამქორის ხეობა 155
შანა 190
შანის მთა 190
შანისწყალი 190
შატილი 226
შაქედი 186, 188
შაქოსტანი 186
შაქი (შაქე, შაქეთი) 185, 186, 187, 188, 223
შახე 99
შვა სოფელი იხ. შუა ქვეყანა
შიგნი კახეთი 32, 109, 186, 187
შიდა ეგრი 88, 89, 91, 94, 106, 114, 135, 209, 211, 215
შიდა ქართლი (შუა ქართლი) 7, 17, 18, 23, 25, 32, 33, 37, 42, 43, 45, 49, 51, 61, 66, 67, 70, 73, 90, 169, 173, 177, 191, 197, 214, 215, 221, 222
შილდა 187
შიომღვიმე 52
შორაპანი 54, 88, 96, 101, 105, 113, 196
შტორი 79
შტორის ხევი 169, 179
შუა ქვეყანა 110, 112, 113, 207
შულავერი 11—14
შხეფის ციხე 115

ჩაბანო 184
ჩადივარი 79, 178
ჩარდახლუ 187
ჩახარის ციხე (ჩხალთის ციხე) 121
ჩელთდი 175
ჩელეთი 176, 222—224
ჩელთი 173—176, 180, 183
ჩორის კარი 139
ჩქუმი 127, 143
ჩხალთა 120, 121, 123

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩხალთის ციხე (ჩახარი) 121, 123
ჩხარი 113
ჩხერიმელა 7
ჩხიკვთა 71, 72
ჩხოროწყუ 113

ცაგერი 124, 125, 127, 128, 143
ცაგერის ციხე 128
ცაიში 228
ციკარა 190
ციხე-გოჯი 77, 110, 196, 200, 206
ციხედიდი 51
ციხისძირი 102, 107
ცროლის მთა 76, 226
ცურტავი 165, 222
ცხავატი 189, 193
ცხაკაია 113
ცხრაზმის ხევი 191, 193
ცხრასძმაჲ 172, 173
ცხენისწყალი 7, 114, 115—117, 124, 127—129, 134, 143, 144
ცხენისწყლის გზა 125
ცხინვალი 66, 67
ცხუმი 111, 119, 120

ძადრისი 87
ძამა 7
ძამის ხეობა 192
ძახარისციხე (ჩხალთის ციხე) 121
ძეგამ-ჩაი იხ. აგრ. ზეგამი 54, 55, 155, 159
ძეგვი 198
ძირულა 7
ძორი 147, 149, 153, 159, 166, 191
ძოროგეტი 148
ძოროფორი 146, 153, 154, 172, 173, 196
ძურძუკი 179

წალკა 6, 28, 37, 149
წანარეთის ხევი 204
წაფანი 172
წაქეთი იხ. წუქეთი
წახეთი იხ. წუქეთი
წახური იხ. წუქეთი
წებელდა 118, 120
წეროვანი 71
წერონისი 71
წექანის კარი 189, 190
წიბილეს ციხე 118, 119, 131
წინა აზია 123, 162
წიკარა 190
წილკანი 190, 194, 199, 223
წინკარი (წირკანი) 190
წინწყარო 44
წიფერჩი 125 ,126
წკერე 190
წლევ-თხოთის მასივი 52
წობენი 174, 178, 181, 182, 195, 198, 215, 222
წობენორი 172, 174
წობი 147, 148
წობონა 181
წობოფორი 146
წორბაფორი 172
წოფი 11, 15, 38, 39, 40, 148, 149, 191, 194
წოფოფორი 172
წუნდა 60, 110, 152, 194, 196, 198, 215
წუქეთი 175, 176, 188, 214, 215, 223, 225, 227
წყაროსთავი 223

ჭანეთი 56, 57, 92, 93, 94, 95, 100, 101, 202
ჭანივი 93, 94
ჭართალი 193, 199
ჭართლის ხევი 182
ჭერემი 186, 194, 214, 220, 222, 223
ჭოპორტი 181
ჭორა 158
ჭოროხი 6, 46, 47, 55, 56, 57, 58, 59, 60, 80, 84, 89, 91, 94, 95, 101, 112, 138, 159, 171, 202

ხადას ხეობა 182, 190
ხაზარეთი მცირე 110
ხალდები 93
ხარჭაშო 224
ხალხალი, ხალხალანი, ხალხილა, ხილ-ხანა, ხალხალა ხეილიხანი 158, 159
ხანციხი, ხანიცხი (ხუნანი) 154, 172

ბარნის ხევი 172, 173
ბაშმი 176, 183
ხევი 7, 40, 45, 54, 77, 189, 190, 204, 223

ხევსურეთი 76, 179, 180, 204, 226, 227
ხევსურეთი პირიქითა 7, 76, 77
ხევხილაკას კარი 204
ხევხმელა 40, 41, 44
ხენი 187, 188
ხენსა-სუ 187
ხეობა 181, 182
ხერკი (ერკი) 172, 174, 175, 176, 178, 179, 182, 215, 224
ხერკის მთა 181
ხიდისთავი 67, 198
ხობი მდ. 7, 85, 113
ხოვლე 41, 65, 66, 68
ხოვლეგორა 40, 41, 43, 44, 45, 49, 65, 66, 67, 68, 69, 71, 72
ხონი 143, 144
ხორზენე 54—56, 58—60, 146, 148
ხორზიანის ველი 56
ხორნაბუჯი 214, 220, 222, 223
ხოტენე 55, 56
ხოჯალის მთა 119, 120
ხრამი 7, 11, 148, 149, 165
ხრამ-სომხითის მთიანეთი 6
ხუნანი 54, 55, 60, 79, 153—159, 178, 194, 198, 203, 214, 215, 271
ხუნანის ველი 155, 156, 157
ხუნანის ციხე 154

ჯავახეთი 6, 7, 11, 16, 17, 22, 23, 27, 28, 111, 147, 149, 152, 153, 159, 163, 172, 194—197, 202, 222
ჯავახეთის მთები 195
ჯამჯამა 192
ჯანიკის ქედი 58
ჯანოულას (ჯანოურის) ხევი 126, 127
ჯარიახის ხეობა 190
ჯვრის უღელტეხილი (ლეჩხუმში) 124, 127
ჯვრის უღელტეხილი (ქართლში) 190
ჯიხახორა 109, 130

ჰერეთი 73, 74, 76, 78, 79, 107, 110, 169, 176, 178, 181, 186, 188, 194—196, 204, 214, 215, 218—220, 223, 225, 228
ჰიმარის ციხე 122
ჰნარაკერტი 55, 147, 153, 154, 172, 173, 194
ჰოლმალი 186

Абазгия 233
Абхазия 232—234
Алазани 233
Албания 227, 232—235
Апсар 231
Апшилети 232
Арагви 226
Аракс 232
Аргвети 232
Археополь

Большой Кавказ 233

Византия 234—235

Гогарена 232
Грузия 230—231, 234—235

Дагестан 234
Двалети 233, 234
Диоскурия 231

Евфрат 232

Иверийские врата 233
Иверийское царство 233, 235
Иверия 232—234
Иори 233

Кавказские врата 233
Кавказский хребет 232, 234
Картли 232
Колхида 231, 232
Колхидское царство 231—232
Кура 232
Кутайа 231

Лазика 232

Миссимиания 232
Мосхике 232
Мохирис 233
Мцхета 232, 234

Нокалакеви 233

Понтийское море 232

Римская империя 232
Рионн 233
Рустави 232

Таквери 232
Тбилиси 234
Телави 232
Тушети 233, 234

Хевсурети 233

Цхенисцкали 233

Чанети 232
Чорохи 232, 233

Шида Эгри 232
Шорапани 232

Эгриси 232, 233, 235
Эгрисское царство 232, 233

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

წინასიტყვაობა 3
შესავალი. წინაფეოდალური ხანის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები . 6
1. საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული მიმოხილვა 6
2. ძირითადი ისტორიული სასოფლო-სამეურნეო არეები 8
3. უძველესი ვითარება (ძვ. წ. V—IV ათასწლეულები) 11
4. ადრებრინჯაოს ხანა (ძვ. წ. III ათასწლეული) 15
5. შუაბრინჯაოს ხანა (ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახევარი) . 21
6. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანა (ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე და I ათასწლეულის პირველი ნახევარი) 32
7. კოლხეთის სამეფო 46
8. იბერიის სამეფო 48
9. ეთნოგენეზის საკითხი 62
10. ეროვნული ტრადიცია „ქართლის“ საზღვრების შესახებ 76
თავი I. ეგრისის სამეფო 82
1. ეგრისის სამეფოს ჩამოყალიბების ისტორიულ-გეოგრაფიული პროცესი
2. ეგრისის სამეფოს ტერიტორიის შინაგანი დანაწილება (IV—V სს) . . 101
ა) ჭანეთი 101
ბ) ლაზიკე 101
გ) არგვეთი 104
დ) ეგრისწყალი 106
ე) შიდა ეგრი 113
ვ) აფშილეთი 117
ზ) მისიმიანეთი 120
3. ლეჩხუმის ციხე-სიმაგრეები 123
4. პროვინციათა დამოკიდებულება ცენტრალურ ხელისუფლებასთან 129
5. მთისა და ბარის ურთიერთობა 139
თავი II. ქართლის სამეფო 146
1. გოგარენე II გუგარქი 146
2. ხუანანII ჰნარკერტი 153
3. კოლა არტაანი 159
4. ტაშირი 163
5. ჩრდილოეთის, დასავლეთისა და აღმოსავლეთის საზღვარი . . . 167
6. ქართლის შინაგანი ტერიტორიული დანაწილება 169
7. ქალაქები და სავაჭრო გზები 193
8. სოციალური გეოგრაფია 198
თავი III. ვახტანგ გორგასლის ეპოქა 200

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1. პოლიტიკური ვითარება V ს-ის მეორე ნახევრის დასაწყისში . . . 200
2. კავკასიის მთიანეთის პოლიტიკური დამორჩილება 203
3. დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს შემოერთება . . 206
4. აღმოსავლური პოლიტიკა. მთისა და ბარის ურთიერთობა 214
5. თბილისი 220
6. საეკლესიო რეფორმა 222
7. ეთნიკური გეოგრაფია 225

Резюме 230
შემოკლებათა სია 236
საძიებლები 238
თანდართული რუკები . . . . . .

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

რედაქტორი ვ. ძ ი ძ ი გ უ რ ი
ტექრედაქტორი ე. ბ ო კ ე რ ი ა
მხატვარი გ. ნ ა დ ი რ ა ძ ე
კორექტორი ნ. შ ე ნ გ ე ლ ი ა

გადაეცა წარმოებას 16.8.76; ხელმოწერილია დასაბეჭდად 16.IV.1977;
ქაღალდის ზომა 60×90 1/16; ქაღალდი № 2; ნაბეჭდი თაბახი 6,25;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 15,04;
უე 01063; ტირაჟი 1000; შეკვეთა 2626;
ფასი 2 მან.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Давид Леванович Мусхелишвили

ОСНОВНЫЕ ВОПРОСЫ ИСТОРИЧЕСКОЙ ГЕОГРАФИИ **ГРУЗИИ**

(на грузинском языке)

«МЕЦНИЕРЕБА»
1977

ეროვნული
ბიბლიოთეკა